# კვირის პალიტრა

№ 6 (466) ◆ 9 – 15 თებერვალი. 2004 წ. ◆ ფასი 50 თეთრი ◆ დაარსებულია 1995 წ.


## „ყველაზე მეტად მეზიზღება მლიქვნელები“

ექსკლუზიური ინტერვიუ საქართველოს პრეზიდენტთან



„რევოლუციის მეორე დღესვე თუ დავქუცმაცდით, ეს წარმოუდგენელი უბედურება იქნება.“

გვ.7,11

დაპატიმრებები ვრცელდება არა მხოლოდ თანამდებობის პირებზე, უპირველესად ორგანიზებული დანაშაულის ხელმძღვანელებზეც... რა თქმა უნდა, ისინი უთუოდ პასუხს აგებენ. ჩვენი ამოცანა არ არის ხალხს დავერიოთ. მოქალაქეები მსხვერპლნი არიან. მხოლოდ დაპატიმრებები საქმეს არ შველის. რეფორმებია საჭირო... იმედი მაქვს, დაპატიმრებების რაოდენობა ამის შემდეგ შემცირდება. იმის გამო კი არა, რომ ეს მე მსურს, უბრალოდ, ახალმა ხალხმა უნდა იცოდეს, რომ თანამდებობა ხელშეუხებლობის გარანტი არ იქნება.

...ჩვენი მოძრაობის ოდნავ დაჭაობებასაც არ დავუშვებ... შესაძლოა დღეს ბევრი კორუმპირებული და ყაჩაღი ფიქრობდეს, — მთავარია, ხელისუფლების მიმართ ლოიალობა გამოვიჩინოთ და ყველაფერი გვეპატიებაო, მაგრამ ცდებიან.

...ისეთი დოკუმენტები შემოაქვთ ხელმოსაწერად, რომ შევარდნაძისადმი სოლიდარობის გრძნობაც კი მიჩნდება. ის თუ ყველაფერ ამას კითხულობდა და ხელს აწერდა, კიდევ კარგ ჭკუაზე ყოფილა ბოლოს. შეუძლებელია პრეზიდენტმა იცოდეს ყველა ის საკითხი, რაზეც მას აწერინებდნენ ხელს.

...რაკი ეს კაცი არ შევჭამეთ და არ გადავყლაპეთ, ბევრი სხვა ქვეყნის ოპოზიცია გვეუბნება — ასე გააგრძელეთ, ეს მოგვცემს საშუალებას ჩვენი ლიდერებიც ასე გავუშვათო... შურისძიებას არ ვაპირებ... თუმცა არის ზნეობრივი პრობლემაც, — დღეს შევარდნაძის ხელისუფლების დროინდელი ზოგიერთი მინისტრი გაიძახის, — ჩვენ რა ვქნათ, შევარდნაძე გვავალებდაო...

## „სარდალმა დამირეკა და კონტრაბანდული საწვავით სავსე ეშელონი გამაშვებინა“



„არა მგონია, თქვენს სტატიებს შედეგი მოჰყვეს“

— ყოფილი მთავარი სამხედრო პროკურორის, ამჟამად გენერალური პროკურორის მოადგილის, გია ჯიქიას ვაჟი დათო ჯიქია სასაზღვრო ძალებში, კერძოდ, უდაბნოს საგუშაგოს უფროსად მუშაობს და ეტყობა, თავს მშვენივრად გრძნობს. უბრალო საგუშაგოს უფროსმა ამ რამდენიმე თვის წინ ძვირად ღირებული პრესტიჟული მოდელის უცხოური მარკის მანქანა შეიძინა. სამხედრო პროკურატურაში, ძირითადად, გია ჯიქიას ხალხია თავმოყრილი და იქ მდგომარეობას ის აკონტროლებს. ასე რომ, დიდი იმედი ნუ გექნებათ, რომ სისხლის სამართლის საქმის აღძვრა რაიმეს შეცვლის. ასეთი რამ ხშირად ყოფილა, მაგრამ... გვ.6,9

## მივხედოთ წალკას! — „ხელისუფლების ურყევი ნებაა საჭირო“



თუ არ გინდათ თქვენც იგივე დაგემართოთ, აქაურობა დატოვეთო. გავუძალიანდით... მეორე დღეს, ჩვენი საწოლები თოვლში გამოეყარათ... გვ.5

„დასაძინებლად რომ ვწვები, ბაბუაჩემის გაკეთებულ ცულს ვიდებ ლოგინქვეშ“

## ჩემი განცხადებით თანამდებობის დაკავების შანსი კარგა ხნით დავკარგე...



ორჯერ გვქონდა მე და მიშას საუბარი — ერთხელ ხმამაღალი, მეორედ — შედარებით წყნარი. ვუთხარი, არასწორია, როდესაც ერთი კაცის, ჟვანიას გამო იცვლება კონსტიტუცია-მეთქი. კონსტიტუცია იცვლება და მერე როგორ? კონსტიტუციაში ავტორიტარიზმის ნიშნები შეაქვთ. ეს არის პარლამენტარიზმის ნიველირება... გვ.8,13

## რა გავაკეთოთ, უდანაშაულო რომ არ დაიჭირონ

ანუ ჯერ კორუფციული კანონები „დავიჭიროთ“ გვ.27

## „სამი საჭირო პირობა — რეპრესია, პრევენცია და პროპაგანდა“ გვ.3



კორუფციასთან ბრძოლა მართლაც არ ნიშნავს მხოლოდ დაპატიმრებას... ხალხმა, ბიზნესმენი იქნება, ჩინოსანი თუ გარე მოვაჭრე, დაწვრილებით და ნათლად უნდა იცოდეს, თუ როგორი გარემო ექნება ხვალ, რომ დღევანდელი გაჭირვება მოითმინოს.

## რატომ გააოგნა კოკა ყანდიაშვილი ფიდელ კასტროს გამოსვლამ



გვ.22

ჯერჯერობით ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ახალი სატელევიზიო პროექტებისთვის არავის სცხელა.

## რა ხდებოდა სინამდვილეში კოდორის ხეობაში?! გვ.3

„მთელი ხეობის სახელით ვთხოვ სააკაშვილს...“

კატეგორიულად გამოვრიცხავ იმას, თითქოსდა სამშვიდობოები წვრთნას გადიოდნენ ხეობაში. იქ არანაირი სწავლება არ მიმდინარეობდა და ამის მთქმელი ცრუობს!

ემზარ კვიციანი

გმადლობთ, რომ კითხულობთ! — „კვირის პალიტრა“

## პრეზიდენტების შეხვედრა

12 თებერვალს, მოსკოვში, ერთმანეთს შეხვდებიან საქართველოსა და რუსეთის პრეზიდენტები. მოლაპარაკებებზე სხვა უმნიშვნელოვანეს საკითხებთან ერთად საქართველოში რუსეთის სამხედრო ბაზების ყოფნა-არყოფნის საკითხიც განიხილება. მანამდე კი საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო სკანდალურ განცხადებებს აკეთებს. კერძოდ, ბათუმსა და ახალქალაქში რუსულ სამხედრო ბაზებში ქართველ მოსამსახურეებს ახალი კონტრაქტების დადებას სთავაზობენ, რომლის მიხედვით რუსებს უფლება ექნებათ ქართველები ცხელ წერტილებში წაიყვანონ. ვინც უარს იტყვის, მათ დაითხოვენ და რუსებით ჩაანაცვლებენ. რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ამ გადაწყვეტილებით რუსული ბაზების გაყვანის ნაცვლად საქართველოში ამ ბაზებში მოსამსახურეთა ზრდა გარდაუვალი იქნება. სავარაუდოდ, ეს საკითხი მოსკოვში მიხეილ სააკაშვილისა და ვლადიმირ პუტინის შეხვედრაზე განიხილება.

საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის, კახა სიხარულიძის განცხადებით, ბათუმსა და ახალქალაქში სამხედრო პირებს, რომლებიც საქართველოს მოქალაქეები არიან და მსახურობენ რუსულ სამხედრო ბაზებში, ხელს აწერინებენ ხელშეკრულებაზე, რომლის თანახმად საჭიროების შემთხვევაში უნდა გადავიდნენ ჩეჩნეთში ან ციმბირში. ხომ არ არის ეს მცდელობა იმისა, რომ საქართველოს მოქალაქეები აიძულონ, უარი თქვან სამსახურზე და ბაზები დატოვონ, მათ ადგილზე კი ჩამოიყვანონ რუსეთის მოქალაქეები? ამ კითხვაზე პასუხს, სავარაუდოდ, 12 თებერვლის შემდეგ მივიღებთ. ბათუმსა და ახალქალაქში კი რუსულ ბაზებში როტაცია უკვე დაიწყო, რაც პირველად ხდება 12 წლის შემდეგ.

## გამორიცხული არაფერია

გენერალური პროკურატურა დაპატიმრებების სერიალს განაგრძობს და ამ კვირას „პოლიციის კვირეულად“ აცხადებს. თუმცა შესაძლოა ამ კვირაში პროკურატურამ დასაკითხად ახალი ხელისუფლების წარმომადგენლებიც დაიბაროს. გენერალური პროკურორის, ირაკლი ოქრუაშვილის განცხადებით, არ არის გამორიცხული პროკურატურამ უშიშროების საბჭოს მდივან ვანო მერაბიშვილთან ერთად დასაკითხად ბურჯანაძე-დემოკრატების ერთ-ერთი ლიდერი მიხეილ მაჭავარიანიც გამოიძახოს. ვანო მერაბიშვილს პროკურატურა კითხვებს სამი წლის წინ იმელის შენობაში ნაციონალების შეჭრასთან დაკავშირებით დაუსვამს; ხოლო მიხეილ მაჭავარიანთან გასარკვევი საქმის დეტალებზე ოქრუაშვილი დუმილს ამჯობინებს. მერაბიშვილი პროკურატურაში ჯერ არ დაუბარებიათ. „ის ერთხელ უკვე დაიკითხა, ალბათ კვლავ მოგვიწევს მისი დაკითხვა“, — ამბობს გენერალური პროკურორი, რომელიც ამ კვირაში მიხეილ მაჭავარიანს თუ არა, ყოფილ და მოქმედ პოლიციელ ჩინოსნებს აუცილებლად დაიბარებს ან სპეცრაზმის დახმარებით მაინც მიიყვანს. გენერალური პროკურატურის ახალი მსხვერპლი შესაძლოა ყოფილი მინისტრი კობა ნარჩემაშვილი და მისი მოადგილე დავით თოდუა გახდნენ. არ არის გამორიცხული მათი ბედი ყოფილმა და მოქმედმა საგზაო პოლიციელებმაც გაიზიარონ. გამოძიება პოლიციელ ჩინოსნებს დიდი ოდენობით თანხების მითვისებაში ადანაშაულებს (ვრცლად იხ. გვ. 5).

## კონსტანტინე გამსახურდია ჯერ არ ჩამოსულა

პოლიტიკური მოძრაობა „თავისუფლების“ პრესცენტრის ცნობით, „თავისუფლება“ აპირებს, მონაწილეობა მიიღოს 28 მარტის საპარლამენტო არჩევნებში. მოძრაობის დევიზია „ერთი სამშობლო — ერთი ხვედრი“. ის დამოუკიდებლად ჩაებმება არჩევნებში. პოლიტიკური მოძრაობა, ძირითადად, ეყრდნობა იმ პიროვნებებს, რომლებიც უკანასკნელი 12 წლის მანძილზე არ მონაწილეობდნენ სამთავრობო სტრუქტურებში.

პარტიის წევრების თქმით, მოძრაობის მსოფლმხედველობა აგებულია ევროპული ჰუმანიზმის ტრადიციებზე, რომელიც ეროვნულ-კულტურულ თვითმყოფადობას უზენაეს ადამიანურ ღირებულებად მიიჩნევს.

ქალაქში გავრცელებული ხმები კი პარტიის ერთ-ერთი დამფუძნებლის — კონსტანტინე გამსახურდიას ამჟამად საქართველოში ყოფნის შესახებ, პრესცენტრის განცხადებით, სიმართლეს არ შეესაბამება. უახლოეს ხანში პოლიტიკურ მოძრაობა „თავისუფლებას“ დაგეგმილი აქვს პრესკონფერენციის ჩატარება და ტელეხიდი კონსტანტინე გამსახურდიასთან, აცხადებს პრესცენტრი.

## ბურჯანაძეს გუბლია აფრთხილებს

აფხაზი სეპარატისტი მწერალი გიორგი გუბლია ეხმაურება საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის, ნინო ბურჯანაძის განცხადებას, საჭიროების შემთხვევაში ქვეყნის ინტერესების დასაცავად საკუთარი ვაჟების აფხაზეთში გაგზავნასთან დაკავშირებით და მოუწოდებს მას „არ გაიმეოროს ცნობილი ქართველი მწერლის, ჭაბუა ამირეჯიბის შეცდომა“, რომელსაც შვილი აფხაზებთან ბრძოლაში დაეღუპა(?!).

გუბლია საგანგებო განცხადებით მიმართავს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს და „ახსენებს“ მას, რომ აფხაზეთი არასოდეს ყოფილა საქართველოს შემადგენელი ნაწილი, ხოლო აფხაზეთში 1992-93 წლებამდე მცხოვრები ქართველების ნაწილი რეგიონში 1877-78 წლებში რუსეთ-თურქეთს შორის უკანასკნელი ომის შემდეგ დასახლდა, ნაწილი კი სსრკ-ის ქართველმა მმართველებმა, სტალინმა და ბერიამ აფხაზეთში ზუგდიდისა და სენაკის რაიონებიდან ჩაასახლა. აფხაზებს და ქართველებს შორის თითქოს არსებული „ძმური კავშირი“ კი ქართველი ისტორიკოსების შეთხზული, ისტორიულ საფუძველს მოკლებული ლეგენდებია. „ვიდრე შვილებს აფხაზეთში საომრად გამოაგზავნი, კარგად დაფიქრდი“, — აფრთხილებს ბურჯანაძეს სეპარატისტი გუბლია სოხუმიდან.

## „საპასპორტო რეჟიმი“ გალში

4 თებერვალს ზუგდიდსა და წალენჯიხაში საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის, გიორგი ბარამიძის ხელმძღვანელობით ქართველი სამართალდამცველების მიერ ჩატარებული ანტიკრიმინალური ოპერაციის შემდეგ, სოხუმის ხელისუფლებამ საპასპორტო რეჟიმის გამკაცრების მოტივით გალის რაიონში 400-ზე მეტი მილიციელი შეიყვანა. სოხუმის ხელისუფლების პრემიერ-მინისტრ რაულ ხაჯიმბას განცხადებით, აფხაზური მხარე კრიმინალურ დაჯგუფებებთან ბრძოლის მოტივით ქართველი სამართალდამცველების გალის რაიონში მოქმედებას არ დაუშვებს. გალის რაიონის დაბალი ზონის სოფლებში აფხაზური მილიციის მიერ განხორციელებულ ოპერაციას მოსახლეობა „წმენდას“ უწოდებს, რომელიც კვლავაც გრძელდება. გალის ქართული ადმინისტრაციის წარმომადგენლობისა და ქართული მილიციის უფროსის მოადგილის, თენგიზ ძძუას განცხადებით, გალის პოლიციის სამმართველოში დაკავებული არიან სოფელ გაგიდას მკვიდრი თენგიზ და ჯამბულ მებონიები და კობა ლაშხია. ძძუას თქმით, აფხაზი პოლიციელები თავიანთ მოქმედებას საპასპორტო რეჟიმის შემოწმებით ხსნიან. გადაადგილებისათვის ისინი რუსი სამშვიდობოების კუთვნილ БМП-ებსა და მსუბუქ ავტომანქანებს იყენებენ.

## კრიმინალებმა პოლიციელებს კუბოები გაუგზავნეს

ცენტრის გავლენით, კახეთშიც დაიწყო დამნაშავეების მხილება და კრიმინალების დევნა. 2003 წლის დეკემბერში შსს-ს სიღნაღის ქვეგანყოფილებამ ოპერატიული ღონისძიება ჩაატარა და კრიმინალური ავტორიტეტები დააპატიმრა, რამაც შავი სამყაროს წარმომადგენლები გააღიზიანა.

მიმდინარე წლის თებერვლის დასაწყისში კი სიღნაღის ქვეგანყოფილების უფროსმა გოჩა ღვედიაშვილმა და მისმა ყოფილმა მოადგილემ (რომელიც ამჟამად კახეთის სამხარეო პოლიციის სამძებრო განყოფილების უფროსია), სოსო ციციშვილმა ავტორიტეტებისგან „მადლიერების ნიშნად“ მეტად ორიგინალური საჩუქარი, კუბოები მიიღეს. მათში მოთავსებული ბარათი კი იტყობინებოდა: „თუ ჩვენს ძებნას თავს არ დაანებებთ, შიგ ჩაგაწვენთო“. „საჩუქარი“ ამჟამად სამხარეო პოლიციაში საგანგებოდ ინახება. ფაქტმა კახელი სამართალდამცველების აღშფოთება და სამართლიანი განრისხება გამოიწვია. „კრიმინალების წინააღმდეგ სერიოზული სპეცოპერაციები იგეგმება და თუ გონს არ მოეგებიან, სულ მალე ჩვენ ჩავაწვენთ იმ კუბოებში მათ გამომგზავნებს“, აცხადებენ კახეთის პოლიციის მთავარ სამმართველოში.

## მეფარიძემ განუგრავა დაადანაშაულა

სატყეო მეურნეობის ყოფილმა უფროსმა შოთა მეფარიძემ სასამართლოში ბრალის წაყენებამდე ჟურნალისტებთან საუბარში ბრალი დასდო შსს-ს საგამოძიებო დეპარტამენტის ხელმძღვანელს, ირაკლი განუგრავას, წლების მანძილზე ფულს მძალავდაო. გავრცელებული ინფორმაციებით, მან მეწილეებად ბევრი მაღალჩინოსნის გვარი დაასახელა. ზუსტდება ზარალი, რომელიც სახელმწიფოს მეფარიძის წყალობით მიწების უკანონო გასხვისების შედეგად მიადგა.

წყნეთში მეფარიძის სახლში ჩატარებული ჩხრეკის შედეგად აღმოაჩინეს ბეჭედი, რომლითაც სატყეო მეურნეობის ყოფილი უფროსი თანამდებობიდან წასვლის შემდეგაც აფორმებდა დოკუმენტებს. პროკურატურის კულუარებში უკვე ლაპარაკობენ შოთა მეფარიძის კუთვნილი ქონების კონფისკაციაზე, რაც ალბათ ნებისმიერ შემთხვევაში განხორციელდება და სატყეო მეურნეობის ყოფილ უფროსს უკანონოდ მითვისებული მამულებისა და სახლების გარეშე დატოვებენ.

შოთა მეფარიძე 78 წლისაა, საქართველოს კანონმდებლობით, 65 წელს გადაცილებულ პირებზე არ ვრცელდება წინასწარი სამთვიანი პატიმრობის შეფარდება.

## „სააკაშვილის ფრანგული რევოლუცია“

კონსტიტუციის მიხედვით პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს ინაუგურაციიდან 14 დღეში პარლამენტისთვის ახალი მთავრობის წარდგენის ვადა ამოეწურა. საკონსტიტუციო ცვლილებების შემდეგ ამ საკითხის მოსაგვარებლად მას კიდევ ორი კვირა მიეცა, რადგან ჯერ არ არის გადაწყვეტილი, რამდენი სამინისტრო შემცირდება და გაუქმდება თუ არა დეპარტამენტები.

თუმცა იუსტიციის მინისტრის განცხადებით, ცვლილებათა ზოგადი სტრუქტურა უკვე არსებობს. ამიტომ არ არის გამორიცხული, სააკაშვილმა ახალგაზრდებით და ქალებით დაკომპლექტებული მინისტრთა კაბინეტი პარლამენტს დასამტკიცებლად მოსკოვში წასვლის წინ წარუდგინოს. სხვათა შორის, რუსული პრესა სააკაშვილის ინიციატივით განხორციელებულ საკონსტიტუციო ცვლილებებს „სააკაშვილის ფრანგულ რევოლუციას ქართულ კონსტიტუციაში“ არქმევს. ქართული ხელისუფლება კი აცხადებს, რომ ამიერიდან კონსტიტუციით საქართველო საფრანგეთის მსგავსად ნახევრად საპრეზიდენტო ქვეყანა იქნება პარლამენტის გაფართოებული უფლებებით. ეს კატეგორიულად არ მოსწონს ოპოზიციას, რომელიც ცვლილებათა წინააღმდეგ პარლამენტში ვერაფერს გახდა. მემარჯვენეების, ტრადიციონალისტებისა და ყოფილი სახელისუფლებო ძალების წარმომადგენლები და არასამთავრობო ორგანიზაციები აცხადებენ, რომ აღნიშნული ცვლილებებით პრეზიდენტი პარლამენტს ასუსტებს. ეს კი დიქტატურის დამყარების საფრთხეს ქმნის.

## „ლარისა“ კინაღამ ჩაიძირა

ფოთის პორტის ნავმისადგომთან კორეული დროშით მცურავი გემი „ლარისა“ ჩაძირვას გადაურჩა. გემს მარცხენა ბორტზე 12 მეტრი სიგრძის ბზარი აღმოაჩნდა. მექანიკოსების განცხადებით, ყოველ საათში გემში 100 კუბური მეტრი წყალი შედიოდა, რის გამოც იგი კინაღამ ფსკერისკენ წავიდა.

როგორც გაირკვა, გემს 40 წელია კაპიტალური რემონტი არ ჩატარებია. „ლარისას“ დაზიანებული ნაწილი მექანიკოსებს პლასტირით ჰქონდათ აკრული. თუმცა, წყალთან ამგვარი წინაღობა უძლური აღმოჩნდა. კაპიტნის განცხადებით, მან რამდენჯერმე გააფრთხილა გემის მეპატრონეები მოსალოდნელი საფრთხის შესახებ, პასუხად კი მიიღო: ჩანს, თქვენ პირადი დაინტერესება გამოძრავებთ. თუ არ გსურთ ცურვა, ჩაალაგეთ ჩემოდანი და წადითო. ასეთივე პასუხი მიიღეს ეკიპაჟის სხვა წევრებმაც.

## ტრაგიკული ავტოკატასტროფა

7 თებერვალს ღამით გორთან ახლოს მომხდარი ავტოკატასტროფა ტრაგიკულად დასრულდა. გორის უღელტეხილზე ჯიპის მარკის ავტომანქანა გზის სავალი ნაწილიდან გადავიდა და რამდენჯერმე ამოტრიალდა. მანქანაში 5 მგზავრი იმყოფებოდა. დაიღუპა საგამოძიებო დეპარტამენტის ლენტეხის განყოფილების უფროსი ირაკლი გუგავა, დანარჩენმა მგზავრებმა კი სხეულის მძიმე დაზიანებები მიიღეს. ისინი გორის საავადმყოფოში იმყოფებიან. დაშავებულთა შორისაა ლენტეხის პროკურორი იუზა ჩარქსელიანი. საგზაო პოლიციელთა განცხადებით, ავტოავარიის მიზეზი ცუდი ხილვადობა და გადაჭარბებული სიჩქარე იყო.

## „დედოვშჩინა“ აფხაზურ ჯარში

ზუგდიდის რესპუბლიკურ საავადმყოფოში უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში იმყოფება ახალგაზრდა ჯარისკაცი მანუჩარ გერგედავა, რომელმაც თავის ჩამოხრჩობა სცადა. თვითმკვლელობის მცდელობა ოჩამჩირის სამხედრო ნაწილში მოხდა. გერგედავა გალის რაიონის ერთ-ერთი სოფლის მკვიდრია. აფხაზურ ჯარში იგი გასული წლის შემოდგომაზე გაიწვიეს. მანუჩარ გერგედავას ახლობლები ამ ფაქტის გახმაურებას ერიდებოდნენ, მაგრამ იმის გამო, რომ ოჩამჩირელი ექიმები უძლური აღმოჩნდნენ, გერგედავა ზუგდიდში გადმოიყვანეს. თვითმკვლელობის მიზეზად ჯარისკაცი ფიზიკურ და მორალურ შეურაცხყოფას ასახელებს.

## აბაშიძე მოსკოვში დენის ჩამოსატანად გაემგზავრა

სააკაშვილის მოსკოვში ჩასვლამდე რუსეთის დედაქალაქში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ლიდერი ასლან აბაშიძე გაემგზავრა. წასვლამდე მან სენსაციური განცხადება გააკეთა. მისი თქმით, უახლოეს მომავალში ს/ს „რუსეთის ერთიანი ენერგოსისტემები“, ანუ „რაო ეესი“ ავტონომიურ რესპუბლიკაში დენის იმპორტს დაიწყებს. „მოსკოვი აჭარას დასაწყისისათვის 100 მგვტ ელექტროენერგიას მიაწვდის, აჭარაში რუსული დენის იმპორტის ღირებულებას საწყის ეტაპზე მოსკოვის მერია გადაიხდის(?)“, — აცხადებს აბაშიძე, რომელიც მოსკოვში საქმიანი ვიზიტის დასრულების შემდეგ ევროპაში გაემგზავრება. აბაშიძის თქმით, მოსკოვში გამგზავრებამდე მას პრეზიდენტ სააკაშვილთან ჰქონდა სატელეფონო საუბარი და განაცხადა, რომ უახლოეს დღეებში პრეზიდენტი აჭარაში ჩასვლას აპირებს. აჭარის ლიდერთან შეხვედრის დროს მოლაპარაკების ძირითადი თემა სწორედ ავტონომიური რესპუბლიკის ელექტროენერგიით ავტონომიური მომარაგება იქნება.

## აფხაზები ინალ კაზანს ადანაშაულებენ

ე. წ. აფხაზეთის რესპუბლიკის საგარეო უწყება აშშ-ში აფხაზური დიასპორის ხელმძღვანელს, ინალ კაზანს აფხაზეთში საქართველოსა და აშშ-ის ინტერესების ლობირებაში ადანაშაულებს და კატეგორიულად უარყოფს მის რჩევას ფედერალურ საწყისებზე აფხაზეთის საქართველოს შემადგენლობაში გაერთიანების შესახებ.

თვითგამოცხადებული აფხაზეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესმდივნის, ალექსანდრე სტუდენიკინის განცხადებით, აფხაზეთის საზოგადოება სოხუმის საპრეზიდენტო არჩევნებში აშშ-ისა და საქართველოს ინტერესების ლობისტის, ინალ კაზანის აფხაზურ პოლიტიკურ სივრცეში გამოჩენას არ დაუშვებს. მისივე მტკიცებით, აფხაზეთის პოლიტიკური წრეებისათვის მიუღებელია ინალ კაზანის მოსაზრებები აფხაზეთის სტატუსთან და საქართველო-აფხაზეთის სამომავლო ურთიერთობებთან დაკავშირებით. სტუდენიკინის თქმით, კაზანმა არა მარტო არ იცის აფხაზური საზოგადოების აზრი ქართველებთან ერთად სახელმწიფოში თანაცხოვრების შესახებ, არამედ არ იცის აფხაზეთის ისტორიაც, რომლის თანახმადაც აფხაზეთი არასოდეს ყოფილა საქართველოს შემადგენელი ნაწილი(?!).

## ფალსიფიცირებული „ფანტა“ და „კოკა-კოლა“

8 თებერვალს ზუგდიდში სამართალდამცველებმა თბილისი-ზუგდიდის სამგზავრო მატარებლიდან დიდი რაოდენობით ფალსიფიცირებული „ფანტა“ და „კოკა-კოლა“ ამოიღეს. კორუფციის წინააღმდეგ მებრძოლი სამსახურის წარმომადგენლის განცხადებით, კუსტარული წესით დამზადებული სასმელი ზუგდიდელ ვაჭრებს თბილისის ელიავას ბაზრობიდან ჩაჰქონდათ. თბილისში სხვადასხვა ბაზრობაზე 11-მდე არალეგალური საამქრო მუშაობს, რომლებიც ფალსიფიცირებულ სასმელს აწარმოებენ და საქართველოს სხვადასხვა ქალაქში აგზავნიან სარეალიზაციოდ.

## საქართველომ დავითობა იზეიმა

8 თებერვალს სრულიად საქართველომ დავით აღმაშენებლის დღესასწაული „დავითობა“ აღნიშნა. დღესასწაული გელათშიც აღინიშნა, სადაც საზეიმო წირვა-ლოცვა აღავლინა ქუთათელ-გაენათელმა მიტროპოლიტმა მეუფე კალისტრატემ, რომელმაც მრევლთან ერთად ყვავილებით შეამკო წმინდანად შერაცხული დიდი მეფის საფლავი. ეს დღესასწაული ოფიციალურად უკვე 12 წელია აღინიშნება და ამ დღეს გელათში ქვეყნის სხვადასხვა რეგიონიდან უამრავი მორწმუნე ჩადის. დავით აღმაშენებლის ხსენების დღესთან დაკავშირებით საზეიმო წირვა-ლოცვა ქვეყნის სხვა მართლმადიდებლურ ეკლესიებშიც აღევლინა. სიონის საკათედრო ტაძარში წირვა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ აღავლინა. საპატრიარქოში ამ დღეს კათოლიკოსის აღსაყდრებისადმი მიძღვნილი წიგნის პრეზენტაციაც მოეწყო.




## რიბკინი გაუჩინარდა

რუსეთში პრეზიდენტობის კანდიდატი ივან რიბკინი უკვე რამდენიმე დღეა გაუჩინარებულია. 8 თებერვალს მისი ოჯახის წევრებმა ამის შესახებ ოფიციალურად მიმართეს რუსეთის გენერალურ პროკურატურას და შს მინისტრის მოვალეობის შემსრულებელს. რიბკინი რუსეთის ცესკომ პრეზიდენტობის კანდიდატად 7 თებერვალს გაატარა რეგისტრაციაში, თუმცა ცესკოს თავმჯდომარის, ალექსანდრე ვეშნიაკოვის თქმით, ივან რიბკინის მხარდამჭერთა სიებში ყალბი გვარებია შეტანილი, რის გამოც ეს საქმე უკვე მოსაკვლევად გადაეცა გენერალურ პროკურატურას.

## მოსკოვი უმკაცრეს ზომებს მიიღებს

მოსკოვის მერმა იური ლუჟკოვმა დედაქალაქიდან არალეგალური ემიგრანტების დეპორტაციის შესახებ გააკეთა განცხადება. მოსკოვში განხორციელებული ტერაქტის შედეგად დაღუპულთა პატივსაცემად 9 თებერვალი საყოველთაო გლოვის დღედ გამოცხადდა. მოსკოვში გადაიდება ყველა კონცერტი, სადღესასწაულო საღამო და რუსეთის დედაქალაქში უსაფრთხოების უმკაცრეს ზომებს მიიღებენ. ლუჟკოვის განცხადებით, არალეგალური ემიგრანტების მიმართ გამკაცრებული ზომები გატარდება და რუსი სამართალდამცველები საგანგებოდ გააკონტროლებენ ყველა ადამიანს, ვინც მოსკოვში სტუმრად იმყოფება ან მომავალში აპირებს ჩასვლას. ლუჟკოვის თქმით, 2003 წელს მოსკოვიდან 35 ათასი არალეგალური ემიგრანტის დეპორტაცია მოხდა და ეს პროცესი კვლავაც გაგრძელდება.

CMYK

# რა ხდებოდა სინამდვილეში კოდორში?!

საქართველოსა და რუსეთის პრეზიდენტების შეხვედრის წინ, რუსული მხარის პროვოცირებით, ბოლო ორ დღეში ჩვენში იმდენი რამ მოხდა, რომ ედუარდ შევარდნაძის პოსტიდან წასვლის შემდეგ ორ ქვეყანას შორის ურთიერთდათბობის ნიშნები კვლავ გამყინვარებით იცვლება.

8 თებერვალს კოდორში, რუსი სამშვიდობოების მიერ ატეხილ გაუგებარ სროლებს ხეობაში განგაში მოჰყვა. ამასთანავე, ბათუმისა და ახალქალაქის რუსულ სამხედრო ბაზებში შექმნილი მდგომარეობის შემდეგ, ქართულ-რუსული ურთიერთობები ისევ დაიძაბა. ზოგიერთი ქართველი ძალოვნის თქმით, 8 თებერვალს კოდორში რუსები წვრთნას გადიოდნენ(?!). ხეობის გუბერნატორი **ემზარ კვიციანი** კი ასე არ ფიქრობს:

— 8 თებერვალს, დილის 12 საათზე, რუსეთის სამშვიდობო ჯარების 107-ე საგუშაგო პოსტიდან სროლები დაიწყო. ტყვიას უშენდნენ ჩვენ მიერ კონტროლირებად ტერიტორიას. ხეობაში შეიქმნა საგანგაშო სიტუაცია. ისროდნენ მძიმე საბრძოლო ტექნიკიდანაც, რისი გამოყენების უფლებაც ჩვენ არ გვაქვს. კი შევატყვეთ, რომ ბრძოლა უთანასწორო იქნებოდა, მაგრამ მაინც ვესროლეთ ჩემი აზრით, დაზვერვაზე შემოსულ ჯგუფს. სროლა რომ ავუტეხეთ, ნელ-ნელა დაიხიეს უკან.

*— ოფიციალურად, პასუხის მოთხოვნის შემთხვევაში, რუსები მსგავს ბრალდებებს უარყოფენ ხოლმე. ამჯერად რამე ხელჩასაჭიდი თუ გაქვთ, რითაც მათ ხეობაში დესტაბილიზაციის შექმნის მცდელობაში დაადანაშაულებთ?*

— ახლახან დამირეკა რუსების სამშვიდობო ძალების წარმომადგენელმა, ვინმე კასტელოვმა და უკვე უარყო მათ მიმართ წაყენებული ბრალდება. არ ეგონა, მეც თუ ხეობაში ვიყავი და მითხრა, — თქვენს ხალხს ალბათ რაღაც შეეშალა ან მოეჩვენაო. ჩემი თვალით ვნახე, რაც ხდებოდა და რას მელაპარაკებით-მეთქი. გაიკვირვა და გაჩუმდა. შესაძლოა რუსები გაბრაზებულები არიან იმის გამო, რომ ამ დღეებში აქ აფხაზები ამოვიდნენ. მათ ჩვენთან ლაპარაკი უნდათ, ისინი ჩვენი შვეულმფრენით სოხუმში გაემგზავრნენ, იქიდან კი შვეულმფრენი თბილისში გაფრინდა. ისიც შესაძლებელია, რომ საგუშაგოზე უმეთაუროდ მიტოვებულმა ოცეულმა თვითნებურად ატეხა სროლა ყურადღების მისაქცევად; კატეგორიულად გამოვრიცხავ იმას, თითქოსდა სამშვიდობოები წვრთნას გადიოდნენ ხეობაში. იქ არანაირი სწავლება არ მიმდინარეობდა და ამის მთქმელი ცრუობს! რუსები კი პროვოკაციას აწყობენ ქართული და აფხაზური მხარეების გასაღიზიანებლად.

*— ამგვარი განცხადება თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელმა დევი ჭანკვეტაძემ და სასაზღვრო დეპარტამენტის თავმჯდომარემ ვალერი ჩხეიძემ გააკეთეს.*

— ვალერი ჩხეიძე და ნადარეიშვილი ჩემთვის არ არსებობენ. დღეს აქ ხელისუფლებიდან თითქმის ყველამ დამირეკა — ზურაბ ჟვანიამაც, ვანო მერაბიშვილმაც... მაგათ კი არ დაურეკავთ. 30 კმ ტერიტორია რომ დამაკარგვინა შარშანწინ ჩხეიძემ მარუხის მხარეს, სროლით დასაბრუნებელი გამიხდა. მანამდე, 12 აპრილს, რუსის დესანტი შემომიყვანა ხეობაში. ამის შემდეგ მაგასთან რაიმე საერთო შეიძლება მქონდეს?

*— მესაზღვრეები არ იცავენ კოდორის ხეობას?*

— აქ ადგილობრივი მესაზღვრეები არიან. ყველა მათგანი „მონადირის“ ყოფილი წევრია და ხეობას თუ იცავენ, ეგ აქაურების დამსახურება გახლავთ!

10 წელი გავიდა და უკვე დროა, კონფლიქტი მოგვარდეს და ამის ხელის შემშლელი ყველა ფაქტორი მოისპოს, მათ შორის რუსი სამშვიდობოებიც უნდა გაიყვანონ. ამას კატეგორიულად მოვითხოვთ. პრეზიდენტ სააკაშვილს წერილით მივმართავთ, რომ რუსი სამშვიდობოების 106-ე და 107-ე პოსტები სასწრაფოდ მოაშორონ ხეობას, რასაც მხოლოდ შიში და გაუგებრობა მოაქვს. მართალია, ხანდახან, დაჭრილი ან ავადმყოფი შვეულმფრენით გადაჰყავთ საავადმყოფოში, მაგრამ უფრო მეტს აფუჭებენ — ხელს გვიშლიან აფხაზებთან შერიგებაში. სააკაშვილს მთელი ხეობის სახელით ვთხოვ, შევარდნაძის მსგავსად, მის დარწმუნებასაც ეცდებიან, რომ სამშვიდობოების გასვლის შემთხვევაში უბედურება შეიძლება დაგვატყდეს თავს, არ დაიჯეროს! დააყენოს ეს საკითხი პუტინთან შეხვედრის დროს. ვფიქრობ, ამის მომხრეები აფხაზებშიც იქნებიან.

***ეკა ლომიძე***

# „სამი საჭირო პირობა — რეპრესია, პრევენცია და პროპაგანდა“

რევოლუციური საქართველოსთვის გასული კვირა საკმაოდ პროდუქტიული გამოდგა. დაჭერილია კორუფციაში მხილებული არაერთი ჩინოსანი; გასუფთავდა ბაზრობებისა და მეტროპოლიტენების მიმდებარე ტერიტორიები; ზუგდიდში ჩატარდა სპეცოპერაცია; მიიღეს საკონსტიტუციო ცვლილებები; პრეზიდენტმა საზოგადოებას ახალი გერბისა და ჰიმნის პროექტები წარუდგინა...

ხალხი კი ისე მიეჩვია კორუფციასთან ბრძოლას, რომ საზოგადოებრივ ტრანსპორტში გაცხოველებული მსჯელობა მიმდინარეობს ხოლმე — თუ ვის დაიჭერენ საღამომდე. უკვე მერამდენე კვირაა, ჩინოსნებს ძილი დაუფრთხათ, რადგან არავინ იცის, ვის კარს მიადგება ავბედითი „ლურჯი მარშრუტკა“ და თუ გენპროკურატურაში დაბარებული ნაციონალების აქტივისტის, ბექაურის, გაფითრებული სახის მიხედვით ვიმსჯელებთ, ძილი მხოლოდ ჩინოსნებს არ უნდა ჰქონდეთ დამფრთხალი...

რასაკვირველია, კარგია, როდესაც ქვეყანაში კანონს „რკინის ხელი“ იცავს, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ მათ მიერ შეჭმული მილიონების მიუხედავად, სპეცრაზმელთა მუჯლუგუნების შემდეგ, ქართველი ჩინოსნები ხალხის სიბრალულს უფრო იწვევენ, ვიდრე რისხვასა და შურისძიების გრძნობას. თუმცა, ოდიოზური ფიგურების ბედი თავიდანვე განსაზღვრული იყო — როდესაც ათასგვარი მაქინაციებითა და კომბინაციებით სახელმწიფოს და საკუთარ ხალხს ყვლეფდნენ, იმაზეც უნდა ეფიქრათ, რომ მარადიული არაფერია და ერთ მშვენიერ დღეს ციხეში „შალახოს დაკვრით“ ნამდვილად არ წაიყვანდნენ.

დედაქალაქში მიმოფანტულ ასეულობით ბენზინგასამართ სადგურზე, პრესტიჟულ სუპერმარკეტებსა თუ ფეშენებელურ ოფისებზე უზარმაზარი, ხუთჯვრიანი დროშები აფრიალეს. საეჭვოა, ყველა ბიზნესმენს ეროვნული გრძნობა და სახელმწიფო დროშის სიყვარული ერთდროულად გაღვიძებოდა. უბრალოდ, ეს გახლავთ ერთგვარი ჟესტი ახალი ხელისუფლებისადმი პატივისცემის დეკლარირებისა. მიუხედავად ამისა, „ლურჯი მარშრუტკის“ ვიზიტისგან დაზღვეული მაინც არავინ არის. მით უმეტეს, რომ საგადასახადო სისტემა ჯერჯერობით იგივე რჩება. მის თანახმად კი, სხვა, აბსურდულ და კაბალურ გადასახადებს რომ თავი დავანებოთ, თუკი დამქირავებელი დაქირავებულს 100 ლარის ოდენობით ხელფასს უხდის, 37 ლარი ბიუჯეტში უნდა შეიტანოს. თუ გავითვალისწინებთ, რომ დღეს ყველა ძალოვანი უწყების ჩინოსანიც „ნიჩაბზე“ ზის და თავის რიგს ელოდება, ერთგულებისა და მონდომების დასამტკიცებლად ყველა ღონეს იხმარენ და შესაძლოა, დაპატიმრება-დაკავებაში ერთგვარი სოცშეჯიბრიც გაიმართოს.

ანალოგიური ვითარებაა უფრო დაბალ ფენებშიც, პენსია-ხელფასები იგივე დარჩა, გარე მოვაჭრეებს კი ქუჩაში დგომას უკრძალავენ — აქაც ზემოთ ნახსენები „მონდომების“ სინდრომი მოქმედებს, რადგან საეჭვოა, მიხეილ სააკაშვილს იმის დანახვა გახარებოდა, როგორ უყირავებდნენ დახლებს რაიონული პოლიციის წვრილფეხა ჩინოსნები ასაკოვან თანამოქალაქეებს და შემდეგ იძულების წესით, „დახურულ შენობაში“ მიჰყავდათ, სადაც ერთი კაცის ადგილზე სამს უნდა ევაჭრა — „ცივილიზებულად“! ასევე საგზაო პოლიციის ახალი ხელმძღვანელობის მაღალფარდოვანი განცხადებების მიღმა, ინსპექტორების ხელფასი იგივე დარჩა — საინტერესოა, რითი ცხოვრობს ეს ხალხი თვეების განმავლობაში, თუ ქრთამს არ იღებს?

რასაკვირველია, მოუთმენლები არ უნდა ვიყოთ — რაც გაკეთდა, ორი თვისთვის ისიც ძალიან ბევრია. უცბად ვერც საგადასახადო რეჟიმი შეიცვლება და ვერც პენსია-ხელფასები გაიზრდება; მაგრამ პოსტრევოლუციურ პერიოდში იდეოლოგიას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. როდესაც მრავალთავიან მონსტრს ებრძვი, როდესაც მოწინააღმდეგის ყველაზე ძლიერ იარაღს წლების მანძილზე დამკვიდრებული ყოველდღიური ცხოვრების წესი წარმოადგენს, აუცილებელია, მომავალი მოქმედებისა და განვითარების დეკლარირება მოხდეს — ხალხმა, ბიზნესმენი იქნება, ჩინოსანი თუ გარე მოვაჭრე, დაწვრილებით და ნათლად იცოდეს, თუ როგორი გარემო ექნება ხვალ, რომ დღევანდელი გაჭირვება მოითმინოს.

მსოფლიო ისტორიამ დაამტკიცა, რომ სრულყოფილი სახელმწიფოები არა შიშზე, არამედ მოქალაქეთა შეგნებაზე შენდება, რომელიც ვერანაირად ვერ ჩამოყალიბდება, თუ ხალხმა იფიქრა, — მე ჩემთვის ვიქნები და სააკაშვილის გუნდი ქვეყანას ააშენებსო. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების დროს მაინც, თავისი წილი პასუხისმგებლობა ალბათ ხალხმაც უნდა იგრძნოს — თუნდაც იმიტომ, რომ ხვალ და ზეგ ისევ პარლამენტის წინ არ დადგეს და მთავრობას ერთპიროვნულად მართვის დროს დაშვებული შეცდომებისთვის პასუხი არ მოსთხოვოს.



გასულ კვირაში დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია „რუსთავი-2“-სა და „მზერა“-ზე ღამის ტოკშოუს დახურვამ. ერთი მხრივ, თვითონ გრიგოლია და ხოფერია არ აპროტესტებენ და თუ გავითვალისწინებთ, რომ სიტყვის თავისუფლება არა მხოლოდ ლაპარაკის, არამედ დუმილის უფლებასაც ნიშნავს, ერთი შეხედვით, საგანგაშო არაფერი უნდა იყოს. თანაც, ამდენი ლაპარაკი პოლიტიკაზე მართლაც რომ მოსაბეზრებელია — ქვეყანა გარდამავალ პერიოდში იმყოფება და ხელისუფლების ესა

## „სახელმწიფო ყველასთვის სახელმწიფოა და თითო აგური ყველამ უნდა დადოს“

თუ ის არაპოპულარული, მაგრამ სახელმწიფოსთვის საჭირო ნაბიჯი პოლიტიკურმა ოპონენტებმა მართლაც არაკეთილსინდისიერად შეიძლება გამოიყენონ. ეს ამბავი ძალიან მაგონებს ბავშვობაში ნანახ, ავტობუსის მძღოლის კაბინაზე გამოკრულ მკაცრ გაფრთხილებას — „მძღოლს არ ელაპარაკოთ!“ კი, ბატონო, კალამი გადამიტყდეს და კომპიუტერის კლავიში ჩამივარდეს, თუ დაველაპარაკო, მაგრამ ჯერ გაგვაგებინოს, ეს ავტობუსი, „საქართველო“ რომ ჰქვია და დიდი ზარ-ზეიმით რომ ჩავსხედით ყველანი შიგ, საით მიდის, რა გზა უნდა გაიაროს, რა სიჩქარით უნდა იაროს, სად საფრთხე გვემუქრება, სად — არა... როგორც მგზავრს, ამის კითხვის უფლება, ვგონებ, ყველას უნდა გვქონდეს.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ დღის სინათლეზე ქვეყნის განვითარების კონცეფციაც გამოჩნდება — სხვათა შორის, ახალ ხელისუფლებას ამ მხრივ ნულიდან დაწყება ნამდვილად არ მოუწევს, რადგან ანტიკორუფციული საბჭო სწორედ ამ საკითხებზე მუშაობდა და არა მხოლოდ ამ საკითხებზე — როგორც ამბობენ, გენერალური პროკურატურა დაპატიმრებებს სწორედ ანტიკორუფციული საბჭოს მოკვლეული მასალებით ახორციელებს...

ვესაუბრებით საბჭოს მდივანს, **კახა უგულავას**:

**— როგორც ცნობილი გახდა, ანტიკორუფციული საბჭო აღარ მუშაობს. კორუფციასთან ბრძოლა მთლიანად გენერალურ პროკურატურას გადააბარეთ თუ ზოგიერთი ფუნქცია თქვენც დაიტოვეთ — კორუფციასთან ბრძოლა ხომ მარტო დაპატიმრებას არ ნიშნავს?**

— კორუფციასთან ბრძოლა მართლაც არ ნიშნავს მხოლოდ დაპატიმრებას. მართალია, ანტიკორუფციული საბჭო გაუქმდა, მაგრამ მისი სტრუქტურები და მის მიერ მომზადებული დოკუმენტაცია შესაბამის ძალოვან უწყებებს გადაუნაწილდა — უშიშროების სამინისტროში შეიქმნა სპეციალური დეპარტამენტი, რომელსაც ჩვენი გამოცდილი ექსპერტი, ალეკო კუბლაშვილი უხელმძღვანელებს. საბჭოს გამომძიებლები, უკვე მოძიებული საბრალდებო დოკუმენტაციით, გენერალურ პროკურატურაში გადავიდნენ. დღეს აღძრული თუ ამოქმედებული საქმეებიდან 96% სწორედ ჩვენ მიერ მოკვლეულ მასალებს ემყარება — საგადასახადო ინსპექციაში აქტივების წარმოშობა, საბაჟოში თანხების გადანაწილება, საარჩევნო სიების გაყალბება, დარღვევები სატყეო მეურნეობაში, საგზაო პოლიციაში... ასე რომ, ამ მასალებიდან გამომდინარე, გამოძიება კიდევ მრავალ სტრუქტურას და მსხვილ ჩინოსანს მიადგება. ჯგუფი, რომელიც რეფორმების კონცეფციაზე მუშაობდა, შინაგან საქმეთა სამინისტროში გადავიდა და თავისი პროფილით საქმიანობას იქ გააგრძელებს... ასე რომ, ვიმედოვნებ, საბჭოს მიერ ჩატარებული მუშაობა უკვალოდ და უშედეგოდ არ ჩაივლის. უპირველესი, რაც არ უნდა დაგვავიწყდეს, საკითხისადმი კონცეპტუალური მიდგომა გახლავთ, თორემ სპონტანურად, მხოლოდ დაჭერებით — სრულფასოვანი სახელმწიფო არ შეიქმნება.

ანტიკორუფციულ საბჭოში მუშაობისას მრავალი ქვეყნის ანალოგიური გამოცდილება შევისწავლეთ. გავითვალისწინეთ ადგილობრივი რეალობაც და ასეთი დასკვნა გამოვიტანეთ: ანტიკორუფციული პოლიტიკის წარმატებით განსახორციელებლად სამი პირობა, გნებავთ, სამი ეტაპი უნდა არსებობდეს — რეპრესია, პრევენცია და პროპაგანდა. რეპრესია მხოლოდ 30-იანი წლების გაგებით არ უნდა მივიღოთ, თანამედროვე იურისპრუდენციაში სისხლის სამართლის დევნა ასე განიმარტება. როგორც ხედავთ, ეს პროცესი საქართველოში საკმაოდ ინტენსიურად მიმდინარეობს. შესაძლებელია, თავად დაპატიმრების პროცესი კრიტიკას იწვევდეს, მაგრამ იმისთვის, რომ ანტიკორუფციული გეგმა წარმატებით განხორციელდეს, საჭიროა მას ერთგვარი სანახაობითი ეფექტიც ახლდეს, რადგან სახელმწიფოში სამართლის მიმართ შიში უნდა დამკვიდრდეს — რაც, დამეთანხმებით, წლების განმავლობაში არ არსებობდა.

თუმცა დაპატიმრებების პარალელურად, უნდა მოქმედებდეს პრევენცია — ანალიტიკური მუშაობა და კონკრეტული განვითარების პროგრამის მომზადება, რაც უნდა გახდეს გარანტი საზოგადოებაში ჯანსაღი ურთიერთობებისა — როგორი იქნება დამოკიდებულება ბიზნესთან, როგორ და როდის უნდა შეიცვალოს საგადასახადო სისტემა, რამდენი მაკონტროლებელი ორგანო უნდა დარჩეს და რა კომპეტენციით... რაც მთავარია, ამას, ყველაფერს, უნდა აგვირგვინებდეს მესამე და უმთავრესი პირობა — პროპაგანდა. აუცილებელია, ხალხმა, საზოგადოებამ იცოდეს, საით მიდის სახელმწიფოს განვითარება — მას საკუთარი ხელისუფლების ნდობა უნდა ჰქონდეს, მომავლის რწმენა და არა შიში, რომელიც, რაც არ უნდა ჯანსაღი იყოს (თუკი საერთოდ არსებობს ამგვარი ცნება) სრულფასოვან სახელმწიფოებრიობას ვერ მოგვიტანს. როგორც კი ზემოთ ნახსენები სამი პირობიდან რომელიმე ამოვარდება, ანტიკორუფციული ბრძოლა შედეგს ვერ მოიტანს — პირიქით, შესაძლოა, უფრო მახინჯი ფორმებიც მიიღოს. ჩვენს შემთხვევაში, მაგალითად, როდესაც შევარდნაძის ეპოქაში ანტიკორუფციული საბჭო არსებობდა, საკმაო წარმატებით ვეწეოდით პრევენციული ხასიათის მუშაობას — ვიკვლევდით დანაშაულებრივ ქმედებებს, ვამზადებდით სტრუქტურული გარდაქმნების პროგრამებს, ურთიერთობისა და ვალდებულებების ფორმებს. მაგრამ არ არსებობდა პირველი პირობა — რეპრესია. ჩვენ მიერ ამა თუ იმ ძალოვან უწყებაში გადაგზავნილ მასალებს, უბრალოდ, თაროზე დებდნენ და, ცხადია, მას არც არანაირი შედეგი მოჰყვებოდა. დღეს რეპრესია წარმატებით ხორციელდება, მაგრამ აგვიანებს დანარჩენი ორი პირობა — ყველაფერს შეიძლება სხვადასხვაგვარი ახსნა და ინტერპრეტაცია მოეძებნოს — დაჭერები იქნება ეს თუ გარე ვაჭრობის აკრძალვა. ხალხს რაღაც კონკრეტული დოკუმენტი, პროგრამა უნდა მივაწოდოთ, რომ დასკვნები იმის მიხედვით გამოიტანოს, შეაფასოს და, შესაბამისად, ხელისუფლებას მხარი დაუჭიროს ან უნდობლობა გამოუცხადოს. ხომ არ შეიძლება ყველაფერი ემოციებით გადაწყდეს? როდესაც ბრძოლას უცხადებ კონტრაბანდას, უკვე სათავეშივე იგულისხმება, რომ ფასები აიწევს. ეს ინფორმაცია ხალხს წინასწარ უნდა ჰქონდეს, რათა სიტუაცია არა შიშველი ემოციით, არამედ რაციონალურად შეაფასოს — აუცილებელია იცოდეს, რომ უნდა გაიჭირვოს, ვთქვათ, სამი ან ოთხი თვე, შემდეგ კი, ბიუჯეტის შემოსავლების გაზრდის შედეგად, გაიზრდება პენსიები და ხელფასები — უნდა გამოცხადდეს, როგორ და რა ეტაპებით მოხდება ეს პროცესი. გაირკვეს ანტიკორუფციული ბრძოლის დამოკიდებულება და შეხების ხარისხი კერძო კომპანიებთან — არ შეიძლება, დიდსა და პატარას „ლურჯი მარშრუტკის“ ეშინოდეს. ბიზნესმენი, ისევე როგორც მთელი სამოქალაქო საზოგადოება, დარწმუნებული უნდა იყოს, რომ ხელისუფლება მისი მოსამსახურეა და მეტი არაფერი, რომ რეალურად განსაზღვრული გადასახადებით ის რეალურად განსაზღვრულ ხელისუფლებას ინახავს და არა ჩინოსანთა არმადას, რომელიც 300-მდე მაკონტროლებელი უწყებით სულს გხდის და ათასგვარი უთავბოლო გადასახადის მიღმა არავითარ პასუხისმგებლობას თუ მოვალეობას არ გრძნობს იმიტომ, რომ პირდაპირი, გადასახადების გზით, საზოგადოება მას არ ინახავს.

როდესაც პროპაგანდაზე ვლაპარაკობ, აქ უფრო ინფორმაციის მიწოდება იგულისხმება და არა ხალხის გაბრუება — დაწვრილებით უნდა ავუხსნათ ხალხს, თუ რის გაკეთებას ვაპირებთ, დასკვნა კი მასვე უნდა მივანდოთ. ვფიქრობ, უახლოეს მომავალში ასეც მოხდება და რეპრესიას პრევენცია და პროპაგანდაც დაემატება.

**— უკანასკნელ ხანს ახალი ხელისუფლება თავის ნაბიჯებს უფრო და უფრო ხშირად ამართლებს „რევოლუციური სიტუაციით“ — სხვადასხვა, სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხები კონსტიტუციის დარღვევით, ყოველგვარი საჯარო განხილვების გარეშე მიიღება, რასაც ასე ამართლებენ — რევოლუციური სიტუაციის გამო, გარჩევებისა და მსჯელობების დრო არ არისო. საინტერესოა, სად მთავრდება რევოლუცია და სად იწყება სახელმწიფოს შენების სრულფასოვანი პროცესი?**

— რამდენადაც ვიცი, რევოლუცია ზუსტად იქ უნდა მთავრდებოდეს, სადაც დაიწყო. წინააღმდეგ შემთხვევაში, რაიმე ევოლუციაზე, ან მისგან პოზიტიური სარგებლის ნახვაზე ლაპარაკიც კი ზედმეტი იქნება. რასაკვირველია, მესმის, რომ ცდუნება ძალიან დიდია — როდესაც ქვეყანა ერთ დღეში კარდინალურად იცვლება და ამ ცვლილებათა ეპიცენტრს წარმოადგენ, ძნელია, მონახო ზღვარი აუცილებლობით გამოწვეულ ქმედებასა და ასევე არანაკლებ აუცილებელ კონსტიტუციურ ფარგლებს შორის. მაგრამ, ისევ და ისევ ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, ეს ცდუნება უნდა დაძლეულ იქნეს — ამ შემთხვევაში რომელიმე კონკურენტი პარტიისა თუ პოლიტიკური ოპონენტისადმი გაწეული შეღავათი (ვგულისხმობ პოლიტიკურ კონსულტაციებს და არა რაიმე ფარულ გარიგებებს), უპირველესად, საკუთარი ხალხისთვის გაწეული შეღავათია. ხალხი ნდობის მანდატს სამუდამოდ არავის აძლევს; აძლევს კი იმიტომ, რომ იგი მალევე გაათმაგებული ძალით დაუბრუნდეს.

ნებისმიერი სახელისუფლებო გადაწყვეტილება, ურთიერთობა თუ გადაადგილება გამჭვირვალე და დეკლარირებული უნდა იყოს. არ შეიძლება საზოგადოებას ესა თუ ის მოვლენა მსჯელობისა და მითქმა-მოთქმის საფუძვლად დავუტოვოთ. ჩვენ ხომ ახალი სახელმწიფოებრიობის მშენებლობა გამოვაცხადეთ — გამოვაცხადოთ ამ მშენებლობის გეგმაც, რადგან ამ შემთხვევაში „მუშა“ და „პრარაბი“ არ არსებობს, ვინმემ ვინმეზე მეტი რომ იცოდეს და ეს გამართლებული იყოს.

სახელმწიფო ყველასთვის სახელმწიფოა და თითო აგური აქ ყველამ უნდა დადოს — ეს არის ჩვენი უფლებაც და ჩვენი ვალდებულებაც...

***დაჩი გრძელიშვილი***

# პოლანდიური ტიტები საქართველოში



ხუთშაბათს, რუსთაველის პროსპექტზე, მთავრობის სახლის წინ მობრძანებულ საქართველოს პირველ ლედის — სანდრა რულოვსს დედაქალაქის გამწვანების კურატორი ზაურ თაბაგარი ათი ულამაზესი წითელი ვარდით შეეგება. როცა შეკრებილებს ჰოლანდიის სრულუფლებიანი ელჩი ჰარი მოლენარი შეუერთდა, აღფრთოვანებულმა შესძახა: — ისევ ვარდები!

დიახ, ვარდები... ისინი ხომ უკვე ქართულ ტრადიციად იქცა. მაგრამ ამჯერად შეკრების მიზეზი ჰოლანდიური ტიტები გახლდათ... ბატონმა ზაურ თაბაგარმა თავადვე მოამზადა პატარა ორმოები. ქალბატონმა სანდრამ კი ტიტების ბოლქვები გამოცდილ მებაღესავით ჩარგო. ეს ტიტები სანდრა რულოვსის მშობლიურმა ქვეყანამ საჩუქრად გამოუგზავნა საქართველოს. ამ სასიამოვნო მოულოდნელობას თავისი ქვეტექსტი აქვს: ტიტები ჰოლანდიასთანაა გაიგივებული და მალე ეს ყვავილები ვარდებთან ერთად, ორი ქვეყნის მეგობრობისა და სიყვარულის სიმბოლოდ იქცევა.

დავინტერესდით, ქ-ნი სანდრა პირველად რგავდა ყვავილებს, თუ ამის გამოცდილება ადრეც ჰქონდა.

— შარშან დილმის მასივის ტექსელის სახელობის სკვერში ხე დავრგე, — გვითხრა სანდრამ, — ისე, ტიტებიც დამირგავს და ბოსტნეულიც.

— *ვარდები?*

— ვარდები ჯერ არა. მაგრამ დავრგავ. ახლა ვარდების დარგვის სეზონი არ არის.

ჰოლანდიის ელჩი ჰარი მოლენარიც ტიტების დარგვაში ეხმარებოდა პირველ ლედის.

— მე ქართულად ლაპარაკი სანდრასავით არ შემიძლია, — გვითხრა ელჩმა, — მას შემდეგ, რაც თქვენს ქვეყანაში სასიამოვნო ცვლილებები მოხდა, ჰოლანდიის მთავრობის წარმომადგენელმა დამირეკა და სურვილი გამოთქვა, საჩუქარი მიგვეძღვნა ქართველი ხალხისათვის. გამოგვიგზავნეს წითელი, თეთრი და ნარინჯისფერი ტიტების ბოლქვები. ნარინჯისფერი ჰოლანდიის სიმბოლოა. გვინდა ასეთი ტრადიცია დამკვიდრდეს და ყოველწლიურად დაირგოს ჰოლანდიური ყვავილები საქართველოს სხვადასხვა ქალაქში.

ბ-ნი ზაურ თაბაგარის განცხადებით: — უცხოეთში ყოველ წელს ცვლიან გაზონების იერსახეს. თბილისშიც ისეთ გაზონებს გავაშენებთ, მხოლოდ ინგლისსა და ევროპაში რომ აქვთ... ქალბატონი სანდრა რულოვსი გულწრფელადაა დაინტერესებული დედაქალაქის გალამაზებით. ვერ ხედავთ? შუა ზამთარში დაგვაწყებინა გამწვანება... ტიტების დასარგავად ქალბატონმა სანდრამ თავად ისურვა მოსვლა — დაგვირეკა და შემოგვთავაზა, ჰოლანდიელების ნაჩუქარ ტიტებს მეც დავრგავო. მთავრობის სახლის წინ უკვე დაირგო ტიტების 6 წრე, თითო წრეში 300-300 ყვავილი იხარებს. 20 თებერვლიდან პირველ მარტამდე ვარდებსაც დავრგავთ. მინდა ამ ტერასებზე, სადაც ჩემი ბავშვობიდან მოყოლებული მწვანე ბუჩქები ხარობს, ვარდებიც ყვაოდნენ. თანაც, აქ დაცვა დგას და გაზონებს ვერავინ გაანადგურებს.

— *ვარდის ნერგებზე რას იტყვით?*

— სამი წლის წინ შევარჩიეთ ვარდის სანერგე კალმები ჰოლანდიაში და ჩამოვიტანეთ. ნერგებმა გაუძლეს ჩვენებურ კლიმატს. ვარდის ეს ჯიში უფრო გამძლე გახდა. ვაპირებთ, ვარდები ორ ღამეში დავრგოთ მთავრობის სახლის წინ. ვიმუშავებთ მხოლოდ ღამით, რომ მოსახლეობას დილით გამშვენიერებული გაზონები დავახვედროთ.

მერიისა და მთავრობის სახლის წინ აყვავებული გაზონები, მართლაც გაახარებს თბილისელებს. მთავარი კითხვა კი მაინც კითხვად დარჩება: თბილისის სხვა ქუჩები და გარეუბნები როდისღა აყვავდება?!

***ლელა ჯიჯაშვილი***




## ფოტო უკომენტაროდ...



ვაჟა-ფშაველას გამზირი, თებერვალი, 2004 წელი

# „გაღვიძებული“ თეატრი

მიხეილ თუმანიშვილის კინომსახიობთა თეატრი ორი წლის „მიძინების“ შემდეგ კვლავ აქტიურ ცხოვრებას იწყებს — შენობის რეკონსტრუქციისათვის 1.700 000 ლარი დაიხარჯა და 6 თებერვალს გაიხსნა კიდეც.... უფრო სწორად, შედგა ხელახლა აშენებული შენობის პრეზენტაცია. პრეზენტაცია თეატრის დამაარსებლის, ლეგენდარული მიხეილ თუმანიშვილის დაბადების დღეს მიეძღვნა. ათეული წლების წინ ბატონი მიხეილი ამ ძველთაძველ, თითქმის დანგრეულ შენობაში მართავდა რეპეტიციებს და ნიჭიერებით გამორჩეული დასიც შექმნა. კინომსახიობებმა ახალი ნოტა შემოიტანეს თეატრალურ ცხოვრებაში — ტრიუმფი საქართველოში და ტრიუმფი უცხოეთში! ომისა და ქაოსის წლებში, როცა ბატონი მიხეილიც აღარ იყო, ისინი მაინც მუშაობდნენ — ფაქტობრივად, ანაზღაურების გარეშე...

დღეს კი კინომსახიობთა თეატრს განახლებული შენობაც აქვს და სოლიდური ხელფასებიც... ახლა თეატრში რეჟისორიდან დაწყებული, დამლაგებლით დამთავრებული, ყველა გახარებულია:

**მაია ჯორჯაძე,** დირექტორი: — აქაურობა თითქმის დაქცეული იყო. რასაც მშენებლებმა ხელი მოჰკიდეს, ლამის ხელში შემოეფშვნათ. ამიტომ ყველაფერი თავიდან ააშენეს. შენობას მანსარდი და ფლიგელიც მიემატა. ყველაფერი გვაქვს: რეკვიზიტი, საგრიმიორო ოთახები, გარდერობი. ძალიან გაგვიმართლა, სიტყვებიც არ მყოფნის, რომ იმ ხალხს მადლობა გადავუხადო, ვისაც ქართულ თეატრზე გული შესტკივა და დაგვეხმარა.

**მაია ტამურელი,** მეგარდერობე: — ახლა ჩვენს გარდერობში რაც გინდა შეინახე. ადრე ტანსაცმელი გვიზიანდებოდა, შენახვის ელემენტარული პირობები არ გვქონდა. დღეს ყველაფერია — საჭირო ტემპერატურა, ქიმიური დამამუშავებლები, მკერავიც გვყავს და რაც დაზიანებულია, იმასაც აღვადგენთ.

**ნანა მიქელაძე,** დამლაგებელი: — ვინმეს რომ ეთქვა, დალაგება მიხარიაო, არ დავიჯერებდი, მაგრამ ნამდვილად ასეა. აქაურობა მართლა ბრწყინავს. ონკანებში ყველგან თბილი წყალი მოდის, ოთახებშიც სინათლეა და სითბო. პროფესიით ფილოლოგი ვარ და ძალიან მეუხერხულებოდა დამლაგებლად მუშაობა. მაგრამ აქ ისეთი პირობებია, თანაც ისეთი ხალხის გვერდით ვარ, უხერხულობამ გაიარა...

**ლაურა რეხვიაშვილი, გია როინიშვილი,** მსახიობები: — თან ჩემი მიწაა...

**გოჩა გონგაძე,** მუშა: — თითქმის ორი წელი ვიმუშავეთ თეატრის აღდგენაზე, გამოვცვალეთ გისოსები, დეკორაციები, ავეჯი, სცენა. ქართველ კაცს ყველაფრის გაკეთება შეუძლია, რასაც ხელს მოჰკიდებს, თანაც პირობებიც გვქონდა და მაღალი ანაზღაურებაც... თავი არ დაგვიზოგავს, სცენას რომ ვცვლიდით, ტონობით მიწა ამოვთხარეთ სარდაფის გასაფართოებლად. იატაკიც ისეთი დავაგეთ, ათმა დასმა რომ ითამაშოს, გაუძლებს — სამპირაა. მეტი რა გინდათ. მობრძანდით და უყურეთ სპექტაკლებს.



გვიხარია და თან ვღელავთ. თავიდან უნდა დავიწყოთ ყველაფერი. მთავარია, ამ კედლებს ის სული დაუბრუნდეს, რომელიც მიხეილ თუმანიშვილის დროს იყო. ჩვენ ისევ შეგვიძლია მაყურებელი გავახაროთ.

**ნოდარ დუგლაძე,** მსახიობი: — რთული წლები გადავიტანეთ. ძნელია, როცა მსახიობი დაუტვირთავია. ამას ვერ გავუძელი და ამერიკაში წავედი სამუშაოდ. ჩემი დროებით ჩამოსვლა საქართველოში პოლიტიკური სიტუაციის შეცვლას და თეატრის გახსნას დაემთხვა. ბუნებით ოპტიმისტი ვარ, მეგობრებს ვუთხარი, ახალი ხანა იწყება საქართველოში-მეთქი. ეგება რამე გვეშველოს. თეატრის აღდგენა დიდი საქმეა. მწყინს, რომ ბატონი მიშა ვერ მოესწრო ამ დღეს. გაყინულ შენობაში დადიოდა რეპეტიციებზე. დღეს თეატრში ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდა მოდის. მეც მალე სამუდამოდ დავბრუნდები სამშობლოში — ეს

**გოგი მარგველაშვილი,** მთავარი რეჟისორი: — მარტო ჩვენ კი არა, საქართველოში ალბათ ვერავინ წარმოიდგენდა, ისეთი ხალხი თუ გამოჩნდებოდა, ვინც ხელოვნებას მართლა მიხედავდა. ძალიან გვიჭირდა უთეატროდ, ძნელია სხვის სცენაზე სპექტაკლების დადგმა. ამოვისუნთქეთ და უკვე დიდი ამბიციები გვაქვს. ამ სეზონშივე ორ ახალ სპექტაკლს დავდგამთ. ახალი მსახიობების და რეჟისორების მოსვლას ველით... თუმანიშვილის თეატრის პროფესიული დონე უნდა შევინარჩუნოთ. დიდი იმედები გვაქვს, ასეთ თეატრს მაყურებელი ეყოლება...

***ეთერ ერაძე***

## მკითხველის პრემია * მკითხველის პრემია

ეს თქვენი გაზეთია და რადგან ასეა, „კვირის პალიტრის“ ჟურნალისტებს თქვენ ანიჭებთ ყოველკვირეულ პრემიას. შეაფასეთ ამ ნომრის მასალები, აღნიშნეთ რეიტინგის ქვითარში თქვენი აზრით, ნომრის საუკეთესო ჟურნალისტური ნამუშევარი. იმ მასალის ავტორს, რომელიც ყველაზე მეტ ხმას მიიღებს თქვენგან, მკითხველის სახელით, რედაქცია პრემიას — 50 ლარს გადასცემს. გამარჯვებული ჟურნალისტის ვინაობას მომდევნო ნომერში შეიტყობთ. *რეიტინგის ქვითარი იხ. 35-ე გვერდზე.*

## წინა ნომრის მკითხველის პრემიის შედეგები ასეთია:

1. **ვაჟა გავაშელი** — „გასამებული ავკაცობა“ — 129 ხმა
2. **იზო რიკაძე** — „მივმართავ ახალგაზრდა პროკურორს“ — 60
3. **ზვიად ჩაკვეტაძე** — „რა მექანიზმებით კეთდებოდა შავი ფული საავტომობილო გზების დეპარტამენტში“ — 50
4. **ეთერ ერაძე** — „გაახსენდა ბაბუაჩემს, სტალინს რომ მალავდა და მისწერა წერილი“ — 42

5-6. **დაჩი გრძელიშვილი** — „მოსახლეობას სოციალური სამართლიანობის გრძნობა უნდა ჩამოუყალიბდეს“ — 25

5-6. **ირაკლი ალადაშვილი** — „სამხედრო თემაზე“ — 25

მკითხველის პრემიას რუბრიკა ვერსიის ავტორი ვაჟა გავაშელი მიიღებს.



***„მკითხველის პრემიის“ მფლობელი 411-მა რესპონდენტმა გამოავლინა***

# მივხედოთ წალკას! — „ხელისუფლების ურყევი ნებაა საჭირო..."

ბოლო დროს ქვემო ქართლის რეგიონში მდგომარეობა აშკარად გამწვავდა. სამწუხაროა, მაგრამ არაქართველი მოსახლეობით კომპაქტურად დასახლებული დმანისისა და წალკის რაიონები დღეს ფეთქებადსაშიშ კერას წარმოადგენენ. ამ რაიონებში დღემდე მომხდარი შეხლაშემოხლა ქართველებსა და არაქართველ მოსახლეობას შორის შესაძლოა სერიოზულ დაპირისპირებაში გადაიზარდოს.

მდგომარეობის გამოსასწორებლად ქვემო ქართლის ახალი გუბერნატორის, ზურაბ მელიქიშვილის თავკაცობით დმანისში სპეციალური შტაბი შეიქმნა, რომელსაც მდგომარეობის გაკონტროლება და საჭიროებისამებრ საგანგებო ზომების მიღება ევალება. რამდენად გაართმევს ახალშექმნილი შტაბი ასეთ სამსახურს თავს, ძნელი სათქმელია. თუმცა შიშობენ, რომ დაპირისპირება მოსახლეობას შორის ხელოვ-ნურად არის შექმნილი და მის ჩასაწყნარებლად საქართველოს ხელისუფლებას გვარიანი ჯაფა დაადგება.

საქმეში ჩახედულთა მტკიცებით, არაქართველი მოსახლეობის, ძირითადად სომხებისა და ქართველების დაპირისპირებაში კატალიზატორის როლი ერთდროულად რამდენიმე გარემოებამ შეასრულა. აშკარად თვალში საცემია, რომ ქვემო ქართლის ბატალიები ვარდების რევოლუციის შემდეგ იწყება. სპეცსამსახურების კულუარებში ლაპარაკია მეხუთე კოლონაზე, რომლის ამუშავებასაც ჩვენი ჩრდილოელი მეზობელი პოსტრევოლუციურ საქართველოში აპირებს. ამბობენ, რომ ეს რუსული სპეცსამსახურების პასუხია სა-ქართველოს ხელისუფლების მოთხოვნაზე, სამცხეჯავახეთიდან და ბათუმიდან რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანის თაობაზე. არის კიდევ ერთი გარემოებაც. ქვემო ქართლის რეგიონში ნავთობსადენის გაყვანა მიმდინარეობს. აღმოჩნდა, რომ არაქართველი მოსახლეობა ნავთობსადენის კატეგორიული წინააღმდეგია. მიზეზებს კი არავინ ასახელებს.

სიტუაციაში უკეთ გასარკვევად „კვირის პალიტრა" წალკის რაიონს ესტუმრა.

ქციის ულამაზესი ხეობის სათავესთან გაშენებულ წალკის რაიონში პირველად მოხვედრილ კაცს თავი საბჭოთა ეპოქაში ეგონება. ადგილობრივი დასახლების აღმნიშვნელი სახელები რუსულ ენაზეა. ძალიანაც რომ მოინდომოს ვინმემ, აქ ერთ ქართულ წარწერას ვერ ნახავს. თუმცა ეს არ არის მთავარი პრობლემა. როგორც ადგილობრივმა მცხოვრებლებმა გვითხრეს, აქ ახლა დენთის სუნი ტრიალებს. რატომ დაიძაბა ვითარება წალკის რაიონში, ვინ დგას ყოველივე ამის უკან და რა მიზნებს ემსახურება ეს ყველაფერი, ამის გასარკვევად როგორც ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს, ისე რიგით მოსახლეობას გავესაუბრეთ.

**ელდარ ხვისტანი,** წალკის რაიონის გამგებელი: — წალკის რაიონი ბერძნულ-სომხური რაიონია. მთლიანად რაიონში 42 სოფელია. ბოლო ხუთი-ექვსი წელია, რაც ქარ-თველების ჩამოსახლება დაიწყო. მანამდე ერთადერთი ქართული სოფელი იყო — რეხა. აქაურმა ბერძნებმა ბერძნული არ იციან, თურქულად ლაპარაკობენ. თურქეთიდან არიან წამოსულები. ამათ პონტოელ ბერძნებს ეძახიან, თურქეთში სომხებს გენოციდი რომ მოუწყვეს, მაშინ გამორეკეს იქიდან და აქ დასახლდნენ. დღეს ყველა სოფელს იმ სოფლების სახელები ჰქვია, სადაც ადრე ცხოვრობდნენ. იმ პერიოდში, ვგულისხმობ დაახლოებით ორი საუკუნის წინანდელ დროს, აქ ქართველი მოსახლეობა იშვიათი იყო. ამიტომაც მოიკიდეს ფეხი უმტკივნეულოდ. დღეს კი აქ ქართული გენის აღორძინება იწყება. შეიძლება ესეც იყოს მათი გაღიზიანების ერთ-ერთი მიზეზი.

**— ქართული გენის აღორძინება რით გამოიხატება?**

— იმით, რომ აქ ქართველები სახლდებიან. ამჟამად ჩოხატაურიდან მოდის 45 ოჯახი, მაგრამ ჩამოსახლებას სახლი უნდა. ბერძნებისგან მიტოვებული სახლების შესასყიდი თანხა სახელმწიფომ უნდა გამოყოს. სახელმწიფოს კი ამ თანხების გამოძებნა უჭირს.

**— კი, მაგრამ წალკაში დამკვიდრების მსურველს სახელმწიფომ რატომ უნდა უყიდოს სახლი?**

— ჩოხატაურიდან მომავალი ხალხი მეწყერმა დააზარალა. მთელი სოფელი გაანადგურა სტიქიამ. თუ არა სახელმწიფომ, მაშ, ვინ უნდა იზრუნოს მათზე? 2002 წელს 180 ათასი ლარი გამოიყო და 37 ოჯახს ვუყიდეთ სახლები. ბოლო ხუთი წლის მანძილზე სულ 1.300 ოჯახი ჩამოსახლდა. ეს 5 ათას კაცზე მეტია. სახელმწიფომ 75 სახლი შეიძინა. დანარჩენები ნათხოვარ ბინებში ცხოვრობენ. ბოლო დროს სომხების გამოსვლები დაიწყო. იყო რამდენიმე შემთხვევა, როცა შუა ზამთარში ბავშვიანი ოჯახები გამოგვიყარეს გარეთ — აქ ჩვენი მიწაა და თქვენი ადგილი არ არისო.

**— ბევრი სომეხი ცხოვრობს წალკაში?**

— თავის დროზე, 56 ათასი კაცი ცხოვრობდა. დღეს 23 ათასიც აღარ არის. მოსახლეობის 67% იყო ბერძენი, 27% — სომეხი, 4% — აზერბაიჯანელი და სულ უმნიშვნელო რაოდენობა ეკავათ ქართველებს. ქართველები რომ გვემატებიან, ეტყობა, ამან გააღიზიანათ. პირველად სო-ფელ გუმბათში ჩამოვიყვანეთ აჭარლების დიდი ნაკადი — 150 ოჯახი. ახლა ყველაზე დიდი ქართული სოფელი გუმბათია, მაგრამ იგი სომხური სოფლების გარემოცვაშია.



ქუჩაში გამოყრილი ნივთები

„დასაძინებლად რომ ვწვები, ბაბუაჩემის გაკეთებულ ცულს ვიდებ ლოგინქვეშ"

თავიდანვე ვერ აიტანეს ქართველების ჩამოსახლება. იყო შემთხვევა, როცა მეზობელი სოფლიდან — აშკალადან — გამოცვივდნენ სომხები და გუმბათელები სცემეს. არავინ მოუკლავთ, მაგრამ დაჭრილები ბევრნი იყვნენ. ქართული სკოლა თითქმის დაანგრიეს.

ახალქალაქის რუსულ ბაზაში იარაღის ყიდვა ყველას შეუძლია. როგორც ამბობენ, ყველა ოჯახს აქვს იარაღი. რისთვის ემზადებიან და რატომ, არ ვიცი, მაგრამ ხშირად რომ გადმოდიან იქიდან, აშკარად თვალში საცემია.

**— დადის ხმები, რომ ამაზე რუსეთის სპეცსამსახურები მუშაობენ.**

— რა თქმა უნდა... ნავთობსადენი რომ დავიწყეთ, ერთი აქაური სომეხი, რომელიც როსტოვში ცხოვრობს, ჩამოვიდა. ზუგლიჩიანია გვარად. 3 ათასი ხელმოწერა შეაგროვა ნავთობსადენის აქ გატარების საწინააღმდეგოდ, ძლივს გავაგდეთ ის კაცი აქედან. თურმე ვიზის გარეშე იყო შემოსული. ერთი სიტყვით, სომხური მოსახლეობა ნავთობსადენის გაყვანის წინააღმდეგია, მაგრამ რაიმე არგუმენტი ვერ მოჰყავთ... მოგვიანებით დაადგინეს, რომ ის კაცი რუსეთის სპეცსამსახურების აგენტი იყო.

**— ვინ დაადგინა?**

— უშიშროებამ. ასე რომ, რუსეთის, მე-5 კოლონის სილუეტი აქ აშკარად იკვეთება.

**— რამდენიმე დღის წინ გამგეობაში რატომ შემოცვივდნენ, რა უნდოდათ?**

— დილით ახალი მისული ვიყავი სამსახურში, როცა ერთი სომხის ქალი მოვიდა. ოჯახური პრობლემები ჰქონდა და დახმარებას მთხოვდა. უეცრად გაიღო კარი და სტვენაგინებით შემოცვივდნენ. გაივსო კაბინეტი და მისაღები. დაუყოვნებლივ დატოვე კაბინეტი, აქ სხვა უნდა მოვიდესო, ითხოვდნენ. ვუთხარი, რომ ჩემი წასვლა არც ჩემი ნება იყო და არც მათი. ამაზე ატყდა ჩხუბი. კიდევ კარგი, სიტუაცია უმართავი არ გამხდარა... აქაური სომეხი მოსახლეობა დიდ ანგარიშს არ უწევს ჩვენს ქვეყანას და კანონებს — მიწა უნდათ, სიკეთე უნდათ, მაგრამ ქართველი კაცი არა.

**— რით შეიძლება გამოსწორდეს მდგომარეობა?**

— კაცი, რომელიც დანაშაულს სჩადის, უნდა დაისაჯოს. ვგულისხმობ იმ ხალხს, ვინც სომხებს აბუნტებს. თუმცა ეს ძალზე სერიოზული პრობლემაა და გონივრული გადაწყვეტა სჭირდება...

რაიონის გამგებელთან ინტერვიუს შემდეგ გადავწყვიტე ადგილობრივ მოსახლეობას გავსაუბრებოდი. ბერძნები, რომლებიც წალკაში დღესაც მრავლად არიან, ამბობენ, რომ ქართველებს მეგობრულად უყურებენ და მათთან პრობლემები არც ჰქონიათ და არც აქვთ. რაც შეეხება სომხებს, ჩემი არაერთი ცდის მიუხედავად, საუბარზე ვერავინ დავიყოლიე. აშკარად არ მენდობოდნენ. „ჩახვალ თბილისში და არავინ იცის, რას დაწერ — დამტვრეული რუსულით მეუბნება ოციოდე წლის ავეტიკ მინასიანი — ეს ჩვენი მიწაა და ქართველებს აქ ცხოვრების უფლება არ აქვთო"(?!). რატომ არა აქვთ ქართველებს აქ ცხოვრების უფლება-მეთქი, რომ ვკითხე, სიცილი დამაყარეს. პასუხის გაცემა კი არავინ ჩათვალა საჭიროდ.

სომხებისგან განსხვავებით, ქართველთა ერთი ჯგუფი გულღიად შემხვდა. იქნებ გადასცეთ ვისაც ეხება, გაზეთების ერთი ჯიხური აქაც გახსნან. იმედი მაინც ჩაგვესახება, როცა ქართული გაზეთის ყიდვის საშუალება მოგვეცემა. ამას ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა აქვსო.

**ვახტანგ ბოლქვაძე**, გუმბათის მცხოვრები: — აქ 1998 წელს ჩამოვედი. ხულოს რაიონის სოფელ გელაურიდან წამოსული ბოლქვაძე ვარ. წალკაში რომ ჩამოვედით, მაშინ სულ სამი კაცი ლაპარაკობდა ქართულად. იმ დროიდან რომ დაიწყო ქართვე-ლების თავში ჩარტყმა, დღესაც გრძელდება.

**— თავში ჩარტყმა რით გამოიხატება?**

— აქ რომ ჩამოვედი, ჩემზე ამაყი კაცი არ მეგონა. ვფიქრობდი, ჩვენი ჩამოსვლით ქართული საქმე კეთდებოდა. დღეს ისე მაქვს საქმე, დასაძინებლად რომ ვწვები, ბაბუაჩემის გაკეთებულ ცულს ვიდებ ლოგინქვეშ. რომ შემომიცვივდნენ, ერთ მოქნევას მაინც მოვასწრებ. სოფელში რომ შემოვიდნენ, გზად ყველაფერი დალეწეს. აშკალადან გუმბათში მომავალ ავტობუსს დაესხნენ თავს და მგზავრები სასტიკად სცემეს, მაგრამ დღემდე არავინ დაუსჯიათ(?!). ეტყობა, ყველამ გაგვწირა...

როგორც აღმოჩნდა, სოფლებში დამკვიდრებულ ქართველებზე მეტად, უფრო დიდი წინააღმდეგობა ამჟამად ჩამოსახლების მსურველებს ხვდებათ. ჩოხატაურის რაიონის სოფელ ზოტიდან 45 ქართული ოჯახი უნდა ჩამოესახლებინათ და მათთვის ბერძნების მიტოვებული სახლები შეესყიდათ, მაგრამ ჯერ არც ფულია გამოყოფილი და სომეხი მოსახლეობაც ბერძნებს ქართველებზე სახლის გაყიდვის ნებას არ აძლევს(?!). ასე რომ, ჩამოსახლების საქმე ჯერ ისევ ჰაერშია გამოკიდებული. ზოტელი მამა-შვილი ენვერ და ზურაბ ქათამაძეები წალკაში უკვე ერთი წელია ნაქირავებ ბინაში ცხოვრობენ. ისინი ზოტელების სახელით ადგილობრივ ხელისუფლებასთან მოლაპარაკებას აწარმოებენ.

**ენვერ ქათამაძე:** „ბევრი წვალების შემდეგ გამოვნახეთ სახლი, რომელსაც პატრონობდა სომეხი გულხანუმ ზურაჩიანი. სახლი მოვლა-პატრონობის მიზნით დაგვითმო. მეორე დღეს სოფლის მოსახლეობა მოგვადგა კარს: უნებართვოდ ხართ შემოსული და აქაურობა დატოვეთო. ერთ სახლშიც შევიდა ერთი აჭარელი ბიჭი და ცეცხლწაკიდებული ბენზინიანი ბოთლი შევუსხით. თუ არ გინდათ თქვენც იგივე დაგემართოთ, აქაურობა დატოვეთო. გავძალიანდით. იმ ღამეს უსაფრთხოების მიზნით სხვაგან გავათენეთ. მეორე დღეს ეზოში დადგმული თივის ზვინები დამწვარი დაგვხვდა, ჩვენი საწოლები კი თოვლში გამოეყარათ...

ერთი სიტყვით, წალკაში დაძაბული მდგომარეობაა. ანალოგიური ვითარებაა დმანისშიც. წინასწარვე ეტყობა, რომ ამ პრობლემის მოგვარება ერთი ხელის მოსმით ძნელი იქნება. იქნებ ამიტომ იკავებს თავს უშიშროების სამინისტრო კომენტარებისგან. კომენტარებს შეიძლება კიდევ უფრო სერიოზული გართულება მოჰყვეს. თუმცა, როგორც აღნიშნავს ჩვენთან საუბრისას სპეცსამსახურების ექსპერტი **გელა მანველიშვილი,** მდგომარეობის გამოსასწორებლად ზედმიწევნით გათვლილი პროგრამის ჩატარებაა საჭირო: — დავიწყოთ იმით, რომ ეს ხალხი დარწმუნებულია თავის „სიმართლეში". აზერბაიჯანელებისგან განსხვავებით, ქვემო ქართლში მცხოვრებ სომხებს სწამთ, რომ სომხეთის ტერიტორიაზე ცხოვრობენ(?!). მეფის რუსეთი და მერე საბჭოთა რუსეთი ყოველმხრივ ცდილობდა ასეთი იდეოლოგიის გამეფებას და ამას ჩვენი ბედოვლათობის წყალობით ხელი ვერაფრით შევუშალეთ. ეს ნელ-ნელა, უმტკივნეულოდ უნდა ამოვფხვრათ — ეს კი ქართველების ჩასახლებით მოხდება. მართალია, შეეწინააღმდეგებიან ამას, მაგრამ თუკი ხელისუფლება ურყევ ნებას გამოიჩენს, იძულებული გახდებიან, დათანხმდნენ.

**— ლაპარაკობენ რუსეთის სპეცაგენტურის როლზეც ამ რეგიონში.**

— ეს მომენტი ყოველთვის არსებობდა, ამიტომ ახლა ყიჟინის ატეხა იაფფასიანი სკანდალი იქნება. ჯაშუშური თამაშები ყოველთვის უხილავად მიდის. რუსეთს არ უნდოდა საქართველოში ნავთობსადენის პროექტი განხორციელებულიყო. რად გიკ-ვირთ, თუკი ამის წინააღმდეგ რომელიმე სომეხი გამოჰყავთ?

ჩვენ იმაზე უნდა ვიფიქროთ, რა დავახვედროთ რუსეთის სპეცსამსახურებს. უპირველესად, ქართველებისთვის დამახასიათებელი ხუშტურები უნდა მოვიშოროთ. პოზიცია დღეს ჩვენ უკეთესი გვაქვს, ვიდრე ანტიქართულ ძალებს. წალკის ტერიტორიაზე ნავთობსადენის შენება მალე დამთავრდება. ამას მთელი ინფრასტრუქტურა სჭირდება — ტერმინალები, გზების გაყვანა, რითაც ეს რეგიონი დანარჩენ ქვეყანას დაუახლოვდება და მოწყვეტილი აღარ იქნება, რაც სერიოზული პრობლემაა

ერთი სიტყვით, ადამიანმა უნდა იგრძნოს და დაინახოს, რომ თურმე იგი სა-ქართველოში ცხოვრობს. დარწმუნებული ვარ, იქ ყველა არ აპირებს ავტომატის აღებას და ქუჩაში გამოსვლას. პროვოკატორების უკან რამდენიმე ათეული პირი დგას, რომელთა ნეიტრალიზება შეიძლება. ამის შემდეგ ქართველები ყველა სხვა ეროვნებასთან ისევ ისე მეგობრულად ვიცხოვრებთ როგორც აქამდე ვცხოვრობდით...

P. S. ასეთია ერთი თვალით დანახული ვითარება, რომელიც ბოლო დროს ქვემო ქართლში შეიქმნა. ცხადია, წინასწარი პროგნოზების გაკეთება რთულია და მომავალში რა მოხდება, არავინ იცის. იმედია, დაპირისპირებული მხარეები ბოლოს მაინც მშვიდობასა და თანაცხოვრებას ამჯობინებენ. საუკუნეების მანძილზე ასე ცხოვრობდა საქართველოში ერთმანეთის გვერდით სხვადასხვა ერი და ერთმანეთში შუღლი არ ჰქონიათ. ალბათ რომელიმე ქვეყნის სპეცსამსახურების არეულობის შემოტანის მცდელობა მცდელობად დარჩება და ქართველები სხვა ხალხებთან ერთად, მშვიდად ვიცხოვრებთ საქართველოში.

# კახა თარგამაძეს პროკურატურაში „მიიწვევენ"?



გენპროკურორის მსახვრალი ხელი ორშაბათიდან შსს-ს ყოფილ მაღალჩინოსნებსაც მოხვდება. ენერგოკორუფციაში მხილებული და დაკავებული ჩინოვნიკების შემდეგ, როგორც ჩანს, პოლიციის მუნდირიანების უძილო ღამეების ჯერი დგება.

ვის მიუკაკუნებენ კარზე სპეცრაზმელები და ვინ აღმოჩნდება პროკურატურიდან წინასწარი დაკავების იზოლატორში, ჯერჯერობით არ ხმაურდება. ზუსტად მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ შს მინისტრის მოადგილეს, დავით თოდუასა და საგზაო პოლიციის ყოფილ უფროსს, დავით კობახიძეს პროკურატურაში ვიზიტი არ ასცდებათ.

მათი გვარები თავად გენპროკურორმა, ირაკლი ოქრუაშვილმა დაასახელა. გავრცელებული ინფორმაციით, თოდუა-კობახიძეს პროკურატურაში ბევრ რამეს მიედავებიან. თუმცა, მთავარი მაინც განუბაჟებელი მანქანების საქმე იქნება. ლაპარაკია 2001-2002 წლებზე, როცა ანტიკორუფციულმა ბიურომ მოკვლევა დაიწყო და გენპროკურატურას ვითომ განბაჟებული მანქანების მონაცემები მიაწოდა. ასეთი მანქანების ჩამონათვალმა 10 ათასს გადააჭარბა. კეთდებოდა ყალბი საბაჟო რეგისტრაციები, რისგანაც შემოსული „ლევი" შემოსავლები პოლიციის მაღალჩინოსანთა ჯიბეებში ილექებოდა, სახელმწიფო ბიუჯეტს კი ამ მანქანების წყალობით დაახლოებით 10 მილიონი ლარი დააკლდა.

ცხადია, ყალბი საბაჟო მონაცემების გამო გენპროკურატურაში დავით კობახიძეს ბევრ კითხვას დაუსვამენ. თანამდებობრივად, ამ საკითხზე დავით თოდუასაც მოუწევს პასუხის გაცემა. შს მინისტრის ყოფილი მოადგილე თოდუა ადმინისტრაციულ და საგზაო პოლიციას კურირებდა.

გენპროკურატურაში ჩვენების მისაცემად მისვლა, სავარაუდოდ, კობა ნარჩემაშვილსაც მოუწევს. ვარაუდობენ, რომ ეს მას შემდეგ მოხდება, როცა მის ყოფილ მოადგილეებს დაჰკითხავენ.

ჩვენი წყაროს ინფორმაციით, პოლიციის „საპროკურატურო კვირეული" შეიძლება კიდევ ერთი სკანდალით დასრულდეს და გენპროკურატურაში ნარჩემაშვილის წინამორბედი, „რკინის კაცი" — კახა თარგამაძე დაიბარონ. როგორც ამბობენ, თარგამაძეს 1998 წლის გალის მოვლენებზე მოუწევს პასუხის გაცემა. მაშინ შსს-ს ბრალი დასდეს ლტოლვილთა დასაბრუნებელი თანხების არამიზნობრივად გახარჯვაში, ანუ მითვისებაში. თარგამაძემ ყველა ბრალდებას „ბინძური მონაჩმახი" უწოდა და ყველაფერი ამით დასრულდა. პროკურატურის კულუარებში ამბობენ, რომ თარგამაძეს კიდევ ბევრ კითხვაზე შეუძლია საინტერესო პასუხის გაცემა. თუმცა, ისიც საკითხავია, „მიწვევის" შემთხვევაში თარგამაძე თავისი ნებით გამოცხადდება პროკურატურაში?!

სამაგიეროდ, არჩევანი-არადანის საშუალება მის ყოფილ ხელქვეითებს არა აქვთ. თუმცა პირველად, ვის მიაკითხავენ სპეცრაზმელები, ეს ამ კვირაში გაირკვევა.

*გვერდი მოამზადა დავით დევიძემ*

# „სარდალმა დამირეკა და კონტრაბანდული საწვავით სავსე ეშელონი გამაშვებინა“



გელა ხუციშვილი და ვალერი ჩხეიძე

## „არა მგონია, თქვენს სტატიებს შედეგი მოჰყვეს“

— ყოფილი მთავარი სამხედრო პროკურორის, ამჟამად გენერალური პროკურორის მოადგილის, გია ჯიქიას ვაჟი დათო ჯიქია სასაზღვრო ძალებში, კერძოდ, უდაბნოს საგუშაგოს უფროსად მუშაობს და ეტყობა, თავს მშვენივრად გრძნობს. უბრალო საგუშაგოს უფროსმა ამ რამდენიმე თვის წინ ძვირად ღირებული პრესტიჟული მოდელის უცხოური მარკის მანქანა შეიძინა. სამხედრო პროკურატურაში, ძირითადად, გია ჯიქიას ხალხია თავმოყრილი და იქ მდგომარეობას ის აკონტროლებს. ასე რომ, დიდი იმედი ნუ გექნებათ, რომ სისხლის სამართლის საქმის აღძვრა რაიმეს შეცვლის. ასეთი რამ ხშირად ყოფილა, მაგრამ...

Სოფელ უდაბნოს მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარი „კამაზის“ მარკის ავტოცისტერნამ გადმოკვეთა და სვლა საქართველოს ტერიტორიაზე გააგრძელა. ქართველმა მესაზღვრეებმა, უდაბნოს საგუშაგოს ათმეთაურებმა გიორგი კობახიძემ და ვანო ბერიძემ ბენზინით პირთამდე სავსე ცისტერნის მძღოლს გაჩერება უბრძანეს. ავტომობილიდან მძღოლი გადმოვიდა, მესაზღვრეებს მიესალმა და არხეინად მიმართა: „ბიჭებო, თქვენმა უფროსობამ ამ საწვავის შესახებ იცის და უნდა გამატაროთ“. კაპრალი **გიორგი კობახიძე** გვიამბობს (სამხედრო ბილეთი №4635): „ასეთი შემთხვევა პირველი არ არის. აზერბაიჯანიდან კონტრაბანდული საწვავით სავსე ავტომანქანებს საზღვარზე ვაკავებთ, მაგრამ მძღოლებს არ ეშინიათ. წინასწარ არიან მორიგებული ან საგუშაგოს უფროსთან, ან კომენდატურის მეთაურთან. ისინი კი გვიბრძანებენ, რომ კონტრაბანდული საწვავი დაუბრკოლებლად გავატაროთ. ახლაც დავუკავშირდით რაციით გარდაბნის კომენდატურის უფროსს და 15-ტონიანი საწვავით სავსე „კამაზის“ დაკავების ფაქტი ვაცნობეთ. გვიბრძანა, — ჩვენი კაცია, გაატარეთ, ოღონდ ფული გამოართვით. ლიტრაზე ერთი თეთრი გადაახდევინეთო“. „ჩვენც ასე მოვიქეცით, — აგრძელებს საუბარს **ვანო ბერიძე** (მისი მოწმობის ნომერია 0805.). — მძღოლს 150 ლარი გადავახდევინეთ და გავუშვით. დღეში კონტრაბანდული საწვავით სავსე 5-დან 10 მანქანამდე გატარება გვიწევდა. კომენდატურის ან საგუშაგოს უფროსის დაწესებულ ტარიფს გადავახდევინებდით და გავუშვებდით. ზოგჯერ ისეც ხდებოდა, რომ კონტრაბანდისტ მძღოლს ლიტრაზე ერთი თეთრის ნაცვლად, მეთაურების მოთხოვნით 2 თეთრსაც ვახდევინებდით. შემოსავალს დღის ბოლოს უდაბნოს საგუშაგოს უფროსს, ხორგუანს ჩავუთვლიდით, მას კი თავის მხრივ თანხის უდიდესი ნაწილი კომენდატურის უფროსთან მიჰქონდა. კომენდატურის უფროსი კი, როგორც ვიცით, სასაზღვრო ძალების დეპარტამენტის ზურგის სამსახურის უფროსს, დათო ჩხეიძეს აბარებდა თანხას, ოღონდ თავის წილს იტოვებდა. როგორც გითხარით, ის „კამაზის“ მარკის ცისტრენა კომენდანტის უფროსის ბრძანებით გავატარეთ. რამდენიმე წუთში იგი საქართველოს საბაჟო დეპარტამენტის ოპერატიულმა სამსახურმა საზღვრიდან ხუთი კილომეტრის მოშორებით დააკავა. დაიწყო გამოძიება და მე და გიორგი კობახიძე დაგვადანაშაულეს. სასაზღვრო ძალების დეპარტამენტის დაზვერვის უფროსმა შურღაიამ პირდაპირ გვითხრა — ეს საქმე თქვენს თავზე უნდა აიღოთო — და გვიბრძანეს, სამსახურიდან წასვლაზე განცხადება დაგვეწერა. ჩვენ არ დავთანხმდით და შვებულებაში გავედით. ახლა სამსახურში აღარ გვაბრუნებენ“.

ორი კვირის წინ „კვირის პალიტრაში“ დაბეჭდილმა სტატიამ, სადაც სასაზღვრო ძალების მაღალჩინოსნები კორუფციაში იყვნენ მხილებული, დიდი გამოხმაურება გამოიწვია. სამხედრო პროკურატურაში სისხლის სამართლის საქმეც აღიძრა და ამჟამად გამოძიება მიმდინარეობს. ალბათ ესეც გახლდათ იმის მიზეზი, რომ ჟურნალისტს დაახლოებით ოცამდე სასაზღვრო ძალების ოფიცერი და ჯარისკაცი დაუკავშირდა. მათაც გამოთქვეს სურვილი კორუფციაში ემხილებინათ თავიანთი უფროსები, რომლებიც მათივე თქმით, ხელქვეითებს აიძულებენ კონტრაბანდისტებისგან ფული აიღონ. და საერთოდ იმაზე, თუ რა ხდება დღეს ამ უწყებაში. უდაბნოს საგუშაგო ათმეთაურების მონათხრობის შემდეგ, სასაზღვრო ძალების მაიორმა, **მერაბ კერვალიშვილმა** ისურვა ჩვენთან საუბარი (სამხედრო ბილეთის №000232): „ამჟამად სასაზღვრო ძალების კადრების განკარგულებაში ვარ. მანამდე ჯერ დეპარტამენტში, შემდეგ კი გარდაბნის კომენდატურაში ვმსახურობდი. მე აღებმიცემობასთან კავშირი არ მქონია, თუმცა კარგად ვიცოდი იმ დარღვევების შესახებ, რაც კომენდატურისა და საგუშაგოს უფროსების წაქეზებითა და მათი უშუალო მონაწილეობით ხდებოდა. არც სასაზღვრო ძალების დეპარტამენტი აკლებდა ხელს. მაგალითად, როდესაც დეპარტამენტის კადრების უფროსი გიორგი კუხიანიძე იყო, შემოსავლიან საგუშაგოზე რომ გაეშვა ოფიცერი, თავისი „სტავკები“ ჰქონდა დაწესებული. ამას ბევრი ოფიცერი დამიდასტურებს. სასაზღვრო ძალებში კორუფციის მთელი სისტემაა ჩამოყალიბებული. იქ საქმის კეთება ფულის კეთებას ნიშნავს. ერთ ფაქტს გავიხსენებ. მაშინ გარდაბნის კომენდატურაში ვმსახურობდი. გავაჩერეთ ეშელონი, რომელიც 45 ვაგონ-ცისტერნისგან შედგებოდა. თითოეულში 145 ტონა საწვავი ეტევა. იმ ცისტერნებში კი მხოლოდ 100, მაქსიმუმ 110 ტონა საწვავი იყო და საბუთებშიც ასევე იყო მითითებული. გამოდის, თითოეულ ვაგონ-ცისტერნას აზერბაიჯანიდან საქართველოში მინიმუმ 35 ტონა კონტრაბანდული საწვავი შემოჰქონდა. გამოვიძახეთ მებაჟეები, მაგრამ არავინ მოსულა. დღე-ღამის განმავლობაში დაკავებული მყავდა ეშელონი და დეპარტამენტიდან მითითებას ველოდი. ნაცვლად ამისა, ვალერი ჩხეიძემ დამირეკა და ეშელონი გამაშვებინა. ამის შემდეგ რა უნდა მეკეთებინა საზღვარზე“.

სასაზღვრო ძალების კაპიტანი **ნოდარ რეხვიაშვილი:** „მე ბოლნისის კომენდატურაში, გუგუთის საგუშაგოს უფროსის მოადგილედ ვმუშაობდი. იქაურობას მესაზღვრეები „პატარა ქუვეითს“ ეძახიან, რადგან სწორედ გუგუთის საგუშაგოზე გადის საქართველოს სომხეთთან დამაკავშირებელი ერთ-ერთი ძირითადი გზა. კონტრაბანდისტებსა და მესაზღვრეებს შორის აქ ნამდვილი აღებმიცემობაა გაჩაღებული. არავითარი დისციპლინა. მესაზღვრეები თავს იმით იწონებდნენ უფროსთან, დღეში ვინ უფრო მეტ ფულს ჩააბარებდა. კონტროლის გარეშე დარჩენილი საზღვრით, უპირველესად, რუსი სამხედროები სარგებლობდნენ. მათ საქართველოდან სომხეთში დიდძალი საბრძოლო მასალა და ტყვია-წამალი გაჰქონდათ. გაჰყავდათ მძიმე ტექნიკაც, რომელიც წესით, საქართველოს უნდა დარჩენოდა. არც ქართველები აკლებდნენ ხელს. აზრებაიჯანიდან მოწოდებული საწვავი სომხეთში იყიდებოდა და ჩვენი ჯავშანტექნიკა კი უსაწვავოდ იდგა. ყველაფერი ეს წერილობით ჩამოვაყალიბე და პატაკით მივმართე სასაზღვრო ძალების სარდალს, მაგრამ ამის შემდეგ „შავ სიაში“ მოვხვდი და სამსახურიდან წამოვედი. ერთი სიტყვით, პროფესიონალ კადრებს საქართველოს სასაზღვრო დეპარტამენტის სისტემაში აღარ დაედგომებათ“.

უფროსი ლეიტენანტი **ვახტანგ ბუსკივაძე**, ამჟამად ჭანარის საგუშაგოს უფროსი (სამხედრო მოწმობის №0142.): — 1999 წლიდან დავიწყე სასაზღვრო ძალებში სამსახური. ჯერ გარდაბნის კომენდატურაში ვიყავი საკომენდანტო ოცეულის უფროსად, მერე კი ჯანდარის საგუშაგოზე მიმავლინეს ჯერ უფროსის მოადგილედ, მერე კი უფროსად დამნიშნეს. მას შემდეგ, რაც დეპარტამენტის ზურგის სამსახურის უფროსის, დათო ჩხეიძის ხალხი მოვიდა, გარდაბნის სასაზღვრო ზოლში კონტრაბანდა აყვავდა. კონტრაბანდით შემოსული თანხები რომ არ „მომეტეხა“, ჩხეიძის ხალხი, ზემდეგები, ჩემს თითოეულ ნაბიჯს აკონტროლებდნენ. კანონით, ე. წ. მწვანე ზოლზე თუნდაც აღრიცხული, საბუთიანი ტვირთების შემოსვლა არ შეიძლება. ტვირთი მხოლოდ იქ უნდა შემოდიოდეს, სადაც საბაჟო სამსახური დგას. მიუხედავად ამისა, მწვანე ზოლზე 5-10 კონტრაბანდული საწვავით სავსე მანქანა მაინც გადმოდიოდა. ყოველ ათ დღეში საშუალოდ 5 ათასი ლარი გროვდებოდა. აქედან 3 ათასი ლარი კომენდატურის უფროსთან მიმქონდა, დარჩენილ 2 ათასს ჩემს წილს, 500-600 ლარს ვაკლებდი და დანარჩენი თანხა დათო ჩხეიძის გამოგზავნილ ზემდეგებს თანაბრად ვუყოფდი. არ მინდოდა კორუფციაში ჩავრთულიყავი. ვიცოდი, ქართველი მესაზღვრისთვის უღირს საქციელს ჩავდიოდი, მაგრამ სისტემა იყო ასეთი და რას ვიზამდი. ერთხელ მოთმინების ფიალა ამევსო და ავკრძალე კონტრაბანდის გადმოსვლა საზღვარზე. ზემდეგებმა დათო ჩხეიძეს მოახსენეს ჩემი „უღირსი“ საქციელი. მეორე დღესვე დამიბარა კომენდატურის დაზვერვის ოფიცერმა ნიკო ქანთარიამ და დათო ჩხეიძესთან დეპარტამენტში მიმიყვანა. ზურგის სამსახურის უფროსმა ქუჩური საქმის გარჩევა მომიწყო. რომ ვერ დამარწმუნა თავის „სიმართლეში“, ჯანდარის საგუშაგოდან მომაშორა და იქვე, ჭანარის საგუშაგოზე გადამიყვანა. ჭანარი „შტრაფნოი“ საგუშაგოდ ითვლება — აქ ტრანსპორტი არ მოძრაობს. ჭანარიდან კარგად ჩანს ჯანდარის საგუშაგოს მონაკვეთი. თუ ჩემი ხელმძღვანელობის დროს დღეში საშუალოდ 5-10 მანქანა კონტრაბანდული საწვავი გადმოდიოდა, ახლა ეს ციფრი ხუთჯერ გაიზარდა და საზღვრის მხოლოდ ამ მონაკვეთიდან თვეში საშუალოდ 3 ათასი ტონა კონტრაბანდული საწვავი შემოდის.

**— თქვენ მიერ კომენდანტის უფროსისთვის მიცემული თანხა სად მიდიოდა?**

— კომენდატურის უფროსს დათო ჩხეიძესთან მიჰქონდა. თავის მხრივ, იგი ყველა საგუშაგოდან შემოსულ თანხებს თავს უყრიდა და სარდალთან მიჰქონდა...

ოფიცრებთან გასაუბრების შემდეგ საგუშაგო ვახტანგისის თანამშრომელს, რიგით **სპარტაკ ბოჭორიშვილს** მოვუსმინეთ: — ჩვენი საგუშაგოს გავლით, ძირითადად, კონტრაბანდული ტანსაცმელ-ფეხსაცმელი შემოდიოდა აზერბაიჯანიდან. მოადგებოდა საგუშაგოს „შმოტკებით“ სავსე „იკარუსის“ მარკის ავტობუსი. მას საზღვარზე „პაზიკის“ ტიპის პატარა ავტობუსები ხვდებოდა და საქონელი „იკარუსიდან“ „პაზიკებში“ იცლებოდა. ერთი „იკარუსის“ საქონელი სამ „პაზიკს“ ავსებს. თითო „პაზიკი“ მესაზღვრეებს 100 დოლარს გვიხდიდა. „იკარუსები“, ძირითადად, ოთხშაბათსა და შაბათს, ლილოს ბაზრობის წინადღეს მოადგებოდნენ ხოლმე საზღვარს.

**— ის 100 დოლარი, რომელსაც „პაზიკის“ მძღოლები გიხდიდნენ, სად მიგქონდათ?**

— საგუშაგოს უფროსს ვაბარებდით. სამაგიეროდ, ყოველი 15 დღის შემდეგ არაოფიციალურ ხელფასს, 200 ლარს გვაძლევდა. თავის წილს რომ აიღებდა (რამდენს არ ვიცი), დანარჩენი დეპარტამენტში მიჰქონდა. ბევრჯერ გაგვიგონია ჯარისკაცებს, როგორ მოახსენებდა საგუშაგოს უფროსი დეპარტამენტის „კასირს“, დღეს 4 ათასი შემოგვივიდაო. თუმცა ზოგჯერ ხუთი ათასიც ყოფილა...

ოფიცრებმა ჟურნალისტთან სასაუბროდ ფოთიდან ჩამოსულ საზღვაო სასაზღვრო ძალების კაპრალს დაუთმეს რიგი. იგი **ჯემალ ჩხარტიშვილი** აღმოჩნდა, რომელიც ფოთის ნავსადგურის სასაზღვრო-გამშვებ პუნქტში უფროს კონტროლიორად მუშაობს (პირადობის მოწმობა №42001001239): „ფოთის სასაზღვრო დივიზიონშიც იგივე მდგომარეობაა, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ იქ უფრო დიდი ფული ტრიალებს. რამდენი რჩებათ ფოთის დივიზიონის მაღალჩინოსნებს, არ ვიცი. ჩემი წოდებიდან გამომდინარე, ამას არავინ არ გამაგებინებს. ამბობენ, კონტრაბანდული საქონლით სავსე ერთი გემიდან 40 ათასი დოლარი რჩებათო. სამაგიეროდ ვიცი, რომ სასაზღვრო-გამშვებ საკონტროლო პუნქტში დღეში დაახლოებით 1.000 დოლარი რჩება. ამ თანხიდან პუნქტის მორიგეებს მხოლოდ 60 ლარს გვაძლევენ არაოფიციალური ხელფასის სახით, ისიც თვეში ერთხელ. ჯარისკაცები ცოტა სალიარს ვყიდით და თავი ასე გაგვაქვს. დივიზიონის ხელმძღვანელებს არაოფიციალური შემოსავლები ბრაკონიერებისგანაც აქვთ. აკრძალულ ზონაში სეინერით თევზაობა 300 ლარი ღირს. თქვენი სტატია რომ წავიკითხე, იმედი მომეცა, რომ რაღაც შეიცვლებოდა. ფოთიდან ამიტომ ჩამოვედი და ჩემი სატკივარი გაგანდეთ. ერთი სული მაქვს, საზღვარზე პატიოსნად ვიმსახურო და გამვლელ-გამომვლელს ხელებში არ ვუყურო“.

„აღსარების“ სათქმელად მოსული სასაზღვრო ძალების ყოფილი თუ ახლანდელი ოფიცრების ნაამბობისგან სრულიად განსხვავებული აღმოჩნდა საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარის, პირად შემადგენლობასთან იდეოლოგიური მუშაობის დარგში სასაზღვრო ძალების სარდლის ყოფილი მოადგილის, **მანუჩარ დვალის** კომენტარი: „ჩემი კაბინეტი მაგ ურწმუნოს (სარდალს ვგულისხმობ) კაბინეტის წინ იყო. ყველაფერი მესმოდა და ვხედავდი, თუ რა ხდებოდა დეპარტამენტში. ვალერი ჩხეიძეს მიზნად საზღვრის დაცვა-გაძლიერება კი არა, კომენდატურებისა და საგუშაგოების უფროსებისაგან რაც შეიძლება მეტი ფულის ამოქაჩვა ჰქონდა დასახული. იმდენი ფული იშოვა, რომ სხვადასხვა კომერციულ ბანკში რამდენიმე ანგარიში აქვს გახსნილი. მისმა ხალხმა გააჩანაგა სასაზღვრო ძალების ბიუჯეტი. ჯართად ქცეულ კატარღებს ყიდულობდნენ უკრაინაში და სამმაგ ფასს აფიქსირებდნენ დოკუმენტებში. რა თქმა უნდა, ფასსხვაობას იჯიბავდნენ. კატარღების გარემონტებაში იმდენი იხარჯებოდა, რომ სამ ახალ სადარაჯო-საპატრულო კატარღას იყიდდა კაცი. ასეთი და სხვა ფინანსური მაქინაციებიც ხშირად გაუკეთებიათ — ყველაფერი ბუღალტერიაშია დაფიქსირებული. შეამოწმეთ და დარწმუნდებით. მეტსაც გეტყვით, მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, სარდლის მოქმედება ღალატის ტოლფასია. სწორედ მისმა მოღალატეობრივმა საქციელმა დაგვაკარგვინა ქართველებს სამუდამოდ პირიქითა ხევსურეთის მნიშვნელოვანი ნაწილი. საერთაშორისო ურთიერთობებში სარდლის მოადგილე ბატონი გელა ხუციშვილი, რომელიც ცოცხალი თავით არ თმობდა პირიქითა ხევსურეთს, სამსახურიდან გააგდო და მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღძრა“.

როდესაც სასაზღვრო ძალების ოფიცრები და ჯარისკაცები გამომემშვიდობნენ, რედაქციაში ერთი ახალგაზრდა გვესტუმრა. მან თავი საქართველოს საზღვრის დაცვის დეპარტამენტის საიდუმლო განყოფილების თანამშრომლად წარმოგვიდგინა და გვითხრა: — ინკოგნიტო რესპონდენტად უნდა ჩამთვალოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შეიძლება ჩემს სიცოცხლეს საფრთხე დაემუქროს. თქვენი მჯერა, ვიცი, რომ მოუსყიდველი ხართ. ისიც ვიცი, რამხელა თანხას გთავაზობდნენ სარდლის დავალებით სასაზღვრო ძალების შიდაინსპექციისა და ეკონომიკური სამსახურის უფროსები. მაგრამ ის კი მეეჭვება, რომ სამხედრო პროკურატურა რამეს გააკეთებს. ჯოხს ზურგის სამსახურის უფროსზე გადატეხენ, ეგ იქნება და ეგ. სარდალს კი, უბატონოდ ხმას არავინ გასცემს.

**— რის საფუძველზე გამოგაქვთ ასეთი კატეგორიული დასკვნა?**

— ყოფილი მთავარი სამხედრო პროკურორის, ამჟამად გენერალური პროკურორის მოადგილის, გია ჯიქიას ვაჟი დათო ჯიქია სასაზღვრო ძალებში, კერძოდ, უდაბნოს საგუშაგოს უფროსად მუშაობს და ეტყობა, თავს მშვენივრად გრძნობს. უბრალო საგუშაგოს უფროსმა ამ რამდენიმე თვის წინ ძვირად ღირებული პრესტიჟული მოდელის უცხოური მარკის მანქანა შეიძინა. სამხედრო პროკურატურაში, ძირითადად, გია ჯიქიას ხალხია თავმოყრილი და იქ მდგომარეობას ის აკონტროლებს. ასე რომ, დიდი იმედი ნუ გექნებათ, რომ სისხლის სამართლის საქმის აღძვრა რაიმეს შეცვლის. ასეთი რამ ხშირად ყოფილა, მაგრამ...

რა სახსრებით შეიძინა ვალერი ჩხეიძემ ქობულეთში სასახლე? არც ის აინტერესებს ვინმეს, ვინ არის თბილისში „ბატას“ მაღაზიათა ქსელის ნამდვილი მფლობელი, რომლის მაღაზიებსაც რამდენიმე წელი სწორედ სასაზღვრო ძალების ჯარისკაცები იცავდნენ. დიახ, ეს სარდლის კუთვნილი, მის ნათესავზე გაფორმებული მაღაზიებია. დაუკავშირდით სარდლის ყოფილ მოადგილეს, გენერალ-მაიორ ავთანდილ ცქიტიშვილს და იგი ბევრ საინტერესო რამეს გიამბობთ. დეპარტამენტის ყოფილი თანამშრომელი გუბაზ მეგრელიშვილიც საგულისხმო ინფორმაციებს მოგაწვდით. მაგალითად, რა მექანიზმებით და რატომ ხდებოდა ჯართად ქცეული კატარღების შესყიდვა უკრაინაში; როგორ ყიდულობდა ზურგის სამსახური პროდუქტებსა და სხვა საქონელს ზედმეტ ფასებად და როგორ ხდებოდა შემდეგ მათი ჩამოწერა. საინტერესოა, რას გეტყვით ვალერი ჩხეიძის ყოფილი მოადგილე გელა ხუციშვილი იმ ტერიტორიების შესახებ, რომელიც საქართველომ უკანასკნელ წლებში დაკარგა. გაესაუბრეთ, ასევე, პოლკოვნიკ მამუკა კვაჭაძეს და იგი გიამბობთ, როგორ და რისთვის გააგდეს სასაზღვრო ძალებიდან პროფესიონალი მესაზღვრე...

ჩემმა ინკოგნიტო რესპონდენტმა კიდევ რამდენიმე პირის კოორდინატები გადმომცა, საზღვრის დაცვის დეპარტამენტში არსებული დარღვევების შესახებ სრული ინფორმაციის მისაღებად.

პირველად საქართველოს სასაზღვრო ძალების შტაბის ყოფილ უფროსს, გენერალ-მაიორ **ავთანდილ ცქიტიშვილს** დავუკავშირდით. გენერალი ავთანდილ ცქიტიშვილი სხვადასხვა დროს საქართველოს თავდაცვის სამინისტროში მეტად საპასუხისმგებლო თანამდებობებზე მუშაობდა. მაგალითად, იგი გახლდათ საქართველოს შეიარაღებული ძალების მთავარი სამხედრო შტაბის უფროსი და მინისტრის პირველი მოადგილე, ხოლო 1997-1999 წლებში სასაზღვრო ძალების შტაბის უფროსის თანამდებობა ეკავა. ბატონ გენერალს შინ ვესტუმრეთ და ჩვენთვის საინტერესო საკითხზე კომენტარი ვთხოვეთ: — უნდა გითხრათ, რომ ჩვენი შეიარაღებული ძალების სარდლობამ არც ისე კარგად იცის სამხედრო საქმე. სამაგიეროდ, ოსტატურად იყენებენ პოლიციურ და უშიშროების მუშაობის მეთოდებს. ქართული არმიის მშენებლობა არავის აინტერესებდა. ეგონათ, თუ კომპრომატებს შეაგროვებდნენ კონკურენტებზე, ხელშეუხებელი იქნებოდნენ. 1992-93 წლებში უშიშროების კადრები თავდაცვის სამინისტროსა და სასაზღვრო ძალებში გადმოვიდნენ. სწორედ ამ დროს მოვიდა ვალერი ჩხეიძეც. მოგვიანებით, სასაზღვრო ძალების სარდლად ჩხეიძემ თავისი კანდიდატურა წამოაყენა და დაინიშნა კიდეც. სწორედ მან გააძევა სასაზღვრო ძალებიდან პროფესიონალი მესაზღვრეები და მათ ნაცვლად საეჭვო პირები დაასაქმა.

**— როგორც მითხრეს, უკრაინაში ნაყიდი კატარღები რეალურად ჯართი იყო და მათი ღირებულება საბუთებში ხელოვნურად იყო გაზრდილი.**

— მართალია. იმ კატარღებმა ერთხელაც კი ვერ შეძლეს არათუ საბრძოლო ამოცანის შესრულება, ზღვაში გასვლაც კი. არადა, იმ დროს ბათუმის გემთსაშენი ქარხანა „გრიფის“ ტიპის კატარღებს საზღვარგარეთ ყიდდა. ჩვენ კი რატომღაც უკრაინიდან ჯართი შემოგვქონდა (მიზანშეწონილად მიგვაჩნია, უკრაინაში შესყიდული რამდენიმე კატარღის ტექნიკურ-საბრძოლო დახასიათება გავაცნოთ მკითხველს, რომელიც დეპარტამენტიდან საიდუმლოდ გადმოგვცეს. მაგალითად, „პროექტი 204“-ით უკრაინაში შეძენილია „გრიფის“ ტიპის კატარღა. ძრავების ექსპლუატაციის ვადა ამოწურულია ყიდვის დღიდან, არა აქვს ნავიგაციის სისტემა და შეიარაღება. საბრძოლო დავალების შესასრულებლად ზღვაში გასვლა არ შეუძლია; „პროექტი 205“ — კატარღა იმდენად დაზიანებულია, რომ ვერ გავიდა ზღვაში. „პროექტი 23“ — უკრაინაში შეძენილი 1958 წელს აშენებული ბუქსირი. ექსპლუატაციის ვადა ამოწურული აქვს. სანავიგაციო საშუალებები არა აქვს... და ა. შ.). როგორც სამხედრო პირმა და გენერალმა, ვერ მივიღე კითხვაზე პასუხი: რატომ ყიდულობს საქართველოს სასაზღვრო ძალების დეპარტამენტი 100 ათას დოლარად ჩამოსაწერ ტექნიკას და რატომ აფორმებს ისე, თითქოს 500 ათასადაა ნაყიდი? ყოველივე ამაში ის არის დამნაშავე, ვინც აფინანსებს ამ პროექტებს და ხელს აწერს მის შესყიდვას. ასეთ გადაწყვეტილებას კი დეპარტამენტის თავმჯდომარის გარდა, ვერავინ მიიღებდა.

*(გაგრძელება იხ. გვ. 9)*

# „ყველაზე მეტად მეზიზღება მლიქვნელები...“

## „მინდა, ოპოზიცია გაერთიანდეს და შევიდეს პარლამენტში“



**„რევოლუციის მეორე დღესვე თუ დავქუცმაცდით, ეს წარმოუდგენელი უგუნურება იქნება“**

გაპრეზიდენტების შემდეგ მიხეილ სააკაშვილის ნაბიჯები დიდ ვნებათაღელვას იწვევს. შევარდნაძის მმართველობის დუნე რიტმის შემდეგ სააკაშვილისთვის ფეხის აწყობა ბევრს გაუჭირდა. ყველასათვის გასაგები არც მისი მოულოდნელი გადაწყვეტილებებია — ზურაბ ჟვანიასთვის უსაზღვრო ნდობის გამოცხადებამ ნაციონალებიც კი დააბნია. ამ საყოველთაო დაბნეულობა-გაოგნებას მეტისმეტად ამძაფრებს ოქრუაშვილი-ბარამიძის ტანდემის გამოცხადებული ბრძოლა კორუფციასა და დამნაშავეობასთან. ციხის საკნებში წარსულში ძლიერნი ამა ქვეყნისანი გამოჩნდნენ, ბევრსაც მომავალში ელის საპყრობილის მძიმე ჰაერთან შეგუება. როგორ ხსნის თავის მოქმედებებს საქართველოს პრეზიდენტი? მოსკოვში ვიზიტის წინ „კვირის პალიტრა“ მიხეილ სააკაშვილს შეხვდა და ალბათ მთელი საზოგადოებისათვის საინტერესო საკითხებზე ექსკლუზიური ინტერვიუ ჩამოართვა.

— **ბატონო მიხეილ, ახალმა საკონსტიტუციო ცვლილებებმა აზრთა დიდი სხვადასხვაობა გამოიწვია. ოპოზიციის აზრით, ამ ცვლილებების კონსტიტუციაში ჩაწერა ავტორიტარულ რეჟიმს დაამკვიდრებს, ხელისუფლება კი ცვლილებებით საქართველოში სუპერდემოკრატიის ოაზისის შექმნას გვპირდება. რას მოგვიტანს სინამდვილეში კონსტიტუციაში ახალი პუნქტების შეტანა?**

— ამ კონსტიტუციით ევროპული კონსტიტუციის მოდელებს ვუახლოვდებით. მე მაქვს ვენეციის კომისიის დასკვნა, რომელშიც წერია, რომ ეს ფრანგული მოდელია. სიტყვა „დიქტატურა“ კი ძალზე ბრიყვ ადამიანებს შეუძლიათ ახსენონ, იმიტომ, რომ ევროსაბჭოს დასკვნითაც საქართველო საპრეზიდენტო რესპუბლიკიდან ნახევრად საპრეზიდენტო რესპუბლიკაზე გადადის. პირველი და მთავარი ის არის, რომ პრეზიდენტის უფლებამოსილება იზღუდება. არ შეიძლება პრეზიდენტი ქვეყანაში ყველაფრით იყოს დაკავებული. მას ყველაფერი მოეკითხება და საბოლოოდ ვერაფერს აკეთებს. ამიტომაც იქმნება აღმასრულებელი ხელისუფლების მეორე ფოკუსი — მთავრობა, რომელიც ყოველდღიურ საქმიანობას წარმართავს. ეს მოსახერხებელი იქნება პრეზიდენტისთვისაც, რომელმაც მთავარ საკითხებზე უნდა მოახდინოს კონცენტრაცია. იქნება ეს აფხაზეთის საკითხი, ზოგადად, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, წესრიგის დამყარება ქვეყანაში, მთავრობაზე მეთვალყურეობა და ა.შ. პრეზიდენტი, რომელიც დისპეტჩერია, თავის ძირითად ფუნქციას ვერ შეასრულებს. თუ ის დენის ჩართვა-გამორთვაზე გადაიტანს ყურადღებას, მისი მმართველობა ეფექტიანი ვერ იქნება. ამ ცვლილებების თანახმად, მომავალი წლიდან ყველა მერი და გუბერნატორი არჩევითი იქნება (მათ შორის, თბილისისაც). ეს არის ახალი, სრულიად დემოკრატიული ნაბიჯი, რომლის ანალოგია არ არსებობს პოსტსაბჭოთა სივრცეში — თუმცა სარისკო ნაბიჯიც არის, მაგრამ ერთი წელი გვაქვს ხალხის მოსამზადებლად იმისათვის, რომ ადგილობრივი მაფიოზები კი არ აირჩიონ, არამედ ის ადამიანები, რომლებიც მათ მართლაც დაიცავენ.

რაც შეეხება თავად პარლამენტის უფლებებს, მიმაჩნია, რომ ამ ცვლილებებით პარლამენტის უფლებები არათუ შემცირდა, არამედ გაიზარდა. მაგალითად, საფრანგეთში პრეზიდენტს უმოტივაციოდ შეუძლია პარლამენტის დათხოვნა.

— **მაგრამ საფრანგეთის პარლამენტში ორი პალატა არსებობს...**

— საფრანგეთში ზედა პალატა არაფერს ნიშნავს, რეალურად გადაწყვეტილებებს იღებს ქვედა პალატა, რომლის დათხოვნაც შეუძლია საფრანგეთის პრეზიდენტს. თუ ვინმეს უნდა საქართველოში ზედა პალატის შექმნა, კი ბატონო, მაგრამ ეს იქნება რეალურად პენსიონერთა კლუბი, რომელიც არაფერს გააკეთებს და ისევ სახელმწიფოს შესანახი იქნება, რისი საშუალებაც, ვფიქრობ, ჩვენს ქვეყანას დღეს არა აქვს. ჩვენს კონსტიტუციაში ჩაიწერა, რომ პარლამენტს საკუთარი თავის დათხოვნა შეუძლია, ოღონდ ექვსთვიანი პროცედურების შემდეგ, თუ თვითონ თქვა უარი ყველა საკითხის — მათ შორის ბიუჯეტისა და მთავრობის დამტკიცებაზე; სამაგიეროდ, პარლამენტს ნებისმიერ დროს შეუძლია მთავრობის გადაყენება, რაც ფაქტობრივად მისი პოზიციის გაძლიერებას ნიშნავს.

ვინც ყვიროდა, — კონსტიტუცია არ მოგვწონსო, დაველაპარაკე და აღმოჩნდა, რომ კონსტიტუციასთან კი არა, განხილვის სწრაფი პროცედურების გამო აქვთ პრეტენზია. პროცედურები იმიტომ დაჩქარდა, რომ 5-6 თვეს მათ განხილვაზე ვერ დავკარგავთ. ჩვენ გვჭირდებოდა მმართველობის მოხერხებული მოდელი. წინა მმართველობის დროს პრეზიდენტი, ფაქტობრივად, იმპერატორი იყო. ყოველდღე მირეკავს ხალხი და ისეთი საკითხების გადაწყვეტას მთხოვენ, ისეთი დოკუმენტები შემოაქვთ ხელმოსაწერად, რომ შევარდნაძისადმი სოლიდარობის გრძნობაც კი მიჩნდება. ის თუ ყველაფერ ამას კითხულობდა და ხელს აწერდა, კიდევ კარგ ჭკუაზე ყოფილა ბოლოს. შეუძლებელია პრეზიდენტმა იცოდეს ყველა ის საკითხი, რაზეც მას აწერინებდნენ ხელს.

დღეიდან ხელისუფლების გამიჯვნა ხდება. პასუხისმგებელი მთავრობა იქნება, მაგრამ თუ მთავრობა ზედმეტად ცუდად მოიქცევა, პრეზიდენტს ყოველთვის შეუძლია იგი გადააყენოს ან ლაგამი ამოსდოს.

ბევრ სფეროში, ვფიქრობ, საჭიროა საგანგებო ღონისძიებები. მაგალითისთვის გადასახადების აკრებას მოვიყვან. გადავწყვიტე, რომ ამ საკითხში ვენდო მთავრობას, თუმცა მიუხედავად იმისა, რომ პირდაპირი ჩარევის უფლება არ მაქვს, სერიოზული კონტროლის ქვეშ მეყოლება ის, რაც ხდება ამ სფეროში.

— **თუ ეს მართლაც დემოკრატიული ცვლილებებია, რით იყო გამოწვეული ოპოზიციის კი არა, თქვენი თანაგუნდელის, კობა დავითაშვილის უკმაყოფილება?**

— კობა ნამდვილად პატრიოტია და ნაციონალური მოძრაობის მნიშვნელოვანი ფიგურა. თუმც პირდაპირ ვიტყვი, რომ რევოლუციაში მას მონაწილეობა არ მიუღია (თავისი მოსაზრებები ჰქონდა რევოლუციაზე) და ეს ყველამ ნახა. ქართულ პოლიტიკას მუდმივად ჰქონდა მიდრეკილება ფრაგმენტაციის, დაყოფის, დანაწევრებისა და ერთმანეთზე გადაკიდებისკენ. რევოლუცია იმიტომ იყო წარმატებული, რომ სხვადასხვა პოლიტიკურმა ძალამ მოიყარა თავი. ამიტომ მოიხიბლა ევროპა იმით, რაც საქართველოში მოხდა. რევოლუციის მეორე დღესვე თუ დავქუცმაცდით, ეს წარმოუდგენელი უგუნურება იქნება. კი, ზოგიერთ ჩემს მეგობარს არ მოსწონს რომ ვერთიანდებით ბურჯანაძესა და ჟვანიასთან, მაგრამ მიმაჩნია, რომ ერთიანობას ალტერნატივა არ აქვს. პირიქით, სხვა პოლიტიკური ძალებიც უნდა შემოგვიერთდნენ. თუ მაქსიმალისტური მიდგომის გამო უარი ვთქვით გაერთიანებაზე, ამით გაცილებით მეტს დავკარგავთ, ვიდრე მოვიგებთ, თუნდაც ხალხის თვალში. თუ გვინდა, ქვეყანა გაუმკლავდეს სერიოზულ გამოწვევებს, უნდა ვიყოთ შეურიგებლები და ამავდროულად ერთიანებიც. დანაწევრებული ჯგუფები ვერაფერს შეძლებენ, ამიტომ რაღაც უნდა დავთმოთ, ზოგჯერ უნდა დავუთმოთ ჟვანიასაც და ბურჯანაძესაც... ნეტავ სხვებიც მოვიდნენ და მათ ინტეგრაციასაც მოვახდენთ. ეს ნაბიჯი ჩემს ბევრ მეგობარსა და შეიძლება ჩემი ოჯახის ზოგიერთ წევრსაც არ მოსწონდეს, მაგრამ ეს მათი პრობლემაა. პოლიტიკურად ეს სწორი ნაბიჯია და ამაში ვერავინ გადამარწმუნებს, რადგან ვიცი სხვა ქვეყნებისა და ჩვენი მწარე გამოცდილება.

**ყველაზე მეტად მეზიზღება მლიქვნელები. ეს იციან ჩემმა მეგობრებმაც. საკმარისია ასეთი ადამიანი ერთხელ მლიქვნელურად დამელაპარაკოს ტელეფონით, მეორედ აღარ ვუპასუხებ. გარშემო მყავს ისეთი ადამიანები, რომელთაც სრულიად არ იციან კომპლიმენტების თქმა. ის ვინც მემლიქვნელება, უსათუოდ სისხლს წოვს ვიღაცას, მასზე ქვემოთ მდგომს. მე მიყვარს ისეთი ადამიანები, რომლებიც ყველასთან ერთნაირები არიან, მლიქვნელები კი, ჩემი აზრით, მახინჯები არიან. რაც ნაკლები მახინჯი იქნება სახელმწიფო აპარატში, მით უკეთ იცხოვრებს ხალხი.**

**— ვაპირებთ საგადასახადო სისტემის შეცვლას, მაგრამ საყოველთაო ამნისტიის წინააღმდეგი ვარ. ზღვარის გავლებას ჩვენც ვფიქრობთ, მაგრამ რა ერქმევა ამას, ზუსტად არ ვიცი. საგადასახადო სისტემა უთუოდ გამარტივდება. 10 გადასახადის ნაცვლად ალბათ 2 უნდა დარჩეს... საგადასახადო ინსპექტორს აღარ ექნება საშუალება გადასახადის გადამხდელი დააშანტაჟოს. რაც მეტი გადაიხდის ბიუჯეტში, მით მეტად იქნება გადასახადის შემცირების საშუალება. ჩემი აზრით, რაც უფრო დიდი ბიზნესი ექნება ბიზნესმენს, მით მეტი უნდა გადაიხადოს. მცირე და საშუალო ბიზნესს კი რაც შეიძლება ნაკლები გადასახადი უნდა ჰქონდეს.**

— **როგორ ფიქრობთ, ამ უკმაყოფილების მიზეზი პრემიერ-მინისტრის გაძლიერება იყო თუ ჟვანიას წინააღმდეგ გაილაშქრეს?**

— რა თქმა უნდა, ეს ლაპარაკი იმის გამო იყო, რომ ესა თუ ის პირი არ მოგვწონს, არ უნდა ვენდოთ, მოგვატყუებენ, გვიღალატებენო. არ უნდა უყურო ადამიანს ეჭვით, წინასწარ არ უნდა იძახო, რომ გიღალატებს და მოგატყუებს. ადამიანს უნდა მისცე საშუალებაა საქმე აკეთოს. ის კი არა, რაც მეტი ხალხი დაგვიდგება გვერდით, თუნდაც ისეთები, რომლებიც მხარს არ უჭერდნენ ხელისუფლების შეცვლას, მეტი შედეგი გვექნება. ვიცი, ბევრს არ მოსწონს ჟვანია, ბევრს მე არ მოვეწონები. გემოვნებაზე ვერ ავაგებთ პოლიტიკურ პროცესებს.

— **როგორ აფასებთ მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებთან ოპოზიციის დამოკიდებულებას?**

— ძალიან ვშიშობ იმის გამო, რაც ხდება ოპოზიციაში. მინდა ოპოზიცია გაერთიანდეს და შევიდეს პარლამენტში. ამას პრაქტიკული მოსაზრებებიდან გამომდინარე ვამბობ. თუ ოპოზიცია პარლამენტში არ შევიდა და ყველა ადგილი ნაციონალურმა მოძრაობამ აიღო, ეს 1 ან 2 წელიწადში ავტომატურად გამოიწვევს მის დაყოფასა და დაშლას მარტივ მამრავლებად. ამა თუ იმ ჯგუფის კონსოლიდაციისთვის აუცილებელია ჰყავდეს მეორე მხარე (ოპონენტი), რომლის წინააღმდეგაც უნდა ხდებოდეს კონსოლიდაცია.

არჩევნები ჩემი ინიციატივით იმის გამო გადაიდო, რომ ოპოზიციამ მოახერხოს ძალის მოკრება, გაერთიანება, რათა შედეგს მიაღწიონ. ამისთვის მათ საკმარისი დრო აქვთ. მეორე მხრივ, ნამდვილად არ ვაპირებ არჩევნების გაყალბებას. მათ ხმები რეალურად უნდა მოიპოვონ. ჩვენ გვჭირდება, რომ ყველამ თქვას, — ეს იყო სუფთად ჩატარებული საპარლამენტო არჩევნებიო. მზად ვარ, განვიხილო საარჩევნო კომისიების შემადგენლობის ცვლილებების საკითხი, რათა არავინ იგრძნოს თავი დაჩაგრულად. არჩევნების გაყალბებას არ ვაპირებ და არც სხვას გავაყალბებინებ. ოპოზიციამ უნდა იმუშაოს. იარონ რეგიონებში, შეხვდნენ ხალხს. ჩვენ არჩევნები იმიტომ მოვიგეთ, რომ 230 სოფელში გავმართე შეხვედრა. ამას ნებისმიერ ოპოზიციურ პარტიას ვურჩევ, არ კმარა მხოლოდ ტელევიზიით ლაპარაკი. ხალხი იმიტომ გამომყვა, რომ პირადად ვყავდი ნანახი და მიცნობდა. ასევე უნდა მოიქცნენ ოპოზიციის წარმომადგენლებიც.

— **რომელი ოპოზიციური ძალა მიგაჩნიათ პერსპექტიულად?**

— ახლა რთულია ამის თქმა. დღეს რომ ნახოთ, ყველას რეიტინგი ერთნაირად დაბალია, მაგრამ ციფრები შეიძლება ერთ დღეში გაიზარდოს. არ არსებობს 100-პროცენტიანი რეიტინგი ისევე, როგორც უცვლელი რეიტინგი. არსებობს მხოლოდ სწორი პოლიტიკური გათვლა და ახლა ინტუიცია უნდა გამოიჩინონ პოლიტიკურმა ძალებმა. პარლამენტში მოხვედრის შანსი აქვთ ლეიბორისტებს, „ახლებს“, „მრეწველებს“, თუკი ვინმესთან გაერთიანდებიან. თუკი ცალკე წავა არჩევნებზე, შესანიშნავი შანსი აქვს ჯუმბერ პატიაშვილს.

— **რამდენიმე ტელევიზიაში ღამის საინფორმაციო გადაცემის ერთდროულად შეჩერების შემდეგ ხმა დაირხა, რომ ეს თქვენი დირექტივა იყო.**

— ეს კითხვა მე არ მეკუთვნის. რამდენადაც ვიცი, ეს ტელევიზიებმა ურთიერთშეთანხმებით გააკეთეს — საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე. ხელისუფლებას რაც მეტი საშუალება ექნება თავისი შეხედულებების გამოსათქმელად, მით უკეთესი. ხალხთან მაქსიმალური კონტაქტი ჩვენი პოზიციის დასაბუთების საუკეთესო საშუალებაა. ნეტავ ყოველ საღამოს მქონდეს შესაძლებლობა ყველას ავუხსნა, რას ვაკეთებთ. ვფიქრობ, ტელევიზიები ევროპულ სტანდარტზე ფიქრობენ გადასვლას. დასავლეთში ინფორმაციები ყველაზე მომგებიან დროს, საღამოს გადაიცემა, ღამით კი გასართობ პროგრამებს აჩვენებენ. ერთი შემიძლია დაბეჯითებით გითხრათ, რომ შეუძლებელია დღეს საქართველოში ეკრანიდან პოლიტიკა გაქრეს.

— **გამორიცხავთ, რომ ჩინოვნიკების დაპატიმრებების პროცესს პატიოსანი ხალხიც გადაჰყვეს და ვინმე კორუმპირებულმა პროკურორმა, თუნდაც სადმე მიყრუებულ სოფელში ან რაიონში, შანტაჟის ან დაშინების გზით ფული გამოსძალოს ან გენპროკურორთან თავის მოსაწონებლად დაიჭიროს ის ბიზნესმენი, ან მოქალაქე, რომელსაც ვთქვათ წლების წინ 2.000 ლარი არ აქვს გადახდილი ბიუჯეტში. ასეთები ხომ მრავლად არიან?**

— აბსოლუტურად ვეთანხმები ამ მოსაზრებას და ეს არ უნდა დავუშვათ. ჯერ ერთი, გადასახადების გადაუხდელობის გამო დაპატიმრება ექსკლუზიური ზომაა — 2 ათასი ლარის გამო არავინ არ უნდა დაიჭირონ. თუმც ყველა უნდა შეეჩვიოს გადასახადის გადახდას, განსაკუთრებით ისინი, რომელთაც 2 ათასი კი არა, 2 მილიონი აქვთ გადასახდელი. არავითარ შემთხვევაში არ დაიწყება რეპრესიები. დაპატიმრებების რაოდენობა გვიჩვენებს იმას, რაოდენ კატასტროფულ მდგომარეობაში იყო სახელმწიფო აპარატი. პრაქტიკულად, ვისაც უნდა დაადო ხელი, ყველა დასაჭერია, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ყველას დავიჭერთ. არიან კორუფციის მსხვერპლნი. საგადასახადოს ინსპექტორი თუ ამიერიდან აღარ აიღებს ქრთამს, არ გამოვეკიდებით იმას, რა გააკეთა 2 წლის წინ. მათ კი, რომლებმაც შექმნეს კორუფციის სისტემა — დეპარტამენტების ხელმძღვანელობამ და მინისტრებმა, პასუხი უნდა აგონ. მთავარი ჩემთვის ის კი არ არის, ეს ხალხი ციხეში ჩავსვა. მთავარია, მოპარული ფული მოიტანონ — ეს არის ჩემი მთავარი გეზი. ახლა შემომაქვს კანონი, რომელიც პროკურატურას საშუალებას მისცემს, თითოეულ კორუმპირებულს მითვისებული 10-15 მლნ გადაახდევინონ და მერე შეიძლება მათი სასჯელის ვადა შემცირდეს კიდეც. ამით ისინი დაისჯებიან მორალურადაც და ფინანსურადაც. მაფიოზი, რომელიც ზის ციხეში და აქვს მობილური, გარეთ კი ფული, ჩემთვის ისეთივე საშიშია, როგორც გარეთ მყოფი მაფიოზი, იმიტომ, რომ ის ფულით ყველაფერს გააკეთებს. მაფიოზისგან კი, რომელსაც აღარ ექნება ფული და გარეთ იქნება, იმდენ საფრთხეს აღარ ველი.

ასევე მივიღებთ კანონს, რომელიც მხილებულ პირებს აუკრძალავს თანამდებობაზე ყოფნას. იმედი მაქვს, დაპატიმრებების რაოდენობა ამის შემდეგ შემცირდება. იმის გამო კი არა, რომ ეს მე მსურს, უბრალოდ, ახალმა ხალხმა უნდა იცოდეს, რომ თანამდებობა ხელშეუხებლობის გარანტი არ იქნება.

ამას წინათ ნაციონალური მოძრაობის ერთი წევრი ისე დაჰკითხეს, არაფერი ვიცოდით. ეს ძალიან კარგი ნიშანია. პროკურატურა არ უწევს ანგარიშს, ვინ რომელი გუნდის წევრია. როგორც მერე მითხრეს, იმ ადამიანს საკმარისი მტკიცებულებები რომ არ ჰქონოდა, შესაძლოა დაეპატიმრებინათ კიდეც. როცა ხალხი დაინახავს, რომ მართლმსაჯულება მიუკერძოებელია, რომ მისთვის სულერთია პარტიულობა, ორიენტაცია და მეგობრობა — ეს იქნება ჩვენი მიღწევა. ყველა ჩემიანმა იცის, თუკი რომელიმე მათგანი კორუფციაში გაერევა, არ დავინდობ.

— **შეუძლებელია, თქვენ გვერდით ყველა სუფთა იყოს.**

— რა თქმა უნდა და ისინი უთუოდ პასუხს აგებენ. ჩვენი ამოცანა არ არის ხალხს დავერიოთ. მოქალაქეები მსხვერპლნი არიან. მხოლოდ დაპატიმრებები საქმეს არ შველის. რეფორმებია საჭირო. არ გვჭირდება ამდენი საგადასახადო ინსპექტორი, მაგრამ ამ სამსახურში თანამშრომლების შერჩევა ობიექტურად უნდა მოხდეს. აუცილებელია, მაღალი ხელფასი ჰქონდეთ. მაღალი ხელფასი უნდა ჰქონდეთ საგზაო ინსპექტორებსაც...

დაპატიმრებები ვრცელდება არა მხოლოდ თანამდებობის პირებზე, უპირველესად ორგანიზებული დანაშაულის ხელმძღვანელებზეც. მნიშვნელოვანი რამ მოხდა სამეგრელოში. ცენტრალური ხელისუფლება პირველად ჩავიდა იქ არა როგორც დამრბევი, არამედ როგორც ხალხის დამცველი. გახარებული ხალხი გვეგებებოდა და თავიანთ დამცველებად გვთვლიდა. იგივე იქნება სვანეთში, კახეთში, სამტრედიაში, სადაც ბანდები მოქმედებენ. გათავხედებული ბანდიტების შიშით ზუგდიდში ავტობუსი ვერ გამოდიოდა ქუჩაში. მათ წინააღმდეგ ჯოხის კანონი ამოქმედდება. წინა ხელისუფლება კი ამ ხალხს ეუბნებოდა, — სააკაშვილი რომ წამოვა, ესროლეთ და ამით ხელშეუხებლობას მიიღებთო. მოდი, ერთად ჩავებათ კონტრაბანდაში. რომ ავხსნათ თქვენი არსებობა, დაგარქმევთ პარტიზანებსო. რა პარტიზანია ასფალტის პარტიზანი, რომელიც არასოდეს ყოფილა იქ, სადაც უნდა იყოს წესით. ისინი არიან ჩვეულებრივი ყაჩაღები, რომლებიც საკუთარ მოსახლეობას არბევენ.

*(გაგრძელება იხ. გვ. 11)*

# ჩემი განცხადებით თანამდებობის დაკავების შანსი კარგა ხნით დავკარგე

## პარლამენტი ხდება ნოტარიუსი, რომელმაც ბეჭედი უნდა დაარტყას მთავრობის შემოტანილ კანონებზე



*მიხეილ სააკაშვილი თავისი პარტიის ერთ-ერთი აქტიური წევრის გარეშე რჩება. ნაციონალების პოლიტიკური მდივანი კობა დავითაშვილი მოძრაობას ტოვებს და წასვლის მიზეზად კონსტიტუციის ერთ კაცზე მორგებას ასახელებს. ახალმა საკონსტიტუციო ცვლილებებმა დავითაშვილი იმდენად გააღიზიანა, რომ შეთავაზებულ თავდაცვის მინისტრის პოსტზეც უარი თქვა — ავტორიტარული რეჟიმის თავდაცვის მინისტრი ვერ ვიქნებიო.*

*ნაციონალურ მოძრაობაში კობა დავითაშვილს პაიკის როლი არასოდეს ჰქონია, ასე ადვილად რომ შელეოდნენ. ექსპოლიტიკურმა მდივანმა სააკაშვილს არაერთხელ გაუწია თანადგომა. ალბათ გახსოვთ, საპრეზიდენტო არჩევნების პრელუდიაზე — ადგილობრივ არჩევნებში — დავითაშვილმა ბინის საყიდელი ფული, 30 ათასი ლარიც არ დაინანა, სულ ახლახან კი აჭარაშიც თავგამოდებით იბრძოლა — ამჟამინდელ პრეზიდენტს ერთგულება საკუთარი სისხლის ფასად დაუმტკიცა. აქამდე ჩანდა, რომ ბატონი მიხეილი თანაგუნდელის თავგანწირვას აფასებდა — სიაში პირველ ნომრად ჩასვა, სტრასბურგში ვიზიტისასაც თან იახლა. ყველაფერი ეს კობა დავითაშვილს ულრუბლო პოლიტიკურ მომავალს უწინასწარმეტყველებდა. მაგრამ ასე არ მოხდა. ეტყობა, პრეზიდენტი არჩევანის წინაშე აღმოჩნდა და... როგორც თავად მიხეილ სააკაშვილი ამბობს, ეს ერთიანობისთვის გაღებული მსხვერპლი იყო. პრეზიდენტს ამ ეტაპზე ალბათ ჟვანია უფრო „საჭირო კაცად“ მიაჩნია, ვიდრე დავითაშვილი ან თუნდაც პეტრე ცისკარიშვილი. რა პოლიტიკური თამაში დაიწყო სახელისუფლებო გუნდში, რის გამოც პრეზიდენტს ერთგული ფიგურების გაწირვა უხდება, ამის გარკვევა* ***კობა დავითაშვილთან*** *ვცადეთ:*

— ერთგული მეგობრის ვალია, „მოყვარეს პირში უძრახოს“... როდესაც მიშა ცდება, ვილაცამ ხომ უნდა უთხრას. ორჯერ გვქონდა მე და მიშას საუბარი — ერთხელ ხმამაღალი, მეორედ — შედარებით წყნარი. ვუთხარი, არასწორია, როდესაც ერთი კაცის, ჟვანიას გამო იცვლება კონსტიტუცია-მეთქი. კონსტიტუცია იცვლება და მერე

**ორჯერ გვქონდა მე და მიშას საუბარი – ერთხელ ხმამაღალი, მეორედ – შედარებით წყნარი. ვუთხარი, არასწორია, როდესაც ერთი კაცის, ქვანიას გამო იცვლება კონსტიტუცია-მეთქი. კონსტიტუცია იცვლება და მერე როგორ? კონსტიტუციაში ავტორიტარიზმის ნიშნები შეაქვთ. ეს არის პარლამენტარიზმის ნიველირება, ძირს დაცემა. ჩანს, რომ ხელისუფლება აღარ ენდობა ხალხს, რომელმაც ვარდების რევოლუცია მოახდინა.**

როგორ? კონსტიტუციაში ავტორიტარიზმის ნიშნები შეაქვთ. ეს არის პარლამენტარიზმის ნიველირება, ძირს დაცემა. ჩანს, რომ ხელისუფლება აღარ ენდობა ხალხს, რომელმაც ვარდების რევოლუცია მოახდინა (შიშობს, ისინი ცუდ ხალხს აირჩევენო). ხელისუფლება არც იმ ხალხს ენდობა, რომელსაც სიაში წერს და მოსახლეობას (მთელ მსოფლიოს რომ აჩვენა კულტურის მაღალი დონე), რომელმაც ის ხელისუფლებაში მოიყვანა, ეუბნება, — დემოკრატია აღარ გვინდაო. ამ საკონსტიტუციო ცვლილებებით ხალხს ეუბნებიან — ჩვენ, პოლიტიკური ელიტა, თქვენ აღარ გენდობით. ვინც უნდა აირჩიოთ, გავლენას ვერ მოახდენს ვერც მთავრობის შემადგენლობაზე, ვერც საგადასახადო კოდექსზე, ვერც ბიუჯეტზე. ყველაფერს უკვე მთავრობა წყვეტსო. ამ ცვლილებებს მთავრობის გარეშე პარლამენტი ველარ განახორციელებს. ფაქტობრივად, პარლამენტი აღარ არის საკანონმდებლო ორგანო, ის ხდება მთავრობის დანამატი, უფრო სწორად კი ნოტარიუსი, რომელმაც ბეჭედი უნდა დაარტყას იმ კანონებზე, რომელსაც მთავრობა შემოიტანს. თუ მთავრობა ცუდად წაიყვანს საქმეს და პარლამენტი იტყვის, — ასეთი მთავრობა ნდობას არ იმსახურებსო, შესაძლოა, ისევ პარლამენტი გარეკონ. ამის შედეგად ჩვენ გვეყოლება დაშინებული პარლამენტი, რომლის წევრებს იმუნიტეტიც კი ველარ დაიცავს. როგორ გგონიათ, მოიძებნებიან ასეთ პარლამენტში დეპუტატები, რომლებიც გაბედავენ და უნდობლობას გამოუცხადებენ მთავრობას? ერთი კაცის პრემიერ-მინისტრობის გამო დემოკრატიის უდიდეს მონაპოვრებზე უარის თქმა რა საჭიროა, არ მესმის. რომ ეთქვა ვინმეს, ამა და ამის გამოა აუცილებელი დემოკრატიაზე უარის თქმაო, შესაძლოა არ დავთანხმებულიყავი, მაგრამ გავიგებდი მაინც. ახლა არ მესმის, ვერ ვიგებ, რა ხდება! ყველაფერი ეს ძალზე ცუდ შედეგს მოიტანს.

**— რას გულისხმობთ?**

— უკვე ჩანს ავტორიტარული ხელისუფლების ნიშნები. როდესაც მიბარებენ ღამის ეთერში („კურიერსა“ და „მზერაში“) და მეუბნებიან, — უკაცრავად, გადაცემის თემა შეიცვალაო (და ეთერში არ მიშვებენ) და რამდენიმე დღეში ორივე გადაცემა იხურება, რა უნდა იფიქრო? მიკვირს, რატომ არ უჩნდება იგივე კითხვა საზოგადოებას. არ ვიცი, ტელევიზიებზე მოხდა ზეწოლა თუ ეს თვითზეწოლაა, მაგრამ საპარლამენტო არჩევნების წინ პოლიტიკური დებატების ცენტრების დახურვა ძალზე სახიფათოა — დემოკრატიას ემუქრება საფრთხე და თუ ყველაფერ ამას დავუმატებთ საკონსტიტუციო ცვლილებებს, მკაფიოდ იკვეთება, რა ტენდენციაც მკვიდრდება ქვეყანაში.

**— ქვეყანაში, სადაც კორუფციის ასეთი მასშტაბია, ზოგის აზრით, მტკიცე ხელი უფრო საჭიროა, ვიდრე დემოკრატია.**

— გულწრფელად გეტყვით, მეც მეეჭვებოდა — არის თუ არა ჩვენს ქვეყანაში სოციალურ-ეკონომიკური ბაზა დემოკრატიისთვის. ხომ არ აჯობებდა ავტორიტარული რეჟიმი, რათა რეფორმები უფრო უმტკივნეულოდ გავატაროთ, ხალხი აუცილებელ რეფორმებს დაუჭერს მხარს-მეთქი. მაგრამ ხალხმა გვაჩვენა, რომ მზად არის რეფორმებისთვის. მან დაიცვა დემოკრატია, საკუთარი ხმა, ფულზე არ გაიყიდა, მსოფლიო გააოცა თავისი პოლიტიკური კულტურით, ქართველი ხალხი, თავისი შეგნებით პოლიტიკურ ელიტაზე აღმატებულია. ასეთ ადამიანებს რატომ უნდა წაართვა დემოკრატია, რად უნდა მტკიცე ხელი ისეთ ხალხს, რომელმაც ახალარჩეულ პრეზიდენტს უთხრა, ერთი იქნება თუ ორი წელი, კიდევ ავიტანთ გაჭირვებას, ვიცით, რომ ასე უცებ ყველაფერი არ გამოსწორდებაო. ასეთ ხალხს როგორ ეუბნები, — არ გენდობიო. ესაა უბედურება, რომ ხელისუფლება ხალხს არ ენდობა და... არ ენდობა თანაპარტიელებსაც. თუ თანაგუნდელებს არ ენდობი, რა გინდა პოლიტიკაში და თუ ენდობი, რის გაკეთებას აპირებ მომავალში, თუ მათი გეშინია და უფლებებს უკვეცავ? თუ ამ ცვლილებებს მიიღებენ, დარწმუნებული ვარ, ამ პარლამენტს დათხოვნა არ ემუქრება, ის მთავრობას უნდობლობას ვერ გამოუცხადებს, ხმასაც ვერავინ ამოიღებს... ამ მეთოდებით კრიზისი აღმოფხვრის ნაცვლად, უფრო გაღრმავდება.

**(გაგრძელება იხ. გვ. 13.)**

უნიკალური შეთავაზება.




გჭირდებათ დახმარება მიწასა და უძრავ ქონებაზე საკუთრების ან სარგებლობის უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციისას?

გსურთ მიწისა და უძრავი ქონების შეძენის წინ, წინასწარ გადაამოწმოთ ინფორმაცია და დარწმუნდეთ მის სიზუსტეში?

გესაჭიროებათ დახმარება მიწის ნაკვეთების შეძენისთვის დოკუმენტაციის მომზადების დროს, ან შეგექმნათ პრობლემა მიწის ნაკვეთის (უძრავი ქონების) საკუთრებასა და ფლობასთან დაკავშირებით?

**მოგვმართეთ - მიწის მესაკუთრეთა უფლებების დაცვის ასოციაციას!**

ასოციაცია გთავაზობთ შემდეგი სახის მომსახურებებს:
- ✔ მედიაცია
- ✔ იპოთეკით დატვირთვისთვის დოკუმენტაციის მომზადება
- ✔ მემკვიდრეობა,
- ✔ ყიდვა-გაყიდვისთვის დოკუმენტაციის მომზადება
- ✔ კერძო არბიტრაჟი,
- ✔ სასამართლო ინსტანციებში ინტერესების დაცვა.
- ✔ უფასო იურიდიული კონსულტაცია,

ჩვენი დახმარებით დაზოგავთ დროს და ენერგიას, თქვენი უფლება კი გარანტირებულად იქნება დაცული.

დაგვიკავშირდით, თქვენ სამსახურშია ასოციაციის ცენტრალური და რეგიონალური ოფისები: თბილისი, გაგარინის I შესახვევი, №8,
☎ 877 458 651; 899 982 809, 912 159; 931 969; ქუთაისი, 899 587 094; გორი 893 399 856; 893 336 683; ახალციხე 899 572 669, გურჯაანი 899 236 411; 899 271 912; თეთრიწყარო 899 702 192

*ირაკლი ალადაშვილი სპეციალურად „კვირის პალიტრისთვის“ ვაშინგტონიდან*

# პენტაგონში კარგად იციან, რომელი ქართველი გენერალი რითი მდიდრდება

2001 წლის 11 სექტემბრის ტრაგედიის შემდეგ საკმაო დრო გავიდა, მაგრამ პენტაგონს „ჭრილობები“ ჯერაც არ მოშუშებია — იქ კვლავ მიმდინარეობს რემონტი. იმ ფლიგელში, რომელსაც ტერორისტების მიერ დაპყრობილი „ბოინგი“ შეეჯახა, ყველაფერი აღდგენილია, მოწყობილია ხსოვნის მუზეუმი და პატარა ეკლესია. პენტაგონის ახლომახლო აკრძალულია სამგზავრო თუ კერძო თვითმფრინავების ფრენა, აქ მხოლოდ გენერლების მომსახურე შვეულმფრენებს აქვთ დაშვების ნება.

დღეს, აშშ-ის ამ მთავარ სამხედრო უწყებაში, დაბეჯითებით და მკაფიოდ ლაპარაკობენ პენტაგონის როლზე საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლაში.

პენტაგონშიც, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტისა არ იყოს, ქართველ ჟურნალისტებს გვთხოვეს, არ მოგვეხდინა ამერიკელი ოფიციალური პირების გამონათქვამების ზუსტი ციტირება; ამიტომ გაგაცნობთ იქ გამართული ძალიან საინტერესო შეხვედრების დედააზრს.

აშშ-ის თავდაცვის სამინისტროს ოთხი ძირითადი მისიის შესრულება ევალება. მათ შორის მთავარია სტრატეგიულ-ბირთვული პარიტეტის შენარჩუნება (ისევე, როგორც „ცივი ომის“ დროს) დაჩაჩანაკებულ რუსეთთანაც და გაძლიერებულ ჩინეთთანაც, რეგიონული კონფლიქტების (ახლო აღმოსავლეთი, ჩრდილოეთ კორეა) რეგულირება; არაომებში (სერბეთის მაგალითი) ინტენსიური მონაწილეობა და დღეისათვის ყველაზე აქტუალური — ასიმეტრიულ ომებში ჯერ უპირატესობის მოპოვება, შემდგომში სრული გამარჯვება.

ამერიკელმა პოლკოვნიკმა შემდეგნაირად განგვიმარტა ასიმეტრიული ომის პენტაგონისეული ხედვა: — ეს არის საბრძოლო მოქმედებები, როდესაც პატარა ძალები დიდ ძალებს განუწყვეტლივ აყენებენ მობილურ და, ხშირ შემთხვევაში, მგრძნობიარე დარტყმას. ამერიკელ სამხედროს აღარ დაუკონკრეტებია, თუმცა ისედაც გასაგებია, რომ ასიმეტრიულ ომში პენტაგონი სწორედ იმ პარტიზანულ ბრძოლას გულისხმობს, რომელიც ერაყის ტერიტორიაზე მყოფ კოალიციურ და, პირველ რიგში, ამერიკის სამხედრო ძალებს გაუმართეს ადგილობრივმა პარტიზანებმა.

პარტიზანული ომი ერაყში საკმაოდ მტკივნეულად აისახება ამერიკის საზოგადოებაზე, რადგან დღე არ გავა, რომ ტელევიზიამ არ აჩვენოს და გაზეთებმა პირველ გვერდზე არ გამოაქვეყნონ ერაყში ამერიკელი ჯარისკაცების დაღუპვის ამბები. ერაყში პარტიზანული თავდასხმების შემდეგ მზარდ ამერიკულ დანაკარგებს სათავისოდ იყენებენ პრეზიდენტობის დემოკრატი კანდიდატებიც, რომლებიც წინასაარჩევნო გამოსვლებში მიწასთან ასწორებენ ახლანდელი რესპუბლიკელი პრეზიდენტის, ჯორჯ ბუშის, პოლიტიკას ერაყთან მიმართებაში.

მაგრამ პენტაგონი მარტო ერაყში როდი უწევს კოორდინირებას ტერორიზმთან ბრძოლას (შესაძლებლობა მოგვეცა, დაგვეთვალიერებინა ფლორიდის შტატის ქ. ტამპაში მდებარე მაკდილის საჰაერო ბაზა, სადაც დგას აშშ-ის შეიარაღებული ძალების ის ცენტრალური მეთაურობა, რომელიც კოორდინირებას უწევს ერაყში მოქმედ კოალიციურ ძალებს, მათ შორის, ქართულ სამხედრო კონტინგენტსაც. აქ მოწყობილ ე.წ. „სოფელ №2“-ში სხვადასხვა ქვეყნის მეკავშირე ოფიცრები ცხოვრობენ). 1969 წლიდან მოყოლებული, აშშ-ის წინააღმდეგ ასამდე სხვადასხვა მასშტაბის ტერორისტული აქტი განხორციელდა. თეთრ სახლს შემუშავებული აქვს სხვადასხვა უწყების კოორდინირებული მოქმედება ანტიტერორისტული და კონტრტერორისტული მოქმედებების დროს, რომელშიც პენტაგონს ერთ-ერთი მთავარი როლი ენიჭება. ანტიტერორიზმისა და კონტრტერორიზმის ცნებებს ჩვენში ურევენ ერთმანეთში, თორემ ვაშინგტონს მკაცრად აქვს განსაზღვრული, რომ ანტიტერორიზმი ითვალისწინებს ტერორისტული აქტების მიმართ პრევენციულ მოქმედებას, ხოლო კონტრტერორიზმი ტერორიზმთან უშუალო ბრძოლაა. თუ საზღვარგარეთ ხდება ტერორისტული აქტი აშშ-ის წინააღმდეგ, მაშინ გამოძიებას სახელმწიფო დეპარტამენტი იწყებს. ქვეყნის შიგნით FBI ტერორისტებს ებრძვის. ქიმიური ან ბიოლოგიური იარაღის გამოყენების შემთხვევაში გამოძიებას ხელმძღვანელობს ორიოდე წლის წინ შექმნილი უშიშროების სამინისტრო. ტერორისტების დაფინანსების ქსელის გახსნა ფინანსთა სამინისტროს ევალება, ხოლო ტერორისტული აქტის საბრძოლო მოქმედების რაიონში განხორციელების შემთხვევაში გამოძიებას პენტაგონი იწყებს. გასაგებია, რომ ამერიკის საზოგადოება ასე უფრთხის ტერორიზმს, მაგრამ ქართველ მკითხველს შეიძლება ის უფრო აინტერესებს, თუ რას ფიქრობენ პენტაგონში საქართველოში ბოლო დროს მომხდარ მოვლენებზე და საერთოდ, ქართულ ჯარში არსებულ მდგომარეობაზე.



პენტაგონელი პოლკოვნიკები ჩვენს შეკითხვაზე ორაზროვნად ილიმებოდნენ, დიპლომატიური წესის გამო, არ აცხადებდნენ, თუმცა მაინცდამაინც არც მალავდნენ, რომ უკმაყოფილონი არიან საქართველოს თავდაცვის სამინისტროში გამეფებული კორუფციით და იმითაც, რომ აშშ-ის სამხედრო დახმარებები ხშირად არადანიშნულებისამებრ გამოიყენება ქართულ არმიაში.

პენტაგონში თითქმის სრული ინფორმაცია აქვთ, თუ რომელი ქართველი გენერალი კორუფციის რომელი წყაროთი მდიდრდება და იმაგრებს პოზიციებს ქვეყნის თავდაცვის სამინისტროში. მაგრამ საქართველოს სუვერენიტეტიდან გამომდინარე, ისინი აქტიურად ვერ ერევიან ჩვენს სამხედრო საქმეში, თუმცა აღნიშნავენ, რომ იმ დახმარებით, რაც დღემდე აშშ-მა ქართულ არმიას გაუწია, საქართველოს შეიარაღებული ძალები ბევრად უფრო უკეთეს მდგომარეობაში უნდა ყოფილიყო.

პენტაგონს თავისი აზრი აქვს რუსული სამხედრო ბაზების საქართველოდან გაყვანის ვადებზეც. პირად საუბარში ამერიკელი მაღალჩინოსანი ოფიცრები აცხადებენ, — ორიოდე რუსული სამხედრო ბაზის გასაყვანად სულაც არ არის საჭირო წლები, ამისთვის ორიოდე თვეც საკმარისიაო. აშშ გადაუხდის გარკვეულ თანხას რუსეთს ბათუმიდან და ახალქალაქიდან ბაზების გაყვანისთვის, მაგრამ ეს თანხები რეალური უნდა იყოს და არა ნახევარი მლრდ დოლარი (როგორც ამას რუსეთი ითხოვს). სხვათა შორის, გერმანელებმა მილიარდობით მარკა მისცეს მოსკოვს ჯარების გასაყვანად, მაგრამ საბჭოთა კავშირმა რუსეთში გაყვანილი ნაწილები მაინც სტეპებში, ღია ცის ქვეშ დაყარა და ის ფული სხვაგან მიახარჯა.

ამერიკელი სამხედროები პენტაგონში ხმამაღლა არ აცხადებენ, რომ რუსულ სამხედრო ბაზებს საკუთარს ჩაუნაცვლებენ. პირიქით, ამას უარყოფენ კიდევაც, მაგრამ დიდი ანალიზი არ სჭირდება იმას, რომ ადრე თუ გვიან აშშ-ის შეიარაღებული ძალები, რაღაც ფორმით, დაიკავებენ მუდმივი დისლოკაციის ადგილს სამხრეთ კავკასიის სტრატეგიულ რეგიონში.

## „სტრიპტიზი“ ამერიკის აეროპორტებში, ანუ „ნადირობა“ ქართულ მაკრატლებზე, როგორც ავიატერორიზმის საუკეთესო „იარაღზე“

აშშ-ის ტერიტორიაზე მგზავრობისათვის ყველაზე მოხერხებული ტრანსპორტი თვითმფრინავია და, ეტყობა, ამიტომაცაა ამერიკაში ძალზე განვითარებული ავიაქსელები; მაგრამ 2001 წლის 11 სექტემბერს ტერორისტებმა ისარგებლეს აეროპორტებში არსებული უსაფრთხოების სისტემის შეცდომებით, ოთხი სამგზავრო „ბოინგი“ იოლად გაიტაცეს და მანამდე არნახული ტერორისტული აქტები განახორციელეს.

მას შემდეგ ამერიკის აეროპორტებით მგზავრობა თითქმის კოშმარად გადაიქცა გაასკეცებული უსაფრთხოების წესების გამო. აეროპორტში მგზავრი ათი წუთით გერმანული საკონცენტრაციო ბანაკის ტუსაღს ემსგავსება, რომელსაც ჯერ ძაღლები ყნოსავენ (ერთი ნარკოტიკზეა დაგეშილი, მეორე — ტროტილის სუნზე), შემდეგ კი ხელებს გააშლევინებენ და პორტატიული მეტალმძებნით სხეულის ყველა სანტიმეტრს გულდასმით სინჯავენ. ამასთან, მგზავრს უკვე გახდილი აქვს ფეხსაცმელი. ფეხსაცმელში გამოუსვამენ სპეციალური ქიმიური ინდიკატორით გაჯერებულ ქაღალდს და ქიმიურ ანალიზატორში ატარებენ ასაფეთქებელი ნივთიერებების აღმოსაჩენად. კიდევ კარგი, რომ ამერიკას ახალნაყიდი ფეხსაცმელებით ვეწვიე, თორემ ჩემი სპეციალობის წყალობით, ძველ ფეხსაცმელზე აუცილებლად იქნებოდა რომელიმე ქართული ტანკიდან ან იარაღის საწყობიდან გამოყოლილი ტროტილის სუნი და ამერიკულ აეროპორტში ნომერ პირველ ტერორისტადაც „მომნათლავდნენ“.

თუმცა არ „გაუმართლა“ საქართველოდან წაღებულ მაკრატელს, რომელიც ხელჩანთაში მედო — იგი აეროპორტის ფხიზელმა მუშაკებმა პილოტებზე თავდასხმის რეალურ იარაღად მიიჩნიეს და ექსპროპრიაცია გაუკეთეს.

# „სარდალმა დამირეკა და კონტრაბანდული საწვავით სავსე ეშელონი გამაშვებინა“

*(დასაწყისი იხ. გვ. 6)*

**— რატომ დატოვეთ სასაზღვრო ძალების შტაბის უფროსის თანამდებობა?**

— როგორც შტაბის უფროსი, ვალდებულიც ვიყავი, დროდადრო საგუშაგოების ინსპექტირება ჩამეტარებინა. გავემგზავრებოდი რომელიმე საგუშაგოზე — სანამ ჩავიდოდი, მანამდე ვალერი ჩხეიძე დარეკავდა და გააფრთხილებდა საგუშაგოსა და კომენდატურის უფროსს — ცქიტიშვილი წამოვიდა და ზედმეტი არაფერი ანახვოთ, დოკუმენტებში არ ჩაახედოთო. საგუშაგოს უფროსებმა იცოდნენ, რომ მე „სანდო პირი“ არ ვიყავი. ერთი სიტყვით, მე და სარდალი სხვადასხვა ენაზე ვლაპარაკობდით და ან მე უნდა დამეტოვებინა სასაზღვრო ძალები, ან მას.

**— კატარღების საქმე გასაგებია, როგორც ვიცი, შვეულმფრენებიც შეიძინა სასაზღვრო ძალებმა.**

— იმ შვეულმფრენებს ზურგის სამსახურის მაშინდელი უფროსის, ლევან ტაბაღუას სიცოცხლე ემსხვერპლა. როგორც ვიცი, შვეულმფრენების საყიდლად მიშა კერესელიძე დადიოდა რუსეთში. იგი დეპარტამენტიდან რწმუნების სიგელით იყო აღჭურვილი. თუ არ ვცდები, 600 ათას დოლარად იყიდა ერთი შვეულმფრენი, ბეც დატოვა და სარდალს აცნობა. მერე ისე მოხდა, რომ დეპარტამენტმა კერესელიძის შვეულმფრენის ნაცვლად იმავე კლასისა და საფრენოსნო რესურსის მქონე შვეულმფრენი მილიონ 700 ათას დოლარად იყიდა. კერესელიძე კი გადააგდეს. იგი მგზავრობის ხარჯების ანაზღაურებას სთხოვდა ზურგის სამსახურის უფროსს. სარდალმაც გასცა ბრძანება, რომ ხარჯები აენაზღაურებინათ, მაგრამ ტაბაღუამ რატომღაც თანხა არ გასცა და კამათისას კერესელიძემ ტაბაღუა სასიკვდილოდ დაჭრა.

გენერალთან ინტერვიუს შემდეგ **გუბაზ მეგრელიშვილთან** შესახვედრად გავემართეთ. სასაზღვრო ჯარების ყოფილი თანამშრომელი ზემელზე, გამომცემლობა „სამშობლოს“ წინ გვიცდიდა. მისი განცხადებით: „საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარე და ამ სისტემის ზოგიერთი მაღალჩინოსანი მოურიდებლად ვამხილე სხვადასხვა სახის დანაშაულში. მაგალითად, დამაეჭვა სასაზღვრო ძალების ზურგის სამსახურის მიერ 50 ცალ რადიაციულ პეიჯერში გადახდილმა 75 ათასმა დოლარმა, ანუ ერთი პეიჯერი 1.500 დოლარადაა შეფასებული. არადა, როდესაც პეიჯერები იყიდეს, იმ დროს დეპარტამენტს ჰქონდა რადიაქტიური ნივთიერების გამოსავლენად ორი სტაციონარული და ოცამდე სხვა ხელსაწყო. საერთოდ, საგუშაგოებზე კავშირგაბმულობის სისტემა მოძველებულია და ბევრგან მწყობრიდანაა გამოსული. სასაზღვრო დანაყოფებს არ გააჩნიათ სარეზერვო კვების დიზელ-გენერატორები, ღამის ხედვის ხელსაწყოები, კარვები და ა.შ... საინტერესოა ერთი ფაქტიც. გადაწყდა, რომ ახმეტის რაიონის ცხენსაშენიდან თუშური ჯიშის ცხენები გვეყიდა, თითო 300 ლარად. მაგრამ გარიგება რატომღაც ჩაიშალა და დეპარტამენტმა ყულარის ცხენსაშენში იყიდა ინგლისური წმინდა სისხლის ცხენები. თითოეულში 2.500 ლარი გადაიხადეს. ამ ჯიშის ცხენები საზღვარზე უვარგისია. მოგვიანებით ის ცხენები სადღაც გაქრა. სრული განუკითხაობაა პროდუქტების შეძენის საქმეშიც. პროდუქტებს დეპარტამენტის კი არა, საშუამავლო ფირმების მეშვეობით ყიდულობენ. ეს კი პროდუქტის ფასს ერთიორად ზრდის. სამმაგ ფასად შეისყიდეს წვენები, ჯემები. ამაზე კონტროლის პალატის დასკვნაც არსებობს. მაშინ კარტოფილი ბაზარზე ბითუმად 25 თეთრი ღირდა, დეპარტამენტმა კი 47 თეთრად იყიდა. ერთი სიტყვით, ამ სფეროში უამრავი ფინანსური მაქინაცია გაკეთდა, მაგრამ დღემდე, ამით არავინ დაინტერესებულა“.

სასაზღვრო ჯარების სარდლის ყოფილი მოადგილე გელა ხუციშვილი დიდხანს ორჭოფობდა, მოეცა თუ არა ჩვენთვის ინტერვიუ საბედნიეროდ, ჩვენი შეხვედრა შედგა. **გელა ხუციშვილი:** — არ მინდა ვინმემ იფიქროს, თითქოს იმიტომ ავლაპარაკდი, რომ განაწყენებული ვარ. სასაზღვრო ძალებიდან წამოსულმა კაცმა ამ უწყების კრიტიკა რომ დავიწყო, რა გამოვა? თანაც არა მგონია, თქვენს სტატიებს შედეგი მოჰყვეს(?!). დიდი-დიდი, ერთი „ლიფსიტა“ გაწირონ — მაგალითად, შტაბის უფროსი კორნელი სალია. კომპრომატები მასზე კარგა ხანია შეგროვებული აქვთ. რამდენიმე წელია ამ სისტემაში არ ვმუშაობ. სარდალმა ფინანსური საქმიანობის დოკუმენტაციას არ გამაკარა და ამიტომ თქვენთვის საინტერესო რესპონდენტი ვერ ვიქნები. მე საქართველოს საზღვრის სამართლებრივი მოწყობის საკითხებსა და საერთაშორისო ურთიერთობებში სარდლის მოადგილე ვიყავი.

**— ჰოდა, საქართველოს საზღვრის სამართლებრივ მოწყობაზე ვისაუბროთ. ჩემი ინფორმაციით, საქართველოს საზიანოდ აქაც უამრავი გაუმართლებელი დათმობა მოხდა.**

— სწორედ საქართველოს საზღვრის დაცვას გადამაყოლეს. საქართველოს ტერიტორიის ერთი გოჯის დათმობას არ ვაპირებდი. გახსოვთ ალბათ 1999 წელს რა აურზაური ატყდა პრესასა და ტელევიზიაში, როდესაც რუსმა მესაზღვრეებმა ხევსურეთში, შატილთან საზღვარი საქართველოს ტერიტორიაზე 1.700 მეტრით გადმოსწიეს. ეს ტერიტორია და იქ არსებული სიმაღლეები სტრატეგიული მნიშვნელობის იყო (ამაზე „კვირის პალიტრა“ წერდა). აქედან აკონტროლებენ არღუნის, მუცოსა და არხოტის ხეობებს. ამასთან, მცირემიწიანი ხევსურეთისათვის ყოველ მეტრ მიწას დიდი მნიშვნელობა აქვს და რაც მთავარია, საზღვრის უკანონოდ გადმოწევა სხვა არაფერი იყო, თუ არა საქართველოს ტერიტორიის უცხო ქვეყნის სამხედრო ძალების მიერ მიტაცება. ამით საქართველოს სამუდამოდ ეკარგებოდა პირიქითა ხევსურეთის მნიშვნელოვანი ნაწილი. დიდი აურზაურის შემდეგ რუსმა სამხედროებმა უკანონოდ მიტაცებული ქართული ტერიტორიის ნაწილი დათმეს, მაგრამ საზღვრის ძველ ადგილზე არ დაბრუნდნენ, მიითვისეს სოფელი ფიჭვნი თავისი მიმდებარე ტერიტორიით.

პირაქეთა ხევსურეთისა და არხოტის ხეობის თემის გამგებელი **მირზა ჭინჭარაული:** „გელა ხუციშვილის წყალობით რუსებმა პირიქითა ხევსურეთი კარგა ხანს ვერ ჩაიგდეს ხელთ. ხუციშვილმა საზღვარზე სიმაღლეები მონიშნა და იქ სასაზღვრო საგუშაგოები გახსნა. შვეულმფრენით სისტემატურად აკონტროლებდა საზღვრის ამ მონაკვეთს. მერე კი სარდალმა ბრძოლა გამოუცხადა და პირიქითა ხევსურეთის დიდი ნაწილიც რუსებს დაუთმო, თითქოს მამამისის ქონება ყოფილიყო. ამ ტერიტორიის დაკარგვით შატილს არსებობის წყარო დაეშრიტა. ზამთრობით შატილში საქონლის გამოზამთრება შეუძლებელია და ხალხს საქონელი პირიქითა ხევსურეთში გადაჰყავდა გამოსაზამთრებლად“.

საუბარს კვლავ **გელა ხუციშვილი** აგრძელებს: — პირიქითა ხევსურეთის დაკარგვას მხოლოდ ვალერი ჩხეიძეს ვერ დავაბრალებთ, ეს ჩვენი უვიცობისა და დაუდევრობის შედეგიცაა. ეს იმათი ბრალია, რომლებმაც 1999 წლის 21 მაისს ხელი მოაწერეს ქართველი და რუსი ექსპერტების ოქმს და საზღვარმა ხევსურეთის საზღვრის მონაკვეთის მთელ პერიმეტრზე 750 მეტრით საქართველოსკენ გადმოინაცვლა. ქართველ ექსპერტთაგან ოქმს ხელი არ მოაწერეს პროფესორმა კეკელიამ და მელაშვილმა. სამაგიეროდ, ხუთმა მოაწერა. თუმცა ეს ოქმი არ ყოფილა გადამწყვეტი, რომ პირიქითა ხევსურეთი დაგვეკარგა. როდესაც პარლამენტში ეს საკითხი იხილებოდა, ვალერი ჩხეიძემ სასწრაფო დავალებით სვანეთში გადამაფრინა და თან სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საიდუმლო პაკეტი გამატანა. „საიდუმლო“ პაკეტში სასაზღვრო საგუშაგოების მორიგეობის სია იყო მხოლოდ. სარდალმა ოსტატურად მომიშორა თავიდან, როდესაც საქართველოსთვის მნიშვნელოვანი საკითხი წყდებოდა.

**— როგორც შევიტყვეთ, საქართველოს უკანასკნელ წლებში მხოლოდ პირიქითა ხევსურეთის მნიშვნელოვანი ნაწილი არ დაუკარგავს.**

— დიახ, სამწუხაროდ ასეა. ოფიციალურად ვსვამ კითხვას, მაგალითად, რატომ გაჭიანურდა ასე აზერბაიჯანთან საზღვრის გაფორმება წითელი ხიდის მიდამოებში და რატომ გავაფორმეთ ასე სწრაფად საქართველოს ყოფილ ტერიტორიასთან, საინგილოსთან საზღვარი? რატომ დაიწყეს ახალი ხიდის მშენებლობა ხრამის მარჯვენა და არა პროექტში მითითებულ მარცხენა სანაპიროზე? ამით საქართველომ 400 ჰექტარზე მეტი ტერიტორია დაკარგა.

**— უკრაინაში შესყიდულ კატარღებზე რას მეტყვით?**

— სულ სამი კატარღა იყო საჭირო საქართველოს საზღვაო-სასაზღვრო პერიმეტრის გასაკონტროლებლად. გაუგებარია, რატომ იყიდეს უკრაინული ჯართი. თუმცა ამ ფინანსურ მაქინაციას მხოლოდ სარდალს ნუ დავაბრალებთ, დამნაშავეები უფრო ზემოთ უნდა ვეძებოთ. საქართველოს უშიშროების საბჭოს უნდა ჩაეტარებინა აუდიტი და დაედგინა, რა ტექნიკა იყო შეძენილი და რატომ შეიძინეს უვარგისი კატარღები. უშიშროების საბჭო უნდა დაინტერესებულიყო ამერიკელების დახმარებითაც, რომელიც 12 მილიონ დოლარს შეადგენდა და ეს თანხა თითქმის გაქრა.

**— გამოდის, რომ კორუფცია უშიშროების საბჭოშიც ყვაოდა.**

— ამის დამტკიცება არ შემიძლია, რასაც ვამბობ, მხოლოდ ლოგიკასა და ვარაუდებს ვეყრდნობი...

P. S. ქართველი მესაზღვრეების განცხადებით, თუ ახალ ხელისუფლებას უნდა ბიუჯეტი ყოველთვის შესრულებული ჰქონდეს, კონტრაბანდასთან ბრძოლა საზღვარზე უნდა დაიწყოს. თორემ, როდესაც კონტრაბანდა საზღვარს გადმოკვეთს, მერე ყველა ღონისძიება უშედეგოა. ვფიქრობ, საქართველოს სასაზღვრო სისტემა სასწრაფო რეანიმაციასა და ხანგრძლივ მკურნალობას მოითხოვს, სახელმწიფო ხომ საზღვრიდან იწყება. აქვს კი დღეს საქართველოს (რეალურად) საზღვრები?!

*ზვიად ჩაკვეტაძე*

# დატყვევებული გამტაცებელი

## „ჭირვეული მეზობლები“

მაშ ასე, 1991 წლის 27 იანვარს ხელისუფლების გაუგებარი გადაწყვეტილების საფუძველზე ქართველმა ძალოვნებმა დატოვეს ცხინვალი და დღემდე ამ ქალაქს და მის მიმდებარე ტერიტორიას ოსური მხარე აკონტროლებს. ბუნებრივია, დიდი მეზობლის — რუსეთის აქტიური სამხედრო და პოლიტიკური მხარდაჭერითა და კარნახით. ცხინვალში სახელმწიფო პოლიტიკად ჰქონდათ დასახული ქალაქის ქართველებისგან დაცლა. იმ პერიოდში ქართული ტერიტორიებიდანაც იყრებოდა ოსური მოსახლეობა. თუმცა მათი ერთი ნაწილი მცირე ხნის შემდეგ კვლავაც თავის ადრინდელ საცხოვრისს დაუბრუნდა. მათ შორის იყო გორელი მერაბ გაბარაევის ძმა ნოდარიც (გვარსახელები აქ და შემდგომშიც შეცვლილია), რომელმაც სამი თვეც ვერ გაძლო „თავისიანებთან“, ვლადიკავკაზში ახლა ძმას ემუდარებოდა სადმე მანდ, გორში, შენს მეზობლად იქნებ მაყიდვინო სახლი, თანაც რაც შეიძლება სწრაფად, თორემ აქ ვერ ვიცხოვრებო. მერაბმაც, რაკი მეზობლად სახლს არავინ ყიდდა, მოშორებით, გვერდიგვერდ შეიგულა ორი სახლი — თავისთვის და ძმისთვის. თავისი სახლიც გაყიდა და დღე-დღეზე ფულსაც ელოდებოდა. მართალია, გული კი სწყდებოდა ბავშვობის დროინდელი საბუდარი რომ უნდა დაეტოვებინა, მაგრამ იქ სახლიც უკეთესი იყო, ადგილიც და რაც მთავარია, ძმის გვერდით იცხოვრებდა. ეს კი ამ არეულ დროში უსაფრთხოების გარანტიასაც გულისხმობდა და ამისთვის ანგარიში უნდა გაეწია. თუნდაც ჯერჯერობით, ვიდრე არ ჩაცხრებოდა ყურით მოთრეული ეს უაზრო კონფლიქტი. მართალია, ძველ სამოსახლოზეც ჰყავდა მეზობლად ოსი ანზორ თედეევი, მაგრამ ბოლო ხანებში ანზორს რაღაც-რაღაცები შეეშალა და მაინცდამაინც აღარ ენდობოდა. ამიტომ, რაკი ეჭვი გაუჩნდა, ერთი სული ჰქონდა, დროზე გასცლოდა მეზობელს. თითქოს ახლა აღმოაჩინაო, მერაბის კუთვნილ შპალერის საამქროს დაადგა თვალი და დღედაღამ უმეორებდა — შენ რა გიჭირს, ამოდენა წარმოება გაქვსო, რაც აქამდე არც ერთ ქართველს არ უკადრია. მით უმეტეს, ვინ-ვინ და ანზორმა ხომ იცოდა, რაც აქაურობა აირია, ვიღას უნდოდა მერაბის შპალერი. საამქროც უქმად იყო და თვითონაც. რაც მართალია, მართალია, აქამდე არც არავის შეუწუხებია — ოსი ხარ და აქაურობას მოშორდიო. ქალაქსა და უბანში სიტყვა ეთქმოდა და პატივსაც სცემდნენ...

ახლა კი ის იყო, სახლის მყიდველმა ფული მოუტანა, ნახევარ საათში დაადგა თავზე აქაური ძველი ბიჭი, „ტატოვიჩად“ ცნობილი გელა ვარაზიშვილი. მანქანაში მიიპატიჟა — შენს ძმას ვლადიკავკაზიდან შემოუთვლია — რას შვრები, საჩემო სახლი შეიგულე თუ არაო და აგერ, ეს იქაური კაცი გაახლა. შენს ძებნაში ეს კაცი მე მომადგა და პატივი ვეცი, შენამდე მოვყევი. ისიც ვუთხარი, რომ ნოდარისათვის სახლი შეგულებული გაქვს და მთხოვა — თუ ასეა, ბარემ მანახვეთ, რომ ჩავალ, გავახარებო.

მერაბს არც „ტატოვიჩის“ დანახვა გახარებია და არც ვლადიკავკაზელი თვისტომის, მაგრამ სტუმარს ამას ხომ არ აგრძნობინებდა. „ტატოვიჩის“ მანქანაში ჩაჯდა. უბანს ცოტა რომ მოშორდნენ, იმ ვლადიკავკაზელმა პისტოლეტი მიაბჯინა და აიძულა, ისე მოხრილიყო, რომ გარედან არავის შეემჩნია მანქანაში მისი ყოფნა. გზაში თვალებიც აუხვიეს და არც მას შემდეგ შეუხსნიათ, როცა სადღაც, აშკარად მშენებარე სახლში შეაგდეს, რადგან ფეხებქვეშ ერთიანად ირყეოდა ჯერ ისევ დაულურსმავი იატაკი და ოთხივე მხრიდან უბერავდა გამჭოლი ქარი. მერაბს ხელ-ფეხი ჯაჭვით მიუბეს ერთმანეთზე, მერე იმ ჯაჭვითვე გამოაბეს რაღაცას. პირიც აუკრეს და სადღაც გაუჩინარდნენ.

შემოდგომა იყო. ღამით ისე ციოდა, ძაღლი არ გაიგდებოდა გარეთ. გამთენიისას, როცა გამტაცებლებმა ტყვეს მიაკითხეს, საბრალო ისეთი გათოშილი იყო, ჯაჭვი რომ შეხსნეს, ძლივს გაიშალა წელში. მერე თავზე ტომარა ჩამოაცვეს, ვიღაცამ ჩაილაპარაკა — რა იქნება, ურბნისის შესასვლელში რომ დავკიდოთ ხეზეო. — შვილები ჰყავს მისახედი, ისინი არიან ცოდვა, თორემ ამას მეც სიამოვნებით გავიმეტებდი მიქელ-გაბრიელისთვისო, გაეპასუხა მეორე.

— მაშინ ფული დავაწეროთ. ნახევარ მილიონ მანეთს თუ გადაიხდის, გავუშვათ, არა და მართლა გზის პირას დავკიდოთ. ეს არც ისე დიდი ფულია და საამქროს პატრონს არ უნდა გაუჭირდეს ამის გადახდა. საინტერესოა, თვითონ რას იტყვის?

რას იტყოდა პირაკრული კაცი, რომელსაც ტომარაც ჰქონდა თავზე ჩამოცმული. კიდევ კარგი, ვიღაცას გაახსენდა და პირი აუხსნა, თორემ იხრჩობოდა უბედური. ჯერ შესაბრალისად დაიღმუვლა, მერე ისე ამოისუნთქა, გეგონებოდათ, ფილტვები ამოატანაო. ღამით გაცივებულიყო და ძლივს სუნთქავდა. რაკი პირი გაუხსნეს, უფრო და უფრო მოუხშირა სუნთქვას. იგრძნო, რომ ძარღვებში გაყინული სისხლი აუმოძრავდა.

გუშინვე მიხვდა, გამოსასყიდის მიღების მიზნით რომ გაიტაცეს, მაგრამ სახლის გაყიდვის ამბავი თედეევის მეტმა არავინ იცის. შპალერის საამქრო კი წელიწადზე მეტია, რაც გაჩერებულია. მაშინ რა ფულს ითხოვენ? პირველი ეს იყო, რაც მოიფიქრა. მას შემდეგ კი, რაკი ღრმად შეისუნთქა მაცოცხლებელი ჰაერი, ამ კითხვის მეორე ნაწილი ხმამაღლა გაუმეორა გამტაცებლებს.

— წუწუნს მორჩი და ცოტა დაფიქრდი, რაებს მიჰქარავ. ჯერ ერთი, ჩემი სამი ტონა ვაშლი გმართებს და მესამე წელიწადია მატყუებ, გაგისტუმრებო. მთელმა გორმა იცის, სახლი რომ გაყიდე, — ეს „ტატოვიჩი“ იყო. ჩანდა, ის აღარ ხუმრობდა, რაკი ასე აშკარად, შეუნიღბავად მოქმედებდა. არც არაფრისა ეშინოდა. ის სამი ტონა ვაშლი სადღა გაახსენდა. კი, მართალს ამბობდა, მაგრამ მერაბს კარგა ხანია დაავიწყდა ამ ვალის არსებობა (რაც მართალია, მართალია, ეს ნაკლი ჰქონდა). ამას კიდევ მოევლებოდა, მაგრამ სახლის გაყიდვა? უფრო სწორად, გუშინ რომ ფული მომიტანეს, ეს იციან, მაგრამ ნუთუ ანზორმა გამყიდა? არ უნდოდა ამის დაჯერება, მაგრამ როცა უთხრეს — ახლა წერილი დაწერე ვინმე შენი მეზობელი ოსის სახელზე, რომელსაც ენდობიო — იმ წამიდან ირწმუნა, რომ მისი ჩამშვები სწორედ ანზორი იყო და მის მიმართ არც ძველი, აქამდე არსებული ეჭვები ყოფილა საფუძველს მოკლებული.



შემოდგომა იყო. ღამით ისე ციოდა, ძაღლი არ გაიგდებოდა გარეთ. გამთენიისას, როცა გამტაცებლებმა ტყვეს მიაკითხეს, საბრალო ისეთი გათოშილი იყო, ჯაჭვი რომ შეხსნეს, ძლივს გაიშალა წელში. მერე თავზე ტომარა ჩამოაცვეს, ვიღაცამ ჩაილაპარაკა — რა იქნება, ურბნისის შესასვლელში რომ დავკიდოთ ხეზეო. — შვილები ჰყავს მისახედი, ისინი არიან ცოდვა, თორემ ამას მეც სიამოვნებით გავიმეტებდი მიქელ-გაბრიელისთვისო, გაეპასუხა მეორე.

ხმაც არ ამოუღია, ან რაღა უნდა ეთქვა, პირდაპირ კარნახობდნენ, შუაკაცად ანზორს ვითხოვთო და მანაც დაწერა:

„ძმაო ანზორ, ხომ იცი ჩემს სამეზობლოში შენზე ახლობელი არავინ მყავს. ჩემი სიცოცხლე ბეწვზე ჰკიდია. გამტაცებლები ნახევარ მილიონ მანეთს მთხოვენ. მიდი ანგელინასთან, მოისესხოს და შენ გადმოგცეს. ესენი თვითონ მოგაკითხავენ. მერაბი.“

ახლა ზრდილობის გულისთვის ერთი დღე მაინც უნდა ეცლიათ, მაგრამ ანზორ თედეევს ამ ერთი დღის გაცდენაც არ უნდოდა. ამას წინათ თბილისიდან მომავალმა გზაზე მანქანა დაამტვრია და საქადაგიანოში თავის ძველ ნაცნობს, ყოფილ რეციდივისტს, ვინმე წითურიძეს დაუტოვა გასაკეთებლად. ამ კაცს იგი ადრინდელი პატიმრობის დროიდან იცნობდა და ახლა სხვათა შორის ჰკითხა — რამედ რომ ღირდეს, ისეთ საქმეს თუ მომცემდიო და წითურიძემაც დაუფიქრებლად მიუგო — მე თვითონ ისე ვარ დაშლილი სახსრებში, ლოგინიდან წამოდგომასაც ველარ ვახერხებ, თორემ თვითონაც სიამოვნებით მოვიტაცებდი ჩემს მეზობელს, ალა ნურად-ოღლის. ბევრს ვერა, მაგრამ ორას ათას მანეთს კი გადაიხდიან მაგისიანები. დარწმუნებული ვარ, გამოსასყიდს ჩემთან მოიტანენ. ჰოდა, თუ გამკეთებელი ხარ, უკეთეს საქმეს სად იშოვი, ოღონდ იცოდე, მეოთხედი ჩემია...

იმავე დღეს, საღამოს, ანზორმა მერაბის წერილი მის მეუღლეს, ანგელინას გადასცა. ქალმა იმავე წამს მთელი სამეზობლო შეყარა და ხმამაღლა წაიკითხა წერილი, მერე ანზორს მიუბრუნდა და დაუფარავად უთხრა: — ასეა თუ ისე, ამ გარეწრებს ხომ არ შევატოვებ ქმარს. რაღაცას მოვაგვარებთ, მაგრამ შენი წილი ასი ათასი უნდა დააკლო, ანზორ, ოთხასი ათასს კი ხვალ ან ზეგ მიიღებ. ანზორს უნდოდა შეჰკამათებოდა — მე რა შუაში ვარო, — მაგრამ ქალმა ირონიულად გაუღიმა. მერე მაცდურად თვალი ჩაუკრა, რითაც აგრძნობინა, ეგ საქმე შენი ნაჩალიჩარიაო და ისე აქცია ზურგი, თითქოს ვიღაც ქუჩის მაწანწალას ელაპარაკებოდა. თუმცა, რაკი გადასახდელი თანხა დასახელდა, აღარც ანზორი გამოსდევნებია. იცოდა, ამ ფულიდანაც მიიღებდა წილს და ნადავლი რომ უფრო ხელშესახები გამხდარიყო, თავის მუდმივ პარტნიორს, არჯევან ასტახიშვილს უხმო და დილაადრიან საქადაგიანოს გზას დაადგა. გზაში მათ თავისი მანქანით „ტატოვიჩიც“ ელოდებოდა.

## დამნაშავეს არა აქვს ეროვნება

ალა ნურად-ოღლი ხანდაზმული კაცი იყო. შვილებითა და შვილიშვილებით სავსე ოჯახი ჰყავდა და რაკი შრომა არავის ეზარებოდა, სოფლის პირობაზე შეძლებულად ცხოვრობდნენ. წელთა სიმრავლის მიუხედავად, არც თვითონ იყო უქმად. იმ დილითაც ცხვრები წინ გაიგდო და ატმის ხეივანს ზემოთ, ფერდობზე აძოვებდა. ანზორ თედეევი, „ტატოვიჩი“ და არჯევან ასტახიშვილიც იქ ელოდნენ თავიანთ მსხვერპლს. ტანმჩატე მოხუცს პირი და ხელები გაუკრეს და მანქანის საბარგულში შეტენეს. მერე კი იმ სახლის სარდაფში ჩააგდეს, სადაც გუშინ, ნაშუადღევს, მერაბ გაბარაევიც გადმოეყვანათ. თუმცა თვალახვეულებს და ჯაჭვით დაბმულებს ერთმანეთი არ უნახავთ, მით უმეტეს, რომ მათ ერთმანეთისგან ბეტონის სქელი კედელი ჰყოფდა. თუმცა მერაბი ხმაურზე მიხვდა, რომ კედლის იქით, მასავით მოტაცებული დააბეს. მერე მომტაცებლები რომ გაეცალნენ, რამდენჯერმე შეეხმიანა კიდეც უცნობს, მაგრამ ის უბედური ეტყობა ისე იყო შეშინებული, რომ ხმას ვერ იღებდა. დილით, ვიდრე ვინმე შემოიხედავდა, მერაბმა იმდენი მოახერხა, რომ ჯაჭვი შეიხსნა, თვალებზეც მოიხსნა სახვევი, სარდაფის ფიცრული კარი გაანგრია და შეეცადა, გაქცევით ეშველა თავისთვის, მაგრამ სახლის პატრონმა შენიშნა, ცოლს გასძახა, ნაჯახი დამაწიეო და გაქცეულს გამოუდგა. თან ყანებში მოფუსფუსე გლეხებს გასძახოდა, დაიჭირეთ, ცოცხალი არ გაუშვათო. შეშინებულმა მერაბმა, რომელმაც არ იცოდა, ვის გადაეყრებოდა და შველის ნაცვლად შეიძლება მოეკლათ კიდეც, უკან დაბრუნება არჩია. სამაგიეროდ, მხოლოდ ცემა აკმარეს. მით უმეტეს, რომ იცოდნენ, მის გამოსასყიდს დღეს ან ხვალ მიიღებდნენ. იმ საღამოს მართლაც შედგა ტყვის დაბრუნება გამოსასყიდის სანაცვლოდ, რომელსაც ზედმეტი ეჭვების თავიდან აცილების მიზნით ანზორ თედეევმა თვითონ ხელი არ ახლო და მერაბის ცოლს ურჩია, შენი მულის ქმარს, მიშა შაშიაშვილს მიეცი. ქართველი კაცია და უფრო დაეჯერება. გამტაცებლებს კი მე შევახვედრებო და ერთ საათში ყველაფერი დამთავრდა კიდეც. ის გლეხები კი, მერაბმა გაქცევისას მიახლოება რომ ვერ გაბედა, მიხვდნენ, რაც ხდებოდა. იფიქრეს, იმ საცოდავ ტყვეს ღამით გავათავისუფლებთო და ასეც მოიქცნენ. სახლის პატრონის მალულად შუაღამისას გახსნეს სარდაფის კარი, მაგრამ იქ მერაბის ნაცვლად პირაკრული და ჯაჭვებით დაბმული ალა ნურად-ოღლი აღმოაჩინეს. გაათავისუფლეს, უთხრეს სადაც იყო და ნაშუაღამევს ხაშური-თბილისის გზაზე დატოვეს. სამი დღის ნაშიმშილები ალა გამთენიისას ვიღაც მადლიანმა მძღოლმა ჩაისვა და სახლში ჩაიყვანა.

ჩვენს ნაცნობს, საქადაგიანოელ წითურიძეს მართალია აწუხებდა სახსრები, მაგრამ შავი სამყაროს ადათ-წესები მშვენივრად ახსოვდა და ერთ დილით, ალა რომ თავის ეზოში ნახა, იფიქრა, გამოსასყიდი ალბათ სხვა არხებით გადაიხადა და დღეს თუ არა, ხვალ ჩემს წილსაც მომიტანენო. სამი დღე რომ გავიდა და არავინ გამოჩნდა, გორში ჩააკითხა „ტატოვიჩს“ — მე შენ საქმე მოგეცი, წილს რატომ არ იძლევიო.

„ტატოვიჩმა“ გულზე ხელი დაიდო, — ღმერთი, რჯული, სახლიდან გაგვექცაო. წითურიძე ბებერი რეციდივისტი გახლდათ. ცოტა ხანს უყურა, მერე წამოდგა და მოკლედ მოუჭრა — არ მაინტერესებს, გაიქცა თუ გაუშვით, ჩემს წილ ორმოცდაათ ათას მანეთს ამ საღამოს სახლში მომიტანთო და სასწრაფოდ დატოვა იქაურობა. სხვა რა გზა ჰქონდა „ტატოვიჩს“. იცოდა, „ბებერი მგელი“ ამას არ აპატიებდა და საღამოსვე გაატანა ფული ანზორ თედეევს — შენ გადამკიდე ამ შარს და შენვე ეახელი იმ შენს ძმაკაცსო.

ანზორმა ფული კი მისცა წითურიძეს, მაგრამ ვერ მოენელებინა, როგორ გააცურა ამ მჭლე მოხუცმა ამდენი ხალხი. ორი დღის მერე ისევ საძოვარზე შეხვდა ალას ანზორ თედეევი. კარგად იცოდა, რომ ჯაჭვებით დაბმული მოხუცი იმ ყიამეთში თავს თვითონ ვერ დაიხსნიდა — უეჭველია, ის ვიღაც მეზობელმა გააპარა. სწორედ ამ მომენტით ისარგებლა ახლა — იმ ღამეს რომ შემპირდი, სამაგიეროს გადაგიხდიო, აგერ მოვსულვარ და მაინტერესებს, რას იკისრებო.

ალას ის ღამე კი კარგად ახსოვდა, მაგრამ თავისი მშველელი ხალხის სახეები სიბნელის გამო არც დაუნახავს და იფიქრა, ერთ-ერთი მათგანია, ვინც ტყვეობიდან გამომიხსნაო და გაუხარდა.

— აგერ, — უთხრა, — წყვილი ჭედილა ამოარჩიე და ფეშქაში იყოსო, — მაგრამ ანზორმა თავი შეაცოდა.

— თქვენმა მომტაცებლებმა გაგვიგეს, რომ ჩვენ გაგაპარეთ და ახლა ფულს გვთხოვენ, ასი ათას მანეთს თუ არ ჩავუტან, ცოლ-შვილს ამომიწყვეტენ და ამიტომაც ჩამოვედი, თორემ ამ საქმეს როგორღა შეგახსენებდიო. შორსმჭვრეტელი კაცი იყო ალა ნურად-ოღლი. ცხოვრებასა და ადამიანებს კარგად იცნობდა და არც ისე ადვილად გასაცურებელი იყო, ანზორს რომ წარმოედგინა. ალამ ერთხელ კიდევ აათვალიერ-ჩაათვალიერა სტუმარი. ერთადერთი, რაც მან თავისი გამტაცებლების შესახებ იცოდა, ის იყო, რომ ერთ-ერთ მათგანს ტყავის ქურთუკი ეცვა, რომელსაც ზემოდან მეორე ღილი აკლდა. ეს მან ნილბოსნებთან პირველსავე შეხვედრაზე დააფიქსირა, ვიდრე თვალებს აუხვევდნენ. ახლაც მის წინ სწორედ ასეთ ქურთუკში გამოწყობილი კაცი იდგა. რა თქმა უნდა, შეიძლებოდა ეს უბრალო დამთხვევაც ყოფილიყო, მაგრამ ალამ ისიც იცოდა, რომ მტრის ამოცნობა მხოლოდ ამ გზით შეეძლო და ახლა უკვე თავს ველარ პატიობდა, რატომ თავიდანვე ამ ნიშანზე არ გავამახვილე ყურადღებაო.

## ალას გაკვეთილები

— თუ აგრეა, ჩემ გამო შენ რატომ უნდა დაისაჯო. წავიდეთ ჩემთან, სადაცაა მზე ჩავა. ახლა ჩვენ მსხვერპლშეწირვის დღესასწაული, ყურბან ბაირამი გვაქვს. მზის ამოსვლიდან ჩასვლამდე ჭამა და გართობა არ შეიძლება, მერე კი რამდენიც გინდა, იმდენი სვი და ჭამე. ამაღამ შენ იქნები ჩვენი ოჯახის ქეიფის მიზეზი, მერე კი ფულსაც ჩაგითვლი. ნუ შემედავები, ყველაფერს თავისი წესი აქვს, მით უმეტეს, მორწმუნეთა შორის.

— მეც მუსლიმანი ვარ, მაგრამ სადღაა, ძიაკაცო, ან რჯული, ან ადათი. ყველაფერი გადაგვავიწყეს, ყველაფერზე ხელი აგვაღებინეს ულმერთო კომუნისტებმა — სიცოცხლეში პირველად გულწრფელი იყო ანზორ თედეევი.

— რომ ეთქვათ, შენი წინაპრები, ცოლიც და შვილიც დაივიწყეო, იზამდი ამას? კაცს თუ გულით უნდა იწამოს, არც ალაჰს დაივიწყებს ვინმეს შიშით და რიდით და არც თავის წარმომავლობას. მუსლიმანი თუ ხარ, კარგ ადგილზე მოსულხარ. მე და შენ ყურანშიც ჩავიხედავთ ალბათ. წავედით...

ყაურმას ისეთი სურნელი ასდიოდა, ანზორს ერთი სული ჰქონდა, როდის მორჩებოდა ლოცვას მასპინძელი. მამაკაცები ცალკე, ქალების გარეშე ვახშმობდნენ. ხორცს შირინ-ჩაი და ნამცხვარიც მოაყოლეს ქალებმა და ის იყო, ანზორი ფულის მისათვლელად მოემზადა, რომ ალას ვაჟებმა მამის გადაწყვეტილება აუწყეს:

— ალას ეჭვი ჰქონდა, რომ სწორედ შენა ხარ ერთ-ერთი გამტაცებელი. მან ამის დამადასტურებელი ნიშანი თვითონ დაადო შენს ქურთუკს და ახლა თავისი თვალით იხილა იგი (ეს, რა თქმა უნდა, ფანდი იყო და გაჭრა კიდეც). ასე რომ, ეს ეჭვი კი არა, ბრალდებაა. გვირჩიე, როგორ მოვიქცეთ. ახლა დიდი დღესასწაული გვაქვს და ალაჰი არ გვაპატიებს მძიმე ცოდვის ჩადენას, თორემ...

ეს სიტყვები ისე მრავალმნიშვნელოვნად ჩამარცვლა ალას უფროსმა ვაჟმა, რომ აქამდე ვითომ მაგარ ბიჭს, ანზორ თედეევს თავისივე ძვლების მსხვრევის ხმა მოეყურადა. სიტყვაც ვერ დაძრა თავის გასამართლებლად.

— არც ასეა საქმე, — ცეცხლზე ნავთი დაასხა ალამ, — ალაჰი ყოვლისშემძლეა. მგონი დიდ ცოდვად არ ჩაგვეთვლება, თუ სამაგიეროს მივუზღავთ მტერს. ვიმეორებ, მხოლოდ სამაგიეროს და მეტს არაფერს. ამიტომ ახლავე ზუსტად ისე გაბაწრეთ, როგორც მე ვყავდი იმ სამ დღეს. პირიც აუკარით, რომ არ იღრიალოს, მაგრამ თვალებს ნუ აუხვევთ და გომურში შეაგდეთ. მაგათი ფარლალალა სადგომისაგან განსხვავებით იქ, ცხვრებთან, თბილა და არ შესცივდება. სამი დღე ჩემსავით უნდა გაშიმშილო, ურწმუნო მუსლიმანო, მერე კი ვნახოთ. ეს ვახშამი ჩვენი ფეშქაში იყოს მხოლოდ იმისთვის, თავი რომ არ გვაძებნინე და შენი ფეხით მოხვედი. ახლა კი ძილი ნებისა. ჩემი ბიჭები იფხიზლებენ ღამლამობით. ვნახავთ, ვინ მოგაკითხავს.

ანზორ თედეევს სამი დღე-ღამის განმავლობაში მხოლოდ ორჯერ დაალევინეს წყალი. ეს იყო და ეს. მეოთხე საღამოს კი რაღაც სალაფავით დააპურეს და მერე ალას მიჰგვარეს.

— აქამდე ველოდე, მუსლიმანო, შენიანების გამოჩენას. არავინ რომ არ მოვიდა, დავრწმუნდი, რომ ქურდულად მოქმედებ და შენს ხალხსაც ატყუებ. ეგ შენი ნებაა და მე ვერ გაგასამართლებ, მაგრამ ის კი ვიცი, რომ შენნაირები ამ მიწას ამძიმებენ. კიდევ ორ დღეს გაგაჩერებ და მერე გაგიშვებ. შენი გამოსასყიდი მე არ მჭირდება. პირობა კი ასეთი იქნება — ორ კვირაში უნდა დატოვო საქართველო, ცოდვაა ეს ქვეყანა, თავისი გლახებიც მოუმრავლდა, სხვისი რაღად უნდა ათრიოს.

## ბოლოთქმა

უბანში ხმა დაირხა, ანზორ თედეევი მერაბ გაბარაევის ქართველ ცოლისძმებს გაუტაციათ სამაგიეროს გადახდის მიზნითო და ყოველ წუთს ფულის მოთხოვნას ელოდნენ, მაგრამ ამაოდ. სამი დღის შემდეგ დაასკვნეს, ალბათ გაუძალიანდა, მოკლეს და სადმე დამარხესო. თუმცა ამაზე მხოლოდ მეზობლები და ნათესავები წუხდნენ, თორემ ვისაც ეხებოდა, ანუ პოლიცია, ყურსაც არ იბერტყავდა. ანზორიც მათი ჩარევის (ასევე გამოსასყიდის) გარეშე, თავისი ფეხით დაბრუნდა შინ. ერთიანად ცხვრის სუნი უდიოდა, თუმცა კრინტი ვერ დააძვრევინეს, სად იყო, რას აკეთებდა ამ დღეების მანძილზე. ერთადერთი, რაც ძლივს ამოთქვა მეორე დღეს, ის იყო — ბარგი ჩაალაგეთ, ვლადიკავკაზში უნდა გადავსახლდეთო.

მერაბ გაბარაევმა ორი დღით დაასწრო ვლადიკავკაზში წასვლა (ძმის აქეთ ჩამოყვანის მაგივრად) ანზორ თედეევს. ეჭვიც არ მეპარება, იქ ჩასულს რომ ნახავდა, ისევ აქეთ გამოუწევდა გული.

სამაჩაბლოში კი თოთხმეტი წლის წინ დაწყებული კატათაგვობანა დღესაც გრძელდება.

**ვაჟა გავაშელი**

# „ყველაზე მეტად მეზიზღება მლიქვნელები...“

## „გათავხედებული ბანდიტების წინააღმდეგ ჯოხის კანონი ამოქმედდება“

**ჩვენ გვჭირდებოდა მმართველობის მოხერხებული მოდელი. წინა მმართველობის დროს პრეზიდენტი, ფაქტობრივად, იმპერატორი იყო. ყოველდღე მირეკავს ხალხი და ისეთი საკითხების გადაწყვეტას მთხოვენ, ისეთი დოკუმენტები შემოაქვთ ხელმოსაწერად, რომ შევარდნაძისადმი სოლიდარობის გრძნობაც კი მიჩნდება. ის თუ ყველაფერ ამას კითხულობდა და ხელს აწერდა, კიდევ კარგ ჭკუაზე ყოფილა ბოლოს. შეუძლებელია პრეზიდენტმა იცოდეს ყველა ის საკითხი, რაზეც მას აწერინებდნენ ხელს.**

*(დასაწყისი იხ. გვ. 7)*

— **დღეს ბიზნესმენები დაბნეულები არიან, არ იციან, როგორ მოიქცნენ... ამდენი ხნის განმავლობაში მათ არ ჰქონიათ სუფთა ბუღალტერია და ფიქრობენ, რა მნიშვნელობა აქვს ახლა რომ გადავიხადო, თუ მოდავება უნდათ ძველზე, მაინც მომედავებიანო. ხომ არ ფიქრობთ, დაიდოს ზღვარი, რომ ამა თუ იმ თვის ან რიცხვის შემდეგ ვინც არ გადაიხდის გადასახადს, ის დაისაჯოს, მანამდე კი თუ რამ დარღვევა ჰქონდათ გადამხდელებს, იმაზე პასუხი არ მოსთხოვოთ... ასეთ დროს ე.წ. საფინანსო „ამნისტია“ მიღებული ფორმაა მსოფლიოში.**

— ვაპირებთ საგადასახადო სისტემის შეცვლას, მაგრამ საყოველთაო ამნისტიის წინააღმდეგი ვარ. ზღვრის გავლებას ჩვენც ვფიქრობთ, მაგრამ რა ერქმევა ამას, ზუსტად არ ვიცი. საგადასახადო სისტემა უთუოდ გამარტივდება. 10 გადასახადის ნაცვლად ალბათ 2 უნდა დარჩეს... საგადასახადო ინსპექტორს აღარ ექნება საშუალება გადასახადის გადამხდელი დააშანტაჟოს. რაც მეტი გადაიხდის ბიუჯეტში, მით მეტად იქნება გადასახადის შემცირების საშუალება. ჩემი აზრით, რაც უფრო დიდი ბიზნესი ექნება ბიზნესმენს, მით მეტი უნდა გადაიხადოს. მცირე და საშუალო ბიზნესს კი რაც შეიძლება ნაკლები გადასახადი უნდა ჰქონდეს.

— **ამბობენ, ვარდების რევოლუციაში დახმარების სანაცვლოდ ჯორჯ სოროსს საქართველოს რკინიგზას, პორტსა და აეროდრომებს უმიზნებსო...**

— ჯორჯ სოროსი საქართველოს მეგობარია. ის აქედან არაფერს არ წაიღებს. მას სრულიად არ აინტერესებს ფინანსურად საქართველო. დღეს, საქართველოში არ არის დიდი შემოსავლები. მისი პრინციპია — სადაც მუშაობს როგორც ფილანთროპი, იქ არ მუშაობს როგორც ბიზნესმენი. იგი უფრო მორალურად დაეხმარა საქართველოს, ვიდრე ფინანსურად. არ მგონია, რომ „კმარას“ მაისურების, პლაკატებისა და კლიპების დაფინანსებას შეეცვალა ვითარება საქართველოში. კარგი ქნა, რომ მან ხელფასების ფონდში გადარიცხა თანხა, მაგრამ სოროსი არის ერთ-ერთი გადამრიცხავი დაახლოებით 30 გადამრიცხავიდან. მათ შორის არიან კერძო პირებიც, ხალხი, რომელსაც სურს ანონიმურად დაეხმაროს ამ ფონდს. რაც მთავარია, ამ თანხების ხარჯვა გამჭვირვალე იქნება. მებაჟეებს, ავტოინსპექტორებსა და საგადასახადოს თანამშრომლებს მაღალი ხელფასები უნდა ჰქონდეთ. გამიხარდებოდა, მასწავლებლებსაც რომ ვუზრდიდეთ ხელფასებს, მაგრამ ეს ჯერჯერობით, შეუძლებელია. სახელფასო ფონდში ჩვენ თანხებს გაეროს განვითარების ფონდიც გვირიცხავს. თავდაპირველად ამბობდნენ, ფულს იმ ექსპერტებსა და უცხოელებს გადავუხდით, რომლებიც არ იმუშავებენ მთავრობაშიო. ამაზე უარი ვუთხარი — თუ თქვენ 1 მლნ დოლარს იმ ხალხს აძლევთ, რომელთაც თავიანთი ქვეყნისთვის არ უნდა იმუშაონ და მხოლოდ ექსპერტები უნდა იყვნენ, ასეთი დახმარება არ გვჭირდება-მეთქი. ამის შემდეგ მათ შეცვალეს პროგრამა, ზემოხსენებული 3 კატეგორიის თანამშრომლებისთვის გადაწყვიტეს ხელფასის გადახდა და მივიღეთ კიდეც მათი დახმარება. ძველად ყველანაირ ფულს ჩააფრინდებოდა მთავრობა ორივე ხელით. დახმარება არ უნდა იქცეს ტროას ცხენად. დახმარება ქვეყანას უნდა წაადგეს.

— **საგანგაშო ინფორმაციები მოდის წალკის რაიონიდან. როგორ აპირებთ იქაური დაძაბულობის გაუვნებელყოფას?**

— ეტყობა, იქ გამგებელი კარგად ვერ მუშაობდა. შეუძლებელია ამდენი კონფლიქტი ერთბაშად წარმოქმნილიყო. ეს რთული რეგიონია, იქ მწვავე ეთნიკური პრობლემებია, მაგრამ ყველა ეროვნების ადამიანს უნდა ჰქონდეს იმის განცდა, რომ კანონის წინაშე ყველა თანასწორია. კანონი ყველა ეთნიკური წარმოშობის ადამიანს ერთნაირად სჯის და ერთნაირად იცავს. ეს პრინციპი მთელ ქვემო ქართლში იყო დარღვეული. დაძაბულობის მეორე მიზეზი მძიმე სოციალური ფონია. ახალქალაქი მოწყვეტილია მთელ საქართველოს. როგორც კი საკმარისი სახსრები გამოჩნდება, ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ ეს რეგიონი დანარჩენ საქართველოს და დედაქალაქს მივაბათ. გზა რომ გაკეთდეს წალკის გავლით, ახალქალაქამდე 70 კილომეტრიღა დარჩება (დღეს 300კმ-ის გავლაა საჭირო იქ ჩასასვლელად) და ამით მთელი რეგიონი გაცოცხლდება. სულ მესმის წალკასა და ახალქალაქში დაძაბულობააო. ამის მიზეზი არის უგზოობა, ინფრასტრუქტურის უქონლობა, ხალხი გალატაკებულია და დარწმუნებული, რომ მათზე სახელმწიფოში არავინ ზრუნავს. ეს პრობლემა სასწრაფოდ უნდა გადავწყვიტოთ.

— **რას ელით რუსეთში ვიზიტისგან?**

— სასწაულს არ ველოდები. ღმერთმა ქნას, საქართველოსთვის სასიკეთოდ შემოტრიალდეს ყველაფერი. საქართველოს იმიჯი რუსეთში უკიდურესად შერყეულია. ეს იმდენად საქართველოს ბრალი კი არა, იმ განწყობის წყალობაა, რომ საქართველო არის მოღალატე, რომელიც რუსეთს მისთვის ძალზე ცუდ პერიოდში განუდგა. ყველაფერი ეს ახლა განზე უნდა გადავდოთ. ახალი ურთიერთობები უნდა დავამყაროთ. პუტინი პრაგმატიკოსია. მან ძალაუფლების კონცენტრაცია მოახდინა, რაც იმას ნიშნავს, რომ 2 და 3 რუსეთზე აღარ უნდა ვილაპარაკოთ. ამ ეტაპზე ჩვენი მთავარი ამოცანა რუსული საზოგადოების აზრის შეცვლაა. სერიოზულ ცვლილებებს ველი რუსეთში საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარების შემდეგ. ჩვენ მზად ვართ ნაბიჯები გადავდგათ თანამშრომლობისაკენ. ინაუგურაციის ცერემონიის დროს მე ხელი გავუწოდე რუსეთს. ეს აჩვენა მსოფლიოს ყველა ტელეკომპანიამ, მაგრამ რატომღაც ეს არ გადასცა რუსეთის არც ერთმა ტელეარხმა. თითქოს რუსეთს არ უნდა დაენახა, რომ ჩვენ მის მიმართ კეთილგანწყობილნი ვართ. რუსეთი ჩვენი პარტნიორია, მასთან მეგობრული ურთიერთობა უნდა გვქონდეს. ჩვენ ერთიან კულტურულ სივრცეში ვართ, ბევრი რამ გვაკავშირებს ერთმანეთთან და ბოლოს, ის არის ჩვენი ძირითადი ბაზარი. მეორე მხრივ, რუსეთმა უნდა გაიგოს, რომ ჩვენ დამოუკიდებელი ქვეყანა ვართ. კარგია, რომ ასეთი მეზობელი გვყავს და ამას გამოყენება უნდა.

პუტინთან შეხვედრისას უთუოდ ვილაპარაკებთ აფხაზეთზეც, მაგრამ ამ საკითხშიც არ ველი სასწაულებს. აფხაზეთის საკითხის გადასაწყვეტად საჭიროა ბევრად უფრო ძლიერი და მდიდარი ქართული სახელმწიფო, ბევრად უფრო გამართული და შეიარაღებული ძალები და, ბუნებრივია, აფხაზეთშიც უნდა იყოს განწყობა საიმისოდ, რომ მოგველაპარაკონ. თავად რუსეთი კი არ უნდა ჩაერიოს აფხაზეთის საკითხში — მეტიც, ჩვენს შინაურ საქმეებში ალარასოდეს უნდა ჩაერიოს უარყოფითად. პუტინის გამონათქვამებიდანაც გამოსჭვივის, რომ მას არ აქვს საქართველოს საქმეებში ჩარევის სურვილი. ვფიქრობ, შევარდნაძის შემდეგ რუსეთს ჯერ არც აქვს ჩამოყალიბებული პოლიტიკა საქართველოს მიმართ.

— **რევოლუციას ბევრი საეჭვო პირი მიეტმასნა. ზოგი რაიონულ ორგანიზაციებსაც ჩაუდგა სათავეში. როგორ აპირებთ ამ ხალხთან ურთიერთობას?**

— ჩვენი მოძრაობის ოდნავ დაჭაობებასაც არ დავუშვებ. დღეს საქართველოს ბოლო შანსი აქვს. არ შეიძლება ხალხის იმედის გამტყუნება. სახელმწიფო აპარატში მუდმივი წმენდა, შიდაკონტროლი იქნება. შესაძლოა დღეს ბევრი კორუმპირებული და ყაჩაღი ფიქრობდეს, — მთავარია, ხელისუფლების მიმართ ლოიალობა გამოვიჩინოთ და ყველაფერი გვეპატიებაო. თუ ფიქრობენ, რაკი ერთგულების რიტუალი შევასრულეთ, ძველებურად გავაგრძელებთ ცხოვრებას და თავზე ხელს გადაგვისვამენო, ცდებიან. ერთხელ, მეორედ, მესამედ რომ წაიტეხენ ცხვირს, მერე მიხვდებიან და დაგვიწყებენ ბრძოლას. ამას ყველა დაინახავს. სულაც არ მინდა, მათ ჩვენს წინააღმდეგ არ იბრძოლონ. ე. ი. რაღაც არასწორად გავაკეთეთ. ისინი ჩვენგან ნამდვილად ვერ მიიღებენ იმას, რისი იმედიც აქვთ. ჩვენ ე.წ. ბიზნესელიტას ვუთხარით, — კი არ დაგერევით და ქონებას კი არ წაგართმევთ, არამედ თამაშის ახალ წესებს გთავაზობთ. ერთი თუ იხდის გადასახადს, მეორემაც უნდა გადაიხადოს. ექსკლუზივი არავის ექნება. ეს ავტომატურად გამოიწვევს ამ შემადგენლობის განახევრებას და ჩიხიდანაც ეს გამოიყვანს ქვეყანას.

— **ხშირად გაისმის, რას უპირებს ახალი ხელისუფლება შევარდნაძეს, მის მინისტრებს რომ იჭერს, მას გაასამართლებენ თუ არაო?**

— ბუნებრივია, ის უწყობდა ხელს ამ ხალხს, მაგრამ საქართველომ შექმნა უნიკალური პრეცედენტი — რაკი ეს კაცი არ შევჭამეთ და არ გადავყლაპეთ, ბევრი სხვა ქვეყნის ოპოზიცია გვეუბნება — ასე გააგრძელეთ, ეს მოგვცემს საშუალებას ჩვენი ლიდერებიც ასე გავუშვათო. თუ ქვეყნების ლიდერებს ექნებათ განცდა, რომ ხვალ დაკლავენ, თავს მოაჭრიან ან ციხეში ჩასვამენ, ისინი არ წავლენ თანამდებობიდან. ჩემი პოზიცია ასეთია — შურისძიებას არ ვაპირებ, მაგრამ არის მეორე საკითხი — მე კანონზე მაღლა არ ვდგავარ. თუ კანონი გადაწყვეტს, წინ ვერ აღვუდგები. არ გამოვრიცხავ, შესაძლოა, კანონიც შევცვალოთ, რათა თავიდან ავიცილოთ ასეთი ტიპის შურისძიება. თუმცა არის ზნეობრივი პრობლემაც, — დღეს შევარდნაძის ხელისუფლების დროინდელი ზოგიერთი მინისტრი გაიძახის, — ჩვენ რა ვქნათ, შევარდნაძე გვავალებდაო — ვფიქრობ, ეს ნამდვილად არის ზნეობრივი პრობლემა.

— **თქვენი მისამართით სხვადასხვაგვარი შეფასებები გაისმის — როგორ იღებთ ქებას და კრიტიკას?**

— ქებას ძალიან გულგრილად ვიღებ. რაც შეეხება კრიტიკას — ინაუგურაციის მეხუთე დღესვე დამიწყეს ლანძღვა ყველა იმ ტერმინით, როგორითაც ლანძღავდნენ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებაში ყოფნის მეექვსე თვეს. ეს ბუნებრივიც იყო — როდესაც მკვეთრ მოქმედებებზე გადადიხარ, შემოტევა, ლანძღვაგინება (თუნდაც დაუმსახურებელი) ყოველთვის იქნება. მაგრამ კრიტიკა სასარგებლოა. ლანძღვის საწინააღმდეგოდ კი სქელი კანი გამოვიმუშავე. შევარდნაძის დროს ისე ვყავვარ ნალანძღი მის საყვარელ მწერლებს და პოეტებს, რომ ეს აღარც მაღელვებს.

ყველაზე მეტად მეზიზღება მლიქვნელები. ეს იციან ჩემმა მეგობრებმაც. საკმარისია ასეთი ადამიანი ერთხელ მლიქვნელურად დამელაპარაკოს ტელეფონით, მეორედ აღარ ვუპასუხებ. გარშემო მყავს ისეთი ადამიანები, რომელთაც სრულიად არ იციან კომპლიმენტების თქმა. ის, ვინც მემლიქვნელება, უსათუოდ სისხლს წოვს ვიღაცას, მასზე ქვემოთ მდგომს. მე მიყვარს ისეთი ადამიანები, რომლებიც ყველასთან ერთნაირები არიან, მლიქვნელები კი, ჩემი აზრით, მახინჯები არიან. რაც ნაკლები მახინჯი იქნება სახელმწიფო აპარატში, მით უკეთ იცხოვრებს ხალხი.

*იზო რიკაძე*


CAC სი ეი სი



# დამარცხებული გრიპის ეპიდემია

მთელ მსოფლიოში და მათ შორის საქართველოშიც გრიპის ეპიდემიამ პიკს მიაღწია. მაღალი სიცხე, თვალების შეშუპება, კონიუნქტივიტი, საერთო სისუსტე და დაქვეითებული იმუნიტეტი – ეს სიმპტომები ნაცნობია და იგი თან ახლავს გრიპის ვირუსს.




ისმის კითხვა: როგორ გადავურჩეთ ვირუსებს?

კომპანია "ნუტრიმენტ ჰაუსი"გთავაზობთ ვირუსებისაგან დამცავ რამოდენიმე საუკეთესო საშუალებას:

- ნივრის ექსტრაქტი კაფსულებში;
- ვიტამინ C;
- მულტივიტამინების კომპლექსი.

მსოფლიომ აღიარა რომ, ამ საუკუნის ვირუსების დასამარცხებლად ყველაზე ეფექტური საშუალება ნიორია.

ნივრის ექსტრაქტი აძლიერებს იმუნიტეტს და იცავს ორგანიზმს სხვადასხვა ვირუსებისაგან და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია მისი მიღება არ შეგიქმნით ნივრის სუნით გამოწვეულ დისკომფორტს. ნივრის ექსტრაქტი კაფსულებში საუკეთესოა როგორც უფროსების ასევე ბავშვებისათვის ჭიებით ინვაზიის დროს. ვიტამინების ნაკრები კი გაამდიდრებს თქვენს ორგანიზმს და მიანიჭებს მას ვირუსებთან ბრძოლის უნარს.

ორი აბი დღეში და თქვენი ორგანიზმი დაცული იქნება! ! !

„ნუტრიმენტ ჰაუსში“ კვალიფიციური და გულისხმიერი ექიმები იზრუნებენ თქვენს ჯანმრთელობაზე და დაგეხმარებიან მტკივნეული პრობლემების გადაჭრაში.

ნუტრიმენტ ჰაუსი NUTRIMENT HOUSE

მის: დ.აღმაშენებლის 150
ტელ: 95-65-03; 96-06-67
www.shopge.com

# ბლუკამოსილი მეფე დავითი

## 8 თებერვალი წმინდა მეფე დავით აღმაშენებლის ხსენების დღეა



დავით აღმაშენებელი
მხატვარი გიორგი გეგეჭკორი

საქართველოს ერთიანობა და უძლეველობა, პირველ ყოვლისა, დავით IV აღმაშენებლის სახელს უკავშირდება. 16 წლისამ იტვირთა ქართველთა მეფის გვირგვინის სიმძიმე — თურქ-სელჩუკთაგან დარბეული ქვეყანა არა მარტო უნდა აღედგინა, არამედ დაეცვა კიდევაც როგორც გარეშე, ასევე შინაურ მტერთაგან.

ბრძოლით დაიწყო მეფობა და ბრძოლითვე განასრულა. ნიკოფსიითგან დარუბანდამდე გადასწია ქვეყნის სამანები. თავადვე ეკვეთებოდა მტერს თავგანწირვით ბრძოლის ველზე. თავისი ხანგრძლივი მეფობის მანძილზე (1089-1125) გარდახდილი ყველა ბრძოლა ერთგვარი სამზადისი იყო დიდგორის ომისათვის, „ძლევაი საკვირველი“ რომ უწოდა მემატიანემ.

ვერა და ვერ ეგუებოდნენ განდევნილი თურქ-სელჩუკნი საქართველოს დათმობას. და აი, 1121 წლის აგვისტოს შუა რიცხვებში მუსლიმანთა 300-ათასიანი ლაშქარი თრიალეთ-მანგლისსა და დიდგორს შემოეჯარა. თუ ფრანგ ისტორიკოს გოტიეს დავუჯერებთ, მუსლიმან მეომართა რიცხვი ორი ამდენი ყოფილა.

დავითის ლაშქარს კი 40 ათასი ქართველი, 15 ათასი ყივჩაღი, 500 ალანი და 100-იც ფრანგი მეომარი შეადგენდა.

ქართველთა ლაშქარი ნიჩბისის ხევიდან მიუახლოვდა დიდგორის ველს და მთებს შორის, დაბურულ ტყეში დაბანაკდა. სწორედ ამ ტყეზე უნდა გამოევლოთ ქართველთა შესამუსრად გამზადებულ მტრის მეომრებს.

გასაოცარი თავდადება და რაინდული სული გამოსჭვივის იმ სიტყვაში, რომლითაც გმირმა მეფემ მიმართა დიდგორის ომის წინ თავის ლაშქარს: *„ეჰა, მეომარნო ქრიტესანო! თუ ღვთის სჯულის დასაცავად წესიერად ვიბრძვით, არამცთუ ეშმაკის ურიცხვ მიმდევართა, არამედ თვით ეშმაკებსაც ადვილად დავამარცხებთ; და ერთ რამეს გირჩევთ, რაც ჩვენი პატიოსნებისათვის და სარგებლობისათვის კარგი იქნება: ესაა, რომ ჩვენ ყველამ ხელთა ცისადმი აპყრობით, ძლიერ ღმერთს აღთქმა მივცეთ, რომ მისი სიყვარულისთვის ამ ბრძოლის ველზე უმალ მოვკვდებით, ვიდრე გავიქცევით; და რომ არ შეგვეძლოს გაქცევა, რომც მოვიინდომოთ, ამ ხეობის შესავალი, რომლით შევსულვართ, ხეთა ხშირ ხერგებით შევკრათ, და მტკიცე გულით მტრებს, როცა მოგვიახლოვდებიან ჩვენზე იერიშის მოსატანად, სასტიკად შევუტიოთ“...*

ასეც მოიქცნენ. მეფის სიტყვებმა გამარჯვების რწმენა შემატა ლაშქარს. ერთადერთი ვიწრო გასასვლელი უზარმაზარი მორებით ჩახერგეს. ამით თითქოს „განაჩენი“ გამოუტანეს საკუთარ თავს — უკანდასახევი გზა აღარსად იყო! ან უნდა გაემარჯვათ, ან ღირსეულად უნდა შეკვდომოდნენ მომხვდურს.

...და მოხდა სასწაული: ციდან დაშვებულ ღრუბლებში გახვეული, თეთრ ცხენზე ამხედრებული წმინდა გიორგი იხილეს მეომრებმა.

დავითის მემატიანე ასე აღწერს დიდგორის ომის სურათს: *„...რამეთუ ხელი მაღლისა შეეწეოდა და ძალი ზეგარდმო ფარვიდა მას, და წმინდა მოწამე გიორგი განცხადებულად და ყოველთა სახილველად წინაუძღოდა მას და მკლავითა თვისითა მოსრვიდა ზედამოწევნულთა უსჯულოთა მათ წარმართთა, რომელ თვით იგი უსჯულონი და უმეცარნი... აღიარებდეს და მოგვითხრობდეს სასწაულსა ამას მთავარმოწამისა გიორგისსა“.*

ტაქტიკური ხერხისთვისაც მიუმართავს ბრძენ მეფეს. როცა მტრის პირისპირ დამწკრივებულან, ქართველთა ლაშქარს 200 ცხენოსანი გამოეყო და მტრის რაზმისკენ გაიჭრა. ქვეყნის მოღალატეებად ჩათვალეს მუსლიმანებმა ისინი და ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე შეუშვეს თავიანთი ლაშქრის შუაგულში. და იშიშვლეს მახვილი ბრძოლაში ნაცადმა ქართველმა რაინდებმა.

დაიბნა მტერი. ამას ქართველთა ორმხრივი შეტევა დაემატა — ნიჩბისის ხევიდან თავად აღმაშენებელი უტევდა, დიდგორის ერთ-ერთი მთიდან კი უფლისწული დემეტრე წამოეშველა მამას...

მერე იყო თბილისის შემოერთება და ქართველთა მრავალწლიანი ოცნების ასრულება — ქვეყნისთვის სატახტო ქალაქის დაბრუნება.

...1125 წლის 8 თებერვალს (ძვ. სტ. 26 იანვარს) აღესრულა დავით აღმაშენებელი — „მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა, შარვანშაჰ და შაჰანშაჰ და ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა თვითმფლობელობით მპყრობელი“...

ლეგენდა გვაუწყებს, მეფეს თავად დაუბარებია გელათის ტაძრის შესასვლელში დამმარხეთ, რომ ქართველმა ხალხმა ჩემს მკერდზე იაროსო... „ასეთი ცოდვა რა გაქვს, მეფეო, მიუტევები“... — მიმართავს წმინდანად შერაცხულ აღმაშენებელს ანა კალანდაძე და ამით ერის გულისთქმას ეხმიანება, იმ ერისა, რომლისთვისაც დავით აღმაშენებელი მრავალი საუკუნის შემდეგაც საქართველოს ძლიერების, ერთიანობის, სიმტკიცისა და სიყვარულის სიმბოლოა.

გელათის დიდებული ტაძარი ხომ თავადვე აღაშენა, ისევე როგორც მრავალი ციხე და ეკლესია, რისთვისაც აღმაშენებელი უწოდა მას თავისმა ხალხმა.

**ელენე სალარიძე**

# ...გადაჩეხილა უფსკრულში, გადაუყოლებია ლეკთა ბელადი

*„დიკლოს დალევამ ვინა თქვა,*
*ნაპირმოტეხა ცისაო,*
*ცოგიზის ციხის გატეხა,*
*ჩამოშლა გალავნისაო“.*

**თუშური ფოლკლორიდან**

ისე ახლოა ომალო ცასთან, ასე გგონია, ხელით ასწვდები. იქაურები მაინც „ზემოთ“ ეპატიჟებიან ხოლმე სტუმარს. ზემო ომალოში კი მართლაც ცა ქუდად გახურავს, მზე გადგას ჯილად, ფეხთით ღრუბელია ჩაწოლილი, ხევგალმა კი ცისარტყელა დაჰკიდებია ცისკიდურს... ამ თვალშეუდგამ საუფლოში გავიცანი ბაქი — შურთხივით გოგო. თუნგი ედგა მხარზე, წყალი ამოჰქონდა ხევიდან. ბილიკზე დაწალიკებულ მოლაშქრეებს გვერდით აგვიარა და აღმართზე აკლაკნილ ბილიკს შეუყვა. დავწინაურდი, ფეხდაფეხ ავედევნე. ყაისნაღით ნაქსოვი შალის ლურჯი კაბა შემოტმასნოდა ქალიშვილის ნატიფ ქანდაკს. ბუჩქის ძირას ჩაიმუხლა. ყელმოღერებული იასავით შემომანათა ლილისფერი თვალები. ფოფხვით მიმავალს ხელი შემომაშველა, მსუბუქად ამიყოლა მთათუშეთის ყვავილებით მოჩითულ ველზე. მომხიბლა მისმა გულღიობამ. უცებ გაინასკვა მეგობრობის ძაფი. შინ მიმიპატიჟა. კუპრისფერი ღამე თუშური ადათ-წესების თხრობაში გავლიეთ. რიჟრაჟზე მომგვარა შეკაზმული ცხენი. თვითონ შეჯდა უბელოზე. აღვირი მომიგდო და — ხომ არ გეშინიაო, — მკითხა. ჯირითში რომ არ დაუვარდი, გაიბადრა. ჩემთვის ეგზოტიკა, მისთვის ჩვეულებრივი დღის გათენება იყო ზემო ომალოში: ცამ ჯერ ლოყა ამომივარდისფერა, მერე უცბად ამოვარდა უზარმაზარი წითელი მზე. დალალებად ჩამოშალა სხივები. მარგალიტებად ააკიაფა სიმწვანეში თავჩაქინდრული ღამის მანანა. მიყურებდა ბაქი დაკვირვებით, ცოტა იჭვნეულადაც... როცა მუხლამდე ცვრიან ბალახში ფეხშიშველა გადავერიე, კვალში მომყვა და გადამეხვია. ყვავილნარში ავცეკვდით ორივე. ვიკისკისეთ, მთელი სამყარო გულში ჩავიკარით და მერე ქოხის წინ გაჩაღებული ცეცხლის პირას გავშრით, თითო სირჩა ქაფქაფა რძეც გამოვცალეთ და საქმეს შევუდექით. შუადღემდე ჩემს ბაქის ყველის ამოყვანას ვშველოდი. ხან შრატი გადამესხა, ხან დაღმართზე დამიცდა ფეხი და გავიშხლართე, ის კისკისებდა, მეფერებოდა. საქმეს რომ მოვრჩით, გარმონი გამოიტანა ქოხიდან. დაუკრა და ააკვნესა. თუშური სიმღერის ექო ქვემო ომალოში ჩადიოდა, იქაურობას სიამით აჟრჟოლებდა...

გამომიტყდა ბაქი. ერთი თბილისელი ბიჭი მიყვარსო, იმის გზას გავცქერიო ნიადაგ. თვითონ საექიმოზე სწავლობს, მხატვრებს ამოსდევსო აქ ყოველ ზაფხულს. თვალები დამაწყდა ლოდინით, აგვისტო იწურება და ჯერ არ გამოჩენილაო. ჩემი ქალაქში წაყვანა უნდა, ვერ წავალ, აგეერ... იმ მთის თხემს გასდევს საზღვარი, აქედან ყველანი რომ გავიკრიფოთ, დაითალხება თუშეთის გზა-ბილიკებიო. დათოს მე არ ვიცნობდი, მაგრამ იმის მაგივრად ჩამოვაგლიჯე კალთები — შენ წამოდი, გულის სწორსაც გაახარებ, ქალაქურადაც იცხოვრებ. ზამთარში მაინც ბარში ხარ, ჩაღმეთში, იქიდან არც მისვლა-მოსვლა დაგიძვირდება-მეთქი. არ ქნა, ვერ დავწერე პირჯვარი. პასუხად დიკლო-შენაქოს აწიოკების ამბები მომიყვა, საუკუნენახევრის წინანდელი, ლეგენდად ქცეული, სულის შემძვრელი, არდავიწყებული:

დიკლო რომ ააწიოკეს, დიდოელებმა, ტყვე ქალები ერთ სახლში შერეკეს თურმე, ბალღები — გომურში. დიდოელებს ერთი ქალი წყალზე გაუგზავნიათ. ამ ქალს ბავშვების წივილ-კივილი გაუგია. გადაუგდია თუნგი, გაქცეულა, გომურის კარი გამოუგლეჯია. ძმისშვილი ეგულებოდა იქ. მთვრალი დიდო შევარდნილიყო და ბავშვების ხოცვა-ჟლეტა დაეწყო. ქალი რომ შესულა მკვდარი ეგდო უკვე. დაჭრილი შვიდი-რვა წლის ბიჭიც კვდებოდა. უთქვამს ამ ქალისთვის: „დაო, ეგ დიდოივ მე მოვკალიო დ სახელ არ გამიკარგოთავ“...

— ამ ამბავს რომ ვისმენ უფროსებისგან, სისხლი მეყინება ძარღვებში, რა იცი, რა დრო დადგეს — თქვა ბაქიმ და ცრემლი ჩამოუგორდა თეთრგვრემან ღაწვებზე.

— ბაქიც გმირი ქალის სახელიაო, დასძინა. ჩვენში თავგანწირული ადამიანის ხსოვნას ამითაც მიაგებენ პატივს. ჩემს ძმებსაც განთქმულთა სახელები ჰქვიათ: ზეზვა, ჯაო, ანდარეზი და შეთე. ბაქი, ვისი მოსახელეც მე ვარ, დიდოელებს მოუტაციათ. შენაქოელები ციხეში ყოფილან გამაგრებული და ვერ უშველიათ. სადღაც ქარაფზე ვერ გადადიოდა თურმე. ერთ დიდოელს უთქვამს: თუ გეშინია, მე გადაგიყვანო — არა, ბელადმა გადამიყვანოსო — უთხოვია ქალს. მოუკიდია ბელადს ხელი და გადაჰყავს. ბაქი ჩაბღაუჭებია, მოუზიდია, გადაჩეხილა უფსკრულში, გადაუყოლებია თან ლეკთა ბელადი. ეგეთი ყოფილა ქალ-ბაქი. გალექსილი აქვთ თუშებს ეს ამბავი. მე კი აქაურობას თუ არ მივეკერე, იმის სახელს შევარცხვენო.

გაჯიუტდა, არ წამოჰყვა ქალაქში სატრფოს. არც მისი გულის სწორი გადასახლდა თუშეთში. ბაქი არ გათხოვილა. თელავში დაამთავრა ინსტიტუტი და მთის ერთ მივარდნილ სოფელში მასწავლებლობდა. ყოველ ზაფხულს ადიოდა ომალოში და გზას გაჰყურებდა...

**ეთერ თარიმანი**






# რას გვეტყვი, მამაო?

**— მინდა დავიცვა დიდი მარხვა. მითხრეს, რომ ხორცის ჭამა მარხვამდე ცოტა ხნით ადრე უნდა შევწყვიტო. როდიდან?**

— 9-დან 15 თებერვლის ჩათვლით უძღები შვილის კვირაა. ამ დღეებში ძე შეცთომილის იგავს ვიხსენებთ და კიდევ ერთხელ მადლობას ვწირავთ უფალს იმისთვის, რომ არ არსებობს გულწრფელად მონანიებული ცოდვა, რომელიც ღმერთმა, როგორც მზრუნველმა მამამ, არ შეგვინდოს, ისევე როგორც ძე შეცთომილს შეუნდო მისგან უარყოფილმა მშობელმა. ეს კვირა უკანასკნელია, როცა ხორცის ხმევა შეგიძლიათ. კვირა საღამოს ხდება ხორცის აკრება, რასაც მოსდევს ყველიერის კვირა.

**— ვიცი, რომ შვიდისრიანი ღვთისმშობლის ხატი არსებობს. რას ნიშნავს ღვთისმშობლის ხატზე 7 ისარი. ვისი შემწეა ეს ხატი?**

— დედაღვთისმშობელი ყველას შემწეა, ვინც მასთან გულწრფელად მივა და შველას შესთხოვს. ეს ხატი ერთგვარად ასახავს იმ წინასწარმეტყველებას, რომელიც ჩვილი იესოს მირქმის დროს მართალმა სვიმეონმა ყოვლადწმინდა დედას აუწყა: „...თვით შენს სულშიც გაივლის მახვილი“. რიცხვი 7 წმინდა წერილში „სრულყოფილებად“ მოიხსენიება. ხატი დაბრძანებულია ვოლოგდასთან მდებარე



იოანე ღვთისმეტყველის ტაძარში. შვიდისრიანი ღვთისმშობელი ხატზე მარტოა გამოსახული, ჩვილის გარეშე. იგი შვიდი ისრითაა განგმირული: 4 მარცხენა მხარესაა, სამი — მარჯვნივ. ამ ხატის პირველ დიდებით შემოსვაზე შემორჩენილია შემდეგი თქმულება: ერთ ხეიბარ გლეხს, რომელსაც მრავალი წლის მანძილზე სტანჯავდა საერთო სისუსტე და მტკივნეული ფეხი, ესიზმრა, რომ თუკი იოანე ღვთისმეტყველის ტაძარს მოინახულებდა, სამრეკლოზე მიაგნებდა ღვთისმშობლის ხატს და მის წინაშე ილოცებდა, განიკურნებოდა. გლეხი ორჯერ მივიდა ტაძარში, ჰყვებოდა თავის სიზმარს და ითხოვდა, შეეშვათ სამრეკლოში, მაგრამ მას არ უჯერებდნენ და თხოვნაზე უარს ეუბნებოდნენ. საბოლოოდ, მესამე ჯერზე, შეიბრალეს და სამრეკლოზე აუშვეს. აქ მან მაშინვე მიაგნო სწორედ ამ შვიდისრიან წმინდა ხატს, რომელიც ძილში იხილა. იმ ადგილას, სადაც კიბე უხვევდა, ის ფიცრის ნაცვლად იყო ჩასმული. ნაპოვნ ხატს მოაშორეს ჭუჭყი და ჩიტების ნაფიფქი, რომლითაც მთლიანად იყო დაფარული. დასნეულებულმა გლეხმა ითხოვა ხატის წინ პარაკლისის გადახდა და მიიღო კიდეც განკურნება. 1830 წელს, როცა ვოლოგდაში ქოლერა გაჩნდა, შეშინებულმა მოსახლეობამ გადასარჩენად ხატს მიმართა; იგი ქალაქის გარშემო შემოატარეს დიდი პატივით და მალე ქოლერამ უკან დაიხია. მას შემდეგ ხატმა სახელი გაითქვა, როგორც სნეულთა სასწაულებრივმა განმკურნებელმა. მას „ბოროტ გულთა მომალბობელსაც“ უწოდებენ და მოდავეთა შესარიგებლადაც ევედრებიან.

აღსანიშნავია, რომ 2002 წელს მოსკოვის ერთ-ერთ ჩვეულებრივ ოჯახში დაბრძანებულ ამ ხატის ასლს დიდი რაოდენობით მირონი დასდინდა, რომლის ზემოქმედებით მრავალი ადამიანი გამოჯანმრთელდა. ამავე წელს ხატი საქართველოშიც ჩამოაბრძანეს და საქართველოს სხვადასხვა მონასტერშიც იყო დასვენებული.

**— ბევრჯერ მინახავს, როგორ ატანენ მიცვალებულს სხვადასხვა სამოსს. ქრისტიანულია თუ არა ეს წესი?**

— ეს წესი მომდინარეობს ჯერ კიდევ წარმართული ხანიდან. მაშინ ადამიანს სჯეროდა, რომ საიქიოში მიცვალებულს ამქვეყნიური ნივთები დასჭირდებოდა. ძვირფას ნივთებს განუსაზღვრელი რაოდენობით ატანდნენ ეგვიპტელ ფარაონებს, ხოლო დანარჩენებს — წარმომავლობისა და საზოგადოებრივი მდგომარეობის მიხედვით. ქრისტიანული სწავლებით, როდესაც ადამიანი გარდაიცვლება, მისი სხეული შეუერთდება მიწას, ხოლო სული სიცოცხლეს აგრძელებს. სულს რაში სჭირდება რაიმე? აქედან მის სახელზე ქმნილი სიკეთისა და ლოცვების გარდა გარდაცვლილზე ნამდვილი ზრუნვა ის იქნება, მისი ტანსაცმელი უპოვარ და მიუსაფარ ადამიანებს დაურიგდეს.

*თქვენთვის საინტერესო კითხვები მოგვაწოდეთ „კვირის პალიტრის“ ყუთების საშუალებით. მათი განლაგების შესახებ იხ. გვ. 36. მკითხველთა შეკითხვებზე უპასუხებენ მართლმადიდებელი მამები.*

# ჩემი განცხადებით თანამდებობის დაკავების შანსი კარგა ხნით დავკარგე

(დასაწყისი იხ. გვ. 8.)

უკვე დასავლეთიდან გაისმის გაფრთხილებები. გაეროს წარმომადგენელმა ჰაიდი ტალიავინმა განაცხადა, — კორუფციასთან ბრძოლა კარგია, მაგრამ კანონიერების დაცვაც აუცილებელიაო. შესაძლოა, უცხოურ პრესაში საქართველოზე დადებითი და კეთილგანწყობილი სტატიები უარყოფითით შეიცვალოს და ამის გამო დავკარგოთ საერთაშორისო მხარდაჭერა, დახმარებები, რაც ახალ ხელისუფლებას რუსეთისკენ გაახედებს...

ღმერთმა ქნას, ჩემ მიერ დახატული სცენარი არ გათამაშდეს და ორი წლის შემდეგ გეთქვათ, სულელი კობა დავითაშვილი რაებს ბჟუტურებდაო. რიგით ჯარისკაცად წავალ, იმას გავაკეთებ, რასაც დამავალებენ, მაგრამ სხვადასხვა ქვეყნის ისტორია გავიხსენოთ, ავტორიტარულ რეჟიმებს ცუდი რამეები მოსდევს... ასეთი კრიზისების განმუხტვა რევოლუციებით ხდება, რომელიც ხავერდოვანი და უსისხლო არ არის ხოლმე. ნოემბრის ხავერდოვანი რევოლუცია განპირობებული იყო სიტყვის თავისუფლებით, დასავლური ნორმების საჯარო დეკლარირებით. თუნდაც იმითაც, რომ მთავრობა ანგარიშს უწევდა საერთაშორისო საზოგადოების აზრს. თუკი მთავრობა საერთაშორისო საზოგადოების მხარდაჭერას დაკარგავს, მაშინ შესაძლოა პანიკა დაეუფლოს, უეცარი და მცდარი გადაწყვეტილება მიიღოს. მეშინია ამის, ქვეყნის გამო ვშიშობ, თორემ მე რა...

**ღმერთმა ქნას, ჩემ მიერ დახატული სცენარი არ გათამაშდეს და ორი წლის შემდეგ გეთქვათ, სულელი კობა დავითაშვილი რაებს ბჟუტურებდაო. რიგით ჯარისკაცად წავალ, იმას გავაკეთებ, რასაც დამავალებენ, მაგრამ სხვადასხვა ქვეყნის ისტორია გავიხსენოთ, ავტორიტარულ რეჟიმებს ცუდი რამეები მოსდევს...**

ეტყობა, მიშა ამ კაცის მოვალედ გრძნობს თავს, თავის დროზე პოლიტიკაში რომ მოიყვანა. ჩვენი და დემოკრატების გზები გაყრილი იყო და რევოლუცია რომ არ მომხდარიყო, წარმოუდგენელიც იქნებოდა ჩვენი გაერთიანება. შეგუებულიც იყო მიშა, რომ ჟვანიას თანამებრძოლი აღარ იქნებოდა, მაგრამ რევოლუციის დროს აღდგა კავშირი. ადამიანურად მესმის კიდეც მიშასი, მაგრამ არ მესმის სახელმწიფო საქმეების ემოციითა და პირადი განწყობების მიხედვით გადაწყვეტა. მიშა ენდობა ზურაბ ჟვანიას, ფიქრობს, რომ ეს ადამიანი ურთულეს ამოცანებს გაართმევს თავს.

**— საერთოდ აქტიური ხართ, მაგრამ რევოლუციის პერიოდშიც და შემდგომაც არ ჩანდით. რატომ?**

— რევოლუციამდე, შიმშილობის დროს, თირკმლებმა შემაწუხა, მერე ბათუმში დამიმატეს და ცუდად ვიყავი, მაგრამ იმ დღეს, როდესაც პარლამენტი შტურმით აიღეს, სიტყვით გამოვედი და მოვუწოდე ხალხს მერიის შენობიდან... მერე კი სამი თვე მართლაც გაჩუმებული ვიყავი. ვუყურებდი და არ მჯეროდა, რაც ხდებოდა. ბევრი ჩემი მეგობარი, რომელიც პარტიაში დარჩა, თავს იტყუებს. სჯერათ, რომ რაღაც შეიცვლება. მირჩევდნენ კიდეც, წადი თავდაცვის მინისტრადო...

**— თავდაცვის მინისტრობა სტრასბურგში ყოფნისას შემოგთავაზათ პრეზიდენტმა?**

— არა, სტრასბურგში ამის დრო არ გვქონია. ვატყობდი, მიშაც გაურბოდა ჩემთან საუბარს. გრძნობდა, ისეთ თემაზე დაველაპარაკებოდი, რაც არ ესიამოვნებოდა. სტრასბურგიდან ჩამოსვლის შემდეგ დამიბარა და უნდოდა პოსტის შემოთავაზებით დაეწყო საუბარი, მაგრამ დავასწარი.

ველაპარაკე იმ საკითხებზე, რომელიც მაწუხებდა... მაშინვე მძიმედ, ემოციურად უარყო ჩემი ნათქვამი, განხილვაც არ მოინდომა ამ საკითხის — მსოფლიო საზოგადოების წინაშე ვალდებულება მაქვს აღებული, ხალხს სიტყვა მივეცი და სიტყვას ვერ გავტეხო. ვაფასებ მის ამ ვაჟკაცურ თვისებას, მაგრამ თუ ქვეყანა გადაჰყვება ასეთ რამეს...

**— ბოლოს და ბოლოს, შემოგთავაზათ თავდაცვის მინისტრობა თუ ჩხუბით დამთავრდა დიალოგი?**

— მითხრა — თავდაცვის მინისტრობას გთავაზობ და იფიქრე ამ საკითხზეო. მეორე დღეს ვთქვი, ისევ ძველ პოზიციაზე ვრჩებიმეთქი. მერე კიდევ ერთხელ ვისაუბრეთ. მეგობრულად ამიხსნა, რა ამოცანებიც დგას ჩვენ წინაშე. მესმის ეს ყველაფერი და ძალიან მინდოდა ამ პროცესებში მიმეღო მონაწილეობა. თავადაც მინდოდა თავდაცვის მინისტრობა, შევუთვალე კიდეც, — მინდა ეს თანამდებობამეთქი. მე აფხაზეთის წაგებული ომის ჯარისკაცი ვარ, ჩემთვის სხვა რამეს ნიშნავს თავდაცვის მინისტრობა. პოლიტიკაში იმიტომ არ ვარ, რომ პოსტი დავიკავო და რაღაც გავლენა მქონდეს. ჩემი გუნდი შეგნებულად არ შემიქმნია იმიტომ, რომ არ მჭირდება ადამიანები, რომლებიც ჩემზე იქნებიან ორიენტირებულნი. მე ქვეყანაზე ორიენტირებული ხალხი მინდა. გამოგიტყდებით, ძალიან ამბიციური კაცი ვარ. საქართველოს ისტორიაში მინდოდა მოხვედრა. როდესაც აფხაზეთის დაბრუნება და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაა დასახული მთავარ ამოცანად, ამ დროს ქვეყნის თავდაცვის მინისტრობა ბედნიერება და ყველაზე საპატიო საქმე იქნებოდა. ამ საქმეს თავს შევაკლავდი, მაგრამ რა ფასად უნდა დავთანხმებოდი ამ პოსტს. თანამდებობა პარლამენტარიზმის დასამარებაზე დასტურის ფასად უნდა მიმეღო და ამიტომ ვთქვი მასზე უარი.

ჩვენ ვცვლით მოდელს, რომელშიც ეწერა — თუ თანამდებობის პირს მოუძებნი იმპიჩმენტის საფუძველს (კონსტიტუციის დარღვევას ან სისხლის სამართლის დანაშაულს), მაშინ შეგიძლია გადააყენო. ახალი მოდელი მეუბნება, — იმპიჩმენტის მიზეზის მოძებნა არ არის საჭირო, თუ ხალხი მოაგროვე და დაითანხმე, რომ ესა თუ ის თანამდებობის პირი არ ვარგა, მიდი და რაც გინდა ის უყავი. მეორე მხრივ, მეც უმოტივოდ გამიშვებდნენ შინ. ეს მოდელი კანონის უზენაესობას, კანონმორჩილებას არ ამკვიდრებს. ის ამკვიდრებს წესს, რომ მთავრობა პარლამენტთან იყოს კარგად, პარლამენტი კი მთავრობასთან. ეს ურთიერთკონტროლი კი არა, სახელისუფლებო შტოების ურთიერთშერწყმა და ურთიერთგარიგებაა. არ იარსებებს განსხვავებული აზრი და თუ იარსებებს, ის გავლენას ვერ მოახდენს პარლამენტსა და მთავრობას შორის ურთიერთგარიგებაზე. როდესაც განსხვავებული აზრი არ არსებობს, როდესაც განსხვავებულ აზრს ეთერში არ უშვებენ, შეცდომები გარდაუვალია. ჯანსაღი ურთიერთკრიტიკაც არის იმის საფუძველი, რომ მცდარი გადაწყვეტილებების მიღება არ დავუშვათ. ურთიერთკრიტიკის მოსპობით ჩვენ დემოკრატიას ვსპობთ. ქართველმა ხალხმა დაამტკიცა, რომ მზად არის დემოკრატიისთვის. მან ისეთი რევოლუცია მოახდინა, რომლითაც ბევრი ევროპული ქვეყანა ვერ დაიკვეხნის.

**— უარის სათქმელად აღარ შეხვედრიხართ მიხეილ სააკაშვილს?**

— არა, ვიფიქრე მის წინადადებაზე და მეორე დღეს პრესკონფერენცია გავმართე — ვემიჯნები მიმდინარე პროცესებს და ნაციონალური მოძრაობის პოლიტიკური მდივნის თანამდებობას ვტოვებ-მეთქი. უკანონოდ გაკეთებული საქმე, კონსტიტუციის დარღვევით მიღებული კანონი და უკანონობასთან უკანონოდ ბრძოლა უფრო გააძლიერებს უკანონობას.

ჩემი განცხადებით პოლიტიკური პერსპექტივა და რამე თანამდებობის დაკავების შანსი კარგა ხნით დავკარგე, მაგრამ გავრისკე იმისთვის, იქნებ ხალხი გამოვაფხიზლო და ამან მიშას აზრი შეაცვლევინოს-მეთქი. თუ ხალხმა არ უთხრა მიშას და არ გააგებინა — შენ ჩვენი არჩეული ლიდერი ხარ, მაგრამ ამ საკითხში ცდებიო, ის იქნება ერთი აზრის ტყვეობაში — მე ყოველთვის მართალი ვარო.

**— ზოგიერთის აზრით, თქვენ სააკაშვილის პოზიციას ახმოვანებთ...**

— ვინც მიშას და მე გვიცნობს, იციან, რომ ეს ასე არ არის. შესაძლოა, ხელს მაძლევდეს კიდეც ხმის გავრცელება — ეს მიშას დავალებაამეთქი, დეპუტატები დაიბნევიან და შესაძლოა ჩავარდეს ეს საკონსტიტუციო ცვლილება, მაგრამ ტყუილს ხომ არ ვიტყვი. არ ვარ მზაკვარი კაცი და ვერ ვიტყვი, ეს იდეა მიშას ეკუთვნისმეთქი. დეპუტატების უმეტესობა ხმას ამ ცვლილებებს იმიტომ აძლევს, რომ ასე ხელისუფლებას უნდა, ზოგს კი დაჭერისა ეშინია და იმიტომ, მაგრამ იცოდნენ, მათ მაინც დაიჭერენ.

**— კორუმპირებულთა დაპატიმრების პროცესი რამდენად სწორად და კანონიერად მიმდინარეობს?**

— მივესალმები კორუფციასთან ბრძოლას, მაგრამ საპროცესო კანონმდებლობის დარღვევას გამართლება არა აქვს. არ შეიძლება უკანონობას უკანონობით ებრძოლო. კანონის წინაშე თანასწორობაზე ვერ ვილაპარაკებთ, როდესაც გამომძიებელს, რომელმაც ქრთამი — 1.500 დოლარი აიღო, იჭერენ (ვეთანხმები, რომ ისიც დასაჭერია) და ნუგზარ გაბრიჩიძეს კი უზენაესი სასამართლოს მოსამართლედ ნიშნავენ(?!).

**— ანუ მიგაჩნიათ, რომ გაბრიჩიძეც დასაჭერია?**

— რა თქმა უნდა. საამისოდ მარტო გადაცემა „60 წუთში“ ნაჩვენები მამხილებელი ფაქტები იკმარებდა...

**— სააკაშვილმა პარტიიდან თქვენი წასვლის შემდეგ თქვა — ერთიანობისთვის მსხვერპლის გაღება ყველას გვმართებსო.**

— „რაც უნდა ჭირი მომკერძონ, ბილწთ არ შევეკვრი ზავითა, ნებას ვერ შემაცვლევინებ, მოზღვავებულის ავითა...“

**— რას აპირებთ?**

— ვილაპარაკო სიმართლე და არაფერი სიმართლის გარდა და რა გამოვა აქედან, ვნახოთ.

*იზა რიკაძე*


[illegible]

კონსულტაციები უფასოა!

[illegible] №16. ტელ: 37 14 40.

[illegible]



# კლიმაქსი დღეს – „ულმობელი მომავალს“ აღარ მვიქადის!

სასქესო ჰორმონები ქალის ცხოვრებაში დიდ როლს თამაშობს. პირველ რიგში, მენსტრუალური ციკლის ნახევარში პრევალირებს ესტროგენები, რომელიც განაყოფიერებისთვის ამზადებს არა მარტო კვერცხუჯრედს, არამედ მთელ ორგანიზმს. სწორედ ეს არის ქალის მოზღვავებისა და კარგი გუნება-განწყობის წყარო: ცხოვრება დუღს, მოზღვავებულია დადებითი ემოციები, გაბრწყინებულია თვალები; მათში გამოსჭვივის ყველას გაგებისა და დახმარებისთვის მზადყოფნა. ციკლის მეორე ნახევარში გამომუშავებას იწყებს პროგესტერონი. ბალანსდება ესტროგენების გავლენა, იქმნება აუცილებელი ჰორმონალური ბალანსი (გადამეტებული ემოციური ფონი ყოველთვის სასარგებლო არ არის), რომელიც გულს, სისხლძარღვებს, ძვლებს, ნერვულ სისტემას იცავს.

ვერსად წავუვალთ: ახლოვდება ბალზაკის ასაკი, იწყება ჰორმონალური გარდაქმნა და საკვერცხეები სულ უფრო ნაკლებ ესტროგენებს გამოიმუშავებს, ირღვევა ათწლეულების მანძილზე ჩამოყალიბებული ენდოკრინული ჯირკვლების მოღვაწეობა - ვითარდება კლიმაქტერული სინდრომი. სამწუხაროდ ის მხოლოდ ერთი-ორი წელი არ გრძელდება. მხოლოდ იშვიათ შემთხვევაშია შესაძლებელი თავი ავარიდოთ ასაკთან დაკავშირებულ სასქესო ჰორმონების დეფიციტით გამოწვეულ დისკომფორტს. ქალების უმეტესობისთვის ეს ტანჯვაა. საშინელი ალები - სიცხის შეგრძნება სახეზე, კისერზე, მკერდზე, რომლებიც ცხოვრების ყველაზე საპასუხისმგებლო მომენტში იჩენს თავს, პათოლოგიური ოფლიანობა, დაუსრულებელი სისუსტე, მეხსიერების პროგრესირებადი დაქვეითება (ალცჰაიმერის დაავადება), ხასიათის არაკონტროლირებადი ცვლილებები. . . გარდა ამისა, გამოცდას ექვემდებარება სექსუალური ცხოვრებაც - სიახლოვე აღარ მოგეჩვენებათ ქალის ცხოვრების ზამბარად, თვით სექსიც ხუნდება. ნუთუ უნდა ვითმინოთ და შევეგუოთ იმას, რომ წინ მხოლოდ „ულმობელი მომავალია“.



სწავლული მედიკოსები დაუღალავად ეძებენ ახალ საშუალებებს, რომლებიც ქალებს მენოპაუზით გამოწვეულ დისკომფორტს დაავიწყებენ და ამ პერიოდს უმტკივნეულოდ გადაატანინებენ. ევროპაში, ამერიკასა და რუსეთში თანმხლები ჰორმონალური თერაპია საკმაოდ გავრცელებულია. ამ ქვეყნების ქალებისთვის ჰორმონალური თერაპიის ან ბუნებრივი საშუალებების მიღება უბრალოდ კულტურად იქცა. კლიმაქსი არ ართმევს ქალურობას, მხოლოდ ორგანიზმს უნდა დავეხმაროთ მისთვის ახალი არსებობის პირობების ათვისებაში.

თუმცა ჰორმონები ყველასთვის რეკომენდებული არ არის, ხოლო ზოგიერთი ქალი ჯერ კიდევ სიფრთხილით ეკიდება ჰორმონალურ პრეპარატებს და ამიტომ, მენოპაუზის პერიოდის ნეგატიური გამოვლინებების კომპენსაციისთვის ხშირად უწევთ სხვა ხერხების და საშუალებების ძიება.

უმსხვილესი ამერიკული კომპანია **„შიფ“**-ი დიდი ხანია დაკავებულია კლიმაქსისა და მისი გამოვლინებების შესწავლითა და მისი შესაძლო კომპენსაციით ბუნებრივი, ნატურალური საშუალებებით, მათ რიცხვს მიეკუთვნება პრეპარატი **„მენოპაუზ-ფორმულა“**, რომელიც აკომპენსირებს ორგანიზმის მიერ ესტროგენების არასაკმარის გამომუშავებას.




პრეპარატს რაიმე უკუჩვენება და გვერდითი მოვლენა არ გააჩნია. **„მენოპაუზ-ფორმულა“** სწრაფად და უსაფრთხოდ მოგიხსნით ყველაზე უსიამოვნო კლიმაქტერულ სიმპტომს - **ალებს, გულის აჩქარებას, ოფლიანობას, პანიკური შეტევებს**, გარდა ამისა, პრეპარატი დაგეხმარებათ ქალურობის, საკუთარი ქალური „მე“-ს შენარჩუნებაში, რომელიც მისმა მფლობელმა ქალბატონმა შეისისხლხორცა და რომლის გარეშეც შემდგომი არსებობა ვერ წარმოუდგენია. ამ „მე“-ს ატრიბუტებს წარმოადგენენ თმა, კანი, ფიგურა. კლიმაქსი ხომ თითოეულ მათგანზე ახდენს გავლენას - თმა უფრო ჩამქრალი და მტვრევადი ხდება; კანი ფერმკრთალდება, ისეთი მკვრივი აღარ არის, ფიგურის კონტურები სიმსუბუქეს კარგავენ. სანამ პრეპარატის მიღებას დაიწყებდეთ, თქვენ მიიღებთ ექიმის კვალიფიციურ კონსულტაციას ვიტამინ-ცენტრ **„ჯეოვიტში“**.

„მენოპაუზ-ფორმულა“
კლიმაქსის რაციონალური მართვა ჰორმონების გარეშე!

*აქვე შეგიძლიათ მიიღოთ კვალიფიციური ექიმი-დიეტოლოგის უფასო კონსულტაცია შარდსასქესო სისტემის დაავადებებისას სწორი კვების შერჩევის თაობაზე.*

## „ჯეოვიტი“ – თქვენი ჯანმრთელობის თანამგზავრი!

**თქვენ დარწმუნებული უნდა იყოთ მათში, ვისაც ყველაზე მთავარს – საკუთარ ჯანმრთელობას ანდობთ!**

ჯეოვიტი
GEOVIT

ამერიკული კომპანია „შიფ“-ის ოფიციალური დისტრიბუტორი
საქართველოში კომპანია „ჯეოვიტი“
მის: ილია ჭავჭავაძის 41 (ვაკის პარკის პირდაპირ),
☎29-20-91; 899 10-99-20; 899 14-35-56 ყოველდღე, შაბათ-კვირის ჩათვლით
www.schiffvitamins.com

# საქართველომ რუსეთის ბაზები შეისყიდა

მოსკოვი თანახმაა, თავისი სამხედრო ბაზები ბათუმიდან და ახალქალაქიდან 5 წელიწადში გაიყვანოს. ეს მას შემდეგ გადაწყდა, რაც საქართველომ იკისრა ამერიკიდან მიღებული ფულით ამ პროცესის დაფინანსება. 5 თებერვალს რფ-ის თავდაცვის სამინისტროს უცნობმა წყარომ „ინტერფაქსს“ შეატყობინა, მოსკოვი და თბილისი უახლოეს ხანში ბაზების გაყვანის შესაძლებლობებს განიხილავენო. თუმცა ამ საქმეს აფერხებს ის, რომ პრეზიდენტმა სააკაშვილმა ჯერ ვერ მოასწრო ჩამოყალიბება მთავრობისა, რომელმაც უნდა დადოს სათანადო ხელშეკრულება. „მოსკოვი კანონიერი მთავრობის ფორმირებას ელოდება, — თქვა იმავე წყარომ. ბაზების გაყვანა მხოლოდ რუსეთ-საქართველოს შორის ურთიერთსამთავრობო ხელშეკრულების რატიფიცირების შემდეგ იქნება შესაძლებელი“. ეტყობა, მოლაპარაკებების ბედი აშშ-ის მატერიალურმა დახმარებამ გადაწყვიტა. სააკაშვილის პრეზიდენტად არჩევის შემდეგ, რამდენიმე დღეში, საგარეო საქმეთა მინისტრმა თედო ჯაფარიძემ მოულოდნელად განაცხადა, რომ რუსეთი ბაზების გაყვანის დასაჩქარებლად 500 მლნ დოლარს ითხოვს და თბილისიც თანახმაა მოლაპარაკებები გამართოსო. იმ დროს საქართველოში მყოფმა ლინ პასკომ მაშინვე თქვა, — ვაშინგტონი მზადაა ფულის გადასახდელად, თუ მოსკოვი და თბილისი თანხასა და ვადებზე შეთანხმდებიანო.

თანხის რაოდენობას განსაზღვრავს რუსეთის ფინანსთა სამინისტრო. იგულისხმება ასეულობით მილიონი დოლარი. ამასთან, მოლაპარაკებებზე შესაძლებელია კვლავ დაიწყოს ვაჭრობა ვადებზე, რადგან ჯარების გაყვანას სამ წელიწადში, როგორც ამას თბილისი ითხოვს, რუსეთი მაინც არ დათანხმდება. გამოცდილება ცხადყოფს, რომ მარტო ერთი დივიზიის რეკონსტრუქციას წელიწად-ნახევარი დასჭირდება (ყაზარმების მშენებლობა, პოლიგონის რეკონსტრუქცია და სხვა). ამგვარად, თვლის ინკოგნიტო წყარო, საქართველოს პოზიცია, რომელიც რუსული ბაზების სამ წელიწადში გაყვანას მოითხოვს, არარეალურია. ამ პრობლემაზე მოლაპარაკების რვა რაუნდი ჩატარდა. როგორც კი თბილისში ლეგიტიმური მთავრობა ჩამოყალიბდება, მოლაპარაკებები გაგრძელდება, — განაცხადა მან.

***გაზეტა რუ***

# მელიებზე ნადირობა



საქართველოს ყოფილ პრეზიდენტს შესაძლოა დაჭერა დაემუქროს. ეს რესპუბლიკის გენერალურმა პროკურორმა ირაკლი ოქრუაშვილმაც დაადასტურა სატელევიზიო ეთერით. ამაზე გენპროკურორი მას შემდეგ ალაპარაკდა, რაც პირდაპირ საქართველოს სახელმწიფო კანცელარიიდან შსს-ს სპეცრაზმელებმა დააკავეს ედუარდ შევარდნაძის ერთ-ერთი ფავორიტი, ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრი მერაბ ადეიშვილი. ოქრუაშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, — მერაბ ადეიშვილზე მაღლა მხოლოდ ყოფილი პრეზიდენტი იყოო და დასძინა, — თითოეული მოქალაქე პასუხს აგებს ჩადენილ ბოროტმოქმედებაზეო. ზოგი რამ ახალმა პრეზიდენტმა, მიხეილ სააკაშვილმაც დააზუსტა — ყველას, ვინც ხალხის ხარჯზე გამდიდრდა, დავაპატიმრებთ, ჩვენ დსთ-ის სივრცეში უნიკალურ ოპერაციას ვატარებთ და უკან არ დავიხევთო. შევარდნაძე, რომელიც ხშირად ჩნდებოდა ეკრანზე და ინტერვიუებსაც არიგებდა, ამ ბოლო დროს ჩრდილში ყოფნას არჩევს და არც კრწანისის რეზიდენციას ტოვებს. საქართველოს გენპროკურატურა ამტკიცებს, რომ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ექსპრეზიდენტი შინაპატიმრობაში იმყოფება. როგორც გენპროკურატურის ერთ-ერთი თანამშრომელი ამბობს, „ჩვენების მისაცემად ყოფილი სახელმწიფო მეთაურის გამოძახება ან მით უმეტეს პასუხისგებაში მიცემა, დღის წესრიგში ჯერჯერობით არ დგას“. ამავე დროს გენპროკურატურაში აღნიშნავენ, რომ ყველაფერი დამოკიდებულია მოვლენების შემდგომ განვითარებაზე. როგორც შსს-ს პრესმდივანი ნატალია ჩიქოვანი ამბობს, ამ უწყებაში „არავითარი მასალა არ არის ყოფილ პრეზიდენტზე“, უფრო მეტიც, ამ მიმართებით არც გამოძიებას არ ატარებენ. პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე კი დარწმუნებულია, რომ „კომპრომატი ექსპრეზიდენტზე ახალ ხელისუფლებას არა აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს. შევარდნაძე იმდენად გონიერია, რომ თავის რეპუტაციას საფრთხეში არ ჩააგდებდა. ის ყოველთვის გამოირჩეოდა გარკვეული ასკეტურობით.“ მაგრამ ის არ გამორიცხავს, რომ „შესაძლებელია, ოდესღაც ექსპრეზიდენტმა მართლაც მოაწერა ხელი ისეთ დოკუმენტს, რომელიც შემდგომში უსინდისო ხალხს გამდიდრების და სხვადასხვა ფინანსური მაქინაციის საშუალებას მისცემდა, ამ მხრივ პრეტენზიები შეიძლება იყოს პრეზიდენტისადმი, რომელსაც პასუხი მოეთხოვება ყველაფერზე, რაც ქვეყანაში ხდებოდა“.

არსებობს მოსაზრებაც, რომ მუქარით შევარდნაძე აიძულონ, დატოვოს სახელმწიფო. ყოფილი პრეზიდენტის კლანი ძველებურად ძლიერია და მოქმედი ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს მის გასანეიტრალებლად. ბოლო ორი თვის განმავლობაში საქართველოს სამართალდამცავებმა ფინანსური მაქინაციებისთვის დააკავეს სათბობ-ენერგეტიკის მინისტრი დავით მირცხულავა, რკინიგზის დეპარტამენტის ყოფილი გენდირექტორი აკაკი ჩხაიძე და ამ უწყების ათამდე მაღალჩინოსანი. საგადასახადო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე ვახტანგ ჩახნაშვილი. სია გრძელია და ეტყობა, კიდევ გაგრძელდება. დაკითხვაზე გენპროკურატურაში მიიწვიეს შევარდნაძის სიძეც — კომპანია „მაგთიკომის“ მეთაური გიორგი ჯოხთაბერიძე. ასეთ სიმაღლეზე გასვლა ადრე წარმოუდგენელი იყო. მაგრამ თავად ედუარდ შევარდნაძის დაპატიმრება ძალიან დიდ საერთაშორისო რეზონანსს გამოიწვევს, როგორც საყვარელიძემ აღნიშნა, „ამ კაცის დაჭერა პრეზიდენტ სააკაშვილს გაუჭირდება, დასავლეთი, რომელმაც ერთხელ უკვე „ჩაუშვა“ შევარდნაძე, ნებას არ მისცემს ახალ ხელისუფლებას, სანქცია წაუყენოს ექსპრეზიდენტს“. საერთაშორისო ეკონომიკური და პოლიტიკური გამოკვლევების სამეცნიერო ინსტიტუტის თანამშრომელი, ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ექსპერტი ალა იაზიკოვაც ეჭვობს, რომ ახალი მთავრობა რამენაირად გაუსწორდება ყოფილ პრეზიდენტს და ისიც დარწმუნებულია, რომ დასავლეთი ამ გადაწყვეტილებაზე მათ სანქციას არ მისცემს, აქედან გამომდინარე, უბრალოდ, უნდათ ექსპრეზიდენტმა დატოვოს სამშობლო, — ასკვნის ის.

***ნეზავისიმაია გაზეტა***

# სააკაშვილი აფხაზეთის პრეზიდენტად აშშ-ის მოქალაქეს დასვამს

წელს, შემოდგომაზე, აფხაზეთში მეორედ ჩატარდება საპრეზიდენტო არჩევნები. მძიმე ავადმყოფი ვლადისლავ არძინბა, არჩევნებთან დაკავშირებით, ჯერჯერობით, არაფერს ამბობს, ოფიციალური მედიაც დუმს. სამაგიეროდ, ოპოზიციურ გაზეთ „ნუჟნაიაში“ დაბეჭდილ ქართულ-აფხაზური (1992-93წ.) ომის ვეტერანთა ორგანიზაცია „ამცახარას“ ხელმძღვანელთა მიმართვაში, „ეროვნული უშიშროება და პოლიტიკური გაურკვევლობა აფხაზეთში“, ლაპარაკია მიმდინარე ნეგატიურ მოვლენებზე და ხაზგასმულია კლანური მმართველობის აღზევება. შარშან, სწორედ „ამცახარას“ პროტესტების გამო გადადგა გენადი გაგულიას მთავრობა. ახლანდელ მიმართვაში ვეტერანები მიანიშნებენ, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში წამოაყენებენ იმ კანდიდატს, რომელიც აფხაზეთში არ ცხოვრობს. ბევრი პოლიტიკოსი 10 წლის წინ, ომის დამთავრებისთანავე გაერიდა იმ ხელისუფლებას, რომელიც მათ არც ნიჭის და შესაძლებლობების გამომჟღავნების საშუალებას მისცემდა და არც სიტყვისა და მოქმედების თავისუფლებას.

აფხაზეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესმდივანი ალექსანდრ სტუდენკინი გაზეთ „რესპუბლიკა აბხაზიის“ ფურცლებზე შეშფოთებას გამოთქვამს აფხაზეთის „დევნილი მთავრობის“ საქმიანობის გამო. მაგალითად მოჰყავს საქართველოში მყოფი აფხაზეთის უშიშროების მინისტრის ლევან კიკნაძის ინტერვიუ, სადაც ის სიხარულით ამცნობს ყველას, რომ საქართველოს ახალი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი „შიგნიდან შეეცდება“ აფხაზეთის სახელმწიფოებრიობის დარღვევას, ხოლო ამისათვის აშშ-ის მოქალაქეს ინალ კაზანს გამოიყენებს. ინალ კაზანი ადიღეური წარმოშობისაა. მამამისი, იახია კაზანი, 90-იან წლებში არძინბას წარმომადგენელი იყო აშშ-ში, მაგრამ შემდეგ განუდგა და 1999 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში მისი მეტოქეობაც სცადა, მაგრამ რეგისტრაციაზე უარი ეთქვა აფხაზური ენის უცოდინარობის გამო. შემდგომში ის და მისი ვაჟი ინალი, „აშშ-ის დიასპორის სახელით“ აცხადებდნენ, — აფხაზებსა და ქართველებს შორის დიალოგი აუცილებელიაო.

როგორც ეტყობა, ვერსია იმაზე, რომ სააკაშვილს დაგეგმილი აქვს ინალ კაზანის აფხაზეთის „პოლიტიკურ ველში“ შეყვანა — აფხაზეთში სერიოზულად აღიქვეს. „რესპუბლიკა აბხაზიას“ ერთ-ერთ ნომერში დაბეჭდილია მიმართვა ამერიკელი კაზანისადმი, სადაც საქართველოსა და აფხაზეთის გაერთიანების მოწოდების საპასუხოდ ნათქვამია: „აფხაზეთი საქართველოს შემადგენლობაში მხოლოდ სსრკ-ის პერიოდში იყო, ისიც 1931 წლიდან. სამწუხაროდ, სსრკ აღარ არსებობს, საქართველო კი 1918 წლის კონსტიტუციას დაუბრუნდა, სადაც აფხაზეთი არ ფიგურირებს. მაშ, საქართველოს რომელ ტერიტორიულ მთლიანობაზე ლაპარაკობთ?..

***რეგნუმ.რუ***

# საქართველოს პრეზიდენტს ავტორიტარიზმში ადანაშაულებენ



კობა დავითაშვილი წინააღმდეგია იმისა, რომ მიხეილ სააკაშვილმა კონსტიტუცია ზურაბ ჟვანიას მიუსადაგოს

მიხეილ სააკაშვილი პრეზიდენტობის ამ მოკლე ხანში ოპოზიციის სერიოზულ წინააღმდეგობას წააწყდა. საქართველოს პარლამენტში აბობოქრებული სკანდალი მხოლოდ ნოემბრის მოვლენებს თუ შეედრებოდა, როცა რევოლუციურმა სამეულმა ედუარდ შევარდნაძე ხელისუფლებიდან გადააყენა. პარლამენტზე განსახილველად წარდგენილი იყო საკონსტიტუციო ცვლილებები, რომელიც 90-იან წლებში გაუქმებული მინისტრთა კაბინეტის აღდგენას ითვალისწინებს. ოპონენტებმა ამ წინადადებებს ქართული დემოკრატიის დასაწყისის დასასრული უწოდეს. სააკაშვილის სურვილი იყო, რომ „ვარდების რევოლუციის“ მესამე ლიდერის, ზურაბ ჟვანიას ამბიციები დაეკმაყოფილებინა. ახლა ჟვანია სახელმწიფო მინისტრია, მაგრამ სააკაშვილი მას ყოველთვის მომავალ პრემიერ-მინისტრად მოიხსენიებდა. სწორედ ამისთვის იყო შეტანილი ცვლილებები კონსტიტუციაში.

პარლამენტში შეტანილი წინადადებების თანახმად, საქართველო ნახევრად საპრეზიდენტო რესპუბლიკა ხდება. პროექტი საიდუმლოდ მზადდებოდა. მისი ავტორები გულმოდგინედ ეძებდნენ ისეთ ფორმულას, რომლის მიხედვითაც, ხელისუფლება თანაბრად განაწილდებოდა პრეზიდენტს, პრემიერსა და სპიკერს შორის.

მიხეილ სააკაშვილმა დეპუტატებს მიმართა, რომ დროულად მიიღონ შესწორებები ერთიანი და ენერგიული სამთავრობო გუნდის შესაქმნელად, წესრიგის დასამყარებლად. პარლამენტში გამოთქმულ ეჭვს, მოსალოდნელი დიქტატურის შესახებ, სააკაშვილმა დემაგოგია უწოდა. პრეზიდენტის მხარდასაჭერად საქართველოს მომავალმა ელჩმა რუსეთში, კოტე კემულარიამ, ნიშნის მოგებით თქვა, — *ედუარდ შევარდნაძეს თუ არ ჰქონდა პარლამენტის დათხოვნის უფლება, იმიტომ ვერ მოახერხა ავტორიტარული რეჟიმის შექმნაო...* დეპუტატმა ვახტანგ ხმალაძემ დიქტატურის მოახლოებაზე გააფრთხილა ხალხი. პარლამენტარმა ზაქარია ქუცნაშვილმა კოლეგებს მოუწოდა, — ვინც კონსტიტუციაში შესწორებას ხმას მისცემს, ამომრჩევლებს თვალს ვერ გაუსწორებსო. მაგრამ მიხეილ სააკაშვილისა და მის თანაგუნდელებისთვის ყველაზე გულსატკენი მათი თანამოაზრის, კობა დავითაშვილის დემარში იყო, რომელმაც პროტესტის ნიშნად პარტიის პოლიტიკური მდივნის პოსტი დატოვა და განაცხადა, — სააკაშვილმა დუმილის სანაცვლოდ თავდაცვის მინისტრობა შემომთავაზა, მაგრამ „ავტორიტარული რეჟიმის“ საშიშროების გამო გაჩუმება არ შემიძლიაო. ტრადიციონალისტების ლიდერი აკაკი ასათიანი ამბობს, — სააკაშვილი შევარდნაძეს აკრიტიკებდა, — განუსაზღვრელი ძალაუფლება აქვსო, არადა მხოლოდ ახლა იღებს პრეზიდენტი პარლამენტის დათხოვნის უფლებას. სააკაშვილი ხალხს ავტორიტეტული ჩინოსნების დაჭერებით ახარებს. მერე რაღას იზამს, ყველას რომ დაიჭერს? თვითონ ხომ ჯერ არაფერი შემოუთავაზებიაო...

მიუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა, კონსტიტუციის შესწორებები ხმათა უმრავლესობით გავიდა.

***ვრემია ნოვოსტეი***

*გვერდი მოამზადა თინათინ მარგველაშვილმა*


# ჯადოსნური კუპონი




„ბუთქუნას და მეგობრების“ ბოლო 6 წიგნის ყველა ეგზემპლარში დევს ჯადოსნური კუპონი ფირმა „თოლიასაგან“. თუ ამ კუპონს წარადგენთ „კვირის პალიტრის“ საგაზეთო ჯიხურებში, საჩუქრად მიიღებთ უგემრიელესი ნამცხვრის, „ზღაპრულის“ ან „ლიმპოპოს“ ერთ შეკვრას.




კუპონების განაღდება ასევე შეიძლება იმ სავაჭრო ობიექტებში, სადაც იყიდება „თოლიას“ ნაწარმი




უფროსებო! გაახარეთ პატარები!

თან საინტერესო, თან გემრიელი!

წიგნები იყიდება საგაზეთო ჯიხურებში და წიგნის მაღაზიებში



ძვირფასო მშობლებო და ჩვენო პატარებო!

კვლავ მივიღეთ თქვენი წერილები. გმადლობთ, რომ ასე აქტიურად გვეხმიანებით და მოგწონთ თქვენი გვერდი. თითოეულ ბარათს ვინახავთ და შევეცდებით, მათ შორის საუკეთესოები მომდევნო ნომრებში შემოგთავაზოთ.



4 წლის **ანანო მაზანაშვილს** ეძინებოდა. დაღლილი მამა მიუწვა, რომ დაეძინებინა, მაგრამ ბავშვზე ადრე თვითონ ჩაეძინა.

— მამიკო, ზულიკო, ახლა მე დამაძინე, — გააღვიძა ანანომ მამა.

***

წვიმიანი დილაა. 1 წლის და 9 თვის **ანანო მჟავანაძე** დედას სთხოვს:

— გამიკეთე თოვლის, ბაბუა ლა?

— თოვლის ბაბუას ვერ გაგიკეთებ, არ თოვს, ახლა წვიმს, — უპასუხა დედამ.

— წვიმის ბაბუა გამიკეთე, ლა? — ითხოვა ანანომ.

***

2 წლის **ლუკა** თოჯინით ერთობა.

— ლუკა, თოჯინას რამდენი თვალი აქვს?

— ეთი, ოლი, — ითვლის ლუკა.

— ყურები?

— ეთი, ოლი.

— ცხვირი? ლუკა ჩაფიქრდა და „ძაან ცოტააო“ — გვიპასუხა.

## I ანა, გამოიცანი

**1) ამათგან რომელია შავი ფერის ქვა?**

ა) ზურმუხტი; ბ) გიშერი; გ) საფირონი; დ) ლალი.

**2) რა არის ალიბი?**

ა) ნივთმტკიცება; ბ) ცრუჩვენება; გ) უდანაშაულობის მტკიცებულება; დ) დანაშაულის დამალვა.

**3) რომელი ფრინველი გაჰკივის ღამით?**

ა) მერცხალი; ბ) მწყერი; გ) გედი; დ) ჭოტი.

**4) რომელ ბრძოლაში დაიღუპა 9 ძმა ხერხეულიძე?**

ა) ბახტრიონის; ბ) ბასიანის; გ) მარაბდის; დ) კრწანისის.

**5) ამათგან რომელი კუთხის ხალხურ სიმღერებშია კრიმანჭული?**

ა) გურულში; ბ) კახურში; გ) სვანურში; დ) მეგრულში.

**6) ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, რომელი ნაწარმოები არ ეკუთვნის ჟიულ ვერნს?**

ა) „კაპიტან გრანტის შვილები“. ბ) „80 ათასი კილომეტრი წყალქვეშ“. გ) „საიდუმლო კუნძული“; დ) „უთავო მხედარი“.

**7) რისი ექიმია დერმატოლოგი?**

ა) ყელ-ყურის; ბ) გულ-სისხლძარღვთა სისტემის; გ) თვალის; დ) კანის.

**8) რას შეადარა საქართველოს მიწა აკაკი წერეთელმა?**

ა) ზურმუხტს; ბ) ფირუზს; გ) ალმასს; დ) ოქროს.

**9) ვისი ვაჟი იყო სოლომონ ბრძენი?**

ა) საულის; ბ) დავით მეფსალმუნის; გ) იაკობის; დ) ნაბუქოდონოსორის.



II ააწყვე მატრიოშკები სიდიდის მიხედვით, პატარიდან – დიდამდე




ქვემოთ მოცემულ ცხოველებს შეურჩიე თავისი საჭმელი

## III გამოცანა

**თუმცა იგი შენ გეკუთვნის,**
**რაზეც გეკითხები,**
**მაგრამ შენზე უფრო ხშირად,**
**ახსენებენ სხვები.**

## იესო მოუხმობს ცოდვილს

ბიბლიური მოთხრობა

მებაჟეებს კარგი სახელი არ ჰქონდათ. ისინი ხშირად უფრო მეტ გადასახადს მოითხოვდნენ, ვიდრე დადგენილი იყო. მებაჟეები რომაელ დამპყრობლებს ემსახურებოდნენ. ამიტომ ფარისევლებს მათთან არავითარი საქმის დაჭერა არ სურდათ.

ერთხელ იესო ზღვის პირას მიდიოდა და დაინახა მებაჟე ლევი, რომელიც საბაჟოზე იჯდა. იესომ უთხრა მას: „გამომყევი“. ლევი ადგა და გაჰყვა იესოს. როდესაც იესო ლევის სახლში საჭმელს ჭამდა, ბევრი მებაჟე და ცოდვილი მასთან და მის მოწაფეებთან ერთად ჭამდა. ფარისევლებმა და მწიგნობრებმა ეს დაინახეს და მოწაფეებს ჰკითხეს: „როგორ ჭამს იგი ცოდვილებთან ერთად?“ იესომ შეკითხვა გაიგონა და უპასუხა: „კარგად მყოფთ კი არ სჭირდებათ მკურნალი, არამედ ავადმყოფთ. მართალთა მოსახმობად კი არ მოვსულვარ, არამედ ცოდვილთა“.

იესო მთაზე ავიდა. მან მოუხმო მოწაფეებს, რომლებიც აირჩია და ისინიც მასთან მივიდნენ: თორმეტი კაცი. მოციქულები მუდამ მასთან უნდა ყოფილიყვნენ: ენახათ, რას აკეთებდა იგი, და მოესმინათ, რასაც ამბობდა. ამ თორმეტის გაგზავნა სურდა მას მოციქულებად, რათა მათ სახარება ექადაგათ და მისი ძალაუფლებით ავადმყოფებისათვის ემკურნალათ. ეს თორმეტი მოციქული იყო: სიმონი, რომელსაც მან პეტრე უწოდა, იაკობი და მისი ძმა იოანე, აგრეთვე ანდრია, ფილიპე, ბართლომე, მათე, თომა, იაკობ ალფესი, თადეოსი, სიმონ კანანელი და იუდა ისკარიოტელი, რომელმაც შემდეგ იესო გასცა.

შეიტანე კროსვორდის ბადის ცარიელ უჯრებში ნახატის შემადგენელი გამოსახულებების სახელწოდებები ვერტიკალურად და ყვითელ ჰორიზონტალურ რიგში მიიღებ შემდეგი გამოცანის პასუხს: „ცხრა ახალუხი აცვია, მის გახდას ის არ აპირებს, ვინც გახდის, თვალებს აუწვავს, ცხარე ცრემლებით ატირებს.“.




იპოვე 9 განსხვავება



პასუხები იხილეთ 31-ე გვერდზე გვერდი მოამზადა მამუკა ხუციშვილმა



# „დამთრგუნა, ხელ-ფეხი შემიკრა ამდენმა სიცრუემ“...

## შეხედულების სხვადასხვაობის გამო ადამიანებს ერთმანეთი არ უნდა შესძულდეთ

ქართველებს თავის წარმოსაჩენად (შეიძლება გადასარჩენადაც) ზოგჯერ ამბიციები „გვაწუხებს“. ძალიან ბევრს ვლაპარაკობთ ჩვენს განსაკუთრებულ ნიჭიერებაზე... თუმცა გაჭირვებისას აპათიაც გვიპყრობს, — ვამტკიცებთ, ხანდაზმული ერი ვართ, ახალს ვეღარაფერს შევქმნით და ვერც დიდხანს ვიარსებებთო... საბედნიეროდ, ამ არც ისე სასიამოვნო თეორიას ქართული ნიჭის გამონათება ანადგურებს: — ამით დასტურდება, რომ ჩვენ ვცოცხლობთ...

ერთი ქართველი ხელოვანის შესახებ უცხოური პრესა ასე წერს:

„სპექტატორი“ (ინგლისი): „ბრწყინვალედ დირიჟორობდა მაჭავარიანი. არასდროს მომისმენია შოტლანდიის ოპერის ორკესტრის ასეთი გასაოცარი შესრულება“.

„შტუტგარტ ცაიტუნგი“ (გერმანია): „მაჭავარიანმა მუსიკა განსაცვიფრებელ აფეთქებამდე მიიყვანა“.

„ლა ტრიბუნი“ (საფრანგეთი): „ორკესტრი მოჯადოებულია ვახტანგ მაჭავარიანით: ის დიდებული გარეგნობის, ემოციური და კომუნიკაბელური ადამიანია“...

სხვათა შორის, ვახტანგ მაჭავარიანმა საზღვარგარეთის მრავალ ქვეყანაში ტრიუმფს ისე მიაღწია, არც შევგიმჩნევია. ჩავლილი ომების, სიცივისა და შიმშილის წლებში, ხელოვნებისადმი ინტერესი გაფერმკრთალდა, ქვეყანა გაგულგრილდა... ერთ „მშვენიერ“ დღეს საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრიც ქუჩაში აღმოჩნდა... და მაშინ უცხოეთიდან დაბრუნდა ვახტანგ მაჭავარიანი, როგორც ამ „უბინაო“ ორკესტრის მთავარი დირიჟორი და სამხატვრო ხელმძღვანელი.



— **ბატონო ვახტანგ, ამ დაბრუნებით რამდენ კონცერტზე თქვით უარი იმ წელიწადს?**

— თერთმეტზე.

— **დაზარალდით?**

— ყოველმხრივ. ჯერ ერთი, როგორც პროფესიონალი ზარალდები... მერე, რა კაცი გამოდიხარ? ჯერ დებ კონტრაქტს და მერე აუქმებ... ჩემმა პროდიუსერმა მომწერა, კარგი ბიჭი ხარ, ძალიან გვიყვარხარ, მაგრამ შენთან კონტრაქტს ველარ გავაგრძელებთო... განვიცადე, მაგრამ ცხოვრებაში რაღაც არის ისეთი, რომლის გამო საკუთარ ინტერესებზე უარი უნდა თქვა. ასეთი მიზეზი ბევრი მქონდა. ჯერ ერთი, აქ ჩემი სამშობლო და მამის საფლავია. მამას ძალიან უნდოდა ასე მოვქცეულიყავი. აქ არის ჩემი ოჯახი, აქ ცხოვრობენ დედაჩემი და ჩემი ახლობლები. მეგონა, ადვილად მოვაგვარებდი პრობლემებს, მაგრამ სულ უფრო და უფრო მიძნელდებოდა. სანამ მთავარი დირიჟორი ვიყავი, წელიწადში თითო თვით, გაზაფხულსა და შემოდგომაზე ჩამოვდიოდი. 1998 წელს კი, როცა ორკესტრი ქუჩაში აღმოჩნდა, უკვე ბრძოლა დავიწყე მის გადასარჩენად. უამრავი პრობლემის მიუხედავად, ერთად ბევრი რამ შევძელით. ქართველი და უცხოელი მეგობრებიც დამეხმარნენ, მსოფლიოს ცნობილი მუსიკოსები ჩამოვიყვანეთ, კონცერტები გავმართეთ, გაცოცხლდა მუსიკალური ცხოვრება... მაგრამ იცით რა, მეგობარი მეგობარია და ის შესაძლოა ყოველთვის ყოველგვარი პირობის გარეშე დაგეხმაროს. ყველაზე მეტად ის მახარებს, რომ უცხო ადამიანები მეუბნებიან, — გიცნობთ, ვიცით, რასაც აკეთებთ და გვიყვარხართო.

— **ენერგიული ადამიანი ყოფილხართ. წარმომიდგენია, რა დღეში იყავით, როცა თან აქაურ ქაოსს ალაგებდით და თან უცხოეთში კონცერტებს მართავდით...**

— ძალიან გამიჭირდა. ამას წინათ განვაცხადე კიდეც, ორკესტრს ვტოვებ-მეთქი. თამამად შემიძლია იმის თქმა, რომ მე ეს გუნდი გადავარჩინე. მაგრამ ჯერ ისევ რთული მდგომარეობაა... ისევ ვერავინ წყვეტს ორკესტრის ბედ-იღბალს და ამიტომ, როგორც ხედავთ, კი ვთქვი, მაგრამ ისევ აქ ვარ, სანამ მათი პატრონი არ მოიძებნება. იცით, რატომ გადავწყვიტე წასვლა? განა იმიტომ, რომ მოსკოვის დიდი სიმფონიური ორკესტრის ხელმძღვანელად მიმიწვიეს. არა, ჩემთვის შეუძლებელი გახდა იმ უპასუხისმგებლობის ატანა, რასაც ნებისმიერ ინსტანციაში ვხვდებოდი. არც შრომის მეშინია და არც ტვირთის, მაგრამ სული შემეხუთა. ხელ-ფეხი შემიკრა ამდენმა სიცრუემ. ტყუილს ისე გეუბნებიან, თითქოს ჭეშმარიტებას გიმტკიცებდნენ... ეს არის ყოველი მარცხის სინდრომი, სიცრუემ შეიძლება იმ წუთში კი გადაარჩინოს ადამიანი, მაგრამ მერე წააქცევს. რა თქმა უნდა, მესმის, რატომ ცრუობენ ასე გაუთავებლად ჩემს სამშობლოში — იმიტომ, რომ ხან ათასი ურჯულოსგან გვიხდებოდა თავის დაძვრენა, ხან საბჭოთა იმპერიისგან. იძულებულნი ვიყავით გვეცრუა... ეს გადარჩენის კომპლექსი იყო, რომელიც ახლა დაღუპვის კომპლექსად იქცა. ქართველები საკუთარ თავს უნდა დავუბრუნდეთ!.. ჩვენ ხომ სინამდვილეში მართალი და ძლიერი ხალხი ვართ.

იცით რა, ახლა ამ რევოლუციამ იმედი მომცა: იქნებ შეიცვალოს ჩვენი ფსიქიკა. გაჩნდეს პასუხისმგებლობის გრძნობა. გავხდეთ მიმტევებლები და შევეგუოთ იმას, რომ მშვიდად შეიძლება ცხოვრება იმ ადამიანის გვერდითაც, ვინც ჩვენსავით არ ფიქრობს. შეხედულებების სხვადასხვაობის გამო ადამიანებს ერთმანეთი არ უნდა შესძულდეთ... ჩვენ ჯერჯერობით ისევ კლანების დაპირისპირების სივრცეში ვცხოვრობთ და არა სახელმწიფოში... იმედი მაქვს, რომ სახელმწიფოც გვექნება! იმიტომაც მივდიოდი მიტინგებზე რუსთაველზე. გულით მინდა ცვლილებები მოხდეს...

— **ბევრი იმედი ჩაგიდიათ რევოლუციაში, რომ არ გამართლდეს?**

— უნდა გამართლდეს!.. როგორ შეიძლება ერი არსებობდეს და ნაბიჯი ვერ გადადგას? მინდა, წინ წავიდეთ, ეგოისტურად მინდა... იმიტომ, რომ მე ჩემს სამშობლოში ყოფნას არაფერი მირჩევნია, თუ იგი ჩემი არსებობის გამართლების საშუალებას მომცემს... იცით, როგორ ჩავერთე ამ რევოლუციურ ამბებში? იმ დღეებში მოსკოვში მომიხდა წასვლა. შინ ვიჯექი და ვუყურებდი ქართულ ტელეარხებს. დამპატიჟა ერთმა, მეორე, მესამე მეგობარმა და არ წავედი, იმიტომ, რომ ქართული ტელეარხები არ ჰქონდათ. ისე, უცხოეთში ხშირად მაკლია ქართული ტელეარხი, ძალიან კარგად ვარ იქ, კომფორტულად, მუშაობის საშუალებაც მაქვს და სახელიც, მაგრამ გული აქა მაქვს... ახლა ხშირად ჩამოვდივარ და ამიტომ ვერ ვგრძნობ მონატრებას. პარიზში ყოფნის დროს კი მომსვლია — ცხადში იქ ვიყავი, სიზმარში — შინ, მშობლებთან.

**იცით, როგორ ჩავერთე ამ რევოლუციურ ამბებში? იმ დღეებში მოსკოვში მომიხდა წასვლა. შინ ვიჯექი და ვუყურებდი ქართულ ტელეარხებს. დამპატიჟა ერთმა, მეორე, მესამე მეგობარმა და არ წავედი, იმიტომ, რომ ქართული ტელეარხები არ ჰქონდათ. ისე, უცხოეთში ხშირად მაკლია ქართული ტელეარხი, ძალიან კარგად ვარ იქ, კომფორტულად, მუშაობის საშუალებაც მაქვს და სახელიც, მაგრამ გული აქა მაქვს... ახლა ხშირად ჩამოვდივარ და ამიტომ ვერ ვგრძნობ მონატრებას. პარიზში ყოფნის დროს კი მომსვლია — ცხადში იქ ვიყავი, სიზმარში — შინ, მშობლებთან.**

— **მამათქვენი, ალექსი მაჭავარიანიც ხელმძღვანელობდა საქართველოს სახელმწიფო სიმფონიურ ორკესტრს. ამბობენ, რომ მას თანამედროვეებმა გული ატკინეს...**

— მამა მართლა დიდი კომპოზიტორი იყო. მის ცხოვრებაში ბევრი კარგიც იყო და ცუდიც... იცით, როგორ არის? — როცა ადამიანის ცხოვრებაში ყველაფერი კარგია, ის ერთფეროვანი ხდება, თუ მხოლოდ ცუდი — ტრაგიკული. მამას ცხოვრებაში კარგიც ბევრი იყო და ცუდიც. ამიტომაც იგი ძლიერი ადამიანი იყო. ყოველივე ქართულში სულითხორცამდე შეყვარებული და მიუხედავად იმისა, რომ ხშირად საკმაოდ უჭირდა, მისთვის სამშობლოს სიყვარულს ვერაფერი შეეხო... ჯერ იყო, რევოლუციის დროს ჩამოართვეს ყველაფერი და გიმნასტიკის მასწავლებლობით ინახავდა ოჯახს. სხვათა შორის, რომ გეთქვა, ცუდი დირიჟორი ხარო, გაეცინებოდა, ცუდი გიმნასტი ხარო — გაგიჟდებოდა! მერე ერთიხანობა მისი ნაწარმოებების გამოცემაც აკრძალეს და აი, ასე ცხოვრობდა... მაინც აღიარებდნენ. ვინ და სად აღარ შეასრულა... ბევრი ტკივილი გადაიტანა, მაგრამ სიცოცხლის დასასრულს თქვა — გული არ მწყდება, საინტერესოდ ვიცხოვრეო. ვამაყობ, რომ მამამ გამოუცდელს მომანდო მისი „ვეფხისტყაოსნის“ პარტიტურის აჟღერება. კომპოზიტორისგან ეს გასაოცარი ნდობაა, იმიტომ, რომ მისთვის მნიშვნელობა არა აქვს, ძმა ხარ თუ შვილი. მისი შვილი და ძმაც მისი ნაწარმოებია. ამ პირველ აჟღერებას პეტერბურგის მარიას თეატრში დიდი წარმატება ჰქონდა. სხვათა შორის, არ დამავიწყდება, როგორ სითბოთი მიმიღო ამ თეატრმა... პირველად უცხოეთში, პარიზშიც ამ ნაწარმოებით გამოვჩნდი. მარიას თეატრის დასი საფრანგეთის კონგრესის დარბაზში უკრავდა. ვღელავდი, მაგრამ ამ 5000-კაციან თეატრში 20 ჩემი მეგობარიც იჯდა და ეს მამხნევებდა...

— **პარიზში ერთბაშად 20 მეგობარი როგორ შეკრიბეთ?**

— ღმერთმა მეგობრობის განსაკუთრებული ნიჭით დამასაჩუქრა. არ მიჭირს მეგობრების შეძენა და შეკრება. ერთ-ორ მაგალითს გიამბობ... პარიზში ერთ ოჯახში ვიყავი სტუმრად, მოვიდა ვილაც კაცი და მითხრა — ფოტო უნდა გადაგიღოთ, საინტერესო სახე გაქვთო... ეს კაცი ევროპის ცნობილი ფოტოგრაფი სტეფან დე ბურჟე აღმოჩნდა და ამ ერთი ფოტოს გადაღების შემდეგ ჩემი მეგობარია...

ჩემი მეჯვარეც შემთხვევით სანქტ-პეტერბურგში გავიცანი ქუჩაში, უფრო სწორად, მისი მეუღლე გავიცანი... სასტუმროდან გამოვდიოდი და ვხედავ, ძალიან ლამაზი ქალი ეძებს მანქანას. მომეწონა და ვკითხე, მანქანას ხომ არ ეძებთ-მეთქი. კიო — მითხრა. სამსახური შევთავაზე... ვხედავ, ვიღაცას ეძახის. გავიხედე, ახალგაზრდა კაცი მოდის. ჩემი ქმარიაო, მითხრა. არ მესიამოვნა, მაგრამ რაღას ვიზამდი... ფრანგები იყვნენ, კიროვის თეატრში უნდოდათ შესვლა. ეს პრობლემა იყო. ავდექი და თეატრის დირექტორს ლოჟის ორი ბილეთი გამოვართვი. გაგიჟდნენ სიხარულით. მერე სასტუმროშიც დავპატიჟე — აპარტამენტებში ვცხოვრობდი. თეატრი მანებივრებდა. მომეწონა ეს ხალხი... დავმეგობრდით... ახლა რომ დავურეკო, ხვალ პარიზში მოვფრინავ და ბინა მჭირდება-მეთქი, მეტყვის — მე რას მეკითხები, შედი ჩემს სახლში და იცხოვრე, ხომ იცი, გასაღები სადაც ინახებაო... ასეა... რაც შეეხება ქართველ მეგობრებს, თვითონაც მიხვდებით, რამდენი მეყოლება...

— **რადგან უცხოეთზე ვსაუბრობთ, ისიც მითხარით რამდენ ქვეყანაში დაგიდგამთ სპექტაკლი, სად გიდირიჟორიათ, სად გიცხოვრიათ...**

— ბევრგან. ბუნებრივია, სადაც სპექტაკლს ვდგამდი, იქვე დროებით თუ ხანგრძლივად, კიდეც ვცხოვრობდი. რუსეთის ქალაქებში, გერმანიაში, საფრანგეთში, ინგლისში, იტალიაში, ესპანეთში, ტაივანში, სინგაპურში, ისრაელში... შორს წავალთ ახლა ჩამოთვლით...

— **სად მოსწონდით ყველაზე მეტად? ან თქვენ სად გერჩივნათ ყოფნა?**

— იცით, როგორ არის? როცა სადმე წარმატება მაქვს, ასე მგონია, ეს ყველაზე მეტია და უფრო დიდი აღარ იქნება-მეთქი... თუმცა მერე, სხვა კონცერტზე, ვფიქრობ, რომ ეს არის ჩემი ყველაზე დიდი მიღწევა.. აი, ახლახან მოსკოვში ძალზე დიდი ოვაციებით შემხვდნენ, მაგრამ მერე მგონი უფრო დიდი ოვაციები პეტერბურგსა და პარიზში გამიმართეს... ძალიან მიყვარს პარიზი, აქ გავიცანი ჩემი მეუღლე, რომელსაც თქვენც იცნობთ. ხომ დაწერეთ თქვენს გაზეთში მასზე („კვირის პალიტრა“, 2003წ, 2-8 ივნისი)? ახლა ოჯახით დიუსელდორფში ვცხოვრობ. მყუდრო ადგილია, ჩავჯდები მანქანაში და 20 წუთში მეგობრებთან ვართ... აი, სულ ასე ვმოგზაურობ და ვმოგზაურობ, მაგრამ მაინც უცხოეთში ჩემი პირველი წასვლის აღტაცება არ ამომდის თავიდან... 13 წლის ვიყავი. პარიზიდან დედაჩემის ბიძამ, პიერ კობახიძემ გამოგვიგზავნა მე და დედას მოწვევა, მოვახერხეთ, ჩავედით. იცით, რა კაცი იყო ეს პიერი? დენიკინის ოფიცერი გახლდათ! როცა ბოლშევიკები საქართველოში შემოვიდნენ, ჩაჯდა გემში და წავიდა საფრანგეთში. სტამბოლს რომ მიუახლოვდა, ამოიღო თავისი საგვარეულო ხმალი და ბოსფორში გადააგდო, — ამ ხმლით საქართველოსთვის მიბრძოლია, თურქებს ხელში ვერ ჩავუგდებო.

— **თქვენი გრაფინია მეუღლე, ალექსანდრა ხაჭაპურს დიუსელდორფშიც გიცხობთ?**

— როგორ არა... სხვათა შორის, ქმრის მოვლის საქმეში ქართველი ქალივითაა. ის საქმიანობს, მე მთელი დღე ვმუშაობ. ჩემი ბიჭი, ალექსი 5 წლისაა... გერმანიაში დედაჩემი ენატრება, აქ კიდევ, იქაურები. იცის ქართული, რა თქმა უნდა — გერმანული და ინგლისურიც... ისე, მგონი მეტისმეტი მოუვიდა და ვიღუპებით, ფრანგულ და რუსულ სიტყვებსაც სწავლობს...

— **მთელი ცხოვრება უცხოეთსა და საქართველოს შორის დადიხართ. სად იცხოვრებს მოხუცი ვახტანგ მაჭავარიანი?..**

— მაგისთანა საკითხებს ბედი წყვეტს. ისე, მთელი ჩემი ცხოვრება რაც ვაკეთე, საქართველოსთვის სახელით ვაკეთე... სიმართლე რომ გითხრათ, საქართველოს შემდეგ ყველაზე მეტად ერთი ადგილი მიყვარს. ეს არის კორსიკა! იცით, რას მღერიან კორსიკელები? — მრავალხმიანობა აქვთ! ქართული სიმღერის პატრონი როგორ უნდა გაოცდეს, მაგრამ ხანდახან იმათ რომ ვუსმენ, მაინც გავოცდები ხოლმე. მგონი, ჩვენზე უფრო გიჟებიც არიან!..

— **რა მოხდება, როცა ორკესტრს დატოვებთ?**

— იმედი მაქვს, ქვეყანა მოუვლის... იქნებ ვინმე დაფიქრდეს, რა ულირს საქართველოს ეს ორკესტრი...

*ეთერ ერაძე*

განსხვავებული ჟურნალი

✓ რას ნანობს ლევან გაჩეჩილაძე

✓ რატომ გაათავისუფლეს „რუსთავი-2“-ის ახალმილებული ტელენამყვანები

✓ რამ გადაწყვიტა ვალერი ხაბურძანიას ბედი

✓ ახალი მძაფრსიუჟეტიანი ქართული რომანი „დამხმარე სახელმძღვანელო დამწყები კუდიანებისთვის“




Discovery CHANNEL

ორშაბათობით!

# წერილები „კვირის პალიტრას“

**„ვარდების რევოლუციას“ აუარებელი წერილი თუ სატელეფონო ზარი მოჰყვა რედაქციაში. თავადაც მოდიან მკითხველები. გვიზიარებენ თავიანთ სიხარულს, შეშფოთებას, მოსაზრებებს, იმედებს... რაც მთავარია, სჯერათ ან უნდათ დაიჯერონ, რომ დღეს თუ არა, ხვალ ყველაფერი კარგად იქნება...**

**ასეა, კაცი იმედით ცოცხლობსო, ხომ გაგიგონიათ და ეს იმედი განსაკუთრებული სიცხადით დღეს გვახსენებს თავს.**

**წერილების უმეტესობა „ვარდების რევოლუციის“ შემოქმედთ ეძღვნება. გვთხოვენ ან ტრიუმვირატს გადაეცით, ან გაზეთში გამოაქვეყნეთო.**



**გვაპატიეთ, ბატონო მკითხველო, თუ ამ თხოვნას ვერ გისრულებთ. უბრალოდ, შეუძლებელია, ყველა თქვენგანის წერილი გადავცეთ ახალარჩეულ პრეზიდენტს და მის გუნდს. თუმცა, ზოგიერთ მათგანს კი სიამოვნებით გავაცნობთ ფართო აუდიტორიას.**

**მკითხველთა ერთი ნაწილი ტრიუმვირატად მოიხსენიებს სააკაშვილი-ბურჯანაძე-ჟვანიას სამეულს. უნებლიეთ ჩნდება სურვილი, თვალი გადავავლოთ ამ სიტყვის განმარტებას.**

**პირველი ტრიუმვირატი, ანუ სამი კაცისგან შემდგარი კოლეგია ძველ რომში შექმნილა ჩვენს წელთაღრიცხვამდე 60 ან 59 წელს. და იცით, ვინ შედიოდა მასში? ლეგენდარული იულიუს კეისარი, გნეუს პომპეუსი და ლიცინიუს კრასუსი. ლეგენდას უფრო ჰგავს ტრიუმვირატის საგმირო საქმეთა ჩამონათვალი...**

## ჩვენ თქვენი იმედით ვართ...

ეს სიტყვები გასდევს ლაიტმოტივად ქალბატონ მადონა ნიჟარაძის წერილს საბერძნეთიდან. იგი თავის თავს მონატრებულ დედას უწოდებს, რომელიც უკვე სამი წელია უცხოეთში გადახვეწილა, თავის შვილებს რომ ლუკმა აჭამოს:

„ამ სამი წლის განმავლობაში „კვირის პალიტრა“ ჩემი განუყოფელი ნაწილი შეიქნა. ყოველი კვირის მოსვლას (ამ დღეს ჩამოდის თბილისიდან „კვირის პალიტრა“ ათენში) სიხარულით ველოდები, რომ მონატრებული სამშობლოს შესახებ რაიმე ახალი გავიგო.



ათენი. აკროპოლისი

ახლა იმედი მოგვეცა, რომ საქართველოდან გადმოკარგულ ხალხს (მათი რიცხვი კი მარტო საბერძნეთში ათიათასობითაა) შეიძლება უკან დაბრუნება და ნორმალური ცხოვრება გველირსოს.

რევოლუციის დღეებში თითქმის ყოველდღე ვრეკავდი საქართველოში. მოვლენების მშვიდობიან განვითარებას სიხარულით შევხვდით ქართველები ათენში.

ახლა მართლა მჯერა, რომ ბოლო მოეღება ჩემსა და ჩემისთანა უამრავის მონობას ამ უცხო ქვეყანაში. შეიძლება ბევრმა არც იცოდეს, მაგრამ მართლა მონებივით ვცხოვრობთ საბერძნეთის მიწაზე“...

ქალბატონი მადონა ათენის ღირსშესანიშნაობის, გასაოცარი აკროპოლისის ფოტოს გვიგზავნის, მაგრამ ამავე დროს დასძენს, რომ საქართველოს მაინც ვერაფერი შეედრება.

## ქართველი ემიგრანტების ევროპული ოდისეა

ასე დაუსათაურებია თავისი ვრცელი წერილი ახალგაზრდა ხელოვანს ლელიკო ფურცხვანიძეს, რომელიც მცირე ხნით ყოფილა ვენაში მიწვეული. ვენეციაში, პარიზში, ამსტერდამსა და როტერდამში ყოფნისას იგი არაერთ ქართველ ლტოლვილს შეხვედრია. მამის გაფრთხილების მიუხედავად, ქართველებს ერიდეო, მაინც სჯეროდა, რომ უცხოეთში ამჟამად „მოღვაწე“ ქართველები არცთუ ისე ცუდები იქნებოდნენ.

მაგრამ სამშობლოდან სხვადასხვა გზით გაქცეული ქართველების არცთუ ისე მცირე ნაწილი, ევროპაში ლტოლვილის სტატუსით რომ ცხოვრობს, უცხო ქვეყნის შემწეობით არ კმაყოფილდება. ვენაში ბევრი რამე ცუდად დევს და... ჩვენც მეტი რა გვინდაო, უთქვამს თანამემამულისთვის ერთ ქუთაისელ ბიჭს.

ერთი ქართველი სიმპათიური მამაკაცი კი, რომელსაც თავი ქართველების ფეხბურთელთა მწვრთნელად წარუდგენია (არმანის საათითა და ძვირფასი ტანსაცმლით), არც მეტი, არც ნაკლები, ქურდი ყოფილა და... დაუჭერიათ კიდეც (თანაც, გვარი და სახელიც სხვისი ჰქონია).

ვენაში ერთი ბლანჟეიანი ბიჭიც გაუცნია ლელიკოს, მირიანი, ელეგანტურად ჩაცმული, უფიქრია, მეშველა, ძლივს წესიერი კაცი ვნახეო. უკითხავს, ვენაში რას აკეთებო, — რას უნდა ვაკეთებდე, ვიპარავო... და დახმარებაც შეუთავაზებია, თუ რამე დაგჭირდეს იაფად, არ მოგერიდოს, მითხარიო...

ერთი ქართველი ბიჭიც უნახავს, ათი წელი ამერიკაში რომ ყოფილა, დეპორტაციით გამოუგდიათ (არაფრით გაუმხელია, რატომ), ვენაში დიდხანს არ გავჩერდები, იტალიის გავლით ირლანდიაში მინდა წასვლაო...

ვენეციაში კიდევ წითლად თმაშეღებილ ქართველ ბიჭს (მინდა, ფრანგს ვგავდეო) უთქვამს, მილანში ჩავალ, იქიდან საფრანგეთში გადავალ და ლტოლვილად ჩავბარდებიო...

რუსთავიდან ჩასული ოჯახი ირლანდიაში აპირებდა გამგზავრებას, ორი მდიდრულად ჩაცმული თბილისელი ქალბატონი პარიზში მიდიოდა, სამი ქართველი ბიჭი კიდევ გათიშულები ისხდნენ მეტროშიო...

და რაც ყველაზე შემაშფოთებელია, სამშობლოში დაბრუნებაზე ბევრი მათგანი არც ფიქრობდა. მხოლოდ მეგობრებზე მწყდება გული, მეტი არაფერზეო, უთქვამს ერთ რუსთაველ გოგონას, ხელმოცარულ მშობლებთან ერთად რომ გადახვეწილა ირლანდიაში.

მოკლედ, სად აღარ ნახავთ უმუშევრობით, უსაქმურობით, უსამართლობით და საკუთარი თავის პოვნის (თუ დაკარგვის!) სურვილით გულგატეხილ ქართველს.

თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ლტოლვილთა უმეტესობა როდია ასე იმედგადაწურული. ბევრი პატიოსანი შრომით თავსაც ირჩენს და საქართველოში ახლობლებისთვისაც აგზავნის სარჩოს.

## ცხვირსახოცმა გადამარჩინა

ეს ამბავი თბილისელმა პენსიონერმა, ბატონმა ლადო ძლეველმა მოგვწერა:

„ამ ცოტა ხნის წინ ვაგზლის მოედნიდან „ბავშვთა სამყაროსკენ“ მივდიოდი. გზის ორივე მხარეს ჩამწკრივებულ მოვაჭრეთა შორის ვიწრო გასასვლელი ალაგ-ალაგ ისე იყო ჩახერგილი ფეხით მოსიარულეებით, რომ გვერდს ვერ ავუვლიდი. ისე, დღისით, მზისით, სამუშაო დროს ამდენი უსაქმური ადამიანი რომ დახეტიალობს ქუჩაში, დამეთანხმებით, მთლად აწყობილი ვერა გვაქვს საქმე.

და აი, ერთ-ერთი მოსეირნე ჯგუფის შუაში აღმოვჩნდი. ვხედავ, ჩემ წინ ჩაიჩოქა ერთმა მხარბეჭიანმა (ხარს წააქცევდა!) ახალგაზრდა მამაკაცმა. და იცით, რატომ? იქვე, დახლს აქეთ მდგარი ერთ-ერთი მყიდველი ქალბატონის ხელჩანთაში დაიწყო ფათური... ვერ მოვითმინე და ახალგაზრდას ცოტა არ იყოს, უხეშად ვკარი ხელი, გამატარეთ-მეთქი. „ვაჟკაცი“ ისე დაფრთხა, რომ ჩანთას მაშინვე გაუშვა ხელი, ერთი თვალები დამიბრიალა და რამდენიმე წამში გაუჩინარდა. სამაგიეროდ, ჩემ გარშემო ხუთი ახალგაზრდა კაცი „ალიმართა“ და ლამის შეჭმა დამიპირეს.

— ცუდი ხელობა შეგისწავლიათ, ვაჟკაცებო-მეთქი. — უფრო ჩემთვის ჩავილაპარაკე და სიმწრის ოფლის მოსაწმენდად ცხვირსახოცს დავუწყე ძებნა. ლაბადის კალთა გადავიწიე და პიჯაკის ჯიბისკენ მოჩვენებითი სიმშვიდით წავიღე ხელი. ვერ გეტყვით, რა იფიქრეს, მაგრამ ხუთივე კი მგლისგან დამფრთხალი ცხვრებივით დაიფანტნენ“...

აქვე ბატონი ლადო კმაყოფილია იმით, რომ გარედახლები და ქუჩაში გამოტანილი პროდუქტ-სანოვაგე უკვე წარსულის „საკუთრება“ გახდება. ბოლოს და ბოლოს, იქნებ დადგეს დრო, როცა ყველაფერი თავის ადგილს დაიკავებსო...

## უბრალოდ, მხატვარი...

ზოგჯერ ისეც ხდება, რომ ვინმეზე საგაზეთო სტატიას მოამზადებ და მერე იგი შენი ახლობელი ხდება.

ასე დაიმეგობრა „კვირის პალიტრამ“ საქართველოს დამსახურებული მხატვარი ამირ კაკაბაძე.



მხატვარი ამირ კაკაბაძე. „ლარნაკი ფრინველებით“

ბატონი ამირი თავის თავს უბრალოდ მხატვარს უწოდებს, ცხოვრებას კიდევ ტალღებს. იმასაც ამბობს, რომ წყალში წვეთებსაც კი აქვთ თავისი ადგილი.

და ასე, წვეთწვეთობით იქმნება მისი მხატვრული ტილოები, კოლაჟები, მცირე ფერწერით „გაწყობილი“ პოპ-არტის ხელოვნებით შესრულებული ნამუშევრები...

ბატონი ამირი დროდადრო გვეხმიანება, თავის შემოქმედებით გეგმებზე გვიამბობს. ახლაც რამდენიმე ფოტორეპროდუქცია გამოგვიგზავნა, იქნებ გამოგადგეთო.

სიამოვნებით წარმოგიდგენთ ამირ კაკაბაძის ნამუშევარს „ლარნაკი ფრინველებით“ (გუაში), მისი სახელოსნოდან რეპორტაჟს კი უახლოეს ნომერში შემოგთავაზებთ...

## როცა გასაყიდი ქურთუკის ჯიბეში... 35 000 დოლარი დევს

ძნელი წარმოსადგენია, ერთ ჩვეულებრივ მაღაზია-სალონში თუ შეიძლებოდა ვინმეს გასაყიდად მიტანილი ქურთუკის ჯიბეში 35 000 დოლარი(!) ეპოვა და... პატრონისთვის დაებრუნებინა...

თუმცა, ჯობს, ყველაფერს თანამიმდევრობით მივყვეთ. ეს ამბავი ახალი არ გახლავთ. ელენე ახვლედიანის ქუჩაზე მდებარე მაღაზია-სალონის თანამშრომლებმა დაგვირეკეს და გვითხრეს, ჩვენთან ასეთი რამ მოხდა, — მომხმარებელმა ტყავის ქურთუკი ჩაგვაბარა გასაყიდად. ერთ-ერთი ჩვენი თანამშრომელი ქურთუკს იზომებდა, ჯიბეში ხელი ჩაჰყო და... დოლარების დასტა „აღმოაჩინაო“.

რედაქციაში ფულის პატრონიც (ვინაობის გამხელა არ ისურვა) გვესტუმრა. მის მეუღლეს დაპატარავებული ქურთუკის ჯიბეში „შეუნახავს“ ფული (ბინა გაუყიდიათ და ახლის ყიდვას აპირებდნენ). ცოლს კი არც გაუსინჯავს, ისე ჩაუბარებია საკომისიო მაღაზიაში გასაყიდად.

ამ მაღაზიაში ხელოვანი ქალები მუშაობენ — მარინა მატაბელი, ლია გოგაძე, ვეტა კაშია...

ხომ შეეძლოთ, ხმა არ ამოეღოთ... არ მომიპარავს, მიპოვნიაო, ეთქვათ და „ძმურად“ გაეყოთ ნაპოვნი.

— მაგრამ იმ სიხარულის აღწერა წარმოუდგენელია, რომელიც „გადაყრილი“ ფულის პატრონს მივანიჭეთო, ამბობენ მშვენიერი ქალბატონები...

*ამჯერად ამით ვამთავრებთ მკითხველთა წერილების მიმოხილვას. ისევ და ისევ ველოდებით თქვენს გამოხმაურებას, თქვენს წერილებს. „კვირის პალიტრა“ ხომ პირველ რიგში თქვენი გაზეთია...*

**მოამზადა ელენე სალარიძემ**




CMYK

**სულ 27 წლის იყო, ტრაგიკულად რომ დაიღუპა, თუმცა უკვე მოასწრო იმდენი, რომ თამაზმა შეძლო მშვიდად და ხანგრძლივად ეცხოვრა, ბევრმა შეიძლება 87 წელიც იცხოვროს და ამდენი შემეცნება ვერ დატოვოს. მთელი მისი ცხოვრება წინათგრძნობით ყოფილა სავსე:**

**„შენს გულზე სიყვარულის ნაღვლად**
**კოლხეთის ყვავილი ყვავილი სეირობს,**
**ჩილო ბალახს სიძლიერ**
**ნანჭიანი სიმღერას",** — **წერდა და თითქოს მომავალში იყურებოდა. ძალიან მძიმე იქნებოდა ამ ტვირთის ტარება, მაინც შეძლო ფიქრით, ღიმილით, მოლხენით და სევდით, სიმშვიდით და ლექსებით, პიესებით... ისიც კი გვითხრა, რომ ხელმეორედ ცხოვრებას მოგონებებში დაიწყებდა და თითქოს დაასრულა ცეკვა, ეს მეხსიერებასაც შემოინახავდა: „ხელმეორედ ვიწყებ ცხოვრებას მოგონებათა ლამაზ კედლებთან". ვიხსენებთ თამაზ ბაძაღუას და თვალწინ გვიდგება სიცოცხლე, რომელმაც იცოდა, რა იყო სიკვდილი და სიკვდილი, რომელსაც არასოდეს დატოვებს მარადიული სიცოცხლე...**

# თამაზ ბაძაღუას სიკვდილს ეხლებოდა...

# „ხელმეორედ ვიწყებ ცხოვრებას მოგონებათა ლამაზ კედლებთან..."

სიცოცხლისა და სიკვდილის ქრონიკა



მარცხნიდან: თამაზ მეტრეველი, თამაზ ბაძაღუა, ზაურ კალანდია, თემურ აბულაშვილი, ავთო ჩხიკვიშვილი.

## სიცოცხლე

**მიშა ანთაძე:** — თამაზზე ორი წლით უფროსი ვიყავი. ვსწავლობდით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე. ჩვენს ფაკულტეტზე მწერალთა წრე იყო, ყველაზე პოეტური სტუდენტური გაერთიანება საქართველოში. მე-3 კურსელი ამ წრის თავმჯდომარის მოადგილე გახლდით. უახლესი ქართული ლიტერატურის კათედრამ გამოაცხადა კონკურსი ესენინის ერთი ლექსის თარგმანზე. უნდა გვეთარგმნა Цветы не говорят прощай... დახურული კონკურსი იყო. ჟიურიში შედიოდნენ პროფესორები, მწერლები. მთელმა უნივერსიტეტმა მიიღო მონაწილეობა ამ კონკურსში. კონკურსის შედეგები დაჯამდა, აღმოჩნდა, რომ გაიმარჯვა ყველასთვის უცნობმა, პირველკურსელმა თამაზ ბაძაღუამ. გაოცდით — როგორ გავაბრო ვიღაც პირველკურსელმა... შემდეგ გავიგეთ, ვინ არის ეს პირველკურსელი: ჩამოვიდა მარტვილის რაიონის სოფელ ნახონაოდან, 17 წლის ბიჭი... მე მესამე ადგილი ავიღე. შემდეგ თამაზის ხუთი საუკეთესო ლექსი გამოქვეყნდა უნივერსიტეტის გაზეთში, შენახულიც მაქვს. მართლაც სჯობს თამაზის ნათარგმნი ლექსი დანარჩენ თარგმანებს. მას თვალში საცემი ჰქონდა ქართული სიტყვის შეგრძნება და პოეტური აზროვნება. ძალიან მალე დავმეგობრდით, საოცარი სისწრაფით ისრუტავდა განათლებას, ძალიან სწრაფად ეუფლებოდა უცხო ენებს, იტალიური თავისით ისწავლა. არა მგონია, ჩვენ ირგვლივ ვინმეს, მის გარდა, მაშინ სცოდნოდა ეს ენა. უცებ დაეუფლა ფილოსოფიასაც. თავისი ნიჭიერებითა და ალღოთი ყოველთვის გვაგრძნობინებდა, რომ განსაკუთრებული იყო.

ამავე დროს, თამაზ ბაძაღუა მომლხენიც იყო და ჩვეულებრივი, „ბიჭური" ურთიერთობაც შეეძლო. ცნობილი იყო მისი არაერთი ხუმრობა. ღამით დაგირეკავდა და გეტყოდა: — გამოდი, 27 ბოთლი „გარეჯი" დავლიოთ. ამაზე გვეცინებოდა და თან თავზარი გვეცემოდა. როგორ შეიძლებოდა ღამის 1-ელ საათზე ნორმალური ადამიანი შინიდან გასულიყავი და ბაძაღუასთან ერთად 27 ბოთლი „გარეჯი" დაგელია — ყველაზე ცუდი და იაფი ღვინო. ვეუბნებოდით, — ის მაინც გვითხარი, „ოჯალეში" დავლიოთ, ან „რქაწითელი", იქნებ გამოგვიტყუო შინიდანო. მაინც გავდიოდით და ვსვამდით თამაზთან ერთად „გარეჯს", 27 ბოთლს არა, მაგრამ, მაინც...

ტანდაბალი ბიჭი იყო, მაგრამ ფიზიკურად ძლიერი. სმაც შეეძლო, დიდი მსმელები რომ არიან, ისე. გულბაათ ჭავჭავაძეს შეეჯიბრებოდა სმაში. ნამდვილად ბოჰემურად ცხოვრობდა. სიმთვრალეში ამბობდა ლექსებს... ამავე დროს, ბევრს შრომობდა, სწავლობდა, ენციკლოპედიურ ცოდნას იძენდა. სწრაფი ნაბიჯებით მიდიოდა ზევით და ზევით, სულიერი კარიერისკენ. მან უცებ დაიმკვიდრა ადგილი როგორც მწერალმა, დრამატურგმა, მთარგმნელმა.

თამაზ ბაძაღუამ უნივერსიტეტი დაამთავრა, როგორც მწერალთა წრის თავმჯდომარემ. გამოსცა ლექსების წიგნი, მისი პიესები დაიდგა თეატრებში. ეს დიდი წარმატება იყო. ამაზე ბევრი ოცნებასაც ვერ გაბედავდა. მაშინ სოლიდური ჰონორარი იყო პიესაში აღებული თანხა. ეს ალემატებოდა ყველაფერს, რაც შეიძლებოდა მწერლობით ეშოვა ვინმეს. ყველაფერი კარგად აეწყო. არაჩვეულებრივი ცოლი შეირთო, არაჩვეულებრივი გოგონა შეეძინათ — თუთას ეძახდნენ. თბილისში ჩაეწერა. მაშინ ეს ძალიან რთული იყო. მიიღო ბინა. ბოლოს, მანქანაც იყიდა. ჩვენ ძალიან დავუახლოვდით ერთმანეთს. სულ ერთად ვიყავით. ერთი წრე გვქონდა, „პოლკას" ვეძახდით. ნუგზარ შატაიძე, ირაკლი სამსონაძე, ბათუ დანელია, შადიმან შამანაძე, მე — ძალიან ხშირად ვხვდებოდით ერთმანეთს. ყოველდღე ერთად ვიყავით. რა ვიცი, რას ვაკეთებდით, ვმეგობრობდით... კარტს ვთამაშობდით, ლიტერატურაზე ვლაპარაკობდით, 26-28 წლისანი ვიყავით.

ხშირად ჩუმად იყო, ბევრი ლაპარაკი არ უყვარდა, არ უყვარდა თავის გამოჩენა. მშვენიერი იუმორიც ჰქონდა.

ქერა იყო, ცისფერთვალება, ლოყებლაჟღაჟა, სახე სულ უცინოდა.

როცა ვინმე უყვარდა, ეტყობოდა, მაგრამ არასოდეს იტყოდა, თუნდაც მეგობრებთან. თუ რაიმე დასცდებოდა, ისიც გადაკვრით. ზოგჯერ პეტრარკას ლაურას, ედგარ პოს ელეონორას ადღეგრძელებდა. მივხვდებოდით, რომ ვიღაცას გულისხმობდა, თავისი ლაურა და ელეონორა ჰყავდა...

„ბაძას" ვეძახდით მეგობრები...

**ზაურ კალანდია:** — თამაზი ჩემზე რამდენიმე წლით უმცროსი იყო, მაგრამ ამას არ შეუშლია ხელი, რომ უახლოესი მეგობრები ვყოფილიყავით. ბელინსკის ქუჩაზე ვცხოვრობდი, პატარა ოთახში. ზოგი ამ ოთახს სასტუმრო „კოლხეთის" ფილიალს ეძახდა, ზოგი — „ზაბეგალოვკას", ზოგიც — ჩაიხანას. ხშირად ვიკრიბებოდით ჩემთან. თამაზს რომ არ შემოევლო, დღე არ გაივლიდა. ისე, ყველაფერს ასწრებდა. მორცხვი და მოკრძალებული ადამიანი იყო. უბრალო რამეზე წითლდებოდა. თამაზს და ნატოს ერთმანეთი რომ შეუყვარდათ, მაშინაც რაღაცნაირად, მორიდებულად იყვნენ. ვერ წყვეტდნენ. მე ვიყოჩაღე. ჩემთან იყვნენ შინ. ვუთხარი: ერთი წამით დაგტოვებთ და მოვალ-მეთქი. საბედნიეროდ, ფული მქონდა. წავედი, ავიღე ორი კუპე თბილისი-ზუგდიდის მატარებელზე. მოვედი და ვუთხარი: გადაწყვეტილია, მივდივართ-მეთქი. შემოგვიერთდნენ უჩა შერაზადაშვილი და ვანო ამირხანაშვილი. წავედით. ასე წავიყვანეთ დედოფალი მატარებლით. ყველანი ბედნიერები ვიყავით.

ერთხელ, ნათესავები ჩამოვიდნენ ჩემთან, ბავშვი ჩამოიყვანეს საავადმყოფოში დასაწვენად. ჩემს ერთ ოთახში რამდენი დავეტეოდით, არადა, ერთი კვირით უნდა დარჩენილიყვნენ. მე თამაზთან მომიხდა გადასვლა და ღამისთევა. ეს იყო ტრაგედიამდე 2-3 თვით ადრე. სამსახურის შემდეგ მივდიოდი მათთან. პირველად რომ მივედი, მისმა 5 წლის გოგონამ — თუთამ რობერტინო ლორეტის ფირფიტა დაუკრა. მომეწონა. იმ დღეს რამდენჯერმე ვთხოვე რობერტინოს სიმღერა გაემეორებინა. ოქროსკულულებიანი, უჭკვიანესი ბავშვი იყო. მას მერე, დამინახავდა თუ არა ფანჯრიდან მათთან მიმავალს, სასწრაფოდ ჩართავდა ავე-მარიას. ასე მეგებებოდა.

მიგრძნია, თითქოს რაღაცას ებრძოდა მთელი არსებით. სუფრასთან ჩუმად იჯდა. სადღეგრძელოებსაც კი არ ამბობდა. ერთი ამას იტყოდა ხოლმე, ვიდრე დავიწყებდით ქეიფს — „დასხმა ძლიერიო!" ხომ უახლოესი მეგობრები ვიყავით, მაინც სულ მარტოკაცი იყო, ყველასგან განსხვავებული. კარის ჭრიალზე ვცნობდი, რომ თამაზი მოდიოდა.

გია ჭანტურია მისი მეგობარი იყო. ერთხელ რუსეთში წავიდნენ ერთად. ეტყობა, დალიეს. გია ხომ ცნობილი იყო თავისი პროტესტის უნარით... ტრამვაი მოდიოდა, ორივენი დაწვნენ თურმე ლიანდაგზე, პროტესტი გამოხატეს.

გია რომ დაიჭირეს, თამაზი უგუნებოდ იყო. რესტორან „თბილისში" შევედით. იმდენად იყო აღრენილი, ჩვენც დაგვიჭირეს „ხულიგნობისთვის". სკამზე შედგა და ხანგრძლივი საპროტესტო სიტყვა წარმოთქვა, გიას სადღეგრძელოს მოაყოლა.

**ირაკლი სამსონაძე:** — მე და თამაზმა მატარებელში გავიცანით ერთმანეთი. სოხუმში მივდიოდით სემინარებზე. ჩემს ცხოვრებაში ერთადერთხელ მოხდა ასეთი რამ. ადამიანი საღამოს გავიცანი, ერთად დავლიეთ, დილით უკვე მეგობრები ვიყავით. მას შემდეგ ამ მეგობრობას არც მოჰკლებია რამე, არც მომატებია. შორიდან ადრეც ვიცნობდი, მის ლექსებს ვკითხულობდი.

ჩაკეტილი სივრცის შიში ჰქონდა. ლიფტში ვერ ჯდებოდა. ყოფილა შემთხვევა, მეთხუთმეტე სართულზე ამოსულა ფეხით.

პოკერს ვთამაშობდით ერთად. თამაში არ იცოდა, მაგრამ ხომ ამბობენ, არიფს კარტი მოსდისო. პირველად ვითამაშეთ თუ არა, პირველსავე დარიგებაზე როიალ-ფლეში მოუვიდა. გაშალა კარტი — აი, რა მაქვსო... ეს კომბინაცია ძალიან იშვიათად ხდება.

მეგრული სირბილე ჰქონდა, მაგრამ არც სიმტკიცე აკლდა. თავდახრილი დგომა სჩვეოდა მოწაფესავით.

ის და ნატო და-ძმასავით ჰგავდნენ ერთმანეთს. ძალიან კარგი ოჯახი ჰქონდათ.

## სიკვდილი

**მიშა ანთაძე:** — მანქანა გახდა მისთვის საბედისწერო. ისწავლა მართვა. ერთხელ, მახსოვს, ბათუმში ვიყავით საქეიფოდ. ეს იყო სიკვდილამდე ორი კვირით ადრე. ღამით მოვბრუნდით ნასვამი. მისი ახალი მანქანით წავედით. არ უნდოდა, მაგრამ ვთხოვე, საჭესთან დავჯდები. დამსვა კიდეც. იქიდან რომ დავბრუნდით, მე ნასვამი ვიყავი, მან წამოგვიყვანა. ერთგან ისე გადავიდა გზიდან, მივხვდი, ძალიან გამოუცდელი მძღოლი იყო. ამიტომ დღემდე გამოცანად რჩება ჩემთვის, როგორ ჩაბედა ამხელა გზაზე თბილისიდან მარტვილამდე ღამით წასვლა. იმ დღეს დილით ერთად ვიყავით. ვიცოდით, რომ თამაზი და ბათუ უნდა წასულიყვნენ სამეგრელოში, ჟურნალ „ცისკრის" რედაქციასთან ერთმანეთს გამოვემშვიდობეთ. მერე გამახსენდა — ყველას ჩამოგვიარა და გვაკოცა, დაგვემშვიდობა. არადა, საამისო არაფერი იყო, 2 დღით მიდიოდნენ მხოლოდ. ჩვენ ვიცოდით, რომ პირდაპირ წავიდნენ სამეგრელოში. მერე როგორც გავიგეთ, გზაში გადაუფიქრებიათ პირდაპირ წასვლა. წასულან შინ. გადაუწყვეტიათ ცოლ-შვილის წაყვანაც. ამასობაში, 2-3 საათი გავიდა. ჩასხდნენ ბათუ დანელია, მისი ორსული ცოლი, თამაზი, მისი ორსული ცოლი და 5 წლის ბავშვი. დაუღამდათ. ღმერთმა ყველას აშოროს ასეთი რამ, რაც მათ შეემთხვათ. აბაშასთან ავარია მოუხდათ. იმ ღამეს ირაკლი სამსონაძე მოვიდა გაფითრებული, ატირებული — თამაზი დაიღუპაო. მეორე დილით გავიგეთ, მარტო თამაზი კი არა, მისი მეუღლე, ქალიშვილი, ბათუს მეუღლეც გარდაიცვალნენ. გადარჩა მარტო ბათუ. აბაშასთან ასეთი ადგილია: გზა ვიწროვდება და აბაშის წყალზე ვიწრო ხიდი გადადის. როგორც ჩანს, თამაზმა ვერ შენიშნა შევიწროება და ხიდს ასცდა. გადავიდა ნაპირიდან წყალში. დიდი სიჩქარე არ ჰქონდა, ჩქარა რომ ევლო, იქ წყალი თავთხელია და მანქანა უბრალოდ ბორბლებით ჩაგორდებოდა წყალში. შეიძლება, დამტვრეულიყვნენ, მაგრამ ის არ მოხდებოდა, რაც მოხდა. ნელა რომ მიდიოდა, მანქანა ჰაერში გადაბრუნდა და ჩავარდა სახურავით წყალში. ყველანი, ვინც დაიღუპნენ, წყალში იყვნენ დამხრჩვალები. ბათუ წინ იჯდა, კარი გაალო და ამოყვინთა. მერე რა იყო, თვითონაც აღარ იცის კარგად. ამბობდა, ბავშვი გამოვიყვანე და ცოცხალი იყოო. მერე ბავშვი საერთოდ დაიკარგა და გვიან იპოვეს რამდენიმე კილომეტრით იქით, წყალში დამხრჩვალი. დარწმუნებით თვითონაც ვერ იტყვის, როგორ მოხდა.

როცა შოკმა გაიარა და სიმწვავე იარისა მინელდა, ფილოსოფიის დრო დადგა თითქოს. ხშირად მიფიქრია, თამაზს ასეთი თავბრუდამხვევი წარმატება ყველასგან მაინც გამოარჩევდა. მან ყველაფერს მოკლე ხანში მიაღწია. შეიძლება ვინმეს ის შეშურებოდა კიდეც. თურმე ცაზე წერია, რომ მალე ყველაფერი უნდა დამთავრებულიყო. რამხელა სისუსტეც თურმე, სხვისი წარმატების ზომვა.

მერე, გვიან, სხვა რაღაც ვიგრძენით... სხვათა შორის, მოწვეულიყო... რომანტიკული ტელეპოეტის მქონე პოეტები ხშირად ზუსტად 27 წლისანი კვდებიან: ნიკოლოზ ბარათაშვილი, ლერმონტოვი, ბაირონი, შელი, პუშკინი... ბოლოს, თამაზს თითქოს ავი წინათგრძნობა ჰქონდა. თითქმის აღწერილი აქვს ის, რაც მოხდა...

რაც მახსენდება: მანქანიდან რაღაცები დაიკარგა. დიდი უბედურებაა, რომ ასეთი მარტოდროეობა შეიძლება მოხდეს. სამწუხაროდ, არსებობენ „ლეშიჭამია" მარტოდროები, თუ შეიძლება მათ არსებობას არსებობა ერქვას.

**ზაურ კალანდია:** — ერთხელ ნასვამი მოვიდა ჩემთან. კიდევ შემოვიყვანეთ სასმელი. როცა შეთვრა, მომიბრუნდა, მაჯაზე ხელი და სერიოზულად მკითხა, — შენ ჩემს საფლავზე ამოხვალო? გამიკვირდა: მე კი არა, შენ უნდა ამოხვიდე, მე შენზე უფროსი ვარ-მეთქი. წავკამათდით. გაბრაზებულმა წასვლა დააპირა. კარში რომ გადიოდა, გამომხედა: აი, ნახავო და წავიდა.

მანქანა რომ იყიდა, სულ მეშინოდა მაგისი საჭესთან ჯდომის. „ცისკრის" რედაქცია ადრე დადიანის ქუჩაზე იყო. რომ მოვიდოდა მანქანით, მე ვაყენებდი და მე გამომყავდა ხოლმე, თვითონ იმდენად უჭირდა მანქანის დაყენება.

ავტოკატასტროფის წინადღეს დასავლეთ საქართველოში წავედი. შვილი მყავდა ახალშეძენილი. აფხაზეთში ვაპირებთ წასვლასო, თამაზმა და ბათუ დანელიამ მითხრეს. შენც აუცილებლად გამოგივლითო. ველოდით. სუფრასთან არ დავსხედით, არა და არ გამოჩნდნენ. დარეკეს, ეს უბედური ამბავი გვითხრეს.

დიდი ნიჭის კაცი დაკარგა ქართულმა მწერლობამ.

წელიწადში ერთხელ მაინც ჩავდივართ ნახონაოში, გავდივართ მის საფლავზე... იქ მისი მშობლები ცხოვრობენ.

ჩემს მეუღლეს დარჩა თამაზისა და ნატოს ნაჩუქარი ბეჭედი... იმას ვუფრთხილდებით თვალისჩინივით.

**ირაკლი სამსონაძე:** — ბოლო წელიწადს საერთოდ აღარ სვამდა. ნაღდი პროფესიონალის ცხოვრებით ცხოვრობდა. მომართული იყო მხოლოდ შემოქმედებისთვის.

არაფრით არ შეიძლებოდა მისი საჭესთან ჯდომა. ისეთი კაცი იყო, ვერასოდეს ისწავლიდა მართვას... წასვლის წინ მე და მიშა ანთაძე ნუგზარ შატაიძესთან ვაპირებდით სათამაშოდ ასვლას. მეოთხე კაცი გვაკლდა. ვეხვეწეთ, წამოდიო. არაფრით არ წამოვიდა. ბიჭვინთაში მივდივარო, აიჩემა. იმ ღამეს გიგი სულაკაურმა დამირეკა, ასეთი ამბავი მოხდაო. წავედით მე, გიგი, გიგის ცოლისძმა. ერთ საავადმყოფოში, იქ არ დაგვხვდა. იმედი მოგვეცა, იქნებ იხუმრეს, ალბათ ბათუ გვაშაყირებს, ჩვენი ჩამოყვანა უნდოდაო. მეორე საავადმყოფოში დაგვხვდნენ...

თამაზს მარტო წინათგრძნობა კი არ ჰქონდა, თითქოს ეხლებოდა მას. ერთხელ გაგრაში ცოტა დავლიეთ. მაგარი ღელვა იყო. თოვლიანი და ქარიანი ღამე იყო. პირდაპირ ზღვისკენ წავიდა. იმდენად ახლოს მივიდა, ტალღამ დაარტყა, ჩაითრია. ცურვა არ იცოდა. ძლივს გამოვიყვანეთ. მეც ჩავავლე ხელი, გამოსვლაში მოვეხმარე. მუხლამდე დავსველდი, ავად გავხდი. ის სულ სველი იყო, მაგრამ ისეთი ჯანმრთელი, რომ სურდოც არ დამართნია.

მამიდაჩემთან ვიყავი. იქ მოვიდა თამაზი. დავლიეთ. მითხრა: ახლა ფანჯრიდან გადავხტებიო. გადახტი-მეთქი. მეორე სართულზე ვიყავით. რას წარმოვიდგენდი, რომ მართლა გადახტებოდა. გადახტა. მერე ამოვიდა საღ-სალამათი და გავაგრძელეთ ლხინი...

სიკვდილს ეხლებოდა...

იმ საბედისწერო ღამით, მანქანა რომ გადავარდნილა, თამაზს ჰაერში გასკდომია გული. დანარჩენები წყალში დაიხრჩვნენ...

**ლელა ჯიქაშვილი**







1 „ალექსეი ტოლსტოის“ ფანტასტ. რომანი
2 სახელმწ. აზიაში
3 ნოტი
4 ამერიკული ყველგანმავალი
5 მსოფლიოს უდიდესი სტადიონი
6 საფესტივალო. ქალაქი საფრანგეთში
7 დროის მონაკვეთი
8 ბავშვი (კუთხ.)
9 ... ქირარდო
10 ფრანგი ფერმწერი
11 ისრაელის წარმოების საბრძოლო ავტომატი
12 ფეხბურთის ოჯახი
13 სხეული
14 ორი წერტ. კამათელში
15 ...ამოს კომენსკი
16 ინგლისელი მსახიობი („ქარწაღებულნი“)
17 ვერხვი, ტირიფი
18 სამი წერტ. კამათელში
19 ლანგარი
20 ძველეგვიპტური პაპირუსის ნავი
21 კუჭის წვენის ფერმენტი
22 მოსულელო
23 ასოების სასწავლი წიგნი
24 ტრანსპორტში მგზავრი
25 ცეკვის ნაბიჯი
26 დანელიას ფილმი „... იდარდო“
27 წინასწარ გადახდილი თანხა
28 ...გევარა
29 „სამი სიცოცხლე“ (პერსონაჟი)
30 მშობელი
31 დამუხტული ნაწილაკი
32 ოსკარ უაილდის პერსონაჟი
33 ... ფეიხტვანგერი
34 მექსიკის ძირძველი მოსახლეობა
35 ამოსვლა ისრაელში
36 შხამიანი თაფლოვანა მცენარე
37 ტოპ-მოდელი ... მაკფერსონი
38 მელოტის სინანული
39 ნოტი
40 აბრეშუმის ჭიის ნუგბარი ხე



41 რუმინული ვალუტა
42 კომში
43 ლუდვიგ ... ბეთჰოვენი
44 ნახშირმჟავა ნატრიუმის მარილი
45 კედლის ნათურა
46 ქართველი პოეტი
47 ნიავი
48 კედლიდან გამოწეული შემინული ნაწილი
49 ... და ბარი
50 ცეცხლის ენა
51 მატყლის ქსოვილი
52 რიგელი გროსმაისტერი
53 ... პუგაჩოვა
54 მდინარე იტალიაში
55 გაფრინდაშვილი
56 სალვადორ დალის მეუღლე
57 შხამიანი გველი
58 კიბერნეტიკ. ადამიანი
59 ქალაქი ცენტრალ. პოლონეთში
60 ქალაქი რაჭაში
61 ბასკური ტერორისტ. ორგანიზაცია
62 ქოქოსიანი ნუგბარი
63 სტალონეს მეტსახელი
64 აკადემიური კლასიკოსი ფრანგი ფერმწერი
65 მახების ხატვის მოყვარული
66 თანხმობა ესპანურად
67 ღამის ფრინველი





**წინა სკანვორდის პასუხები:** 1. ნერაძურა; 2. სურა; 3. დუნაი; 4. აი; 5. ტერეზა; 6. ლარი; 7. ასისტენტი; 8. ტრაპი; 9. პაზი; 10. ნეი; 11. ორი; 12. მასაი; 13. „მუხამბაზი“; 14. აგორა; 15. „არგო“; 16. გამა; 17. პაიკი; 18. გირი; 19. როისი; 20. სამბა; 21. სინაგოგა; 22. „გორა“; 23. ირისი; 24. მარსი; 25. მარგო; 26. ბერია; 27. პრიზმა; 28. „მარტინი“; 29. რომეო; 30. „გერნიკა“; 31. ლასო; 32. დალი; 33. იეტი; 34. გალუა; 35. წალამი; 36. ალამი; 37. ლამი; 38. ტიციანი; 39. რკო; 40. ლარა; 41. „ჩიორა“; 42. ვერიკო; 43. კაკაო; 44. აჩიკო; 45. ცა; 46. კინო; 47. ურანია; 48. ტაპირი; 49. რიწა; 50. რიკიში; 51. ვატო; 52. ბო; 53. ტანკენარი; 54. კენარი; 55. ედი; 56. გო; 57. ერი; 58. ეთერი; 59. ლიპი; 60. რაი; 61. თითა.

1. ნაზი ამბორი; 2. დელტაპლანი; 3. მიშველეეთ; 4. არ გამიცივდე; 5. ნადირობა რუსულად.

**პასუხები მოცემულია სკანვორდში მითითებული ნუმერაციის მიხედვით, ქვედა ხაზზე მოცემულია ფოტოების პასუხები.**

**შეადგინა რამაზ ალანიამ**

# თქვენთვის



## კაცი, რომელიც წარსულს ეძებს...

*კაცი ისე ღელავდა, არც მორიდებია, რომ ოთახში მარტო არ ვიყავი.*

— სიამაყემ და პატივმოყვარეობამ დამღუპა. ჩემზე უკეთესი და ჭკვიანი არავინ მეგონა, — მიყვებოდა სასოწარკვეთილი.

ბატონი ლადო სანდომიანი, შეძლებული კაცია. იმიტომ არ ეძებს „ახლობლებს", რომ მათ რაიმე მოსთხოვოს, პირიქით, უნდა დაგვიანებით მაინც გამოასწოროს სიჭაბუკის შეცდომები და თუ ის ადამიანები აპატიებენ, ღვთის წინაშე წარდგომისა აღარ შეეშინდება...

— სიყმაწვილეში ძალიან ლამაზი ბიჭი ვიყავი. გოგონები თავს მეხვეოდნენ. მეც ბევრის გულუბრყვილობით ვისარგებლე. ზოგი თავად მაცდუნებდა, მაგრამ... ეთერი ნამდვილად მე გავაუბედურე...

მესამე კურსზე ვიყავი, ის კი პირველზე. სოფლელი იყო, ღარიბულად ეცვა, მაგრამ ისე უნდოდა სწავლა, ყველანაირ გასაჭირს ითმენდა. ნათქვამია, — მღვდელი ჭილოფშიც იცნობაო. ვარსკვლავივით ანათებდა თავისი შელანძღული სამოსიდან და ბევრ ბიჭსაც გაუტეხა ძილი, მაგრამ არავის იკარებდა სიახლოვეს. არც მე გამიკარა თავიდან. იოლ გამარჯვებებს მიჩვეული — უარმა გადამრია. ბევრი მცდელობის მერე მაინც შევაყვარე თავი. ეთერსაც სმენოდა ჩემი დონჟუანობის ამბავი და ნეტავი იცოდეთ, როგორ შემეხვეწა: — ნუ დაიდებ ჩემს ცოდვას, სოფელში დედინაცვალი მყავს, იმის ყბაში ნუ ჩამაგდებ, თორემ უბედურ მამაჩემს გული გაუსკდებაო!!!

... მეც დავარწმუნე, რომ მის გარდა არავინ მინდოდა და ისიც უშიშრად მომენდო... მე კი ჩემსას მივაღწიე თუ არა, მალე გამინელდა მისი სიყვარული და მივატოვე. თან იმხანად გადავწყვიტე, ცოლად შემერთო ჩემი თანაკურსელი, ლეილა, მდიდარი ოჯახის მემკვიდრე...

გეფიცებით, მაშინ არ ვიცოდი, თუ ეთერი ფეხმძიმედ იყო. ლეილაზე რომ დავინიშნე, მაშინ მოვიდა და შემეხვეწა, — ნუ დამღუპავ, აბორტი უკვე გვიანია და ასეც რომ იყოს, ჩემი სიყვარულის ნაყოფი როგორ მოვიშორო, მაშინ, როცა დედაჩემი ჩემზე მშობიარობისას დაიღუპაო...

ისე შემეშინდა სარფიანი ქორწინების ჩაშლისა, რომ თავს რისხვა დავატეხე, — რა ვიცი, რომ ჩემგან ხარ ფეხმძიმედ და სხვასთანაც არ დაძვრებოდი-მეთქი და გავაგდე ატირებულ-გაოგნებული...

მერე ეთერი ლეილასთან მისულა — თუ ლადო ჩემზე უარს იტყვის, თავი მექნება მოსაკლავიო.

ლეილამ შინ დამიბარა, — სასწრაფოდ მოდი, საქმე მაქვსო. გავიქეცი. რა ვიცოდი, თუ იქ ეთერი დამხვდებოდა. შიშით ისე ამებნა თავგზა, საცემრად გავიწიე ეთერზე — შანტაჟს მიწყობ, შე კახპა-მეთქი?

ხმა არ ამოუღია, მორჩილად იდგა ერთ ადგილზე...

ლეილას კივილზე მისი მშობლები შემოცვივდნენ ოთახში.

მე ამ კაცს ცოლად არავითარ შემთხვევაში არ გავყვები. თუნდაც მისგან არ იყოს ეთერი ფეხმძიმედ, ქალს მუშტი როგორ მოუღერა, მაგას, თუ დასჭირდა, არც მე დამინდობსო, — განაცხადა.

მოკლედ, ქორწილი ჩაიშალა.

ეთერიც ინსტიტუტიდან გაქრა. არც მიკითხავს მისი ამბავი...

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ რუსეთში წავედი სამუშაოდ. უამრავი ქალი გამოვიცვალე, მაგრამ შვილი არც ერთთან არ შემძენია. 1970 წელს დავბრუნდი საქართველოში, უკვე 35-ის ვიყავი, ახლობლების რჩევით დავქორწინდი. ჩემს ხეტიალს და გართობას უნაყოფობა მოჰყვა — მკურნალობამ შედეგი არ გამოიღო...

1975 წელს გოგონა ავიყვანეთ მე და ჩემმა მეუღლემ. იცის, აყვანილი რომ არის, მაგრამ ძალიან გვცემს პატივს — არც მაინტერესებს ვინ არიან ჩემი ნამდვილი მშობლებიო. ორი შვილიშვილი გვყავს უკვე და როგორც გითხარით, თავს ბედნიერად ვიგრძნობდი, მაგრამ მიწია ახალგაზრდობის ცოდვებმა და ეთერისადმი გამოჩენილმა სისასტიკემ. საშინელი სევდა და ნაღველი შემომეჩვია და არ მასვენებს. ვიცი, ეთერმა ჩემგან შვილი გააჩინა, მაგრამ არ ვიცი, გოგო თუ ბიჭი...

47 წლის იქნება ახლა „ის", ვისი უღირსი მამაც ვარ და ვინ იცის, რამდენი გაჭირვება გადაიტანა ცხოვრებაში...

**— ამდენი წლის შემდეგ რამ გაგახსენათ ეთერი?**

— რევოლუციის დღეებში მეც დავდიოდი მიტინგებზე და იქ შევეფეთე ეთერს — ისევ ისე მოკრძალებულად ეცვა, როგორც ახალგაზრდობაში. ნამდვილად ის იყო, მის სახეს რა დამავიწყებს!.. მივვარდი და: — ეთერ, შენა ხარ-მეთქი?!. ეჭვიც არ მეპარება, მანაც მაშინვე მიცნო, შეკრთა, გაფითრდა, ნიკაპი აუკანკალდა, ცრემლმა გაუდიდა ძველებურად ლამაზი, მწვანე თვალები... უმალ მოერია თავს: — რაღაცა გეშლებათ, ბატონოო და ზურგი მაქცია, ხალხს შეერია... მეც, რა ჯანდაბამ გამომაშტერა, რომ იმ წუთში არ გავეკიდე, მერე კი... მერე... ველარ ვიპოვე... 23 ნოემბერს მოხდა ეს, გიორგობას...

მოსვენება დავკარგე. ეთერს ისევ ისე უჭირს. ეტყობა, არც ჩემი შვილია უკეთეს დღეში, თორემ დედას მეტად როგორ ვერ მიხედავდა?!.

...დამეხმარეთ, მაპოვნინეთ, უთუოდ თბილისში ცხოვრობენ. გამომეხმაურონ, მომცენ შანსი, გამოვისყიდო მათ წინაშე ჩადენილი დანაშაული... წლებმა შემცვალა, ახლა სულ სხვა კაცი ვარ...

*...ნამდვილად არ ვიცი, როგორი იყო ბატონი ლადო ახალგაზრდობაში, მაგრამ ახლა მას სისასტიკის ნატამალიც აღარა აქვს შერჩენილი და გულწრფელად ნანობს წარსულს...*

*ქალბატონო ეთერ, ძალიან გთხოვთ, „კვირის პალიტრას" მაინც გამოეხმაუროთ. ვინ იცის, შორეულ წარსულში დაშვებული შეცდომა ნაწილობრივ მაინც გამოსწორდეს.*

*ჰო, ბატონ ლადოს მეუღლეც ახლდა ჩვენთან სტუმრობისას და ისიც გეხვეწებათ გამოხმაურებას.*

*იქნებ შესაძლებელია მამა-შვილიც შევახვედროთ ერთმანეთს?!.*

**ინგა ჯაყელი**

## გვეკითხებიან: ვინ მოიგონა ბეფსტროგანოვი?

**საუკეთესო შეფ-მზარეულები რომ ყოველთვის მამაკაცები არიან, კარგად ვიცი, ისინი, თურმე, კერძების შესანიშნავი გამომგონებლებიც ყოფილან. ხომ ვერ გვიამბობთ, კერძოდ, რომელი კერძი შექმნა მამაკაცმა?**

**ზურაბ გ.**

ბატონო ზურაბ, მართალი ბრძანდებით, მამაკაცები მართლაც საუკეთესო მზარეულები არიან. მოგითხრობთ, თუ როგორ შეიქმნა საერთაშორისო სამზარეულოს მენიუში შეტანილი მშვენიერი კერძი „ბეფსტროგანოვი" და გთავაზობთ მისი დამზადების წესს:

რუსულ ეროვნულ კერძად მოხსენიებული ტომატისა და არაჟნის საწებლიანი დაბრაწული ხორცი პირველად ოდესაში გამოჩნდა ე.წ. „ღია მაგიდაზე", რომელსაც ნოვოროსიის გენერალ-გუბერნატორი გრაფი ალექსანდრ სტროგანოვი მართავდა ხოლმე. ეს გემრიელი კერძი მე-19 საუკუნის მიწურულს გრაფის მზარეულმა მოიგონა. იგი ისე მოეწონა გურმან გრაფს, რომ თავადაც ხშირად მიირთმევდა და საპატიო სტუმრებსაც სიამოვნებით უმასპინძლდებოდა. თქვენ წარმოიდგინეთ, იმპერატორ ნიკოლოზ II-სა და დედოფალ ალექსანდრასაც კი მიართვა. მოგვიანებით, უკვე პოპულარული კერძი ოდესელმა მზარეულებმაც შეიტანეს თავიანთ კულინარიულ წიგნებში და მას „ბეფსტროგანოვი" — „სტროგანოვისეული" — უწოდეს (beef (ინგლ.) — ძროხის ხორცი).

**სტროგანოვისეული ხორცის კერძი**

800 გ სუკი ან მჭლე ხორცი დაჭერით 5-6 სმ სიგრძის და 1 სმ სიგანის ნაჭრებად, ამოავლეთ პურის ფქვილში და მაღალ ცეცხლზე კარაქში შეწვით. კარაქში ცალკე შეწვით 1-2 მოზრდილი თავი დაკეპილი ხახვი და შეურიეთ ხორცს, ბრაწეთ 3-4 წთ, დაუმატეთ 1 ცალი წვრილად გახეხილი სტაფილო, 5 წუთის შემდეგ — დაასხით 200 გ არაჟანი, 2 ს/კ ტომატი, 1 ს/კ პურის ფქვილი, მარილი — გემოვნებით და შუშეთ ნელ ცეცხლზე 30 წთ. ცალკე შებრაწეთ ასანთისებურად დაჭრილი 1 კგ კარტოფილი.



*P.S. დარწმუნებული ვართ, ქართველ მამაკაცებსაც არაერთი გემრიელი კერძი აქვთ გამოგონებული და თუ რეცეპტებს შესთავაზებენ მკითხველს, ძალიან სასიამოვნო იქნება.*

## როგორ გამოვკვანძოთ ჰალსტუხი

**ძალიან სასიამოვნო სანახავია გემოვნებით ჩაცმული მამაკაცი, რომელსაც კოხტად გამოკვანძული ჰალსტუხი უკეთია; მაგრამ ჩვენში ცოტამ თუ იცის მისი ლამაზად გასკვნა.**

**გთხოვთ თვალსაჩინოებისთვის დაბეჭდოთ ჰალსტუხის გამოსკვნის ელემენტები. ამით დიდ საქმეს გააკეთებთ, რადგან ბევრს უხერხულება ვიწმქსთვის კითხვა, თუ როგორ გაიკეთოს ჰალსტუხი.**

***თქვენი მუდმივი მკითხველი***



კვანძი **„ფორ-ინ-ჰენდი"** — ყველაზე იოლი გასაკეთებელია დამწყებთათვის.

კვანძი **„ნახევრად უინძორული"** — უნივერსალური და ყველაზე პოპულარულია. გამოდგება ტრადიციული სიგანის აბრეშუმის ჰალსტუხებისთვის, მკვრივი ნაჭრის განიერი და ვიწრო ჰალსტუხებისთვისაც.





კვანძი **„უინძორი"** — ძალზე ელეგანტურია და ისევე იკვრება, როგორც „ნახევრად უინძორული", ოღონდ ემატება კიდევ ერთი შემოხვევა საყელოს მარჯვენა კუთხიდან.

კვანძი **„კრისტენ-ენი"** — იდეალურია მაღალსაყელოიანი (4-4,5 სმ) პერანგისთვის. კვანძი განსაკუთრებით ლამაზი გამოდის ზამთრის კოლექციის ქიშმირის ან შალის ჰალსტუხებზე.



## ცოლს შეირთავ — ინანებ, არ შეირთავ — მაინც ინანებ...

**ამას წინათ შემთხვევით ორი ახალგაზრდა კაცის საუბარს მოვკარი ყური. უცოლო ცოლიანს ეკითხებოდა — რას მირჩევ, დავქორწინდე თუ არაო. მეორემ ჩაიცინა და უპასუხა, — იცი, რა გითხრა? ცოლს შეირთავ — ინანებ და არ შეირთავ — მაინც ინანებ. ასე რომ, ჯობს დაქორწინდე. ხმის გამცემი არ მოგენატრება, პირიქით, შეიძლება თავიც კი მოგაბეზროს ლაქლაქით. შვილებიც გაგიჩნდებათო... მოკლედ, ისეთი სურათები დაუხატა გამოცდილმა გამოუცდელს, რომ მან — რაც არის არის, გავრისკავო. ნუთუ ყველა მამაკაცი ასე ფიქრობს-მეთქი, შემიჩნდა კითხვა. ტელეფონს მივუჯექი და ჩემს რესპონდენტ მამაკაცებს ვკითხე — ქორწინებაზე რას ფიქრობთ-მეთქი.**

**თაზო (38 წლის):** — 18 წლისა დავქორწინდი. ამ ხნისას შვილი ცოლად არ უნდა გაატანო. ისეთი პერიოდია კაცის ცხოვრებაში, 18-დან 25 წლამდე და ზოგჯერ მეტხანსაც, რომ ქალს კი არა, ბატს არ ანდობს ჭკვიანი მშობელი. ჩემი სასიმამრო ჭკვიანი კაცი იყო. ამიტომაც მტკიცა უარი და „პირზე რძეშეუშრობელს" ქალიშვილის ცოლად მითხოვებაზე რამდენიმე წლით კრინტის დაძვრაც კი ამიკრძალა. მეც ავდექი და „კოშკში გამოკეტილი მზეთუნახავი" მოვტაცე: კაი ხანს დასანახად ვერ ვიტანდით მე და ჩემი სიმამრი ერთმანეთს. მოგვიანებით მივხვდი, რომ ის კაცი მართალი იყო. პატარა ბიჭისთვის ქორწინება თაფლობის თვეშია ტკბილი, მერე მწარდება და თუ ამ სიმწარეს გაუძლო ცოლქმარმა, ბოლოს ისევ სიტკბოება ისადგურებს, რადგან კაცი ხვდება, რომ ცოლი მართლაც მისი მეორე ნახევარია.



**ლაშა (19 წლის):** — ქორწინება, ჩემი აზრით, უღელია, რომელშიც თავს რომ გაუყრი, მერე მიხვდები, რომ მიქარე. მე 15 წლისამ შევირთე ჩემი კლასელი, 7 თვეში დავცილდით. მანამდე თუ ერთმანეთი სიგიჟემდე გვიყვარდა, მერე არანორმალურად შეგვძულდა. ახლა შვილიც გვყავს, მაგრამ მისი ნახვის სურვილიც არა მაქვს. ბავშვი სულ იმ საშინელ წუთებს, მძიმე დროს მახსენებს, როცა მე და ჩემი ცოლი ერთად ვცხოვრობდით და ერთმანეთს ვერ ვიტანდით. აწი ცოლს ალბათ აღარ შევირთავ.

**ლევანი (42 წლის):** — მესამე ცოლი მყავს. როგორ ფიქრობთ, სამჯერ რომ დაქორწინდები, შეიძლება ამ პროცესის თუ მოვლენის შესახებ ცუდი აზრი გქონდეს? სანამ პირველ ცოლს შევირთავდი, სულ მინდოდა ვილაც მაგრად მყვარებოდა. შემიყვარდა კიდეც. მერე ძალიან მომინდა, ის სულ გვერდით მყოლოდა, შვილიც გაეჩინა ჩემთვის. მე კიდევ ბევრი სიხარული მიმენიჭებინა მისთვის. დავქორწინდით. ბავშვი რომ გაჩნდა, ნამდვილ მონსტრად იქცა ჩემი ცოლი, ყურადღებას აღარ მაქცევდა. აუტანელი გახდა ცხოვრება. მე მისთვის ფიქრშიც კი არ მიღალატია, რადგან უზომოდ მიყვარდა. იმას კი, ვერ გავიგე, რა სჭირდა. გავეყარე, მაგრამ დიდხანს ვერ გავძელი მარტო — მე ქალი გვერდით მუდმივად უნდა მყავდეს — ჩემი ცოლიც უნდა იყოს, მეგობარიც, ძმაკაციც და ა.შ. შემიყვარდა ერთი მშვენიერი გოგო, დავქორწინდით. ვერც იმან ივარგა. ნამდვილად არ ვცრუობ.

ზოგჯერ, ეტყობა, იღბალი გინდა, რომ ბედნიერი იყო. ვფიქრობ, მესამე ცდაზე გამიმართლა. უკვე 8 წელია ერთად ვართ და ძალიან ბედნიერად ვგრძნობთ თავს.

**გურამი (58 წლის):** — ქორწინება ჩემთვის მოსიყვარულე ცოლი, შვილები და თბილი კერაა. ეგ რომ არ იყოს, ჩემს არსებობას აზრი არ ექნებოდა. ოღონდ ძალიან ახალგაზრდამ არც ბიჭმა უნდა შეირთოს ცოლი და არც გოგონა გათხოვდეს. სურვილით პირთამდე სავსე უნდა იყო, ისე უნდა გადაწყვიტო დაქორწინება. სხვანაირად არ მესმის, როგორ უნდა დადგნენ ქალი და კაცი საკურთხეველთან და ჯვრისწერის დროს ღვთის წინაშე ერთმანეთს სამარადისო ერთგულება შეჰფიცონ.

ეს უდიდესი პასუხისმგებლობაა, რომელიც სრულად გააზრებული უნდა გქონდეს.

ისე კი, ჩემი აზრით, სასჯელის რაღაც ზომა უნდა არსებობდეს შინაბერას და ბერბიჭას დასასჯელად. ქორწინებაზე უარის თქმა — ღვთის ნების საწინააღმდეგოდ სიარულია, თუ, რა თქმა უნდა, ღმერთს არ უძღვნიან საკუთარ თავს...

**ეკა ლიჩელი**

ქალბატონებო!

# სტუმრად მარინასთან

## იმ ერთი კაცის გარდა მართლა აღარავინ მყვარებია...



სამი წელია, ჩემი სეხნია ძველი რესპონდენტი, ცნობილი „პლეხანოველი" მარინა არ მინახავს. სწორედ ამ სამი წლის წინ, იგი დადიანის ქუჩაზე, შუა გზაზე სკამზე მჯდომი ვნახე. როცა ინტერვიუ ვთხოვე, არ დაზარებია, წამოდგა და ყავარჯნების კაკუნით შინისკენ გამიძღვა. მაშინ ბევრი ვისაუბრეთ, თავისი თავგადასავალიც გულახდილად მიამბო და დამშვიდობებისას მთხოვა, — არ დამივიწყო, გამომიარე ხოლმეო.

ბოლო ხანს რამდენჯერმე მომიწია სოლოლაკში გავლა, მაგრამ მარინა აღარ მინახავს. გული დამწყდა და გავიფიქრე: მაშინაც ძალიან უჭირდა სიარული, ლოგინად არ იყოს ჩავარდნილი, მოდი, ვინახულებ-მეთქი.

მისი დისშვილიშვილი, ეკა, ღიმილით რომ შემეგება, მივხვდი, მარინა კვლავაც „ჯანზე" იყო.

— ოო, მოხვედით, ჯიგრებო? სადა ხართ აქამდე? — ისე ხალისით შეგვეგება მარინა მე და ჩემს მეგზურს, რომ წამით დავფიქრდი: მართლა ხომ არ დავპირდი ამ ქალს მისვლა და არ შევუსრულე-მეთქი. თითქოს მიმიხვდაო, სიტყვა მომაგება:

— იცი, როგორ მიხარია, როცა მნახულობენ? დღე არ გავა, რომელიმე ნაცნობმა კარი არ შემოაღოს. ამიტომაც, როცა აკაკუნებენ, უკვე წინდაწინ ვიცი, რომ კაი ვინმე უნდა მესტუმროს!

**— მარინა, მიცანი?**

— როგორ არა, შენ ხომ ადრეც იყავი ჩემთან? ეგაა, სახელი დამავიწყდა და შემახსენე.

**— შენი სეხნია ვარ, „კვირის პალიტრის" კორესპონდენტი.**

— აუჰ, შენი ჭირიმე, თქვენი გაზეთი მიყვარს, ის ჩემზე დაწერილი კი შენახული მაქვს. როგორა ხარ, ჯიგარო?

**— კარგად ვარ, შენ როგორ გიკითხო? მიხარია, რომ სალ-სალამათს და მხნეს გხედავ.**

პატარა და ლამაზ ტყუილს დიდ ცოდვად რატომღაც არ ვთვლი, რადგან მიმაჩნია, რომ იმედიან შეძახილს ცუდი შედეგი არ მოაქვს, პირიქით, უზარმაზარ სტიმულს აძლევს ადამიანს. ვატყობ, მოტეხილია მარინა, მისალმებისას წამოდგომაც სცადა, მაგრამ ვერ მოახერხა.

— ეეჰ, გული არ ბერდება, ჩემო გოგო, ისევ ყმაწვილურად მერჩის. ძალიან შემაწუხა მარილებმა და სახსრებმა, სიარული მიჭირს.

**— ამ ბოლო ხანს აღარ დამინახავხარ ქუჩაში, ხომ არ ავადმყოფობდი?**

— სიცივეში მეზარება გარეთ ჯდომა, უფრო სასაუზმეებსა და რესტორნებში შევდივარ, წვალებ-წვალებით, მაგრამ მაინც ვახერხებ... ვენაცვალე ქართველებს, ისინი მაჭმევენ პურს. ვიცი, რომ უპატრონოდ არ მიმაგდებენ, ერთ ლუკმას არ დამამადლიან.

**— იმ ერთი კაცის გარდა, ვისგანაც გოგონა შეგეძინა, სხვა არავინ გყვარებია? ან მეორე ბავშვზე რატომ აღარ იფიქრე? შვილზე ზრუნვა ხომ დიდი ბედნიერებაა...**

— იმ ერთი კაცის გარდა, მართლა აღარავინ მყვარებია. კარგა ხანს დავდიოდი მის მიტოვებულ საფლავზე (იმან ხომ მეორე გოგოც შეაცდინა და იმისმა ძმებმა ჯერ ცალი ფეხით ჩამოკიდეს, მერე კი აკუწეს!), ყვავილებიც ამქონდა. დავჯდებოდი, ვიტირებდი, ვიტირებდი, გულს მოვიოხებდი. ხომ ცუდად მომექცა, არა, მაინც ის მიყვარდა მთელი სიცოცხლე. რომ მომხდარიყო სასწაული და გაცოცხლებულიყო, ჩემთვის ისევ ხელი ეკრა, უსაზღვროდ გავიხარებდი და ვიტყოდი: ოღონდ შენ იყავი კარგად, გენაცვალე, მე ჭირს წავუღივარ-მეთქი. რაც შეეხება მეორე ბავშვს, რაც პირველი დავკარგე, ცხოვრებაზე ხელი ავიღე. მოგვიანებით, ერთი სიმპათიური, უშვილო კაცი შემიჩნდა, ცოლი ბავშვს ვერ მიჩენს, შენ კი ლამაზი და ჯანმრთელი ქალი ხარ, გამიჩინე ბავშვი და არაფერს მოგაკლებო. გადავწყვიტე, გამეჩინა. ვიფიქრე, ის პირველი თვალითაც არ დამინახავს, ამ მეორეს ხშირად ვნახავ და მოვესიყვარულები-მეთქი. შვიდ თვემდე რომ მივედი, მუცელი მომწყდა. ძალიან განვიცადე, მაგრამ რაღას ვუშველიდი. ეტყობა, არ მეწერა დედობა... სიგიჟემდე მიყვარს ბავშვები. აგე, ამ პატარა გოგოს რომ უყურებთ, ჩემი დისშვილთაშვილია, თეკლა. მას უფროსი ძმა ჰყავს — 11 წლის უჩა, გვარად ჩირიკაშვილები არიან. მათზე ამომდის მზე და მთვარე. აბა, ჰკითხეთ თეკლას, ბებიებიდან ვინ უფრო უყვარს.

პატარა თეკლა ცნობისმოყვარეობით შემოგვცქეროდა

— მარინა ბებო! — კითხვას დაასწრო გოგონამ.

**— შინ რატომ გაცვია ჩექმები, გცივა?**

— მარინა ბებომ მიყიდა.

— გუშინ ვუყიდე და ისე გაუხარდა, ფეხიდან აღარ იხდის, — იცინის მარინა.

**— მარინა, რა არის ბედნიერება?**

— ბედნიერებაა, როცა არანაირი ტკივილი არ გაწუხებს, უფრო დიდი ბედნიერება კი ისაა, როცა კარგი ქმარ-შვილი გყავს, ცხოვრობ იმ კაცთან, რომელიც ძალიან გიყვარს და მისგან გყავს ბავშვები.

**— სიკეთეზე რას მეტყვი?**

— ბევრს ჰგონია, ჩეჩქივით რომ აქვს ფული და სულ ცოტას გაიღებს სხვისთვის, მხოლოდ ესაა სიკეთე. მერე შევა ეკლესიაში, სანთელს დაანთებს და კეთილ კაცად თვლის თავს. მე სხვანაირად ვფიქრობ. აი, როცა შენთვისაც ცოტა გაქვს, მაგრამ ის ლუკმა ყელში არ გადაგდის, რადგან იცი, რომ სხვას, შენს ახლობელს, საერთოდ არაფერი გააჩნია და იმ ლუკმას გაუყოფ, — ესაა მადლი.

**— მარინა, რამე ძვირფასი თუ უჩუქებიათ შენთვის?**

— ერთმა კარგმა კაცმა, წყალტუბოში რომ ვისვენებდი, ოქროს საათი მაჩუქა. ერთხელ, ღამით, ჯიბგირები დამხვდნენ და წამართვეს. გული დამწყდა, მაგრამ იმიტომ კი არა, რომ ოქრო წაიღეს, მე რო წამგლიჯეს, ეგ მეწყინა. ჩემი ყოველი დღე ხომ ასე იწყებოდა: ჩავიცვამდი გრძელ, ფარფარა კაბას, გამოვიდოდი გარეთ სიყვარულით სავსე გულით და ყველას, გამვლელ-გამომვლელს ვლოცავდი, თან ვარიგებდი: ბიჭებო, არ იჩხუბოთ, სიყვარულზე კარგი რა არის ამქვეყნად? მოდი, დავლიოთ, ლამაზი სადღეგრძელოები ვთქვათ, მივეფეროთ ერთმანეთს, ჩვენ ხომ ქართველები ვართ-მეთქი.

**— თუმცა, ხანდახან იგინებოდი კიდეც, განსაკუთრებით გოგოებს ერჩოდი. მახსოვს, ერთხელ მეც დამადევნე „ცხრასართულიანი" გინება.**

— ვაი, რას ამბობ?! მაპატიე, რა, წყენა გულში არ ჩაიტოვო. ცოდვა გამხელილი სჯობსო, ნათქვამია და სიმართლეს გეტყვი: მე რომ წყალწაღებული ვიყავი, კარგი გოგონები მალიზიანებდა, ცა ქუდად არ მიაჩნდათ, დედამიწა — ქალამნად, ასეც უნდა ყოფილიყო, მაგრამ, რა ვქნა, მაინც მშურდა მათი. წლებმა წაიღო ეგეც. ახლა ყველა ერთნაირად მიყვარს, ყველას ვეფერები... შენ რო მკითხე, ძვირფასი რა უჩუქებიათო, ერთიც გამახსენდა: ერთხელ ერთმა ბაჯაღლოს ბეჭედი მაჩუქა. ასე მეგონა, იმ ცხონებულმა დამნიშნა და ისე მიხაროდა, სულ სიმღერ-სიმღერით დავდიოდი იმ დღეებში. არც ეგ არ შემრჩა, „ბუხოი" ვიყავი, გზაზე გამაჩერეს და წამართვეს. ეგრეა, ქარის მოტანილს ქარივე წაიღებს. ახლა ნივთებს აღარ მჩუქნიან, ან საჭმელი მოაქვთ, ან ფულს მაძლევენ. აი, თქვენი უსტაბაში რომაა, ჟურნალისტების „უფროსი", მგონი სიხარულიძეა გვარად, ის დამპირდა, 100 ლარს გამოგიგზავნიო, შეახსენე რა, რომ არ დამვიწყებია და ველოდები.



ჩვენებმა მეორე გოლი რომ შექედეს, ფეხზე წამოვხტი და გახარებულმა დავიძახე: — თქვენ გენაცვალეთ, ბიჭებო-მეთქი.

**— მარინა, ალბათ სასაცილო ამბებიც გადაგხდენია...**

— კი, როგორ არა. ერთი უცნაური მეზობელი მყავდა, ცოტა ყურებთან მწყრალად იყო. როცა არ უნდა მივსალმებოდი, პასუხად სულ სხვას მეუბნებოდა, ამიტომაც ხშირად ვაშაყირებდი. დღის მანძილზე რამდენჯერაც არ უნდა შემხვედროდა, სულ ვესალმებოდი. ის კი ათას მიეთ-მოეთს მპასუხობდა. ერთხელ, კვლავინდებურად ომახიანად მივესალმე: გამარჯობა, გიორგი ძია-მეთქი. იმან კი: ინდაურში ათი მანეთი მივეციო. ვის რად უნდა ინდაური, „გამარჯობა" ცხოვრებაში არ გითქვამს, მე შენი ასე და ისე-მეთქი. გაკვირვებული მიყურებდა, ვერ მიხვდა, რისთვის ვაგინე. ერთხელ კიდევ, სოფელში ვარ, ქორწილში. ერთი კაცი თვალმოუშორებლად მიყურებს, მეც გავუშტერე მზერა. ვხედავ, ეს კაცი თვალს მიკრავს და გვერდზე გასვლას მანიშნებს. ავდექი და გავედი. ვა, არ გამოდის... შევბრუნდი, დავჯექი ჩემს ადგილზე. კიდევ მიყურებს, თვალს მიკრავს და მანიშნებს, გადი და გამოვალო. ისევ გავედი. არა და არ ჩანს. უკვე გადაკრულში ვიყავი. გაბრაზებული მივუვარდი: — შე შობელძაღლო, რად არ გამოდიხარ, თუ თავი არ გაქვს არაფრის, რაღას მანიშნებ რაღაცებს-მეთქი. გაშრა ის კაცი, თურმე უნებლიე მოძრაობა ჰქონია თვალის და თავის, აი, „წიკს" რომ ეძახიან. თავისი გასჭირვებოდა, მე კი მეგონა, მოვეწონე და მეძახის-მეთქი.

...ვათვალიერებ მარინას ფოტოებს. ყველგან თითქოს უდარდელი და თავზე ხელაღებულიც კი, მაგრამ ზოგან თვალებში უძირო სევდა ჩაგუბებია. მე მაინც ის ორი ფოტო ავარჩიე, როგორიც თბილისელებს ახსოვთ. ერთგან სკვერშია გადაღებული და ისე დგას, თითქოს სხვებს აფრთხილებს: — ე, ბიჭებო, არაფერი შეგეშალოთო. მეორე ფოტო კი გენადი სანაიას გადაღებულია დინამოს სტადიონზე, 1989 წლის 17 მაისს, როცა თბილისის „დინამო" მოსკოვის „სპარტაკს" ხვდებოდა. ცხადია, სისხლიანი 9 აპრილი ღია ჭრილობად გვქონდა ყველა ქართველს და მაშინდელი მატჩი სპორტულ საზღვრებში არც ეტეოდა. ქართველთა სასიხარულოდ, ის შეხვედრა ჩვენი გამარჯვებით დამთავრდა. 2:0 — ასეთი იყო ანგარიში. მარინა ხალხის შუაგულშია, ყველა გახარებულია.

**— თუ გახსოვს, იმ დროს ფეხზე წამომდგარი რას იძახდი?**

— ჩვენებმა მეორე გოლი რომ შექედეს, ფეხზე წამოვხტი და გახარებულმა დავიძახე: თქვენ გენაცვალეთ, ბიჭებო-მეთქი.

**— დასასრულს რას მეტყვი?**

— ხშირად მოდი შენს ახლობლებთან ერთად, ნუ დამივიწყებთ. წელს 70 წლის ვხდები, 25 მაისს არის ჩემი დაბადების დღე. დროებით კი ყველა ქართველს ასე დაგემშვიდობებით: თქვენ გენაცვალეთ, ბიჭებო და გოგოებო, გაიხარეთ და გამრავლდით, ერთმანეთს გულს ნუ ატკენთ, გიყვარდეთ ერთმანეთი...

*მარინა ბაბუნაშვილი*

გამოხმაურება

# დედიკო, მიყვარხარ და გმადლობთ...

„გწერთ თქვენი მკითხველი. ვხედავ, რომ ბევრს ეხმარებით და გთხოვთ, მეც დამეხმაროთ. თქვენი დახმარება კი იმაში მდგომარეობს, რომ ჩემი გულწრფელი სიტყვები დამიბეჭდოთ.

მე ნაშვილები ვარ. დედობილმა ყველაფერი მე შემომწირა, ჩემ გამო თავის პირადულს ხაზი გადაუსვა. ცხრამეტი წლის ვიყავი, როცა გავთხოვდი. ქმარმა მალევე წამომაძახა ჩემი წარმომავლობის ამბავი... გავიდა წლები. შემეძინა ორი შვილი, ქალ-ვაჟი. გრძნობა დედის მიმართ არ შემცვლია, მაგრამ მაინც გაჩნდა უხერხულობის განცდა. დედა განიცდის, რადგან მე სიმართლე ვიცი... ცხოვრება სასტიკია და ქმარ-შვილის ხელში მართლაც უამრავი პრობლემა იჩენს თავს. ჩემს დღეში ბევრია: პირისპირ მიჭირს მას ვუთხრა ეს სიტყვები, ამიტომაც გთხოვთ, დამიბეჭდოთ ჩემი გულისთქმა. მართალია, სახელებს (არც დედაჩემისას და არც ჩემსას) არ ვაკონკრეტებ, მაგრამ მიხვდება, ვინც ეუბნება:

„ჩემო ტკბილო დედიკო! ნამდვილად გმირი დედა შენ ხარ. დე! ახლა, როცა შვილები მყავს, უფრო მეტად მივხვდი, რომ ძალიან მიყვარხარ, მეტად გაფასებ. არ იფიქრო, რაკილა სიმართლე გავიგე, გული გამიცივდა. არა! შენ ყველა დედაზე დაფასებული იქნები, როგორც ჩემს გულში, ისევე ღვთის წინაშე.

ჩემო საყვარელო დედა, მაპატიე, თუ ოჯახის გამო სითბო და ყურადღება ცოტათი მოგაკელი. მადლობა შენ! იცოდე, რაც შენ გამიკეთე, იმის მეოთხედსაც ვერ გავუკეთებ ჩემს ღვიძლ შვილებს.

*შენი შვილი"*

# ცნებები იდეალური ცოლისთვის

***თუ გინდათ სანიმუშო ცოლი იყოთ, დღეიდან ამ ცნებების შესრულება დაიწყეთ. ფსიქოლოგების აზრით, ეს საუკეთესო სახელმძღვანელოა.***



1. არ ეცადოთ ქმრის ჩვევებისა და ზნის შეცვლას.
2. ნუ იქნებით ბოლომდე გულახდილი, პატარა საიდუმლო ყველა ქალს უნდა ჰქონდეს.
3. არ დაგავიწყდეთ ყოველ გავლა-გამოვლაზე ქმრის კოცნა.
4. ყოველთვის გამოძებნეთ დრო, რომ ქმართან ერთად განმარტოვდეთ — ნადით კინოში, რესტორანში — შეუქმენით მყუდრო და ინტიმური გარემო.
5. ნუ გააქილიკებთ მას სხვების თანდასწრებით.
6. ნუ დაკარგავთ იუმორის გრძნობას.
7. ხშირად დააყენეთ თქვენი თავი ქმრის ადგილას.
8. არ დაივიწყოთ სექსი.
9. უმიზეზოდ არ ეჩხუბოთ.
10. პატივი ეცით მის ნათესავებს.
11. ოჯახის ბიუჯეტის ხარჯვა ერთმანეთს შეუთანხმეთ.
12. გარეთ არ გაიტანოთ ოჯახის ამბები.
13. უმიზეზოდ არ გაებუტოთ.
14 აღიარეთ თქვენი შეცდომები.
15 გაიზიარეთ ყველა მისი ჭირვეულობა.
17. ქმარს თვალებში უნდა შესციცინებდეთ.

# გადაეცით ახალ მთავრობას...

***ერთი მოხუცი მეზობელი მყავს, ბებია ლიზა, დიდი უცნაური ვინმეა. ორიოდე დღის წინ გამომეცხადა და ახალი ხელისუფლებისა და მისი ხელმძღვანელის, პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის სახელზე წერილი მომიტანა — იქნებ „კვირის პალიტრაში" გამომიქვეყნოთო. წავიკითხე. ეს იყო ქვეყნის მესვეურთა ხოტბა. ვუთხარი, ასეთი „სარეკლამო" წერილები ჩვენს გაზეთში არ იბეჭდება-მეთქი და გულდაწყვეტილი გავუშვი. თუმცა, გადავწყვიტე, იმ წერილიდან ერთ რამეზე გავამახვილო ყურადღება. ბებია ლიზა კმაყოფილია თბილისში გარე ვაჭრობის აკრძალვით, მაგრამ ვერაფრით გაუგია, რატომ დგანან მეძავები ისევ ქუჩაში. ბებია ლიზას აზრით, ისინიც აკრძალულ გარევაჭრობას ეწევიან და აუცილებელია, ახალმა ხელისუფლებამ წამოწყებული კაი საქმეები ბოლომდე მიიყვანოს. ბებია ლიზას მსგავსად, სხვა ქალბატონებიც იმედით შეჰყურებენ ახალ ხელისუფლებას, მაგრამ მათ მიმართ თხოვნა-შენიშვნებიც აქვთ და თუ ხელისუფლება ამ ყველაფერს გაითვალისწინებს, ქვეყანა ქვეყანას დაემსგავსება, პოლიტიკოსი — პოლიტიკოსს, კაცი — კაცს და ა.შ.***

**ნათელა (65 წლის):** — ჩემი აზრით, ახალმა ხელისუფლებამ თუ მართლა დაიწყო თბილისის დასუფთავება, საქმე ბოლომდე უნდა მიიყვანოს. იმ დღეს ტელეეკრანზე ვნახე, როგორ რეცხავდნენ ასფალტს დეზერტირების ბაზრის და ვაგზლის მოედნის ახლომახლო გარე მოვაჭრეების აყრის შემდეგ. მეორე დღეს გავცუხცუხდი. მინდოდა გარეცხილი ასფალტი მენახა. ალბათ ერთი 15 წელი იქნება, ასეთი რამ თბილისში აღარ მომხდარა. რა იქნება მთელი თბილისი გარეცხონ.

**მარიამი (72 წლის):** — მიშა სააკაშვილს ვთხოვ, პარლამენტარებს ჭკუა ასწავლოს და კანონით დაუდგინოს ქცევის წესები: იმ შემთხვევაში, თუ პარლამენტარი პარლამენტარს ბორჯომს შეასხამს, ორივე მათგანი მკაცრად უნდა დაისაჯოს; თუ ერთმანეთს შეაგინებენ, თავისუფლების მოედანზე უნდა გაიყვანო და ბილწსიტყვაობისთვის საჯაროდ მოახდევინო ბოდიში. აი, ის არ მომწონს კიდევ, თემურა მლებრიშვილი. ეგ ისე არეულად ლაპარაკობს ხოლმე, რომ კარგი იქნება, ჯანმრთელობის ცნობას თუ შეუმოწმებენ. გიორგი ბარამიძემ თქვა, — პოლიციელი მლებრიშვილი სიმღერით ვერ დაგელაპარაკებათ და ყვავილებს ვერ გესვრითო. მაშ, წიხლები უნდა ურტყას ხალხს და მყრალი ენით იღრიალოს?

გადაეცით მიშას, სულელი გვერდით არ დაიყენოს, თორემ აღარ ვენდობი.

**მაკა (38 წლის):** — მინდა ახალ ხელისუფლებას ვთხოვო, რომ თუ დამალულ-დაუსაბუთებელი ქონების ჩხრეკას დაიწყებენ და მასზე გადასახადებს დააწესებენ, გადასახდელი გადაახდევინონ იმ კაცებსაც, ვისაც მალულად საყვარლები ჰყავთ და ზოგჯერ ცოლშვილზე მეტ ყურადღებას მათ აქცევენ. არ მითხრათ — რას ბოდავო. რა, საყვარელი დაუსაბუთებელი და დამალული ქონება არ არის? კაცის დასაბუთებული ქონება ცოლია, რომელიც ამ ბოროტი საყვარლების გამოისობით ისევე ზარალდება, როგორც სახელმწიფო ბიუჯეტი — კონტრაბანდული საქონლის გამო.



**თეონა (31 წლის):** — ძალიან მინდა ყველა პოლიციელი ისეთი სიმპათიური იყოს, როგორიც შალვა ოგბაიძეა. არ სჯობს თუ ლამაზ-ლამაზი, სიმპათიური და ზრდილობიანი პოლიციელები იდგებიან ტრასაზე. აი, მაშინ მანქანას უფრო ნელა ვატარებ. თუნდაც იმიტომ, რომ კარგად შევათვალიერო „გზაზე დამდგარი „კაი ბიჭები". იცით, რა საშინელებაა ღიპგასივებული პოლიციელი კვერთხს რომ აგიქნევს. მერე კი ქშენა-ქშენით მოვა და ხრიალით გეტყვის, — გადმოდი მანქანიდანო. არც გამარჯობა იციან, არც ღიმილი, არც ტაქტი აქვთ. გამოასწორეთ ეთიკური მხარე პოლიციაში.

*ეკა ლიჩელი*

# ფიდელ კასტროს გამოსვლამ გამაოგნა



*გავრცელებული ხმები, თითქოს საღამოს ეთერში „რა ხდებას“ შეწყვეტის შემდეგ,* ***კოკა ყანდიაშვილმა*** *არა მარტო ტელევიზია, საქართველოც მიატოვა და რუსეთში გადასახლდაო — ნამდვილი ჭორია. ძილსა და მოსვენებას დანატრებული, მეტისმეტად გადაღლილი „რა ხდებას“ შემოქმედი დასასვენებლად ყოფილა წასული უცხოეთში. კოკა ახლახან დაბრუნდა კუბიდან. ფერზე მოსული, კარგად გამოძინებული და ოკეანის ტალღებში გაკაჟებული კვლავ ემზადება ეთერში გასასვლელად. „კვირის პალიტრა“ გთავაზობთ მასთან ექსკლუზიურ ინტერვიუს.*

**— კოკა, კარგა ხანია პირველი არხის საღამოს საინფორმაციო პროგრამა „რა ხდებას“ გადაცემები შეწყდა. თქვენც თითქოს სადღაც გაქრით. რა ხდება კომპანია პრემიერში, „რა ხდება“ რეანიმაციაშია?**

— გასული წლის 30 დეკემბერს, „რა ხდებას“ ბოლო გადაცემა გავიდა ეთერში. ამით დავასრულე ძველი პროექტი. ამჯერად ვმუშაობ სრულიად ახალ პროექტზე. თუმცა, მას ძველი სახელი ექნება და ისევ მე წავიყვან.

**— ეი. „ღამის შოუს“ წამყვან დათო გოგიჩაიშვილს სალაპარაკო არ გამოელევა, ყველამ რომ დაგივიწყოთ, ის ვერ დაგივიწყებთ. თითქმის ყველა გადაცემაში თქვენ გახსენებთ.**

— მე და დათო შევთანხმდით, რომ სანამ ცოცხლები ვართ, მე „რა ხდებას“ წავიყვან, დათო „ღამის შოუს“ და ერთმანეთს სერიოზულ რეკლამას გავუკეთებთ.

**— როგორი იქნება ახალი „რა ხდება“?**

— იგი იქნება ტოკშოუ, მაყურებლით, დარბაზით. ბევრი რამ შეიცვლება, მაგრამ ჯერ კიდევ არ ვიცი, რა ფორმატი ექნება. არც ის ვიცი, რა დროს გავა ეთერში და კვირაში რა ინტენსივობით დაგვითმობენ დროს. თუმცა, ვფიქრობ, ყოველდღიურად თუ არა, კვირაში სამოთხჯერ მაინც გავალთ ეთერში. ჯერჯერობით პროექტზე გადაჭრით რაიმეს თქმა მიჭირს, რადგან ტელევიზიის ხელმძღვანელობასთან არაფერი დაგვიკონკრეტებია. მხოლოდ ის ვიცი, რომ პროექტის განსახორციელებელი ფული არა აქვთ. ტელევიზიის ბიუჯეტში ჯერჯერობით წინა პროექტის ორი თვის ხელფასებისთვისაც ვერ მოიძებნა თანხები. ამიტომ, 2 ნოემბრის არჩევნების შემდეგ განვითარებული მოვლენების გამო, გადაღლილმა გადავწყვიტე, ცოტა ხნით დამესვენა. ვიფიქრე, გამხნევებული უკეთ ავაწყობ ახალ პროექტს-მეთქი. ამიტომაც გეზი კუბისკენ ავიღე. ცოტა ხნით ალბათ გერმანიაშიც წავალ ბერლინის საერთაშორისო კინოფესტივალზე.

**— რამდენად შესაძლებელია კოკა ყანდიაშვილი „რა ხდებათი“ სხვა არხზე რომ ვიხილოთ?**

— მე ეს არ მინდა. სახელმწიფო ტელევიზია ჩემთვის ძალიან ახლობელია, ასე რომ, „რა ხდება“ პირველ არხზე იქნება კვლავაც. თუმცა, კომპანია „პრემიერის“ სხვა პროექტებს ალბათ მივყიდით სხვა არხებსაც. მაგრამ ჯერჯერობით ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ახალი სატელევიზიო პროექტებისთვის არავის სცხელა. დღეს სხვა რამე უფრო აინტერესებთ. შვებულებაში მყოფი, დამკვირვებლის პოზიციიდან უკეთესად ვხედავ, რამხელა განსხვავებაა სინამდვილესა და ეკრანზე წარმოჩენილ რეალობას შორის. ვაკვირდები, რას იღებენ მთელი დღის განმავლობაში ტელემაყურებლები ეკრანიდან და ეს მეხმარება სწორი გადაწყვეტილების მიღებაში, — როგორი პროექტები შევქმნა, რა აკლია ქართულ ტელებაზარს.

**— ხომ არ ნანობთ, „რა ხდებას“ პროექტის აღდგენამდე რუსებს ევრაზიის ტელეაკადემიის ვიცე-პრეზიდენტობაზე უარი რომ უთხარით?**

— აბსოლუტურად არაფერს ვნანობ. კმაყოფილი ვარ იმ პროექტით, რაზეც ვმუშაობდი. ახლა უკეთესის გაკეთებას ვაპირებ, საქმეშიც და ცხოვრებაშიც. მართალია, ჯერ ამის გარანტიები არ მაქვს, მაგრამ ვიმედოვნებ, რომ ყველა ჩვენგანს კარგი მომავალი ელის. სხვანაირად აზრი არ ექნება იმას, რაც მოხდა.

**— კუბაში რა ამბები დაგხვდათ? არ ცეკვავდით შესანიშნავ სამბას, მამბოს ან პოპულარულ სხვა ცეკვებს, სულ გეძინათ?**

— ძირითადად მეძინა, იშვიათად ვცეკვავდი. ერთი-ორი საცეკვაო ილეთი, რაც ვიცი, იქაურებმა მასწავლეს, თორემ ნამდვილად ვერ ვიტყვი, კუბური ცეკვები მაგრად „დავამხეცე“-მეთქი. სამაგიეროდ, ესპანური ენის ცოდნა კიდევ უფრო გავიმყარე. კუბაში მდიდრებიც ვნახე, იქაც შედის კაპიტალიზმი, მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლების სათავეში კვლავ ფიდელ კასტრო ჰყავთ და რეჟიმიც თითქმის უცვლელია. ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც ის იყო, რომ ჩემი იქ ყოფნის დროს, მართლმადიდებელი ეკლესიის გახსნაზე ჩამოსული იყო მსოფლიო პატრიარქი ბართლომეოს . იგი თანმხლებ დელეგაციასთან ერთად იმ სასტუმროში შეჩერდა, სადაც მე ვცხოვრობდი. იმ ქვეყანაში, სადაც ახლო წარსულში ფიდელი მორწმუნეებს საშინლად დევნიდა, ჩემდა გასახარად, უამრავი მართლმადიდებელი ღვთისმსახური სტუმრობდა. კუბა ძვირად ღირებულ კურორტს ემსგავსება, რის გამოც ტურისტების რიცხვი კლებულობს.

**— ეი. სოციალიზმი, კომუნიზმი კუბაშიც უტოპია აღმოჩნდა? იქაც „ვარდების რევოლუციას“ ხომ არ ელიან?**

— ვფიქრობ, ამის საჭიროება კუბაშიც არის. ფიდელის ძმას, რაულს იცით, რამხელა ეზო და სახლი აქვს? წარმოიდგინეთ ალმაშენებლის გამზირზე, ექვსი დინამოს სტადიონი, აი, ამხელა ეზო აქვს, იქ მხოლოდ ერთი სახლი დგას მისთვის, ერთიც დაცვისა და სხვა მომსახურე პერსონალისთვის. ხომ წარმოგიდგენიათ, ვინ როგორ სარგებლობს იქ თანამდებობით და ძალაუფლებით. იქაური ტელევიზიის თავმჯდომარე ჩემი მეგობარია, ვთხოვე, სანამ აქ ვიქნები, სახელმწიფო ტელევიზიის საერთაშორისო მიმოხილვებში საქართველოს შესახებ ინფორმაცია გაუშვით-მეთქი. ასეც მოიქცა და მინდა გითხრათ, რომ დღეს კუბაში ყველა იცნობს მიხეილ სააკაშვილს. მაგრამ მე გამაოგნა ფიდელ კასტროს სატელევიზიო გამოსვლის ჩანაწერმა, რომელიც ჩემმა მეგობარმა მაჩვენა. 24 ნოემბერს ფიდელს ტელევიზიით უთქვამს — აი, ხალხის მძარცველი შევარდნაძე ჩამოაგდეს და ხელისუფლების სათავეში მოვიდა ჩემნაირი კაცი, რომელმაც მოაწყო რევოლუციაო. გავოგნდი ჯერ იმის გამო, რომ ფიდელმა ასე ლანძღა ყოფილი მეგობარი. შევარდნაძისგან ვიცი, რომ სსრკ-ის საგარეო საქმეთა მინისტრობის დროს, აუცილებლად გამოივლიდა ხოლმე კუბაში. გამაოგნა იმანაც, რომ ფიდელი ჩვენს ახალ პრეზიდენტს „თავისნაირად“ აცხადებს.

**— კოკა, დასვენებულს, შორიდან დაბრუნებულს რა დაგხვდათ თვალში საცემი?**

— ახალი პრეზიდენტი. ჩვენ ხომ საოცრად მიჩვეული ვიყავით პრეზიდენტის ხსენებისას შევარდნაძის გვარს... დამხვდა გაკრეჭილი, ბნელი, ცივი თბილისი, შეშინებული ხალხი, ახალი დროშა და შემეშინდა, დედაენაც ხომ არ შეცვალეს-მეთქი (ეცინება). დამხვდა დაჭერების სერიალი და ყველას საუბრის ძირითადი თემა სწორედ ის არის, ვინ დაიჭირეს და ვინ არის შემდეგი. მაგრამ ხალხი მაინც იმედიანად არის. ძალიან მსიამოვნებს, რომ ხალხს სჯერა ჩემი ქვეყნის პრეზიდენტის. ახალი პრეზიდენტიც შეცვლილი მეჩვენა, ცოტა მოსუქებულა და უფრო ძლიერი ჩანს. ძალიან მაინტერესებს მისი მოსმენა და გაგება, რას აპირებს, რა გეგმა აქვს.

**— კუბიდან გზად მოსკოვში გამოიარეთ, რა დამოკიდებულება აქვთ მოსკოველებს საქართველოში განვითარებულ მოვლენებთან?**

— ბევრს ლაპარაკობენ ამის შესახებ. ამბობენ, — აი, შევარდნაძემ ასე დაასრულა მეფობა. ახლა ახალი პრეზიდენტი გყავთ, თუმცა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობები ჯერაც დაძაბულიაო. მაგრამ უფრო ხშირად გაიგონებთ, ყველაფერი კარგად იქნება, ვოვა და მიშა მოილაპარაკებენო. მეც ეს მინდა, ყველას ეს გვინდა და ალბათ ასეც იქნება!

# „დიდი ჩრდილების ქვეშ მშვენივრად ვარ“



*დიდი წინაპრების შთამომავალი, საინტერესო მსახიობი და პიროვნება —* ***ნატო მურვანიძე*** *ორი წელია სცენის მიღმა ცხოვრობს და პუბლიკის თვალსაწიერს მოშორებული, ღვთისგან მინიჭებულ როლს თამაშობს. როლს, რომელსაც დედობა ჰქვია... სახლში, სადაც საოცარი სინატიფე, უბრალოება და ხელოვნების იდუმალი მუზები მეფობენ, ნატო თავის მშვენიერ ოჯახთან ერთად ცხოვრობს და შემოქმედებითი მოღვაწეობის გასაგრძელებლად ემზადება.*

— 2000 წელს ედინბურგში ვითამაშე ანტიგონე და უცებ გავიგე, რომ სხეულით მეორე ბავშვს ვატარებდი. ამის შემდეგ ერთი სპექტაკლი ვითამაშე და რეჟისორს დროებით წამოსვლა ვთხოვე, რადგან ანტიგონეს თამაში დიდ ემოციებსა და დატვირთვას მოითხოვდა, რასაც შესაძლოა ნაყოფის ჯანმრთელობისთვის ევნო. გამომიშვეს ერთი წლით. მერე თეატრში რემონტი დაიწყო და აგერ უკვე ორ წელზე მეტია, არაფერს ვაკეთებ... ამ ხნის განმავლობაში მქონდა რამდენიმე საქმიანი წინადადება, მაგრამ უარი ვთქვი ყველაფერზე. მიჭირს მუშაობის დაწყება. ვერ გავრისკე, ამხელა პაუზის შემდეგ ექსპერიმენტზე წასვლა, რაც ადრე არასდროს მიჭირდა.

**— შიში ხომ არ შემოგეპარათ?**

— ეს შიში კი არა, სიფრთხილეა, ძალიან მომთხოვნი ვარ ჩემი თავისადმი და ყველაფერს კრიტიკულად ვუდგები. ამიტომ ჯერ ისევ ძველი სპექტაკლების თამაშს დავიწყებ და მერე მივიღებ ახალ წინადადებებს... დროდადრო შინაგანად ვემზადები შემოქმედებითი მოღვაწეობისთვის. ამ ბოლო დროს მიშა მრევლიშვილის 13-წუთიან ფილმში გადამიღეს. ჩემი მხრიდან ეს პირველი ფრთხილი ნაბიჯია აქტიურ სამუშაო პროცესში დასაბრუნებლად. მაქვს იდეაც, რომლის განხორციელების შემდეგ შეიძლება თეატრალური ხელოვნების ახალი ფორმაც დაიბადოს. თუმცა, ჯერ არ ვიცი, რას შევძლებ, რას გავაკეთებ და ამიტომ კონკრეტულად საუბარი მიჭირს. ბუნებით პასიური ვარ, ბედი რომ არ მწყალობდეს, ალბათ სამუშაოს ძებნას არასდროს ვეცდებოდი. მიმართლებს და შემოთავაზებები ბუნებრივად მოდის. ამიტომ სულ ველოდები საქმიან წინადადებებს...

**— თქვენი ასეთი ხასიათი იქიდანაც ხომ არ გამომდინარეობს, რომ მუდამ დიდი წინაპრების ჩრდილში ხართ.**

— შესაძლოა ამანაც მომადუნა... დიდი ჩრდილების ქვეშ თავს მშვენივრად ვგრძნობ. დედაჩემსაც არასოდეს უბრძოლია როლისთვის, არც მამაჩემს უომია იმისთვის, რომ სპექტაკლები გაეფორმებინა. მათ ან ეძახდნენ, ან არა, მაგრამ როცა მუშაობდნენ, მაქსიმუმს აკეთებდნენ. ვფიქრობ, ეს არის მთავარი შემოქმედებაში, მაქსიმუმი და არა რაოდენობა.

**— თქვენი ბაბუის, კოტე მახარაძის გარდაცვალებიდან უკვე წელიწადზე მეტი გავიდა...**

— ამ ხნის მანძილზე ჩემთვის თითო დღე მთელ წელიწადს უდრიდა. როცა ბაბუაზე ვფიქრობ, ვგრძნობ, რომ ის ძალიან დიდი დანაკარგია. ჩემთვის მისი წასვლიდან 365 დღეზე მეტი კი არა, თითქოს 365 წელზე მეტი გავიდა... იგი ასი კაცის საკმარის გრძნობას იტევდა თავის არსებით და სულ მეგონა, რომ ყველას ეკუთვნოდა. მიჭირს იმის თქმა, რომ იგი მხოლოდ მე დამაკლდა. ის ყველა ახლობელს დააკლდა, შეიძლება მე სხვებზე ცოტა მეტად. მას ჰქონდა საინტერესო თვისება, არ უყვარდა თავისიანების ქება. თავისი სათქმელი ერთადერთხელ მომწერა წერილით, რაც ჩემია და ვერ გაგიმხელთ...

**— ბებიაზე, მედეა ჩახავაზე რას იტყვით?**

— დღემდე არის კრუხივით თავის აურაცხელ შვილებთან და შვილიშვილებთან ერთად. ფრთები ეზრდება ყოველდღე, მის ქვეშ ვყავართ ყველა. იგი სიცოცხლისუნარიანობის, უშრეტი ენერგიის მატარებელი ადამიანია. მეორე ბებიაც (მამის მხრიდან) საოცარი ქალი იყო, შესანიშნავი, აქტიური დიასახლისი. ბაზრიდან უზარმაზარ ბარგს რომ მოათრევდა, მაშინაც სულ ფორმაში იყო. წუთიწუთზე თეატრში წამსვლელს ჰგავდა. ჩემი მომხიბლავი ბებიების შემხედვარეს ბავშვობაში მინდოდა მყოლოდა ბებია სოფელში, რომელსაც თავზეც შავი თავსაფარი ექნებოდა წაკრული და აუცილებლად მომიტანდა ჩურჩხელებს. სესილია თაყაიშვილის ბებია იყო ჩემთვის ბებიის იდეალი. დღევანდელი გადასახედიდან კი ჩემს ბებიებს ვეთაყვანები. მედეა არის ყველაზე ახალგაზრდა, რომლის მსგავსს ჩემს ტოლმეგობრებში ვერ ნახავთ. აი, მე 33 წლისა ვარ და მგონია, რომ ცხოვრების რაღაც ნაწილი უკან დამრჩა. ვერ ვფიქრობ ისე, როგორც 20 წლის ასაკში. მედეა კი საოცარი ოპტიმისტია და მისთვის ჯერ მთელი ცხოვრება წინაა. მასთან ურთიერთობისას უდიდეს ძალას ვიღებ, ეგ რომ არ მყავდეს, არ ვიცი, რა იქნებოდა.

**— ნატო, ადამიანები ცხოვრებაში ღმერთს რაღაცისთვის გამუდმებით ვუხდით მადლობას, თქვენ რისი მადლობელი ხართ?**

— ღმერთის მადლიერი ვარ ყველაფრისთვის, უარყოფითი მოვლენებისთვისაც კი, რადგან ეს მაძლევს საშუალებას, დადებითი შევაფასო. მადლიერი ვარ, რომ ამ ოჯახში დავიბადე. აწი სულ რომ არაფერი შემხვდეს კარგი და ახალი, რაც მიბოძა ღმერთმა, იმითაც მადლიერი ვარ: ჩემი შვილები.

**— ფილმში — „იავნანამ რა ჰქმნა“ დედის შთამბეჭდავ როლს ასრულებთ. გიმღერიათ თქვენი შვილებისთვის იავნანა ან ქალბატონი მაკა თუ გიმღეროდათ ნანას?**

— მაკა მიმღეროდა, მაგრამ არა იავნანას... მედეა კი გურულ ნანას მიმღეროდა, იგი ჩემს შვილებსაც უმღერის. ბავშვებს ისე მოსწონთ, რომ იძულებული ვარ, მეც იგივე ვუმღერო. რაც შეეხება ფილმს, მინდა გითხრათ, რომ თამრიკო საოცრად მღერის. სულ ვფიქრობდი, რომ თუ ამ ფილმში ჩემი როლი მოსწონდათ, ეს თამრიკო ჭოხონელიძის დამსახურება იყო. სიმღერა, რომელიც მან შეასრულა, ჯანსულ კახიძეს ეკუთვნის, ტექსტი ვახტანგ კოტეტიშვილს (ვახუშტის მამას) დაუწერია. შესანიშნავი სიმღერაა. მახსენდება ფილმის გახმოვანების ბოლო პროცესი. მე ვცდილობდი, ხმა როგორმე მიმემსგავსებინა თამრიკოს ხმისთვის, რომ სიმღერაზე გადასვლა კონტრასტული არ ყოფილიყო. რეჟისორმა ნანა ჯანელიძემ მითხრა: ბოლო სცენას ერთად გაახმოვანებთო. მე ვიწყებდი და თამრიკო ასრულებდა სცენას. ვერ გადმოგცემთ, რა ვიგრძენი მაშინ. თამრიკო იყო სიყვარულის, ენერგიის განსახიერება. მასში მთელი სამყარო იყო ჩატეული. მისგან მოდიოდა რაღაც უსაშველოდ თბილი. ეს მაძლიერებდა. იმის შემდეგ სულ ვხუმრობ, თამრიკო ჩემი მეორე ნახევარია, რომელიც ფილმის გადაღების პროცესში თავისი სიმღერით მავსებდა-მეთქი.

***მოამზადა ეკა ლომიძემ***


მეზოთერაპია
გზა მშვენიერებისაკენ

მეზოთერაპია

● ცელულიტის მკურნალობა;
● აკნეს და კანზე არსებული სხვა გამონაყარის მკურნალობა;
● კანის ფერის, ტონუსისა და ტურგორის გაუმჯობესება;
● ნაოჭების გასწორება და სახის ოვალის აღდგენა;
● პიგმენტური ლაქების მოცილება.

ტელ: 212-312, 364-464

# მედიცინა

## შეკითხვა ექიმს

*ძვირფასო მკითხველო! რედაქციაში უამრავი წერილი მოდის, რისთვისაც უღრმეს მადლობას მოგახსენებთ — ჩვენი რუბრიკის და მთლიანად გაზეთის მასულდგმულებელი ხომ თქვენი გამოხმაურება და თანადგომაა. რაც შეეხება თქვენს შეკითხვებს, გვერწმუნეთ, თითოეულ მათგანს დიდი გულისყურით ვეცნობით და მასზე პასუხს უსათუოდ მიიღებთ, მაგრამ რადგან შეკითხვების რიცხვი საკმაოდ დიდია, ნუ დაგვემდურებით, თუ პასუხის ლოდინი გიწევთ.*

**ჩემს 20 წლის ქალიშვილს დაუდგინეს ურეაპლაზმოზი. ვუმკურნალეთ ანტიბიოტიკებით და ამის შემდეგ აღმოაჩნდა კანდიდოზი, ხოლო ურეაპლაზმოზი ისევ აქვს. ექიმთან ბოლო ვიზიტისას დაუდგინეს „ინფექციის სუსტი ზრდა". შეიძლება თუ არა ამ დაავადებისაგან განკურნება? არის თუ არა მოსალოდნელი, რომ ჩემს შვილს ურეაპლაზმოზით დაავადებული შვილი გაუჩნდეს?**

***ანა ვ. თბილისი***

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, ურეაპლაზმოზური ინფექცია დღეისათვის პირობით პათოგენურ ფლორადაა მიჩნეული (პირობით პათოგენური ეწოდება ბაქტერიებს, რომლებიც ყოველთვის არსებობენ ორგანიზმში, მაგრამ დაავადებას მხოლოდ გარკვეულ პირობებში იწვევენ), ამიტომ მას უნდა ვუმკურნალოთ მხოლოდ მაშინ, როდესაც ანთებით პროცესს იწვევს. თუ გოგონას კანდიდოზიც აქვს, ამისთვის სპეციფიკური მკურნალობაა საჭირო.

ბავშვის გაჩენა ისე, რომ იგი არ დაავადდეს ურეაპლაზმოზით, შესაძლებელია: ორსულობის დროს 2-3-ჯერ მაინც გამოკვლეული უნდა იქნეს ნაცხი ინფექციაზე. თუ ურეაპლაზმოზი გამოვლინდება, უშუალოდ მშობიარობის წინ უნდა ჩატარდეს საშოს სანაცია (დამუშავება) სპეციალური პრეპარატებით, რათა მშობიარობისას ინფექცია არ მოხვდეს ბავშვის ლორწოვან გარსებზე.

**ვარ 27 წლის. 10 თვის წინ ვიმკურნალე ბუშტ-ნამქერზე. გამოფხეკის მერე დამჭირდა ქიმიოპრეპარატის გადასხმა. ბოლო გამოკვლევების შემდეგ მითხრეს, რომ სრულიად განვიკურნე. ახლახან ორი თვის მანძილზე ტანზე მქონდა ბუშტუკოვანი წვრილი გამონაყარი — ჰერპესი. თანაც მაქვს უარყოფითი რეზუსი, მეუღლეს — დადებითი. შეიძლება თუ არა ჩემთვის დაორსულება?**

***ერთგული მკითხველი***

ბუშტ-ნამქერი ნაყოფის სიმსივნური გადაგვარებაა. ამ დროს აუცილებელია ორსულობის შეწყვეტა, საშვილოსნოს გამოფხეკა და სათანადო მკურნალობის ჩატარება. ამის შემდეგ ქალს უტარებენ საკონტროლო გამოკვლევას, რათა დაადგინონ, ხომ არ არის მის ორგანიზმში ბუშტ-ნამქერის ნარჩენი მოვლენები. თუ ყველაფერი რიგზეა, ურჩევენ, ექვსი თვის განმავლობაში მაინც არ დაორსულდეს. მას შემდეგ, რაც ყველა ეტაპს გაივლის, ქალს შეუძლია დაორსულდეს და სავსებით ჯანმრთელი ბავშვიც გააჩინოს.

არც რეზუს-კონფლიქტი გახლავთ ის დაუძლეველი წინააღმდეგობა, რომლის გამოც უარი უნდა თქვათ შვილის გაჩენაზე. უბრალოდ, ორსულობის დროს, განსაკუთრებით — ბოლო ორ თვეს, შედარებით მეტი ყურადღება გჭირდებათ.

რაც შეეხება ჰერპეს-ვირუსულ ინფექციას, ამ შემთხვევაში საქმე სხვაგვარადაა. ეს ვირუსი ორსულობის ვადამდელ შეწყვეტასა და სხვა გართულებებს იწვევს. ამიტომ გირჩევთ, ვიდრე დაორსულებას გადაწყვეტდეთ, ვირუსოლოგიური გამოკვლევა ჩაიტაროთ. თუ ჰერპესით ან სხვა ვირუსით აღმოჩნდებით დაინფიცირებული, აუცილებლად ჩაიტარეთ სათანადო მკურნალობა. გირჩევთ, მიმართოთ გამოცდილ გინეკოლოგს, რომელიც გაეცნობა თქვენი გამოკვლევების შედეგებს, საერთო მდგომარეობას და საჭირო რეკომენდაციებს მოგცემთ.

**მიკანკალებს ხელები. რა შეიძლება იყოს ამის მიზეზი და რომელ სპეციალისტს უნდა მივმართო?**

***ავთო გვენეტაძე, ერთგული მკითხველი***

ხელების კანკალის მიზეზი შეიძლება იყოს ჩვეულებრივი ნევროზიც, თირეოტოქსიკოზიც (დიფუზური ტოქსიკური ჩიყვი), ჰიპოგლიკემიური მდგომარეობაც (დაბალი შაქარი სისხლში), ალკოჰოლური ინტოქსიკაციაც. გარდა ამისა, ხელების კანკალი ამჟამად საკმაოდ გახშირებული პარკინსონის დაავადებისა და სინდრომის ერთ-ერთი სიმპტომიც გახლავთ. იმის მიხედვით, თუ რა იწვევს ამ ჩივილს, მკურნალობაც სხვადასხვაგვარია. გირჩევთ მიმართოთ ნევროლოგს და ენდოკრინოლოგს დიაგნოზის დასაზუსტებლად.

**ვარ 32 წლის. დილაობით, გაღვიძებისას, მაწუხებს თავის ტკივილი, გთხოვთ განმიმარტოთ, როგორ ვიმკურნალო.**

***ნათია ალადაშვილი***

თავის ტკივილი შეიძლება სხვადასხვაგვარი მიზეზი ჰქონდეს. ეს სიმპტომი ახასიათებს მაღალ ან პირიქით, დაბალ არტერიულ წნევას, ქალასშიდა წნევის მატებას, ქრონიკულ ინტოქსიკაციას (მოწამვლას), თავის ტვინის პათოლოგიებს, კისრის მალების ოსტეოქონდროზს, ნევროზებს, ანემიებს... ჯერ საჭიროა დიაგნოზის დასმა, რისთვისაც ლაბორატორიული გამოკვლევა გესაჭიროებათ. სასურველია გაესინჯოთ გამოცდილ თერაპევტს, რომელიც დაადგენს კერძოდ რა გამოკვლევები უნდა ჩაიტაროთ.

## მკითხველი — მკითხველს

**მოდა ყურჩიო ავთო მ-ს**

**ჩემს შვილიშვილს ცვიოდა თმა და ქერტლიც ჰქონდა. მისი მკურნალობა ძალიან ძვირი ღირს და გადავწყვიტეთ, ძველი მეთოდებით შევბრძოლებოდით ამ დაავადებას. თმა რომ გადაიპარსა, გამოჩნდა ყავისფერი ლაქებით დაფარული თავი (ჩემი აზრით, ეს იყო დასნებოვნებული ადგილები). ყოველ მესამე დღეს თავის კანში ვუზელდი უფერო ინას. 2-3 წუთს ვუკეთებდი მასაჟს და შემდეგ ჩამოვბანდი. ორი კვირის შემდეგ — უკვე ხუთ დღეში ერთხელ, შემდეგ — კვირაში ერთხელ. ინა ძალიან კარგად ბანს თავს. არბილებს კანს და ამაგრებს თმის ძირებს. დაბანის დროს თავი ძალიან არ უნდა დაიზიანოთ: არავითარი საპონი და შამპუნი. ორი წელია, თმის ცვენა შეჩერებულია.**

**თუ ინა არ გეხერხებათ, კვერცხის გული გათქვეფეთ 1 ჩ/კ თაფლში და ჩაიტარეთ იგივე პროცედურა, რასაც ინის ხმარებისას აკეთებდით. ბოლოს შეიძლება, გადაიბანოთ ძმარიანი წყლით (1 ჩ/კ 1 ჩ/ჯ წყალზე). ინის დაბანის შემდეგ თმაში რჩება ბალახის ფურცლები, რომელიც 1-2 საათში თავისით მოცილდება. თმა არ გაიშროთ ფენით.**

***პატივისცემით, ბ. ბეწუნაშვილი***

ექიმის კომენტარი: მკითხველის მიერ აღწერილი ინა და კვერცხის გულისა და თაფლის ნარევი მართლაც წარმოადგენს თმის ძირების მკვებავ საშუალებას. ამასთან დიდი მნიშვნელობა აქვს თმის ძირების რეგულარულ მასაჟს. ზოგიერთ შემთხვევაში ეს მართლაც საკმარისი აღმოჩნდება ხოლმე თმის ცვენის შესაჩერებლად. თუმცა, თუ თმის ცვენა ენდოკრინული ხასიათისაა, მისი საბოლოოდ შეჩერება შეუძლებელია.

***მოამზადა თამარ მამაცაშვილმა***

**სიარულის დროს გამუდმებით მტკივა ქუსლები. რა საშუალება აღარ ვცადე, მაგრამ შედეგი ვერ მივიღე. იქნებ ვინმეს ჰქონია ასეთი დაავადება და მოირჩინა. ძალიან გთხოვთ, ნუ დაიზარებთ და მომწერეთ, თქვენი გამოცდილება.**

***ღრმა პატივისცემით, დალი გოგოლაძე***

*ძვირფასო მკითხველო! რედაქციაში უამრავი შეკითხვა მოდის. ყველა მათგანს ჩვენი რუბრიკა ვერ დაიტევს. ამიტომ გადავწყვიტეთ ზოგიერთზე პასუხი „კვირის პალიტრის" დამატებაში — სამედიცინო ჟურნალ „ოჯახის მკურნალში" მოგაწოდოთ. ჟურნალმა უკვე შეიძინა უამრავი მკითხველი და საკმაოდ ფართო გამოხმაურებაც ჰპოვა საზოგადოებაში. გაითვალისწინეთ მკითხველთა ინტერესები და უფრო მრავალფეროვანი ინფორმაციის მიწოდების მიზნით ჟურნალის მოცულობა გაზარდეთ — ახლა იგი 60-გვერდიანია.*

## ხუთი მითი დაავადებული გულის შესახებ

1. *ინფარქტის შემდეგ სექსი საშიშია.* კვლევამ დაამტკიცა, რომ ალბათობა — სქესობრივმა კავშირმა შეიძლება ინფარქტი გამოიწვიოს, არცთუ დიდია. ექიმების რეკომენდაციით, სქესობრივი კავშირი შეიძლება განახლდეს ავადმყოფობიდან თვე, თვე ნახევრის შემდეგ.

რჩევისათვის მიმართეთ მკურნალ ექიმს.

2. *ინფარქტის შემდეგ სიგარეტის მოწევის ერთბაშად მიტოვება არ შეიძლება.* ინფარქტი წარმოადგენს თავისებურ „შოკურ თერაპიას", რომლის შემდეგ სიგარეტის მიტოვება გაგიადვილდებათ, რადგან ჯერ კიდევ არ დაგვიწყებიათ გადატანილი ტკივილი და სტრესი.

3. *პირველი ინფარქტის შემდეგ გარდაუვალია მეორეც.* ინფარქტგადატანილი ავადმყოფების უმეტესობა უბრუნდება ნორმალურ ცხოვრებას. თუკი „ნორმალურ" ცხოვრებაში არ იგულისხმება სიგარეტი და ღამით ღორის ქონის ჭამა.

4. *ფიზიკური დატვირთვა არ შეიძლება.* სინამდვილეში ფიზიკური დატვირთვა ამცირებს გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებასა და გამეორებითი ინფარქტის რისკს.

5. *წვრილკეროვანი ინფარქტი — მიოკარდი არც ისე საშიშია, როგორც მსხვილკეროვანი.* წვრილკეროვანი ინფარქტის დროს გული ნაკლებად ზიანდება, თუმცა ამ დროს დაუმთავრებელი მკურნალობისას, მისი გამეორების ალბათობა დიდია, ვიდრე მსხვილკეროვანის დროს.

***კომსომოლსკაია პრავდა №18***

## ორაგულმა შეიძლება გავნოთ



ხელოვნურად გამრავლებული ორაგულის საკვებად გამოყენება სულაც არ ყოფილა უხიფათო.

მკვლევარებმა გაარკვიეს, რომ კანცეროგენული ნივთიერებების და დიოქსინების შემცველობის დონე პოტენციურად გაცილებით მაღალია ფერმაში გამოყვანილ ორაგულში, ვიდრე ბუნებრივ გარემოში გაზრდილ თევზში. თუკი „ხელოვნურად" მოშენებულ თევზს თვეში ერთზე მეტად მიირთმევთ, მატულობს კუჭ-ნაწლავით დაავადების რისკი.

გამოკვლევის მსვლელობისას ჩატარდა მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქში შეძენილი 700 ორაგულის ანალიზი. სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ ხელოვნურ წყალსაცავებში მოშენებული ორაგულის საკვები იწვევს წყალში არსებული მავნე ნივთიერებების კონცენტრაციას.

***საიენსი***

## „ცეცხლოვანი ღვინო" – გლინტვაინი



დაიღალეთ ან შეგცივდათ? სრულიად საკმარისია დალიოთ ერთი ჭიქა გლინტვაინი — „ცეცხლოვანი ღვინო", როგორც მას გერმანელები უწოდებენ, რათა გამხნევდეთ, გათბეთ და მოიკრიბოთ ენერგია.

ეს ცხელი სასმელი ძალიან იოლად მზადდება. ადუღებულ წითელ ღვინოს დაამატეთ შაქარი, მიხაკი და დარიჩინი (ისეთი რაოდენობით, რომ მას გემო კი არ შეუცვალოს, არამედ მისცეს სასიამოვნო არომატი), 1 კოვზი რომი (ან კონიაკი), ლიმონის პატარა ნაჭერი და ცხლადვე დალიეთ.

ეს სასიამოვნო და იმუნიტეტის გასაძლიერებელი სასმელი შეიძლება უალკოჰოლოდაც მოამზადოთ: შეურიეთ ერთმანეთს ყურძნისა და ფორთოხლის წვენი, შეათბეთ და დაამატეთ მიხაკი, დარიჩინი და მიირთვით.

***ლიზა №5***

## მუქი ფერის ლუდი და თრომბი

მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ძაღლებს, რომლებსაც მუქი ფერის ლუდს ასმევდნენ, უფრო ჯანმრთელი სისხლძარღვები ჰქონდათ, ვიდრე მათ, რომლებსაც ღია ფერის ლუდს სთავაზობდნენ.

მკვლევართა აზრით, მუქი ფერის ლუდი ხელს უშლის თრომბის წარმოქმნას და რომ ანალოგიური თვისება ახასიათებს წითელ ღვინოს. რომ არ წარმოიშვას გულ-სისხლძარღვთა დაავადებათა რისკი, საჭიროა დღეში მხოლოდ 1 ჭ ღვინო ან 1 კათხა მუქი ფერის ლუდი მიიღოთ.

***ნაშ დრუგ №3***

## ნუთუ არ აჯობებს, უცხოეთიდან შემოტანის ნაცვლად ქართული წამლები გადიოდეს მსოფლიო ბაზარზე?

*საქართველოში საეკლესიო-სამონასტრო მედიცინას მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. მე-12 საუკუნეში საეკლესიო კულტურულ ცენტრებში საავადმყოფოების დაარსება ტრადიციად იქცა. მესნეულე ბერებს ავადმყოფების სულზე ზრუნვის გარდა მათი მონახულება და საექიმო დახმარების გაწევა ევალებოდათ. რუის-ურბნისის მთავარეპისკოპოსის იობის ლოცვა-კურთხევით შეიქმნა სამკურნალო ცენტრი, რომელსაც ბიოლოგი ნინო ქურდაძე ხელმძღვანელობს.*

***— რა დრო დასჭირდა უძველეს რეცეპტთა მოძიება-შესწავლას?***

— რეცეპტების მოძიება და მათი პრაქტიკული გამოცდა წლების მანძილზე მიმდინარეობდა. შესაძლებლობის ფარგლებში რეცეპტების პირვანდელი შემადგენლობა მაქსიმალურად აღვადგინეთ.

წამლების დასამზადებლად 70-მდე სახეობის ბალახი გამოიყენება. მათი ნაწილი საქართველოში არ მოიპოვება და რუსეთიდან შემოგვაქვს.

***— ავადმყოფობის რა მონაცემს ითვალისწინებთ რეცეპტის შერჩევისას?***

— პირველ რიგში მისი ჩივილები (ანამნეზი), კლინიკური დიაგნოსტიკა, ექოსკოპიური და რენტგენოლოგიური გამოკვლევებია გასათვალისწინებელი. შეუძლებელია ავადმყოფის მდგომარეობის შეფასების გარეშე წინასწარ მომზადებული ნახარშის გატანება, მაგ., სხვადასხვა წამალი იხმარება სხვადასხვა მჟავიანობის გასტრიტების, ქოლეცისტიტის შემთხვევაში. ქოლეცისტიტებისას თვითნებურად მხოლოდ უკვდავას ხმარობენ, რომელიც ნაღველმდენი ეფექტით გამოირჩევა, ჩვენ მიერ მოძიებულ რეცეპტებში კი გათვალისწინებულია სანაღვლე გზების გამაფართოებელი, ანთებითი პროცესის, სანაღვლე გზებში მოპარაზიტე ჭიების (ლამბლიების), ნალექის დამარბილებელი და გამომტანი, სისხლის გამწმენდი საშუალებები...

***— იშვიათ შემთხვევებზე ხომ არ გვიამბობთ?***

— ერთ ტუბერკულოზიან პაციენტს ქიმიოთერაპიის შემდეგ 5 დიდი ზომის კავერნა მაინც დარჩა ერთ ფილტვში, მეორეც დაზიანებული ჰქონდა. ჩვენთან მკურნალობის შემდეგ კავერნებიც ჩაიკირა და მეორე ფილტვიც გაჯანსაღდა, ეს ცვლილებები რენტგენოგრაფიულად დაფიქსირდა. სხვა პაციენტებს კი მრავლობითი ეროზიები აღენიშნებოდათ მთელ კუჭ-ნაწლავის ტრაქტში (საყლაპავში, კუჭში, ნაწლავებში). მკურნალობის შემდეგ გამოკვლევებმა პასუხი დადებითი მოგვცა. ეროზიებისა და წყლულების მკურნალობა სამ ეტაპად ხორციელდება. I ეტაპზე ხდება მისი „გარეცხვა", შემდეგ — აღდგენა და ბოლოს — შეხორცება. 1 სმ-მდე წყლული საბოლოოდ 1 თვეში იკურნება.

***— თქვენ მიერ მოძიებული რეცეპტებით რომელ პათოლოგიებს კურნავთ?***

— შესაბამისი ნახარში ძალიან მოკლე დროში მოქმედებს ბრონქიტზე. ეფექტურია ჰეპატიტის წამალი, რომელიც ღვიძლის ფუნქციებს აღადგენს და იმუნიტეტს აძლიერებს. ჭიების წამალი რამდენიმე სახის პარაზიტზე (ენტერობიოზი, ასკარიდა, მახვილა, ლამბლია) მოქმედებს.

შედეგები გვაქვს თირკმელების სხვადასხვა პათოლოგიების (ნეფრიტი, პიელონეფრიტი, გლომერულონეფრიტი). გლომერულონეფრიტის დროს შეჭმუხნული თირკმელები მკურნალობის შემდეგ თავის ნორმალურ ზომას უბრუნდება, რასაც ექოსკოპიური კვლევით ვამოწმებთ, და მრავალი სხვ.

იმუნური სისტემის გასაძლიერებლად, იმპოტენციის ასამაღლებლად საუკეთესო საშუალებაა ყვავილის მტვერი, რომლის შეძენაც შეგიძლიათ ჩვენს ცენტრში.

ნუთუ არ აჯობებს, უცხოეთიდან შემოტანის ნაცვლად ქართული წამლები გადიოდეს მსოფლიო ბაზარზე? ღვთის შეწევნით, არაფერია შეუძლებელი.

წინასწარ დიდ მადლობას ვუხდით ყველას, ვინც გამოგვეხმაურება.

მის: ქ. თბილისი, გოგოლის ქ. №13, მიღება ყოველდღე 10-17 სთ-მდე შაბათ-კვირის გარდა. შაბათ-კვირას – ქ. ხაშური, 9 აპრილის ქ. №10.
ტელ: 4-10-77; 899-74-41-60; 95-83-47

R

## როგორ მოვერიოთ უძილობას...

ყოველთვის უნდა გახსოვდეთ:

დაძინებამდე 3-4 საათით ადრე არ დალიოთ ყავა;

მიიღეთ თბილი რძე, გვირილის ან ჟასმინის ჩაი, რომლებიც ბრწყინვალე დამამშვიდებელი საშუალებებია;

დაიძინეთ ერთსა და იმავე დროს და მხოლოდ მაშინ, როდესაც ძილი მოგერევათ;

თუ ხმაურიანი მეზობლები გყავთ და გიჭირთ ხმაურის გამო დაძინება, იყიდეთ აფთიაქში ბერუში;

ნუ დაიძინებთ დახუთულ ოთახში, გაანიავეთ, გააღეთ სარკმელი;

თუ მაინც არ გეძინებათ, თბილი სათბური დაიდეთ ფეხებთან, ან დაიჭირეთ ხელში.

ლიზა №4

პირველად საქართველოში!
მხოლოდ ჩვენს კლინიკაში!

მამაკაცთა სექსუალური პრობლემების უნიკალური კომპიუტერული დიაგნოსტიკა ულტრათანამედროვე აპარატურით და მკურნალობა:

სქესობრივი აქტის ჩატარების გაძნელება ან შეუძლებლობა, აქტის ნაადრევი დასრულება ან გახანგრძლივება, იმპოტენციის ქირურგიული მკურნალობა, ასოს ზომების მომატება, ასოს სიმრუდეების კორექცია, ფიმოზი.

ზუსტი დიაგნოზი და ჩვენი მრავალწლიანი გამოცდილება თქვენი მაქსიმალური განკურნების გარანტიაა!!!

კ. ჩაჩავას სახ. პერინატალური მედიცინის და მეანობა-გინეკოლოგიის ს/კ ინსტიტუტი, საკონსულტაციო-სადიაგნოსტიკო ცენტრი, მ. კოსტავას 38, სექსოლოგიური სამსახური, I სართული, კაბ. 2. ტელ: 99 64 99 მიღება 10-17 სთ-მდე, შაბათ-კვირის გარდა

ანონიმურობა დაცულია!

სამედიცინო ცენტრი „ლაზერი"

ბუასილის კვანძების მოცილება ოპერაციის გარეშე უნიკალური უსხოური ტექნოლოგიით. სწორი ნაწლავის ნაპრალის, კოლიტის მკურნალობა.

ექიმი ვიტალი ბერიშვილი ☎ 899 70 00 40

ხვრინვა ერთი სეანსით. ალერგიული სურდო. ქრონიკული ტონზილიტი.

ექიმი რევაზ კუტალაძე ☎ 899 54 79 97

შინაგანი დაავადებები: გულ-სისხლძარღვთა, სასუნთქი გზების, კუჭ-ნაწლავის, სახსრების და ხერხემლის დაავადებები. ☎ 899 20 60 73

ცენტრის ხელმძღვანელი: პროფესორი ლუიზა მარსაგიშვილი ☎ 899 20 60 73

ჩვენი შედეგები - ჩვენი რეკლამაა

მის: ქ. თბილისი, ბახტრიონის 18, ☎ 91-18-33

სამკურნალო გაერთიანება „ლიგა"

სექსოპათოლოგიის კლინიკა ტელ.: 32 21 21

- ერექციის ხარისხის გაუმჯობესება;
- სქესობრივი აქტის გაუმჯობესება;
- წარუმატებლობის მოლოდინის შიშის მოხსნა;
- სექსუალური ცხოვრების აღდგენა შემდეგი დაავადებების ფონზე:

პროსტატიტი, შაქრიანი დიაბეტი, ტრავმები, ინვალიდობა, გულ-სისხლძარღვთა და ნევროლოგიური დაავადებები.

ვაქცინაციის ცენტრი
(წინასწარი ჩაწერით) ტელ.: 32 44 78

- ფართო სპექტრის მომსახურება უცხოური ვაქცინებით

თბილისი 0186, ვაჟა-ფშაველას გამზ. 83/11


### ვიცი, რომ საქართველოში ტუბერკულოზი ძლიერ არის გავრცელებული. იქნებ ვრცლად მოგვითხროთ მის შესახებ.

ლ. რუხაძე

ტუბერკულოზი ქრონიკული ბაქტერიული ინფექციაა, რომელსაც ტუბერკულოზის მიკობაქტერია იწვევს. დაავადება, უპირატესად, ფილტვებში ლოკალიზდება, მაგრამ პროცესში ხშირად სხვა ორგანოებიც მონაწილეობენ. ეფექტიანი მკურნალობის გარეშე ტუბერკულოზი თანდათანობით პროგრესირებს, რაც, უმეტეს შემთხვევაში, სიკვდილით მთავრდება. მიუხედავად მედიცინის დღევანდელი მიღწევებისა, რაც ტუბერკულოზის წარმატებულ მკურნალობასა და კონტროლში გამოიხატება, ის მაინც მნიშვნელოვან სამედიცინო პრობლემად რჩება. მსოფლიოს მოსახლეობის ერთი მესამედი უკვე ინფიცირებულია ტუბერკულოზის მიკობაქტერიით. დაავადება საქართველოშიც საკმაოდ გავრცელებულია.

მიკობაქტერია ადამიანს უმეტესად (90-95%) ჰაერის მეშვეობით გადაეცემა. ამის გამო დაავადება უმთავრესად სასუნთქ სისტემაში ვითარდება. ნახველის წვეთის (ნერწყვის), მტვრის ნაწილაკის მეშვეობით ბაქტერიები ბრონქებში ხვდებიან. თუ ბაქტერიები ფილტვის ქსოვილებამდე მიაღწევენ, მათ შთანთქავენ სპეციალური უჯრედები და მრავლდებიან, შემდეგ ისინი ხვდებიან უახლოეს ლიმფურ კვანძებში. ზოგჯერ დაავადება ამ ეტაპით არ იფარგლება, მიკროორგანიზმები უკვე სისხლში ხვდებიან და იწყება პროცესის გავრცელება ფილტვებში, ზურგის ტვინში და ა.შ.

ტუბერკულოზის განვითარებაში გამოყოფენ ორ სტადიას: ინფიცირებას და დაავადებას.

ინფიცირებულ ადამიანთა უმეტესობას (90%-ს), მთელი სიცოცხლის მანძილზე არ უვლინდება ტუბერკულოზის კლინიკური ნიშნები. დაავადება ინფიცირებულთა 1%-ს უვითარდება.

დაავადების მიმდინარეობაში არჩევენ პირველად და მეორად პერიოდებს. პირველადი ტუბერკულოზის სახელით ცნობილია ის ცვლილებები, რომლებიც პირველადი ინფიცირების შემდეგ ვითარდება და უმეტესად ბავშვებში და ახალგაზრდა ასაკში იკიდებს ფეხს.

მეორეული ტუბერკულოზი უმთავრესად მოზრდილთა დაავადებაა. იგი ჩაკირული ლიმფური კვანძებისა და ფილტვებში არსებული „ჩუმი" ფარული კერების გააქტიურების შედეგია.

*ხელშემწყობი ფაქტორებია:* დაავადება ვითარდება იმუნური სისტემის სისუსტისას, რაც თავის მხრივ შესაძლოა განაპირობოს:

— ასაკმა,
— შიმშილმა,
— გენეტიკურმა ფაქტორებმა,
— იმუნოდეპრესორული პრეპარატების გამოყენებამ,
— შაქრიანმა დიაბეტმა,
— ლიმფური სისტემის ავთვისებიანმა დაავადებამ,
— თირკმლის ქრონიკულმა უკმარისობამ,
— შიდსმა და სხვა მიზეზებმა.

ტიპური ტუბერკულოზური ანთება შეიძლება წარმოდგენილი იყოს სხვადასხვა ზომის კერებისა და ხორკლის სახით, ხორკლის ცენტრს ახასიათებს ხაჭოსებრი ნეკროზი, ამ დროს ქსოვილის დარბილებისა და გალღობის გამო წარმოიქმნება მასები, რომლებიც ბრონქის სანათურებში ხვდებიან და შემდეგ გარეთ, ნახველის სახით გამოიყოფიან. ფილტვის ქსოვილის დარღვეულ უბანში კი ჩნდება ღრუ (კავერნა), რომელიც ტუბერკულოზის მიკობაქტერიების რეზერვუარს წარმოადგენს. აქედან ისინი წარმოქმნიან ახალ კერებს.

## როგორ არ მინდა ძლიერო სენო, ლექსში ქართულად რომ მოგიხსენო...



სასუნთქი გზების დაზიანების გარდა, შეიძლება განვითარდეს ტუბერკულოზური მენინგიტი, ძვლებისა და სახსრების, შარდსასქესო ორგანოების, პერიფერიული ლიმფური კვანძების, მუცლის ღრუს ორგანოების და სხვა.

*კლინიკური მიმდინარეობა:* ტუბერკულოზი ხშირად უსიმპტომოდ მიმდინარეობს, ზოგჯერ გამოიხატება ინტოქსიკაციის ნიშნები: ტემპერატურის მატება, ოფლიანობა (განსაკუთრებით ღამით), ზოგადი სისუსტე, მცირე ხველა. მაღალი ტემპერატურა რამდენიმე დღიდან 2-3 კვირამდე გრძელდება. დაავადება შესაძლოა, ფილტვების ანთების ან გრიპის ნიღბით მიმდინარეობდეს. ავადმყოფი ზოგჯერ გვერდში ტკივილს უჩივის. ტუბერკულოზის ეს ფორმა უმეტესად განკურნებით მთავრდება.

მკერდშიდა ლიმფური კვანძების ტუბერკულოზი — იგი ხშირად რთულდება ბრონქების ტუბერკულოზით, პლევრის ანთებით — პლევრიტით.

ტუბერკულოზის ზოგიერთი ფორმის დროს ავადმყოფებს აღენიშნებათ ხველა დიდი ოდენობით ნახველით, სისხლიანი ხველა ან სისხლდენა ფილტვებიდან.

ტუბერკულოზის დროული დიაგნოსტიკა მნიშვნელოვანია დაავადებულის ადეკვატური მკურნალობისთვის. გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მიკრობიოლოგიურ გამოკვლევას — ნახველის, ასევე შარდისა და ქსოვილოვანი სითხეების კვლევას, სადაც ნახულობენ მიკრობაქტერიას.

*ტუბერკულოზის დიაგნოსტიკა* — სპეციალური ტესტი, კანზე ან კანქვეშ ტუბერკულინის შეყვანა განსაზღვრავს ორგანიზმის მომატებულ მგრძნობელობას. ყველაზე გავრცელებულია მანტუს სინჯი.

რენტგენოლოგიური კვლევით განისაზღვრება პროცესის ლოკალიზაცია, გავრცელება და დაავადების ფორმა.

*მკურნალობა:* აქტიურ ტუბერკულოზს მკურნალობენ 3-4 პრეპარატით. მკურნალობის საწყისი ფაზა 2 თვე ტარდება. საერთო ჯამში მკურნალობა 6-8 თვე გრძელდება.

დაავადების რეციდივი (განმეორება) უფრო ხშირად მკურნალობის დამთავრებიდან პირველი ორი წლის განმავლობაში ვითარდება.

მედიკამენტური მკურნალობის უეფექტობის შემთხვევაში დგება საკითხი ოპერაციული ჩარევის შესახებ.

მაია მუხიგული


სამედიცინო ცენტრი „ლაზერი"

- სექსუალური პრობლემები
- უროლოგიური დარღვევები
- პროსტატიტი

მის: ბახტრიონის 18,
☎91-18-33; 899-21-36-30 გია

ვმკურნალობთ ქრონიკულ პროსტატიტს

- ქსჩრეს-დიაგნოსტიკა 15-20 წთ-ში;
- ექოსკოპია იაპონური აპარატურით;
- კომპლექსური მკურნალობა დღეისათვის არსებული ყველაზე თანამედროვე მეთოდებით, მათ შორის, პროფ. გუსკოვის აპარატით „ინტრატონი", რომელსაც ეფექტურობით ანალოგი არ აქვს.

მეცნიერებათა აკადემიის სპეც. პოლიკლინიკა, კაბ. №7 (სპორტის სასახლის უკან, მარჯვნივ). 10-14 სთ.

რინიქოლდი სიახლე!

- სწრაფად გაგივლით გაციების და გრიპის ყველა სიმპტომი!




ზამთრის პერიოდი გამოირჩევა გრიპის ხშირი ეპიდემიით, რომელიც მიმდინარეობს ცხელებით, შემცივნებით, სახსრების, კუნთებისა და თავის ტკივილით. ასევე აღინიშნება სურდო, გაძნელებული ცხვირით სუნთქვა, ცემინება და თვალების სიწითლე.

ასეთ დროს რინიქოლდი შესანიშნავი საშუალებაა. იგი თანამედროვე მრავალკომპონენტიანი პრეპარატია, რომელსაც აქვს სიცხის დამწევი, ანტიალერგიული, ტკივილგამაყუჩებელი მოქმედება, ასევე ხელს უწყობს ცხვირიდან გამონადენის სწრაფ შემცირებას, თრგუნავს ალერგიული რინიტის სიმპტომებს, რაც აუმჯობესებს სუნთქვას. კოფეინის შემცველობა უზრუნველყოფს დაღლილობის და ძილიანობის შემცირებას, ზრდის გონებრივ და ფიზიკურ შრომისუნარიანობას. რინიქოლდი, გაუმჯობესებული ფორმულის გამო, არ იწვევს გართულებებს გულ-სისხლძარღვთა და ცენტრალური ნერვული სისტემის მხრივ.

რინიქოლდის შემადგენლობაში შემავალი ნივთიერებები უზრუნველყოფენ მოქმედების ოთხმაგ ეფექტს:

- სიცხის დამწევი და ტკივილგამაყუჩებელი
- ცხვირიდან გამონადენის სწრაფი შემცირება და სუნთქვის გაადვილება
- ანტიალერგიული
- ორგანიზმის ზოგადი მდგომარეობის გაუმჯობესება

მიღება: მოზრდილებში — თითო ტაბლეტი ყოველ 4-6 საათში, ბავშვებში — 6 წლიდან თითო ტაბლეტი 3-ჯერ დღეში.

იკითხეთ აფთიაქებში!

SHREYA LIFE SCIENCES
შრეია

კომპანია „ნუტრიმენტ ჰაუსი" გისურვებთ ჯანმრთელობას

ჰერპესი. ჰერპეს ზოსტერი. ჰერპეს სიმპლექსი.

ამ ინფექციის სრულიად განკურნება მსოფლიოს მედიკოსთა ურთულეს ამოცანას წარმოადგენს. როდესაც ჰერპესი კლინიკურად ვლინდება მას თან ახლავს ზოგადი სისუსტე, მადის დაქვეითება, გამონაყარი, ტემპერატურის მატება, ტანში ტეხვის შეგრძნება, აღგზნებადობა და უძილობა.




ჰერპესის წინააღმდეგ საბრძოლველად კომპანია "ნუტრიმენტ ჰაუსი" გთავაზობთ საუკეთესო მცენარეულ პრეპარატს "სუპერ ლიზინი+", რომელიც აძლიერებს იმუნურ სისტემას, ხოლო ძლიერი იმუნური სისტემა დაგიცავთ ამ ვირუსისაგან.

სუპერ ლიზინი+ წარმოდგენილია აბების, კრემისა და ტუჩის საცხის სახით, რაც აადვილებს როგორც სისხლში ვირუსის აქტივობის დაქვეითებას, ასევე ადგილობრივ მკურნალობას.

„ნუტრიმენტ ჰაუსში" კვალიფიციური და გულისხმიერი ექიმები იზრუნებენ თქვენს ჯანმრთელობაზე და დაგეხმარებიან მტკივნეული პრობლემების გადაჭრაში.

ნუტრიმენტ ჰაუსი NUTRIMENT HOUSE

მის: ლ.ალმაშენებლის 150
ტელ: 95-65-03; 96-06-67
www.shopge.com

**ტაილანდი**

## მიირთვით ქათმის ხორცი, ეპიდემიის ნუ გეშინიათ!

„კომპენსაციის სახით 80 ათას დოლარს გადავუხდი იმ ადამიანის ოჯახს, ვისი სიკვდილის მიზეზიც გახდება მაგრად მოხარშული კვერცხი, ერბოკვერცხი ან თერმულად კარგად დამუშავებული ქათმის ხორცი“, — ამ სიტყვებით მიმართა თავის ხალხს ტაილანდის პრემიერ-მინისტრმა ტაქსინ ჩინავატმა. ქათმის გრიპის ეპიდემია, რომელიც აზიის ქვეყნებში მძვინვარებს, თითქმის ნახევარ ტაილანდს მოედო. ვირუსი ფრინველებიდან ადამიანებზე გადავიდა, არის მსხვერპლი. ამის გამო ტაილანდური ქათმის ხორცის ექსპორტი, რომლის წლიური მოცულობა 1 მლრდ დოლარზე მეტია, მნიშვნელოვნად შემცირდა. ევროკავშირმა, იაპონიამ და ზოგიერთმა სხვა სახელმწიფომ უარი თქვეს ქათმის ხორცის შესყიდვაზე. პრემიერმა ჩინავატმა ტაილანდელებს მოუწოდა, — მხარი დაუჭირეთ მეფრინველეობას, უარს ნუ იტყვით კვერცხსა და ქათმის ხორცზეო და დაჰპირდა, თუ ვინმე დაავადდა, კომპენსაციის სახით თითოეულს 2.250 დოლარს გადავუხდითო. ისიც დასძინა, — ქათმის გრიპი ჩვენს ეკონომიკას იმდენს ვერაფერს დააკლებს, რაც შარშანდელმა ატიპური პნევმონიის ეპიდემიამ აზარალა, წელს ეკონომიკური აღმავლობა 8%-ზე ნაკლები არ იქნებაო.

*იზვესტია №8*

**აშშ**

## ცსს-ს დირექტორს შეუძლია ბარგი შეკრას

ამერიკელი სენატორის, ჯონ მაკკეინის წინადადებით, შეიქმნება ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს საქმიანობაში დაშვებული შეცდომების შემსწავლელი კომისია. სენატორს მიაჩნია, რომ ერაყში მასობრივი განადგურების იარაღის ალმოუჩენლობა დაზვერვის მუშაობის ეფექტიანობის გამოძიების სერიოზულ საბაბს იძლევა. თავისი წინადადება მაკკეინმა ერაყში მასობრივი განადგურების „იარაღის დარგში“ მთავარი ინსპექტორის დევიდ




კეის გადადგომიდან ერთი კვირის თავზე წამოაყენა. თავად კეიმ კი განაცხადა, — ცსს-მ შეცდომაში შეიყვანა პრეზიდენტი ბუში და ბოდიში უნდა მოუხადოსო. კეის წინადადებას მიემხრო პრეზიდენტობის სამი კანდიდატი: ჰოვარდ დინი, ჯონ კერი და ჯონ ედვარდსი. დამოუკიდებელი კომისიის შექმნას ცსს-ს ყოფილმა თანამშრომლებმაც დაუჭირეს მხარი. მათ მიაჩნიათ, რომ სასწრაფოდ უნდა ჩატარდეს აშშ-ის დაზვერვის რეფორმა. თეთრ სახლთან ახლოს მყოფი წყარო ირწმუნება, რომ ცსს-ს დირექტორს, ჯორჯ ტენეტს წყალი აქვს შემდგარი და გადადგომა მოუწევსო. ჯორჯ ტენეტი 1997 წლიდან ხელმძღვანელობს ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოს.

*ნიუს.რუ*

**უკრაინა**

## მეფე, რომელსაც არ სურს მეფობა

ჩვენ არასდროს გვყოლია მეფე, — თქვა ლეონიდ კუჩმამ და უარი განაცხადა საპრეზიდენტო არჩევნებში თავისი კანდიდატურის მესამედ წამოყენებაზე. მან აგრეთვე უარი თქვა მის მიერვე ვიზირებულ კონსტიტუციაში შესატან ცვლილებებზე, რაც ითვალისწინებდა მომავალში პრეზიდენტის არა არჩევას, არამედ პარლამენტის მიერ დანიშვნას. მესამე ვადით პრეზიდენტობის სურვილი კუჩმას შექმნილმა სიტუაციამ დაუკარგა, რასაც ოპოზიციის პროტესტზე მეტად საზღვარგარეთის ზეწოლამ შეუწყო ხელი. გერმანიის, საფრანგეთის, ამერიკის ელჩებმა ქვეყნის მეთაური გააფრთხილეს, რომ თუ მესამედ გახდებოდა პრეზიდენტი — ევროკავშირი და ნატო მისკენ აღარ გამოიხედავდნენ. ცოტა ხნის წინ კიევი ევროპის საბჭომაც გააფრთხილა, თუ უარს არ იტყვი კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანაზე, წევრობა ჩამოგერთმევაო. მოსკოვმაც მიანიშნა კიევს, რომ კუჩმას მესამედ გაპრეზიდენტებას არ მოიწონებს.

*ტაგესშპიგელი*

# ტრაგედია მოსკოვში

მოსკოვში, მეტროპოლიტენის სადგურებს — „ავტოზავოდსკაიასა“ და „პაველეცკაიას“ შორის, გვირაბში, მატარებლის აფეთქებას ხანძარი მოჰყვა.

აფეთქება ადგილობრივი დროით დაახლოებით დილის 8.30 საათზე მოხდა, როცა მოსკოველები სამუშაოზე მიიჩქაროდნენ. მეტროში ძალიან ბევრი ხალხი იყო. ხანძარს სირთულის უმაღლესი — მეხუთე კატეგორია — მიანიჭეს. მის ჩაქრობას ორი საათი დასჭირდა. ტერაქტმა 50-მდე ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, 130-ზე მეტი დაშავებული მოსკოვის საავადმყოფოებში მოათავსეს.

აფეთქების გამო აღიძრა სისხლის სამართლის საქმე ტერორიზმისა და მკვლელობის ბრალდებით.



სამართალდამცავი ორგანოები ეძებენ იმ პირებს, რომლებსაც შესაძლოა კავშირი ჰქონდეთ მომხდართან, მათ შორის კავკასიური გარეგნობის 30-35 წლის მამაკაცს, რომელმაც სადგურ „ავტოზავოდსკაიას“ მორიგეს უთხრა,



— დაიცადეთ, დიდი დღესასწაული დაგიდგებათო და თან გინებაც მიაყოლა. შესაძლებელია, ტერაქტი მისი მოწყობილი იყოს. ვიდეოდაკვირვების კამერამ სავარაუდო ტერორისტი ქალი და მისი თანამგზავრიც დააფიქსირა. ისინი პლატფორმაზე იდგნენ და ხელში პორტფელები თუ ჩემოდნები ეჭირათ. ერთ-ერთი ვერსიით, აფეთქება შესაძლოა კამიკაძე ქალმა განახორციელა, ვარაუდობენ იმასაც, რომ ასაფეთქებელი მოწყობილობა თავად აფეთქდა.

სამართალდამცავი ორგანოების აზრით, ტერაქტი ჩეჩენი სეპარატისტების მოწყობილია. ამ აზრს იზიარებს პრეზიდენტი პუტინიც: ტერაქტი მასხადოვისა და მისი ბანდიტების საქმეა. მიუხედავად იმისა, რომ დასავლეთი გვირჩევს, მათთან მორიგებას, ჩვენ ვაცხადებთ, რუსეთი არასდროს აწარმოებს მოლაპარაკებას ტერორისტებთან, რუსეთი მათ ანადგურებს!

დასავლეთის პრესის აზრით, მიუხედავად კრემლის მტკიცებისა, ჩეჩნეთში სიტუაცია ნორმალური ხდებაო, მოსკოვში მომხდარი ტერაქტი ადასტურებს, რომ ისინი განაგრძობენ შეიარაღებულ წინააღმდეგობას.

*ლენტა რუ*

# „ასე ინება უზენაესმა“

ყურბან-ბაირამის პირველ დღეს, მექას მახლობლად, 2 მილიონზე მეტი მომლოცველი შეიკრიბა. მინას ველიდან გზა მთისაკენ მიემართება. ამ მთაზე სიცოცხლეში ერთხელ მაინც უნდა ავიდეს მორწმუნე მუსლიმანი.

თეთრსამოსიანი მომლოცველები, მზის პირველი სხივის ამოწვერვისთანავე, ჯამარათის ხიდისკენ გაემართნენ, სადაც ქვები უნდა დაეშინათ ბოძებისათვის, რომლებიც სიმბოლურად ეშმაკს — შაითანს — განასახიერებენ.

— ეს ტრადიცია არა მარტო ყველაზე მნიშვნელოვანია, არამედ საშიშიც. როცა მთელი დღის მანძილზე იქ მყოფი მომლოცველები ქვებს ისვრიან, ცხადია, ტრაგედია შეიძლება ნებისმიერმა შემთხვევამ გამოიწვიოს. სწორედ ეს მოხდა მექას შემოგარენში. მინას ველზე. ერთი მომლოცველი დაეცა, დაცემულზე მის შემდეგ მყოფმა წაიბორძიკა, მის უკან მომავლები შეფერხდნენ და ერთმანეთის მიყოლებით დაეცნენ. დანარჩენებს ინერციით გვამებზე მოუხდათ გადავლა...

ჭყლეტაში დაღუპული 250 მუსლიმანიდან უმეტესობა აზიის ქვეყნებიდანაა. ჰაჯის ისტორია ცხადყოფს, რომ ქვებით ეშმაკის ცემის დროს მსგავსი ტრაგედია არაერთხელ მომხდარა, თუმცა ამხელა მსხვერპლი არასდროს მოჰყოლია.



ადგილობრივი ხელისუფლება, რომელმაც ყველაფერი იღონა ჰაჯის უსაფრთხოდ ჩასატარებლად, ფილოსოფიურად მიუდგა მომხდარს — ასე ინება უზენაესმა, ბედისწერა სიფრთხილეზე ძლიერიაო. მომხდარის მიუხედავად, ყურბან-ბაირამის ზეიმი გაგრძელდა. მომლოცველებმა ალაჰს მსხვერპლი შესწირეს, დაიკლა ნახევარ მილიონზე მეტი ცხვარი და თხა, ათასობით აქლემი და ძროხა.

*იზვესტია №18*




## ბუშს საარჩევნოდ ბინ ლადენს აჩუქებენ

მოუხელთებელი №1 საერთაშორისო ტერორისტი უსამა ბინ ლადენი დროდადრო ამერიკას ახალი ტერაქტებით ემუქრება, სხვადასხვა ქვეყანაში წამიერად გამოჩნდება ხოლმე. აშშ-ის მთავრობას მტკიცედ სწამს, რომ უსამა ბინ ლადენს საპრეზიდენტო არჩევნებამდე დაიჭერენ. „ეჭვი არ გვეპარება, რომ გაისად, ნოემბრამდე, მას აუცილებლად ხელში ჩაიგდებენ — სპეცსამსახურები და სამხედროები უკვე კვალში უდგანან“, — აცხადებს აშშ-ის რესპუბლიკური პარტიის წევრი, სენატორი ჩარლზ გრასლი. ამას აცხადებს სენატის საფინანსო კომიტეტის თავმჯდომარე, რომლის კომპეტენციაში არ შედის დაზვერვა და საერთაშორისო დამნაშავეების დაჭერა. ანალიტიკოსებს არაერთხელ განუცხადებიათ, რომ „ალ-ქაიდას“ ლიდერის ხელში ჩაგდება ჯორჯ ბუშის პოპულარობას ერთიორად გაზრდიდა. ზოგიერთ მაღალჩინოსან პოლიტიკურ მოღვაწეს, მაგალითად, ყოფილ სახელმწიფო მდივანს, მადლენ ოლბრაიტს, მიაჩნია, რომ ბინ ლადენი დიდი ხანია დაჭერილი ჰყავთ, მაგრამ ინფორმაციას არ ახმაურებენ, რათა ეს ამბავი არჩევნების წინა დღეებში გამოაცხადონ. როგორც ცნობილია, საზოგადოებრივი აზრი, ერაყის ომთან დაკავშირებით, მერყეობს. გამოკითხვამ დაადასტურა, რომ აშშ-ის მოსახლეობის თითქმის ნახევარი არ იწონებს



ქვეყნის ადმინისტრაციის მოქმედებას. გარდა ამისა, უზარმაზარმა სამხედრო ხარჯმა, რომელსაც ბუში გადამხდელებისაგან ითხოვს, ბიუჯეტში უკვე შექმნა სარეკორდო დეფიციტი. ამჟამინდელი პრეზიდენტის წინააღმდეგ მიმართულ კრიზისს აქტიურად იყენებენ დემოკრატები თავიანთ წინასაარჩევნო კამპანიაში.

*კომერსანტი №17*

## მოკლედ

**ევროკავშირში** დიდი სკანდალი ატყდა ფინანსურ დახმარებასთან დაკავშირებით, რომელიც ევროპელებმა პალესტინის ავტონომიას გამოუყვეს. ევროკავშირის საკონტროლო ორგანოები ეჭვობენ, რომ ამ სახსრებით ფინანსდება ტერორისტული დაჯგუფებები. თუ ეს დადასტურდა, ევროკავშირის საგარეო საქმეთა კომისარს, კრის პატენს, გადადგომა მოუწევს.

**თურქეთში**, ანკარის მახლობლად, აფეთქების შედეგად ჩამოინგრა 10-სართულიანი სახლი, რომელშიც დაახლოებით 140 ადამიანი ცხოვრობდა. 31 კაცის გადარჩენა მოხერხდა, 38 — დაიღუპა, ბევრი ნანგრევებქვეშ მოჰყვა. მათ ეძებენ. ტრაგედია გათბობის სისტემის საქვაბეში მომხდარმა აფეთქებამ გამოიწვია.

**ინდონეზიაში,** რიხტერის სკალით, 6,9-ბალიან მიწისძვრას 22 ადამიანი ემსხვერპლა, 700-ზე მეტი დაშავდა. სტიქიამ ასობით საცხოვრებელი სახლი დაანგრია. მიწისძვრის ეპიცენტრი ქ. ნაბირის (სამხრეთ პაპუას პროვინცია) მახლობლად იყო. დანგრეულია აეროპორტი, მეჩეთი, ხიდები.

**პეკინიდან** 70 კმ-ის დაშორებით, მიუნის პარკში გამართულ, ტრადიციული ფარნების დღესასწაულზე ათასობით ჩინელი ფეიერვერკს უყურებდა. ერთი მაყურებელი ხიდზე წაიქცა. ამას მოჰყვა ჭყლეტა, 37 ადამიანი ბრბომ გადათელა, 15 დაშავდა.

**დომინიკელთა რესპუბლიკაში** წარმატებით დამთავრდა უნიკალური ოპერაცია, რომელიც გაუკეთდა ჩვილ ორთავიან გოგონას. 18 ქირურგი 11 საათის განმავლობაში ოპერაციას უკეთებდა 7 კვირის რებეკა მარტინესს, მას მეორე თავი მოაშორეს. ბავშვი თავს კარგად გრძნობს.

**ბულგარეთისა** და უნგრეთის სპეცსამსახურებმა დაიწყეს გამოძიება ერაყის გაზეთ „ალ-მადაში“ გამოქვეყნებულ იმ კომპანიებისა და ორგანიზაციების სიებთან დაკავშირებით, რომლებსაც თითქოს ფინანსურად ეხმარებოდა სადამ ჰუსეინი. უნგრეთში ეს ბრალდება შეეხო მსხვილ ოპოზიციურ პარტიას, ბულგარეთში კი მცირერიცხოვან მემარჯვენე პარტიას, რომელიც პარლამენტში არ არის შესული. გაზეთის მონაცემებით, 40 ათასი კერძო პირი და ორგანიზაცია მილიონობით ტონა ნავთობის გაყიდვით მიღებული ფულის სანაცვლოდ, საჯაროდ ეხმარებოდა სადამ ჰუსეინს.

*გვერდი მოამზადა ნანა ანტონოვა-ილურიძემ*

# რა გავაკეთოთ, უდანაშაულო რომ არ დაიჭირონ

## ანუ ჯერ კორუფციული კანონები „დავიჭიროთ“

**ახლა, ყოველდღე თითო მაღალჩინოსანს იჭერენ. ჯერ კიდევ ოთხი თვის წინ ამას ვერავინ წარმოიდგენდა. აგერ ჩვენ თვალწინ იმსხვრევა მითი იმის შესახებ, რომ კორუფციის დამარცხება შეუძლებელია. სააკაშვილი-ოქრუაშვილის ტანდემმა დაგვანახვა, რომ როცა პოლიტიკური ნება არსებობს, კორუფციონერების დაჭერა თვით კორუმპირებული პროკურატურისა და პოლიციის პირობებშიც კი შესაძლებელია. მაგრამ არის თუ არა საკმარისი კორუფციის დასამარცხებლად მხოლოდ დაჭერა და იყო თუ არა დაჭერებით ბრძოლის დაწყება ყველაზე სწორი გზა საამისოდ?**

**კარგი იქნებოდა, თუ „ანტიკორუფციულ პაკეტში“ "გადასახადების ლიბერალიზაციასთან ერთად, ისეთი ნორმაც ჩაიდებოდა, რომელიც კორუფციის მსხვერპლს სამართლებრივი დევნისაგან დაიცავდა, თუნდაც საგადასახადო-ფინანსური ამნისტია განვლილ პერიოდზე, საგადასახადო ორგანოში რეგისტრირებული მეწარმეებისათვის იმ პირობით, რომ ამნისტიის გამოცხადების დღიდან ყველა მათგანი სრულად გადაიხდიდა გადასახადებს...**

მხოლოდ დაჭერები კორუფციის დასამარცხებლად არ კმარა...

არც დაჭერებით ბრძოლის დაწყება იქნებოდა საუკეთესო არჩევანი, სხვა არჩევანი რომ გვქონოდა. სამწუხაროდ, არჩევანი არ გვქონდა ანუ არ გვქონდა საკმარისი დრო. შექმნილ მდგომარეობაში ეს, ალბათ, ერთადერთი შესაძლებელი დასაწყისი იყო.

და მაინც, ხომ არ არის იმის საშიშროება, რომ კორუფციასთან ბრძოლის პროცესმა ნეგატიური გაგრძელება მიიღოს? — ცხადია, ამას ვერ გამორიცხავ, მეტიც, ამის ალბათობა საკმაოდ მაღალია და აი რატომ.

კორუფცია წარმოიშვება იქ, სადაც მისი ხელშემწყობი პირობები იქმნება.

შეუძლებელია კორუფციის მიზეზად განვიხილოთ ადამიანის სრულიად ბუნებრივი და ინსტინქტური სურვილი, მიიღოს რაც შეიძლება მეტი სიკეთე, რაც შეიძლება ნაკლები დანახარჯის (შრომის, ფულის და სხვ.) ფასად. კანონის დარღვევა სულაც არ არის ადამიანის და, მათ შორის, ქართველი ადამიანის თანდაყოლილი თვისება ან ჩვევა. საზოგადოდ, ჩვეულებრივი, საშუალო ადამიანი იმას აკეთებს და იმდენის მითვისებას ცდილობს, რამდენის მითვისების საშუალებასაც კანონი და სხვა ადამიანები აძლევენ. რაც უფრო მაღალია რაიმე ნაბიჯის გადადგმით გამოწვეული რისკი, მით ნაკლებია ამ ნაბიჯის გადადგმის ალბათობა. შესაბამისად, კანონებმა და კანონების აღსრულების მექანიზმმა ადამიანს არ უნდა გაუჩინოს ილუზია, რომ შემოსავლის მიღება კანონის დარღვევით მცირერისკიანი და ნაკლებდანახარჯებიანი გზაა (დაუსჯელობის სინდრომი). უფრო უარესად გვაქვს საქმე მაშინ, როცა კანონი, არათუ ქონების, არამედ საარსებოდ აუცილებელი სახსრების მოპოვებასა თუ შენარჩუნების საშუალებას გამორიცხავს ამ კანონის დარღვევის გარეშე (დანაშაულის ჩადენის იძულება).

ჩვენებური კორუფცია, ძირითადად, ჩვენივე კანონებისა და შევარდნაძის რეჟიმის მიერ დანერგილი დაუსჯელობის სინდრომის პირმშოა. თანაც კორუფციაში, მოგეხსენებათ, პირობითად ორი მხარე მონაწილეობს ხოლმე. პირველი და უმთავრესი მხარე ჩინოვნიკია. კორუფციული გარიგების ავტორი და მოგების მიმღები უმეტესწილად ის გახლავთ. მეორე მხარე — კერძო პირი, უმრავლეს შემთხვევაში, მსხვერპლია. ამიტომაც კორუფციული დანაშაულის სიმძიმე, ძირითადად, ჩინოვნიკზე მოდის. და მაინც, ჩვენი კანონებით ქრთამის აღებთან ერთად დამნაშავეა ქრთამის მიმცემიც (მით უმეტეს, თუ ქრთამის გადახდა კერძო პირის გარკვეულ დარღვევაზე ჩინოვნიკის თვალის დასახუჭად ხდება). ამიტომ კორუფციასთან ბრძოლის გამწვავებამ, იმის საშიშროებაც წარმოშვა, რომ გამომძალველ ჩინოვნიკებთან ერთად კორუფციის მსხვერპლი კერძო პირებიც მიეცემიან პასუხისგებაში. აქ იძულებული ვარ ჩემს ჟურნალისტურ პრაქტიკაში უკვე მეათასედ მივუბრუნდე საგადასახადო კოდექსს, ჩემი აზრით, ქვეყანაში კორუფციული გარემოს ჩამოყალიბების მთავარ მიზეზს. კანონთა ეს კრებული დანაშაულის წამახალისებელი გარემოებაც გახლავთ და დანაშაულის ჩადენის მაიძულებელი გარემოებაც. ამ და ზოგიერთი სხვა მიზეზის გამო, დარწმუნებული ვიყავი და ვარ, რომ ქვეყნის მოწესრიგება და კორუფციასთან ბრძოლა კანონების მოწესრიგებით უნდა დაწყებულიყო. სულ მარტივ მაგალითს მოვიყვან. დაანგარიშებულია, რომ ჩვენთან ადამიანის საარსებო მინიმუმი თვეში 130 ლარია. ახლა დავუშვათ, რომ ადამიანის ერთადერთ შემოსავალს სწორედ 130-ლარიანი ხელფასი წარმოადგენს. საგადასახადო კოდექსის მიხედვით, 130-ლარიან ხელფასზე კუთვნილი გადასახადების ჯამი 52 ლარი გახლავთ. ამ თანხის გადახდის შემდეგ ხელფასის პატრონს, რომელსაც ჩვენი შეთანხმების მიხედვით სხვა შემოსავალი არ გააჩნია, თავის სარჩენად სულ 78 ლარი დარჩება და შიმშილით სიკვდილი თუ არა, დაავადმყოფება გარანტირებული აქვს.

როგორ გგონიათ, როგორ მოიქცევიან და იქცევიან კიდევაც ასეთ შემთხვევაში დაქირავებით მომუშავეები და მათი დამქირავებელი ბიზნესმენები? ცხადია, ხელფასებს „შავად“ არიგებენ. ხელფასების შავად დასარიგებლად ფირმას აღურიცხავი შემოსავლები სჭირდება. მას თუ ასეთი შემოსავლები არ ექნება, ხელფასებს ვერ გასცემს და უმუშახელოდ დარჩება ანუ ფუნქციონირების გაგრძელებას ვერ შეძლებს და დაიხურება. შედეგად, უმუშევრად და საარსებო სახსრების გარეშე დარჩებიან.

ასეთი (ტიპური) მაგალითების მოყვანა ბევრი შეიძლება. თუნდაც ის რად ღირს, რომ დაუბეგრავი მინიმუმი საშემოსავლო გადასახადისათვის ამ კოდექსის მიხედვით, სულ ცხრა ლარია, ხოლო სოციალური გადასახადებისათვის დაუბეგრავი მინიმუმი საერთოდ არ არსებობს. ამ უაზრობას შევარდნაძის ხელისუფლების „კოდექსთმცოდნეები“ იმით ამართლებდნენ, რომ ამის გარეშე ფონდში პენსიების დასარიგებელი ფული არ მოგროვდებაო. მთელი ამ აბდაუბდის შედეგად კი ასეთი სურათი გვაქვს — ორმოცდაათლარიანი ხელფასიდან ოც ლარს იმიტომ ახდევინებენ მომუშავეებს, რომ პენსიონერებს თოთხმეტლარიანი პენსია მისცენ.

ვის სჭირდება ყველა ეს შეუსრულებელი, მაგრამ დაკანონებული ნორმა? ცხადია, კორუფციონერ ჩინოვნიკს. ვინ მოიფიქრა და კოდექსში ვინ შეიტანა ასეთი უგუნური პარამეტრები? ცხადია, იმ ადამიანებმა, რომელთაც ამ კანონების აღსრულების კონტროლზე მიუწვდებოდათ ხელი, ისინი გეგმავდნენ და ამის საშუალებით უკლებლივ ყველა მეწარმეს ძალით აქცევდნენ დამნაშავედ და მერე ქრთამების გამოძალვით ცხრაპირ ტყავს გააძრობდნენ.

მაგრამ დავუბრუნდეთ ზემოთქმულს. კანონით, ქრთამის მიმცემიც დამნაშავეა და, ამ კორუფციული კანონების მიხედვით, ამ ქვეყანაში არ არსებობს უდანაშაულო ზრდასრული ადამიანი. აი, ამიტომ მიმაჩნდა და მიმაჩნია, რომ ჯერ კანონები უნდა გაგვეწმინდა იმ უწმინდურობისაგან, რაც შევარდნაძის „კოდექსთმცოდნეებმა“ ჩადეს მასში და მხოლოდ ამის შემდეგ მოგვეთხოვა ხალხისთვის მათი განუხრელი შესრულება. მაგრამ ახლა ეს საუბარი უკვე დაგვიანებულია. კორუფციასთან ინტენსიური ბრძოლა უკვე დაიწყო და ახლა, რადგან კანონების იმედი ჯერჯერობით, ნამდვილად ვერ გვექნება, ისღა დაგვრჩენია, რომ პრეზიდენტის, ოქრუაშვილისა და ბარამიძის ზეპირი განცხადებების იმედად ვიყოთ — ეს კამპანია მხოლოდ ჩინოვნიკებს ეხება და ბიზნესის წარმომადგენლებს ხელს არ ვახლებთო, რომ განაცხადეს. მაგრამ ერთია, რას აცხადებს პრეზიდენტი და გენერალური პროკურორი, მაგრამ მეორეა, რა წერია კანონში. ცხადია, გენერალურ პროკურორამდე ყველა საქმე ვერ მივა და რიგით გამომძიებელს კი სრული უფლება აქვს, გამოიყენოს უგუნური კანონი და გამომძალველ-მსხვერპლიანად ყველას დაერიოს; ვის ფული გამოსძალოს და ვის ციხეში უკრას თავი. ასევე, ვინ დაუშლის მოსამართლეებსაც, რომ იმავე კანონებით, რომლებიც თითქმის ყველა მოქალაქეს დამნაშავედ განიხილავს, ვირის აბანოს გზას გაუყენოს ისინი. მით უმეტეს, წარმოიდგინეთ რა მოხდება, თუ ყოფილი ხელისუფლების მომხრე რამდენიმე გამომძიებელი და რამდენიმე მოსამართლე ახალი ხელისუფლების დისკრედიტაციისათვის ხსენებული კანონების გამოყენებას მოინდომებს. მოკლედ, რთული მდგომარეობაა.

პრეზიდენტმა უკვე რამდენჯერმე თქვა, რომ სულ მალე პარლამენტში „ანტიკორუფციულ პაკეტს“ შეიტანს. ალბათ ძალიან კარგი იქნებოდა, თუ იმ პაკეტში გადასახადების ლიბერალიზაციასთან ერთად, ისეთი ნორმაც ჩაიდებოდა, რომელიც კორუფციის მსხვერპლს, ისედაც ძლივს ფეხზედარჩენილ ბიზნესმენებს, წვრილ და საშუალო მეწარმეებს სამართლებრივი დევნისაგან დაიცავდა. ასეთი ნორმა შეიძლება ყოფილიყო თუნდაც საგადასახადო-ფინანსური ამნისტია განვლილ პერიოდზე, საგადასახადო ორგანოში რეგისტრირებული მეწარმეებისათვის იმ პირობით, რომ ამნისტიის გამოცხადების დღიდან ყველა მათგანი სრულად გადაიხდიდა გადასახადებს, და გადაუხდელობის შემთხვევაში, კანონის მთელი სიმკაცრით დაისჯებოდა (რა თქმა უნდა, შესაძლოა დაფიქსირდეს საპატიებელი თანხის გარკვეული მაქსიმალური ზღვარიც). ასეთ პრაქტიკას დასავლეთში ე.წ. „სუფთა ფურცლის“ სახელით მოიხსენიებენ. ეს ის მინიმალური საგადასახადო ფინანსური ამნისტიაა, რომელიც სახელმწიფო ადმინისტრაციის მიერ ამ თორმეტ წელიწადში მთელი ხალხის საწინააღმდეგოდ ჩადენილ დანაშაულს, მართალია, ოდნავადაც ვერ გამოისყიდის, მაგრამ ამავე სახელმწიფო ადმინისტრაციის მიერ ქვეყნის სიმდიდრის ნამდვილ შემქმნელთა დევნის დანაშაულებრივ პრაქტიკას ნაწილობრივ მაინც აღკვეთს.

***სოსო სიმონიშვილი,***
***ჟურნალისტი, ეკონომისტი,***
***გაზეთ „დრონის“***
***ყოფილი მთავარი***
***რედაქტორი***

## ფრთხილად, სახიფათოა

*ამ ბოლო დროს მსოფლიოში ბევრი უნიკალური ვირუსი ვრცელდება და ამიტომაც იზრდება საზოგადოების ინტერესი ამ თემის მიმართ. დღეისათვის განსაკუთრებით აქტუალურია ე.წ. ქათმის გრიპის ვირუსი, რომელიც სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაშია გავრცელებული. რითი გვემუქრება ტერიტორიულად ასე დაშორებულ ქვეყნებში გავრცელებული ვირუსი, ან უსაფრთხოების რა ზომებს უნდა მივმართოთ — ამ თემაზე საქართველოს ეროვნული ეპიდემიოლოგიის ცენტრის ხელმძღვანელს* **პაატა იმნაძეს** *ვესაუბრეთ.*

— ადამიანებს ხშირად ემართებათ გრიპი $H_3N_2$, უფრო იშვიათია $H_1N_2$

# ვირუსები... ვირუსები...



(რომელმაც 1918 წელს ნიკო ფიროსმანის სიცოცხლე შეიწირა). როცა მსოფლიოში ეს ვირუსები გავრცელდა, იფეთქა ეპიდემიებმა, ბევრი ადამიანი გარდაიცვალა კიდეც. მაგრამ თანდათან ადამიანმა გრიპის მიმართ ერთგვარი იმუნიტეტი გამოიმუშავა. ხელახლა დაავადების შემთხვევაში ორგანიზმი უკეთ ეგუება ვირუსს, უფრო იოლად გადააქვს ავადმყოფობა.

ფრინველის გრიპი იმიტომაა საშიში, რომ ის აბსოლუტურად სხვა ვირუსია — $H_5N_1$. მის მიმართ იმუნიტეტი ადამიანს საერთოდ არ აქვს. ეს ვირუსი უშუალოდ ცოცხალი ფრინველებისგან გადაეცემათ ადამიანებს. ქათმის ვირუსით პირველად ჰონკონგში დაავადდნენ ადამიანები 1996 წელს. 18-დან 6 გარდაიცვალა. ახლა, ტაილანდსა და ვიეტნამში 18 დაავადებულიდან 14 გარდაიცვალა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ დაავადება საკმაოდ მძიმედ მიმდინარეობს.

— **როგორ შეიძლება შეჩერდეს ვირუსის გავრცელება?**

— ერთადერთი საშუალება ფრინველთა განადგურებაა. 1997 წელსაც ამ გზით შეაჩერეს ეს ვირუსი ჰონკონგში. დღეს უკვე განადგურებულია 30.000.000-ზე მეტი ფრინველი. დაკლული ქათამი საშიში აღარ არის. გრიპის ვირუსი 70°C სითბური დამუშავებით იღუპება.

— **დაავადებული ქათმის დაკვლა არ არის სახიფათო?**

— ვისაც ქათმები გაჰყავთ გასანადგურებლად, ისინი რისკის ქვეშ არიან. მათი დამუშავება ადამიანებისთვის საშიშია.

— **რა ზომებს მიმართა საქართველომ ვირუსისაგან ქვეყნის დასაცავად?**

— აიკრძალა ამ ქვეყნებიდან ქათმის, კვერცხის შემოტანა. ჩვენში ქათამი, ძირითადად, ბრაზილიიდან შემოდის. ჩინეთიდან დაკლული ქათმები კი შემოსულა, მაგრამ ცოცხალი — არასდროს. სიფრთხილეს თავი არ სტკივა. მთლიანად ავკრძალეთ ფრინველის იმპორტი ამ ქვეყნებიდან.

— **მოსახლეობამ უსაფრთხოების რა ზომებს უნდა მიმართოს?**

— ქათმის ვირუსი ისე ადვილად არ გადადის, როგორც ატიპური პნევმონია. ეს უკანასკნელი მიავიწყდათ კიდეც, თორემ საშიშროება არ მოსპობილა. ჩვენთან რისკის ქვეყნებიდან ბევრი მგზავრი არ ჩამოდის. აქ რომ ინტენსიურად ჩამოდიოდეს ამ ქვეყნებიდან პირდაპირი რეისები, სხვა საქმე იქნებოდა. ჩრდილოეთ კორეის გარდა არც შარშან აუკრძალავს ვინმეს რისკის ქვეყნებში გამგზავრება. დღეს თუ ვინმე აპირებს საქართველოდან ამ ქვეყნებში წასვლას, ვერც ჩვენ ავუკრძალავთ, მაგრამ თქვენი გაზეთის საშუალებით ვაფრთხილებთ: ცოცხალ ქათმებს მოერიდეთ, ნურც იმ ადგილებში ისეირნებთ, სადაც ადრე ფრინველების ბაზარი იყო.

*შეკითხვით, რამდენადაა დაცული ჩვენი ქვეყანა ქათმის გრიპის ვირუსის რისკის მქონე ქვეყნებიდან აკრძალული პროდუქციის (ქათმის, კვერცხის) შემოტანისაგან, მივმართეთ საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს სახელმწიფო საზღვრის გამტარ პუნქტებზე სანიტარული ზედამხედველობის ინსპექციის უფროსს და მთავარ სახელმწიფო სანიტარულ ექიმს* **დავით გაგუას**:

— სამხრეთ აღმოსავლეთისა და აზიის ქვეყნებიდან ცოცხალი თუ გაყინული ქათმის და კვერცხის იმპორტი აკრძალულია. ვითარება საზღვრებზე მთლიანად ექვემდებარება კონტროლს. გასულ წელს ფრინველის ხორცი ჩინეთიდან სულ სამჯერ შემოიტანეს, ბოლოს — დეკემბრის თვეში. როცა ეპიდემიამ იფეთქა, არც ერთი ასეთი ტვირთი საზღვარზე აღარ გადმოსულა.

— **რაკი ზუსტად არავინ იცის, როგორ გადადის ეს ინფექცია, მხოლოდ ქათმის პროდუქციაზე კონტროლი ალბათ არ იქნება საკმარისი. საქართველოში ჩამოსული ადამიანების მეშვეობითაც ხომ შეიძლება შემოგვეპაროს ვირუსის მატარებელი?**

— აზიის ქვეყნებიდან საჰაერო ტრანსპორტით ჩამოსულ მგზავრებს აეროპორტში აუცილებლად უტარდებათ სანიტარულ-საკარანტინო ზედამხედველობა. განსაკუთრებით საშიში და არაკეთილსაიმედო ქვეყნებიდან შემოსული ყველა მგზავრი შეავსებს სარეგისტრაციო ბარათს. თვალყურს ვადევნებთ მათ მარშრუტსაც. ასეთი მონაცემები კომპიუტერში შეგვაქვს. ეს პროგრამა ჯერჯერობით, დსთ-ის არც ერთ ქვეყანაში არ მოქმედებს.

*სასიამოვნოა, რომ საქართველო ამაში მაინც არის პირველი ყოფილ საბჭოთა ქვეყნებს შორის. მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, რომ საზღვრის გამტარ პუნქტებზე სანიტარული ზედამხედველობის გატარება ექიმებს საშინელ პირობებში უხდებათ. ექიმს აეროპორტში 24-საათიან მორიგეობაში მხოლოდ ერთ ლარს უხდიან, ანუ გზის ფულის ანაზღაურებასაც ვერ ახერხებენ. ამის გამოა, რომ სანიტარულ სამსახურებში არის ექიმის ვაკანსიები, სამუშაოდ წასვლა კი არავის უნდა. პირიქით, ვინც მუშაობს, ისიც გაქცევას აპირებს. კახეთის რეგიონში, ოთხ სასაზღვრო პუნქტზე ამგვარი მძიმე პირობების გამო, ექიმი-სანიტარი საერთოდ არ მორიგეობს. ახალქალაქში ექიმს ოთახიც კი არ ჰქონია, მანქანაში მორიგეობს. თუმცა რამდენიმე პუნქტზე უკვე შენდება ნაგებობა სასაზღვრო დაცვისთვის, სადაც ექიმისთვისაც არის გათვალისწინებული ოთახი და ავადმყოფისთვისაც — იზოლატორი. კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რომ ამ ადამიანებზეა დამოკიდებული ჩვენი ჯანმრთელობა და უსაფრთხოება. სახელმწიფოში ერთი დაავადების გადამტანიც რომ შემოიპაროს, ქვეყანას მილიონობით ზარალი მიადგება.*

***ლელა ჯიჯაშვილი***


„კონკორდიის“ ფირმის
მეტალოპლასტმასის
კარ-ფანჯრები
ძალიან იაფად
ფერები: თეთრი, ნაბლის ტექსტურით, მუხა, მუქი მუხა, მაკაგონი, წითელი ხე და ა.შ.
ჩვენი პროფილი — 3-კამერიანია
მის: წერეთლის 141 მ. „დიდუბის“ გვერდით
☎ 26-30-50; 34-49-40; 61-32-37; 899-51-51-09; 899-902-091; ტფაქსი: 966-779

ასლგადამღები აპარატები
1. იჯარა - ლიზინგი
უნივერსიტეტებს, ორგანიზაციებს, ოფისებს
2. იჯარა გამოსყიდვით
3. საერთო ბიზნესი
თქვენგან მოითხოვება საკუთარი ფართი
4. გაყიდვა გარანტიით
ტექნიკური მომსახურება და სერვისი
შ.პ.ს. კომპანია „ლიბკო“
LIBCO. Company LTD
აღმაშენებლის №99/1 ☎96-32-89


საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 7 თებერვლიდან დაადგინა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი:

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2,0775 |
| ევრო | 2,6071 |
| ინგლ. გირვანქა სტერლინგი | 3,8153 |
| რუსული რუბლი | 0,0727 |
| თურქული ლირა (1.000.000) | 1,5562 |

# ცხოვრებისეული კურიოზები

## 1. ტოლმა



ჩემს მეგობარ გენოს ტოლმა კი უყვარდა, მაგრამ კომბოსტო მაინცდამაინც გულზე არ ეხატებოდა. ამიტომ ჯერ კომბოსტოს მიირთმევდა უხალისოდ, ხოლო შემდეგ ფარშს აყოლებდა, გემრიელად.

ახალსიძეობისას ცოლეულებში პირველად მისულ გენოს დიდებული სუფრა გაუწყვეს. პირველად ტოლმა ჩამოატარეს. გენომ ოთხი ცალი ტოლმა გადაიღო, საგულდაგულოდ „გაატყავა“, კომბოსტო მიირთვა და ახლა ტოლმის შიგთავსზე გადაინაცვლა, მაგრამ ვინ აცალა. მოგეხსენებათ, ახალი სიძე ყოველთვის ყურადღების ცენტრშია. მით უმეტეს სიდედრს რას გამოაპარებ. ჰოდა, ისიც სასწრაფოდ მივარდა სიძესთან.

— უი, მომიკვდეს თავი, როგორ ჰყვარებია ჩვენს სიძეს კომბოსტო! — დასტაცა ხელი სიძის თეფშს და სამზარეულოში გავარდა. იქ კი მოზრდილ თეფშზე ბლომად დააწყო მოხარშული კომბოსტოს ფოთლები და სიძეს სიამაყით მიართვა:

— მიირთვი, შენ შემოგევლოს ჩემი თავი, არ მოგერიდოს!

გენომ თავაზიანად შეიფერა სიდედრის „მოფერება“...

## 2. გახეთქვაა!



მეზობელ სოფელში ცხოვრობდა კაცი, რომელსაც ივანე ერქვა და ძალზე მწარე ენა ჰქონდა.

— მაგისი ენა ქვას გახეთქავსო! — ამბობდნენ თანასოფლელნი. ერთხელ მდინარის პირას ბიჭებმა ყვავი დაიჭირეს.

— როგორ დავსაჯოთ? — იკითხა ერთმა, რომელიც, როგორც ეტყობოდა, იურიდიული საკითხებისადმი დიდ ინტერესს იჩენდა.

— აგერ, ვენახში ივანე თოხნის, ამ ყვავს დინამიტი შევაბათ და ზონარზე ცეცხლწაკიდებული მისკენ გავუშვათ! — წამოაყენა „რაციონალური“ წინადადება მეორემ, რომელიც წინა კვირას ივანემ თავისი მწარე ენით გვარიანად დაგესლა და თავკომბალაც უწოდა.

ბიჭები ასეც მოიქცნენ, დაამაგრეს დინამიტი ყვავს ფრთების ძირში, წაუკიდეს ზონარს ცეცხლი და... გაუშვეს ივანეს ვენახის მიმართულებით.

დინამიტის სიმძიმით შეწუხებულმა ყვავმა, ჩხავილით გადაუფრინა ივანეს თავზე.

— ყვაა! ყვაა! ყვაა!..

— გახეთქვაა! — ასძახა ივანემაც, ყვავის ჩხავილით შეწუხებულმა.

ამის თქმა იყო და იმწამსვე, — დუფუო! — შემოესმა ივანეს ზემოდან და ყვავიც შუაზე გასკდა.

აფეთქებული ყვავი ღობის იქით ჩაენარცხა ვენახში, გულშემოყრილი ივანე კი, სადაც იდგა, იქვე დაეცა...

***ტარიელ მარგველაშვილი, ქარელი***

## 3. „აფერა“



ეს ის პერიოდია ტროლეიბუსები ხალხით გადაჭედილი რომ დადიოდა. თანაც, ხომ გახსოვთ პატარა ბიჭები ხშირად დასდევდნენ ტროლეიბუსს, ხან გაქანებულს შეახტებოდნენ, ხან კიდევ „შტოკებს“ ქვემოთ სწევდნენ. მოკლედ მძღოლები დატანჯეს.

ერთ დღეს ხალხით გაჭედილი ტროლეიბუსი გააჩერა მძღოლმა და მაღაზიაში შეირბინა. ტროლეიბუსიდან ჩამოვიდა „გეპეის“ ერთი სტუდენტი, რომელიც ოხუნჯობით იყო ცნობილი, ხელები დაიკაპიწა. ტროლეიბუსის ორივე „შტოკი“ ქვემოთ ჩამოსწია და იქვე, ქუჩაში გამვლელ დიპლომატიან ინტელიგენტს სთხოვა:

— თუ ძმა ხარ, ერთი წუთით დამიკავე ეს „შტოკები“ ასე ჩამოქაჩული, „კლუჩს“ მოვიტან და ახლავე მოვალო.

ამ კაცმაც თავისი დიპლომატი ფეხებს შორის დაიჭირა და მთელი ძალით მოქაჩა „შტოკები“.

ამ დროს ტროლეიბუსის შოფერიც გამოჩნდა და რომ დაინახა, ვილაც კიდევ ექაჩება ჩემს „შტოკებსო“, გადაირია:

— ბოვშები ხომ ექაჩებიან, მარა შენ რაღა გელაპარაკო ამხელა კაცს, ბოვშის ჭკუა გაქვს თავშიო?! მოკლედ მერე რაც მოხდებოდა, იმის წარმოდგენა თქვენთვის მომინდია.

***ჯანო ბერაძე, ქუთაისი***

## 4. გაუგებრობა



ყოფილი საბჭოთა კავშირის პერიოდში ქართული ენის არცოდნა სულაც არ იყო დამაბრკოლებელი მიზეზი სამსახურში მოსაწყობად, აი, რუსულის ცოდნა კი აუცილებელი გახლდათ. ამიტომ ფოსტის თანამშრომელთა უმრავლესობა არაქართველი იყო. ამის გამო ძალიან ხშირად მათ მიერ გაგზავნილი დეპეშები ადრესატისთვის გაუგებარი ხდებოდა. ამას ემატებოდა ისიც, რომ ქართულ ენაზე დაწერილი დეპეშები რუსული შრიფტით იგზავნებოდა, რაც უამრავ გაუგებრობას იწვევდა.

აი ერთი მათგანი: — გახურებული ქორწილია, თამადამ ნეფე-დედოფლისადმი გამოგზავნილი მისალოცი დეპეშები წაიკითხა. ბოლოს კი ასეთიც იყო: — „საყვარელო რევაზ, გილოცავ გაბედნიერებას, გისურვებ ყოველივე საუკეთესოს, გკოცნი იმაზე“.

პატარძალი ჭარხალივით გაწითლდა და სუფრიდან გავარდა, ნეფე უკან დაედევნა. საქორწილო სუფრას ჩრდილმა გადაუარა.

მოგვიანებით ყველაფერი გაირკვა: ნეფეს ბათუმიდან დეიდაშვილი იამზე ულოცავდა დაოჯახებას.

***იგორ პატარიძე, თბილისი***

## 5. ულტიმატუმი



ერთ ჩემს ახლობელს, ნიაზ თუთარაშვილს მეზობელმა ბავშვი მიუგზავნა — გადმოდი, ხასიათზე ვარ, ნატურალური საფერავი, სუფთა ყურძნის წვენი უნდა დაგალევინოო. გადმოვიდა ნიაზი.

— ნატურალურს ნუ დამალევინებ, შენ დალიე, მე შაქრიანს დავლევო, — მუდარით უთხრა მასპინძელს.

— რატომ, გაწყენს?

— არა, კი არ მაწყენს, დილით დაქცევა მენანება... — გაიღრიჯა ნიაზი.

***ჯუმბერ თორთლაძე, თბილისი***

### ისტორიული კურიოზი

## 5. წარსულის მხიარული ფურცელი

ამ გვერდის მოყვარულ ქალბატონებს ვთხოვ, ეს ერთი მასალა გამოტოვონ, ნუ წაიკითხავენ. მაგრამ ვიცი, ტყუილად ვთხოვ, ქალები ისეთი ცნობისმოყვარენი არიან, მაინც წაიკითხავენ. თუმცა ამ ძველთაძველ ამბავს მაინც მამაკაცების გასაცინებლად ვწერ: ყველამ კარგად იცით, რომ მუსლიმანი მამაკაცები წინდაცვეთილი არიან. ასე უშვებოდნენ მაჰმადიანები ქართველ ტყვეებსაც, როდესაც ძალით ამაჰმადიანებდნენ... სტამბოლში გამოვიდა თურმე ერთი ქართველი საჭიდაოდ, წელს ზევით შიშველია. უცებ შაჰმა შეამჩნია, რომ ამ გამაჰმადიანებულ ქართველს გულზე ჯვარი ეკიდა. განრისხებულს უკითხავს, — ეს რად გინდა, გულზე რომ გიკიდიაო?!



ქართველმა უპასუხა თურმე:

— ეს იმიტომ მიკიდია, იესო ქრისტე თუ შემხვდება, ვაჩვენებ!

— კი მაგრამ, ალაჰი რომ შეგხვდეს, იმას რაღას აჩვენებ?

ქართველს შარვალი ჩაუხდია და უთქვამს:

— ალაჰი თუ შემხვდება, ამას ვაჩვენებო.

P.S. „შაჰს ძალიან მოეწონა ქართველის პასუხი და გაანთავისუფლა“. — სხვათა შორის, ასეა დაფიქსირებული მუსლიმანურ წყაროებში.

***ჯანსუღ ბოჭორიშვილი, ქუთაისი***

# მკითხველის საყვარელი ანეკდოტი

## 7. ოჯახის მამალი

კვირა დილაა. წნორელი მარო თავის ქმარს, მიხოს, წარბის აწევით ეუბნება: წამოდი, ბოდბისხევის ბაზარში წავიდეთ, იქნება წესიერი მამალი ვიყიდოთო. მიხომ არაფერი უპასუხა და მორჩილად გაჰყვა ცოლს ბაზარში.

ნახეს, ბაზრის შესასვლელში ერთი კაცი ყიდის მამალს. დააფასებინეს, — როგორა ჰყიდიო? — ხუთ ლარადო, — უპასუხა გამყიდველმა. — რამდენ დედალსა პეპლისო? — ეკითხება მარო. — ერთსაო, — უთხრა კაცმა. — არა, არ გვინდა! — წამოიძახა უკმაყოფილოდ მარომ. — წამოდი, მიხო, ცოტა ზევით ავიაროთ, იქნებ უკეთესი ვნახოთო. წავიდნენ. ნახეს, კიდევ ერთი კაცი ყიდის მამალს. დააფასებინეს. — ათ ლარად ვყიდიო, — უთხრა კაცმა. — რამდენსა პეპლისო? — რამდენსა და ერთი ათს მაინცაო. მარომ ირონიულად გაუღიმა ქმარს და უთხრა: — გაიგე, კაცოო?! ეს სად წაგვივა, წამოდი, ცოტა ზევითაცა ვნახოთო. ავიდნენ, ნახეს კიდევ ერთი კაცი ყიდის ჯიშიან მამალს. დააფასებინეს. — ოცდახუთ ლარადა ვყიდიო... — რამდენ დედალსა პეპლის დღეშიო? — ამისთვის ნორმა არ არსებობს, რამდენიც მოესურვება, იმდენსაო. — გაიგე, კაცოო?! — ისევ ჩაუმწარა სიცოცხლე მარომ ქმარსა. ცოლზე დაბოღმილი მიხო ცოტა ხანს იდგა გარინდებული, შემდეგ ერთი აფეთქდა და გაბრაზებულმა დაუყვირა გამყიდველს: ვაჟკაცურად მითხარ, ერთსა და იმავეს თუ სხვადასხვასაო? — რა თქმა უნდა, სხვადასხვასაო, — იყო პასუხი. — გაიგე, ქალოო?! — დაიღრიალა მიხომ, ერთი კარგად შეუკურთხა ცოლს და გამარჯვებულმა, კახური დინჯი ნაბიჯებით დატოვა ბაზრის ტერიტორია.



***ლერი ჭიჭიკაშვილი, თბილისი***
***ავტორის ნახატი***

# ყურადღება!

## კურიოზების კონკურსი

**„კვირის პალიტრამ“ მკითხველის პრემია კურიოზების გვერდისთვისაც დააწესა. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ავტორებმა უნდა გამოგზავნონ რედაქციაში კურიოზები, ახალი სასაცილო ამბები, ანეკდოტები. საუკეთესოები გამოქვეყნდება.**

მიანიჭეთ პრემია საუკეთესო კურიოზის ან ანეკდოტის ავტორს.

თუ რომელიმე კურიოზმა ან ანეკდოტმა თქვენი მოწონება დაიმსახურა (ყველაზე მეტად), აღნიშნეთ მისი ნომერი ქვითარში და გამოგვიგზავნეთ.

თქვენი ხმა არ დაიკარგება და თვის ბოლოს გადაწყვეტს გამარჯვებულის ვინაობას.

ხმები დაითვლება და თვის განმავლობაში ყველაზე მეტი ხმის მფლობელი კურიოზის/ანეკდოტის ავტორი მიიღებს პრემიალურ — 50 ლარს, მომდევნო — 30-ს, III ადგილზე გასული ავტორი კი — 20 ლარს.

| კურიოზების კონკურსი |
|---|
| საუკეთესო კურიოზის ან ანეკდოტის ნომერი ____ |
| კვირის პალიტრა №6 |

*ეს ქვითარი „კვირის პალიტრის“ („სიტყვა და საქმის“) საფოსტო ყუთში უნდა მოათავსოთ რაიონებში ოთხშაბათის, 11 თებერვლის 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათის, 12 თებერვლის 13 საათამდე.*

**1-ელი მარტის ნომერში თქვენ შეიტყობთ თებერვლის თვის გამარჯვებულთა ვინაობას.**
**წარმატებებს გისურვებთ!**

## მილოცვა

საქართველოს პრეზიდენტს

**ბატონ მიხეილ სააკაშვილს!**

გილოცავთ სამართლიანი არჩევნების ჩატარებას და ბრწყინვალე გამარჯვებას. გისურვებთ ჯანმრთელობას, წარმატებებს, საქართველოს გამთლიანებას, გაძლიერებას და აყვავებას.

ღმერთი გფარავდეთ თქვენ და სრულიად საქართველოს.

*აბაშა, საავადმყოფოს ბავშვთა განყოფილება*



**ირაკლი ხურცილავას!**

ჩვენო სიხარულო, ირაკლი! გილოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ ჯანმრთელობას და ულევ სიხარულს. გაიზარდე დიდი ბიჭი, იცოცხლე და იხარე დედ-მამისა და ყველა ახლობლის გასახარად.

*გკოცნით პატარა მარიამი და ოჯახის წევრები*

**ზაზა და ლუკა ქანთურიებს!**



ორივეს – მამა-შვილს, ჩვენი სიბერის დასაყრდენსა და მომავალ იმედს, ჩვენს ზაზას და თვალებბრიალა ლამაზ ლუკას ვულოცავთ დაბადების დღეს!

იცოცხლეთ, იხარეთ, ჯანმრთელად და ხალისიანად გვყავდეთ მარადჟამს.

*ლეილა, კუკური*

## მადლობა

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის მოსამართლეებს – **მერაბ ფრუიძეს, თენგიზ შერვაშიძეს, ირინა ზარქუას,** თანაშემწე ანი ყალიჩავას მადლობას ვუხდი საქმის კანონიერად და სამართლიანად გადაწყვეტის გამო.

*ავთო პაპუნაშვილი*

## გთავაზობთ სამუშაოს

ყურადღება!!! მრავალპროფილიან მსოფლიო სავაჭრო კომპანიას ადგილობრივი ტერიტორიიდან ესაჭიროება ბიზნესპარტნიორები. შესაძლებელია სხვადასხვა პროფესიის ადამიანების გადამზადება და დასაქმება. ანაზღაურება – მაღალი. გვაინტერესებს რეგიონების წარმომადგენლები. ტელ: 52-44-10; 38-31-59; 893 33-18-86

18-25 წლამდე გოგონებს ვთავაზობთ გამგზავრებას გერმანიასა და საფრანგეთში 1 წლით, ოფიციალური ხელშეკრულებით, AU-PAIR პროგრამით, დასაქმებისა და სწავლის შეთავსებით. უზრუნველყოფა ჯიბის ფულით (ხელფასით), საცხოვრებლით, კვებით, სამედიცინო დაზღვევით და საქალაქო ტრანსპორტით მგზავრობის ხარჯებით. ტელ: 95-64-18; 7-74-79 (ქეთევანი)

გვაქვს 4 ვაკანსია. სათანამშრომლოდ მივიღებთ განათლებულ, რუსულის მცოდნე ადამიანებს. ვმუშაობთ მსოფლიოში. საუკეთესო თანამშრომლებს ეძლევათ შანსი საზღვარგარეთ მუშაობისა (კომპანიის ხარჯებით). გამომუშავება 200-400$ აშშ სტანდარტებით. მიმდინარეობს შერჩევა. იჩქარეთ! მისამართი: მ. „დიდუბე", „სამთო ქიმიის ინსტიტუტი", I სართ. ოთახი 6. ტელ: 34-02-38; 899 90-54-78; მენეჯერი: ბნი დიმიტრი

„აუპაირი" – გერმანიაში (18-დან 25 წლამდე) და ავსტრიაში (27 წლამდე) გოგონებისთვის სწავლა და მუშაობა 1 წლით ოჯახებში. დაგევალებათ მსუბუქი საოჯახო საქმეები და ბავშვის მოვლა. ბინა, კვება, დაზღვევა უფასოა, პლუს – ყოველთვიური ჯიბის ფული. იჩქარეთ! გვყავს მასპინძელი ოჯახები. ტელ: 590-590

GIJ – პირველი ქართული Au-pair-სააგენტო გთავაზობთ გერმანიაში Au-pair-პროგრამით გამგზავრებას. ასაკი – 18-25 წლამდე. შუამავლობა – უმოკლეს ვადებში. კონსულტაციები და ცნობარები უფასოა. სამუშაო თანხა – 78-90 ევრო ლარებში (წინასწარ – ნახევარი). ტელ: 34-66-02; 91-19-61

Новому филиалу крупной международной компании требуются сотрудники с высшим образованием. Возраст 30-45 лет. Предварительная запись на собеседование по тел: 29-00-54

В международную компанию идет дополнительный набор сотрудников на административно-кадровую работу. В/о; возр: 35-45 лет. Тел: 77-88-74; 893 23-94-59

Внимание! Иностранная компания проводит подбор в офисе, для людей с высшим и ср/тех образованием. Тел: 96-29-30. Грузия/Баку

მრავალპროფილიან ორგანიზაციას მუდმივ სამუშაო ადგილზე ესაჭიროება თანამშრომლები. შერჩევა კონკურსის საფუძველზე. კონკურსის პირობები: უმაღლესი ან ტექნიკური განათლება, რუსული ენის ცოდნა. ასაკი 25-50 წელი. ტელ: 30-09-49; 893 37-33-00

ლუდის ქარხანას მუდმივ სამუშაო ადგილზე ესაჭიროება მარკეტინგის გამოცდილი სპეციალისტი ალკოჰოლური სასმელების რეალიზაციის სფეროში, უმაღლესი განათლებით, არანაკლებ 2 წლის სამუშაო სტაჟით. კომპიუტერისა და ერთ-ერთი უცხო ენის ცოდნა აუცილებელია. ანაზღაურება გასაუბრების შემდეგ შეთანხმებით. გთხოვთ თქვენი მონაცემები მოგვაწოდოთ ელ. ფოსტის შემდეგ მისამართზე: san-geo@caucasus.net

## მომსახურება

ვაწარმოებთ ლამინირებული „დესპესაგან" სამზარეულოებს, კომპიუტერის მაგიდებს, კარადებს და ნებისმიერ საოფისე ავეჯს. ტელ: 69-45-18. დათო

რბილი ავეჯის რესტავრაცია, ერთი ან 2-საწოლიანი ტახტების არაბულ სტილში შეკვეთით დამზადება მცირე სამუალებზე, მშრალი წმენდა. მის: „დინამო", №33 მაღაზია. ტელ: 76-01-33. გია

ვაკეთებ ეპილაციას ვოლფრამის ნემსით და ანესთეზიით, მორჩენის გარანტიით. მიღება ყოველდღე, ჩაწერით. სეანსების რაოდენობა ინდივიდუალურია – 1 სთ – 10 ლარი. მომსახურებით კმაყოფილი დარჩებით. მაქვს საკუთარი დენის წყარო. მის: ვარკეთილი-3, II მ/რ, მე-9 კორპ, VI სად, III სართ, ბინა 3. ტელ: 79-50-12; 899 90-44-93. ლიკა გიორგობიანი

ეპილაცია ვოლფრამის ერთჯერადი ნემსით, ანესთეზიით (ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე), 1 სთ – 6 ლარი; თმის მოცილება სხეულზე მცენარეული ნაყენით (გარანტიით), სახის გაწმენდა (კოსმეტიკური მასალები იაფად). წარბების კორექცია. საერთაშორისო სერტიფიკატის მქონე კოსმეტოლოგი ნ. ყიფშიძე. მის: მ. „300 არაგველი", არამიანცის საავადმყოფოს ზედა კართან, ახმეტის ქ. №15. მიღება წინასწარი ჩაწერით. ტელ: 77-86-27

## მკურნალობა

პოლიკლინიკის დირექტორი ლომთათიძე იაპონური აპარატით 10 წუთში ხსნის ტკივილებს. მკურნალობს: ოსტეოქონდროზს, რადიკულიტს, სახსრების ტკივილს, ხერხემლის გამრუდებას, უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, ყურებში ხმაურს, სქესობრივ დარღვევებს, ბუასილს, თმის ცვენას, ტროფიკულ წყლულს, ფსორიაზს, ფრჩხილების სოკოს, ორგანიზმში დაგროვილ სითხეს, ზრდადაუსრულებელი ბავშვების სიმაღლეში ზრდას. მკურნალობის კურსი 10-დღიანია. მის: მ. „მარჯანიშვილი", კლდიაშვილის 113 და 93. ტელ: 95-74-29, 96-38-27, 893 39-04-87

თირკმლის, შარდის ბუშტის, შარდსაწვეთის კენჭების დაშლა ქირურგიული ჩარევის, ნარკოზის და ტკივილის გარეშე, ყველაზე თანამედროვე ევროპული ტექნოლოგიით. მის: თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი 29, რესპუბლიკური საავადმყოფო, VI სართული, პროფესორი თემურ ტაბუკაძე. ტელ: 39-52-05; 899-56-94-83

ისრაელში შემუშავებული მეთოდიკით, გარანტიით იკურნება სკოლიოზი, ოსტეოქონდროზი, ნევროზი, პოსტინსულტური დამბლა, კოჭლობა, შაკიკი, ლოგოფობია (კუჭის ქრონიკული ანთება), სუბფებრილიტეტი (t = 37,2°C), შიშები, რადიკულიტი, სუიციდის (თვითმკვლელობის) მცდელობები. კონსულტაცია და დიაგნოსტიკა უფასოა. მის: მეტრო „გურამიშვილი", ძმები გარიშვილების ქ. №18. ანატოლი შავიძე. ტელ: 61-65-03

პირველად საქართველოში! აკადემიკოს ვ.ა. ლიხაჩოვის მეთოდით: ნევროზი, უძილობა, შიშები, თავის ტკივილები, ჰიპერტონია, ინსულტის შემდგომი პერიოდი, სახსრების მარილოვანი დაავადებები, თვალის დაავადებები, ასთმა, ალერგია, ჩიყვი, ენურეზი, სოკო, ფსორიაზი, პრობლემური კლიმაქსი, დიაბეტი, კუჭის წყლული. ტელ: 99-75-90 (დილით); 899 21-13-66. ლალი

თმის დაავადებები: ქერტლი, ქავილი, გამონაყარი, ბუდობრივი ცვენა (ამოდის თმა), ტილები, წილები, ფრჩხილის სოკო; ფეხის ქუსლებზე ნახეთქები; ოსტეოქონდროზი, სკოლიოზი; კოსმეტიკა, ოფლის ლოსიონი. მის: ჭავჭავაძის გამზ. №2/2 (ჩაის სახლთან). სტომატოლოგიური პოლიკლინიკა. 11-18 სთ. ტელ: 30-94-73; 35-32-62; 22-27-95. ცაცო მჭედლიძე

ხალხური მედიცინა – მაქსიმალურად გარანტირებული, უსწრაფესი შედეგებით!!! ნერვის ანთება, ოსტეოქონდროზი, დისკოზი (დისკის ამოვარდნა), სახსრების დაავადებები (ანთება, მარილების დაგროვება), პოდაგრა. ეფექტი – პირველივე დღეებიდან. მის: რკინიგზის პოლიკლინიკა (მ. „ნაძალადევთან", ც. დადიანის №87), კაბ. №11, 10-14 სთ, წინასწარი ჩაწერით ტელეფონზე: ტელ: 61-02-97; 39-39-97; 899 57-16-99. ექიმი ალექსიშვილი

ტრადიციული მეთოდებით მედიცინის მუშაკი მაყვალა ცინცაძე ამზადებს თვით მუმიოზე მალამოებს, ხსნარებს და საფენებს. მკურნალობს: ოსტეოქონდროზს (მარილებს), სახსრებს, პოლიართრიტს, საშვილოსნოს ნერვის ანთებას, დისკოზს, კისრის, მენჯ-ბარძაყის, მუხლსახსრის ართროზს. მხოლოდ ჰაიმორიტი იკურნება 8-10 დღეში. მკურნალობა გარანტირებულია. ტელ: 34-62-51; 899 20-19-66

100%-იანი გარანტიით!!! ვმკურნალობ ბუასილის სხვადასხვა ფორმას (მტკივნეული კვანძები, ნაპრალი, კოლიტი, სისხლდენა, ქავილი); აგრეთვე კანისა და ფრჩხილის სოკოვან დაავადებებს, კანისა და ფრჩხილის ჩახრჩობას, ძირმაგარას, დამწვრობას (უკვალოდ), ჩირქოვან შეუხორცებელ ჭრილობებს. ტელ: 61-02-97; 39-39-97; 899 57-16-99. ექიმი ალექსიშვილი

გეძლევათ უნიკალური შანსი, სწრაფად და უმტკივნეულოდ, კომპიუტერული დიაგნოსტიკით დაადგინოთ მთელი ორგანიზმის ფუნქციური დარღვევები. ფასი – 25 ლარი. სამედიცინო ცენტრი „ლაზერი". მის: პეკინის №18. ტელ: 91-18-33; 22-37-89 (საღამოს); 893 321-307

ბრონქული ასთმა, ალერგია, გასტრიტი, ქოლეცისტიტი, ბუასილი, კოლიტი, კანის დაავადებები, რევმატიზმი, რევმატოიდული პოლიართრიტი, ართრიტი, გულის ქრონიკული უკმარისობა, ჰიპერტონია. ტელ: 32-39-46

გამოჯანმრთელების მაქსიმალური ეფექტი. მიზეზებზე გთავაზობთ გამოჯანმრთელების მაქსიმალურ ეფექტს, ბუნებრივი შედგენილობის პროდუქციით, რომელიც შექმნილია ლიხაჩოვის ლაბორატორიაში. სისხლძარღვოვანი პრობლემები: წნევები, ვარიკოზი, ბუასილი, რევმატიზმი, ოსტეოქონდროზი, მარილები, სახსრები. ტელ: 99-75-90; 893 36-87-62. ეთო

გეცნობებათ უახლესი მცენარეული პრეპარატებით, რომლებიც შველის: თმის ბუდობრივ ცვენას, პროსტატიტს, იმპოტენციას, კუჭისა და 12-გოჯა ნაწლავის წყლულს, წონის კორექციას, ართრიტს, სოკოს, ბუასილს, პარადონტოზს, შარდის შეუკავებლობას. ტელ: 899 72-39-20

მაქსიმალურად გარანტირებული შედეგი შემდეგი დაავადებების მკურნალობისას: ბრონქიალური ასთმა, ობსტრუქციული ბრონქიტი, ორივე ტიპის შაქრიანი დიაბეტის, გართულება შაქრიანი დიაბეტის დროს, ფარისებრი ჯირკვლის დაავადებები, ნევროზები, ართროზები, ხშირი გაცივება. მაღალკვალიფიციური ექიმი იყენებს ტრადიციულ და არატრადიციულ მეთოდებს, მათ შორის ნატურალურ ბალახებს, სუნთქვით ვარჯიშებს და ა.შ. ტელ: 64-63-40; 893 99-90-89

ვმკურნალობთ უახლესი მეთოდებით მეტყველების დარღვევას, ენაბლუობას (ლოგონევროზი), ენაჩლუნგობას. მის: რესპუბლიკური რეაბილიტაციის ცენტრი, ლოგოპედიური განყოფილება. მის: ვაჟა-ფშაველას 18ა. ტელ: 39-01-12 (სამს); 23-12-89 (ბინა); 899 78-23-12. ლომთათიძე ლალი

გეცნობებათ უახლესი მეთოდით, მაქსიმალურად სწრაფი შედეგებით: ნევროზი, უძილობა, დეპრესია, ჰიპერტონია, ინსულტის შემდგომი პერიოდი, შარდის შეუკავებლობა, ცისტიტი, ასთმა, ალერგია, სახსრები, რევმატიზმი, ვენების ვარიკოზული გაგანიერება, ბუასილი, კოლიტი, კუჭის წყლული, კატარაქტა, სოკო, ფსორიაზი. ტელ: 893 965-032. მაია

ქრონიკული დაავადებების მოწესრიგება-გამოჯანსაღება: ნევროზები, შიშები, დეპრესია, უძილობა, ჰიპერტონია, სისხლძარღვოვანი პრობლემები, ბუასილი, კუჭ-ნაწლავის პრობლემები, ინსულტისა და ინფარქტის შემდგომი პრობლემები, შაქრის კორექცია სისხლში, კანის სხვადასხვა პრობლემა, ალკოჰოლიზმი, ნარკომანია. პროდუქცია შექმნილია სამკურნალო მცენარეების ბაზაზე, მოწმდება სამკურნალო და არომატული მცენარეების სრულიად რუსეთის ინსტიტუტის (ВИЛАР) ლაბორატორიებში. გთავაზობთ მეხუთე თაობის მაღალეფექტურ სამკურნალო საშუალებებს. ტელ: 99-75-90; 899-22-63-90. ნინო

გთავაზობთ რადიკულიტის, იშიასის, სხვა ნერვის ანთების მკურნალობას მალამო „რადიშით". რეცეპტი მცენარეული ფარმაკოლოგიური შემადგენლობით, პროვიზორ კუკური ჭანტურიასი (პატენტი 585). დამზადებულია ფარმაკოქიმიის ინსტიტუტში. იყიდება PSP აფთიაქებში. მის: უზნაძის №76. ტელ: 96-06-93; 893 93-53-21; 51-66-58

## ვასწავლი

ფირმა „ქართი" აცხადებს მიღებას პროფესიული მომზადების კურსებზე: 1. მასაჟისტი (სამკურნალო, ჰიგიენური, ჩვილ ბავშვთა მასაჟი); 2. კოსმეტიკა (ეპილაცია, მასაჟი, მალამოები), პარიკმახერი (ქალთა და მამაკაცთა ხელოსანი). კურსების დამთავრების შემდეგ გაიცემა ლიცენზირებული სერტიფიკატი. მის. კლდიაშვილის №115, კაბ. №20. ტ: 94-01-82; 95-83-18 (სამსახ); 96-22-89 (ბინა)

კომპიუტერული სტუდია „დაჯი" კომპიუტერი გიწვევთ კომპიუტერზე მუშაობის, კომპიუტერული ბუღალტერიის, პროგრამირების ენების, უცხო ენების სწრაფშემსწავლელ კურსებზე, შესწავლის გარანტიით, სწავლის დამთავრების შემდეგ უფასო კონსულტაციებით. სწავლების მეთოდი ინდივიდუალურია. გაიცემა სერტიფიკატი. მის: ბარნოვის ქ. №1 („მაკდონალდსის" უკან). ტ: 98-44-20; 899 14-03-31

კომპიუტერული მეცნიერებისა და ტექნოლოგიების ინსტიტუტი და კოლეჯი აცხადებს მიღებას მოსამზადებელ განყოფილებაზე. საგნები მიიღება ყოველდღე ინსტიტუტთან არსებული კურსები: პროგრამირება; ბუღალტერია, კომპიუტერისა და ინგლისურის თანხლებით; საოფისე პროგრამები. მის: ჭავჭავაძის გამზ. №68. ტელ: 22-41-79; 25-17-08

დაჩქარებული მეთოდით, ინდივიდუალურად შეგასწავლით საოფისე პროგრამებს (ვინდოუსი, ვორდი, ექსელი). ფასი 60 ლარი. ტელ: 34-32-79; 899 91-86-81; 893 96-00-42

ნაძალადევის კულტსასახლე აცხადებს მიღებას კურსებზე: 1. კოსმეტიკა – შესწავლება: სახის კანის დეფექტები, მკურნალობა, მალამოები (მკვებავი, დეზოდორანტული, სამკურნალო), კანის გაწმენდა, მასაჟი, ეპილაცია, კრემები, ნიღბები, რძეები, ლოსიონები და სხვა. 2. სამკურნალო და პროფილაქტიკური მასაჟი. გაიცემა სერტიფიკატი. მის: ნაძალადევი, დადიანის 26 (მ. „ვაგზლის მოედანი"). ტელ: 75-06-14; 95-47-64; 893 38-09-06

შეასწავლი კომპიუტერზე მუშაობას. საოფისე: Windows, Word, Excel, Internet, E-mail, sagamomcemlpo da grafika: Page Maker, PhotoShop., CorelDraw; Quarkxpress, AutoCAD, Arcicad, 3d-MAX; veb- დიზაინი: Flash, Dreamweaver და პროგრამირების ენები. მის. მ. „რუსთაველთან", რესტორან „სამოთხის" უკან. გახაშვილის ქ. 7. ტელ: 98-80-23

სიახლე! გაიხსნა კომპიუტერის შეკეთებისა და სისტემური უზრუნველყოფის კურსი, რომლის დამთავრების შემდეგაც გენიჭებათ სისტემური ინჟინრის კვალიფიკაცია. გაიცემა ტექნიკური სახის ლიცენზირებული სერტიფიკატი. მიმდინარეობს ჯგუფების შეტყობა. ტელ: 893 230-240; 76-60-26. გიორგი (საღამოს)

## იყიდება

დაბა ურეკში მიწის ნაკვეთები – 500, 1500 და 2000 კვ.მ. შესაძლებელია გაყიდვის განვადებით. ტელ: 7-36-34 (ქეთინო)

სმენის აპარატები შეღავათიან ფასად, სპეციალური ინდივიდუალური ყურის ჩასართით. აგრეთვე, ელექტრონული და მექანიკური წნევის აპარატები, გარანტიით. ტ: 95-95-22 (10-12 სთ); 93-46-74 (20 საათის შემდეგ); 899 27-38-99

გთავაზობთ საორთოპედო ტანსაცმლისა და ბანდაჟების დიდ არჩევანს; კოლგოტებს, კრემებს სტრიებისათვის და ათას წვრილმანს; მორხილობის საწინააღმდეგო ფეხსაცმლებს ბავშვებისა და დიდებისათვის; რადიკულიტის, დისკოზის, ფეხის ასამდე და ყველანაირ სამედიცინო ბანდაჟს; სუპინატორებს – ბრტყელტერფიანობისათვის; ორთოპედიულ ბალიშებს და საყელოებს; კუზინცოვის აპლიკატორებს. ტელ: 53-46-41; 899 58-60-64

მაღაზია – იარაღის სახელოსნო „ოქროს ვერძი" გთავაზობთ: პისტოლეტები და რევოლვერები, გლუვლულიანი და ხრახნილლულიანი თოფები; ექსკლუზიური საჩუქრები მონადირეებისათვის, სუვენირები მამაკაცებისათვის! ვმუშაობთ ყოველდღე, 11-19 სთ (კვირას და უქმე დღეებში – 12-18 სთ). მის: რესპუბლიკის მოედანი, რუსთაველის №37, გასასვლელში. ტელ: 98-22-58

ახალი იტალიურ-ამერიკული სტომატოლოგიური კაბინეტი „ფავორიტი" მთელი კომპლექტით. ფასი $3000. ტ: 22-64-08; 877 47-46-00; 877 49-76-09

ლითონის „პალოვკა" 110 ცალი, ბეჭდით. ზომები 60X120; 50X120; 40X120; 30X120. სულ – 160 კვ.მ. ტელ: 24-00-00 ან 899 96-43-49

## სხვადასხვა

გსურთ, გქონდეთ საკუთარი ბიზნესი და სტაბილური შემოსავალი? – „განათლებისა და დასაქმების ცენტრი" იწვევს სათანამშრომლოდ 20-დან 40 წლამდე მსმენელებს მენეჯერ-კონსულტანტის თანამდებობაზე. საქმის დასაწყებად საჭიროა $250. მის. თბილისი, კოსტავას ქ. №14, II სართ. ოთახი №210 (შესასვლელი ჰოველიძის ქ. №2-დან). ტელ: 93-49-72; 899 56-32-59. დათო

საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება შპს ფირმა „ფაზისი" აცხადებს თვითლიკვიდაციას. მის: უნივერსიტეტის ქ. №6. ტელ: 39-11-63



### ნუგზარ გაბუნას!



ჩვენო საყვარელო, სახელოვანო ლიდა მასწავლებელო! არ ვიცით, როგორ გამოგიგმოთ, როგორ მოგიფეროთ და დაგიამოთ ის უზარმაზარი სევდა და ტკივილი, რაც თქვენი სამყაროს ნაწილის – ნუგზარის (გულდის) გარდაცვალებით გარგუნათ ბედმა.

ჩვენი ღირსეული კლასელი, თქვენგან ნასწავლი გავიმეორებთ მხოლოდ: „უბადლოთ გაუმეორებელი წარმავალ რჩეულთა ხვედრია...“ და ასე ვაჟკაცურად, სულით-ხორციელად [illegible] და პატიოსნებით წარდგა უფლის წინაშე ნუგზარ გაბუნა. გამორჩეული კაცი იყო ყველაფრით და ყველგან გამოირჩა. მაგრამ ვაი, რომ სწორედ მაშინ მისი გულისყური, როცა ყველაზე მეტად უნდოდა სიცოცხლე, როცა ყველაზე მეტად უჭირდა საყვარელი მეუღლის და ქალიშვილების დათმობა, როცა ყველაზე მეტად სჭირდებოდა დედის სითბო და ალერსი. მაგრამ უფალმა არასრული უბოძა ნება – ცად ამაღლდა მისი ლამაზი, სპეტაკი სული!

უსაზღვროდ დიდია დედის დარდი და ტკივილი, მაგრამ ამ მწუხარებას ისევ ნუგზარის ნანი-ნანატრი, ლამაზი ოჯახი თუ ანუგეშებს ალბათ.

*ბანძის საშუალო სკოლის პედკოლექტივი.*

### თამარ მაქაცარიას მონატრება



11 წლის თამარ...

12 თებერვალს – გილოცავთ თამარ დაბადების დღეს. სად?... როგორ?... ძალიან ძნელია საფლავზე დაბადების დღის მილოცვა. შენ განსაკუთრებულად ემზადებოდი შენი დაბადების დღისთვის, ყველა დღესასწაულზე მეტად გიყვარდა... ჩვენ რაღაც მოვიფიქრეთ, მერეც ვხვდებით შენს დაბადების დღეს განსაკუთრებულად მომზადებით. ძალიან ძნელია, შენი დაბადების დღეს – უშენოდ შეხვედრა.

დრო ყველა ჭრილობას კურნავს! – არ გვესმის ამ ცხოვრების... მაშინ რატომ არ იცვლება, რატომ არ ყუჩდება ის ტკივილი, რომელიც შენით მივიღეთ – გულში საუკუნოდ დაისადგურა მწუხარებამ... წახვედი და ბევრს ასწავლე მონატრება, ისეთი ახლობლები გახდნენ საკუთარი, უშენოდ დარჩენილებს უკვე აღარ გვეშინია მისი, რადგან შენ გვეგულები იქ – მარადიულ სასუფეველში, გვესმის და მოგვიხარია მუდამ.

*შენი მშობლები რუსუდან და ლევანი*

### ვაჟა ჯღიძას მონატრება



5 თებერვალს შენი გარდაცვალებიდან 4 წელი შესრულდება, 5 მარტს კი – შენი დაბადების დღეა. რამდენი გაჭირვება და დარდი გამოიარე და როცა გვეგონა, რომ ყველაფერი უკან დარჩა, მაშინ გიმტყუნა ჯანმრთელობამ. წყნარად წახვედი ამ ქვეყნიდან და თან გაიყოლე მეუღლის, შვილების, შვილიშვილების და ახლობლების უსაზღვრო სიყვარული. წლები გადის და უფრო მძიმდება უშენობით გამოწვეული დარდი. კაცურად იცხოვრე ამქვეყნად, შენი ცოდნა და გამოცდილება საყვარელ საქმეს შეალიე.

დრო არ ყოფილა ყველაფრის მკურნალი, მით უფრო – უშენობის. გვენატრები. ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი კეთილი სული. კურთხეულ იყოს შენი სახელი ამიერიდან სამარადჟამოდ.

*შენი მეუღლე*

### ბესო კასაბურს!



უკვე 40 დღე გავიდა ამ ავბედითი დღიდან, რასაც მოჰყვა შენი ტრაგიკული სიკვდილი. 26 გაზაფხულს მოესწარი მხოლოდ. ჩვენო საყვარელო! გულისტკივილით სავსეა მონატრება, აღარ ხარ და ულევად ყველას დაგვტოვე გული. რაღაცით განსაკუთრებულად კარგი იყავი ყველასათვის – [illegible] უბრალოდ, მოსიყვარულე, უზომოდ თბილი.

ჩვენო ლამაზო, ანგელოზო ბიჭო! ნათელში იყავი მარადიულ სასუფეველში!

*შენი მშობლები, ძმა და რძალი*

### დათო კომახიძის მონატრება

13 თებერვალს 40 დღე შესრულდება ამ ტრაგიკული დღიდან.

შენ, მუდამ მოუსვენარი და უზომოდ რელიგიური ადამიანი, ახლა იდეპი ცხოვრების [illegible], დიდი სახე გეხედა წამოწყებით, მაგრამ განგებამ არ გაცალა. ვინ უნდა ასრულებს შენი [illegible] მომხდარის [illegible] დაბრუნდა? [illegible] რომ შენი ლამაზი სული სამოთხის [illegible] სასუფეველშია. შენ, ასე ასაკოვნებთ წახვედი ჩვენგან, ვერ მოესწარი შენი ცხოვრების 30-ე გაზაფხულს. ძალიან გვენატრები და გვაკლიხარ ყველას. ღმერთმა განათლოს შენი სული და ილოცე შენი ოჯახისთვის ზეციური სასუფეველიდან.

*შენი ბავშვობის მეგობარი ნათია გოგიტიძე*

### ზაზა დურგლიშვილს!



9 თებერვალს 40 წელი შეგისრულდებოდა, საყვარელო ძმაო. პირველად ვხვდებით უშენოდ შენს დაბადების დღეს. ღმერთმა გაგაჩინა და ღმერთმა წაგიყვანა. გვიჭირს შენ გარეშე, უზომოდ გვენატრები, გვიყვარხარ. შენი დატოვებული სითბო და სიყვარული არასოდეს განელდება. შენ ამშვენებდი ოჯახს, სანათესაოს, სამეგობროს, გასცემდი უზომო სიკეთეს, სიყვარულს. ყველას მხსნელი, დამხმარე, უანგარო მოამაგე იყავი. ყველა გაჭირვებულის მკურნალმა დასტაქარმა საკუთარ თავს ვერ უშველე. ჩვენ აუტანელი ტკივილი დაგვიტოვე. გვიჭირს უშენოდ, კეთილშობილო, დიდსულოვანო ვაჟკაცო. ღმერთმა სამოთხეში დაგიმკვიდროს სასუფეველი.

*ზურიკო და გივი ვატიტაძეების ოჯახი*

### ომარ პაპუაშვილის ნათელ ხსოვნას!



დღეს, 9 თებერვალს, 70 წელი შეგისრულდებოდა, მაგრამ ბუნებამ მხოლოდ 52 წელი გაჩუქა. ნეტავ როგორი იქნებოდი დღეს – ისევ ისეთი, მთასავით ბუმბერაზი და ლამაზი, ამაყად რომ დადიოდი ხაშურის ქუჩებში გაშლილი მხრებით და მტკიცე ნაბიჯებით, კაცური კაცობის სახელით და კაცური ქუდით – დარწმუნებულნი ვართ, წლები შენს სიდიადეს ვერაფერს დააკლებდა.

განსაკუთრებული მეგობრობა და სიყვარული გახასიათებდა, მეგობრის სული და გული იყავი, მასპინძლობაც უჩვეულო, გამორჩეული იცოდი. სადაც კი გიმუშავია, საქმის ზედმიწევნით მცოდნე და პატიოსანი ხელმძღვანელი, ყველას შენი მდიდარი ბუნებითა და კაცურკაცობით დაამახსოვრდი. თვითონ დედისერთამ, მაგრამ ოთხი შვილის მამამ, შვილებისა და შვილიშვილების სიყვარულით გული ვერ ვიჯერე, მაშინ ულალატე შვილებს, როდესაც ყველაზე მეტად სჭირდებოდი, მაგრამ მათ დღესაც შენი დათესილი სიკეთის ნერგი ხვდება ყველგან.

შენი კახა უკვე თვითონაც მამაა, მისი ქალიშვილი – დიდი ბებიის, შენი დედის სახელს ატარებს. უფროსი შვილიშვილი სტუდენტია. უკვე სამი შვილიშვილის ბაბუა ხარ, რომელსაც მხოლოდ სურათებით, ოჯახისა და შენი მეგობრების ტკბილი მოგონებებით გიცნობენ. აკლიხარ შვილებს, მეუღლეს, ოჯახს, მეგობრებს, ქალაქს, რომელსაც შენი ამაყი სიარულით, შენი ვაჟკაცობით ამშვენებდი. ნუგეშად ისღა დაგვრჩენია, რომ 52 წელი კაცურად იცხოვრე და შენი სული ნათელში განისვენებს. შენი ოჯახი ისე აგრძელებს ცხოვრებას, როგორც ეს შენს უკვდავ სახელსა და სულს ეკადრება, მაგრამ როგორი გაუსაძლისია უშენობა... უსასრულოდ გვენატრები, გვენატრები...

*მეუღლე ლია ბერაია; შვილები: ნინო, ჯილდა, ია, კახა; რძალი ლელა მურჯიკნელი; სიძე გია არჯევანიძე; შვილიშვილები: სოფიკო, გიორგი არჯევანიძეები, ელენიკო პაპუაშვილი; ცოლისდა გული ბერაია*

### მერი ხუციშვილ-ყოჩიაშვილს

დაბადების დღეს ვულოცავთ მისი ქმარ-შვილი.



*მწუხარებამ ცრემლებად მაქცია*
*დედა, ვიცი, შენი ლოცვა მფარავს,*
*ჩემზე დარდობ ისევ ისე ალბათ,*
*და ლოცულობ იმქვეყნიდან*
*ჩემთვის.*
*ჩვენ ვერავინ დაგვაშორებს, მჯერა,*
*შენი ლოცვა ისევ მფარავს, დედა!*
*ახლა წმინდა სანთლებს*
*შევლალადებ,*
*ნათელი რომ დაგიმკვიდროს, დედა!*

*დალი*

### გურამ კუხალეიშვილის მონატრება



ჩვენო საყვარელო და მონატრებულო შვილო გური! უშენოდ გაილია ტკივილისა და წამების ერთი წელი. რაც დრო გადის, უფრო და უფრო ძლიერ გვენატრები და გვიჭირს უშენოდ, ჩვენო მოუშუშებელი ტკივილო! ყველას დიდი სითბო და სიყვარული დაუტოვე, რომელიც არასოდეს განელდება. ვნატრობთ და ღმერთს ვევედრებით, ერთხელ სიზმრად მაინც დაგვანახვოს შენი თავი. გვირჩიე, რით ვინუგეშოთ თავი, რით მოვიშუშოთ გაჩენილი იარა? შენ შემოგევლოს ჩვენი თავი, ჩვენო სიცოცხლევ, გვიყვარხარ და უსაშველოდ გვენატრები!

*სასაფლაოს კედრის ხენი მდუმარებით დგანან,*
*გდარაჯობენ, გიფარავენ, ძაძით მოსულს ჰგვანან.*
*ამ თებერვალს მიილია წელიწადი ერთი,*
*შენ იმ ქვეყნად რა გინდოდა, არ მინდაო, – ვერ თქვი?!*
*გიგონებთ და ვიცრემლებით, ღმერთო, ასე რატომ?*
*ჩვენ ყველანი ამ ქვეყნად ვართ და შენს ნახვას*
*ვნატრობთ.*
*ღმერთმა გარჩია კარგებში, მოკვდავებს რაღა*
*გვეთქმის...*
*„შენ ჩვენთვის როგორ არა ხარ, ეს ჩვენ არ ვართ*
*შენთვის.“*

*ჯილდა.*

*შენი უბედური მშობლები, ძმა და რძალი*

### პარასკევა ხოჭოლავას მონატრება



*გვენატრები, დედავ, ვერცხლისფერი*
*თმებით,*
*თუ სიზმარში გხედავთ, დილით*
*გვევრებით.*

მძიმეა ჩვენთვის 9 თებერვალი. ამ დღეს დაგვტოვე, მაგრამ შენი კეთილი სული მუდამ ჩვენთან არის. გვიჭირს თუ გვილხინს, გვესიზმრები და გვარიგებ, როგორც სიცოცხლეში.

ნათელი ადგეს შენს თბილსა და კეთილ სულს, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

*შვილები, შვილიშვილები*

### თამაზ ახვლედიანის ხსოვნას!



ძვირფასო თამაზ, აი, 5 წელიც გავიდა უშენოდ... წახვედი და გაუნელებელი ტკივილი დაგვიტოვე... ხშირად გახსენებთ, ხშირად გიგონებთ, ძალიან გვენატრები, ძალიან გვაკლიხარ...

თამაზ, შენს ოჯახს ეამაყება შენი სახელი, შენი შვილები ძალიან კეთილები, საქმიანები, კაცთმოყვარენნი არიან და სიკეთეს ღვთის სადიდებლად, შენი სულის საოხად აკეთებენ.

რამდენი დამიგროვდა შენთან სათქმელი. გეჩურჩულები და გიზიარებ განცდილს – ტკივილსა და სიხარულს...

დალოცე შენი სათაყვანო ოჯახი და ახლობლები. ღმერთმა აცხონოს შენი კეთილი სული...

*შენი მადლენა*

### ვალიკო დოლიძის გახსენება



ჩემო მამიკო! ორმოცი ტკივილიანი დღე გავიდა, რაც თიანეთში აღარ ისმის შენი ომახიანი ხმა.

ძალიან გვაკლიხარ, უსაშველოდ გვენატრები ყველას: დედას, მეუღლეს, დებს, შვილებსა და შვილიშვილებს. კაცურად იცხოვრე ამ ქვეყანაზე და იმედი მაქვს, იმ საუფლოსაც დაამშვენებ, სადაც წახვედი.

ჩვენ მუდამ ვილოცებთ შენთვის. ნათელში ამყოფოს ღმერთმა შენი კეთილი სული.

*შენი ქრისტინე*

### მურმან ფონიას მოსაგონარი



...დიახ, ყოველთვის მახსოვდა გულისგულში, ჩემთვის, უთქმელად, უხმაუროდ. ახლა კი, გაზეთში წავიკითხე გამოსათხოვარი. გული მწარედ შემეკუმშა. დავაცქერდი უკვე ასე შორეულ სახეს და შეირხა მოგონებების ფარდა. ეს იყო მაშინ, შორეულ ორმოცდაათიან წლებში. მედქალაქი, სტუდენტობა, წმინდა, უანგარო, შეუბრალავი მეგობრობა. უცებ ჩაიქროლა სწავლის წლებმა. დავამთავრეთ, დავიფანტეთ, ჩვენი გზებიც გაიყარა. ხანდახან ვიგებდით ერთმანეთის ჭირისა თუ ლხინის შესახებ. ეს იყო და ეს.

რა დრო გასულა! ჩემს გულში ადგილს ვერ პოულობს ნეკროლოგის სურათის ხანდაზმული სახე. იქ, ის ისევ ჭაბუკად დარჩება სამარადჟამოდ, ღიმილიანი, შუქმდგარი თვალებით – სწორედ ისეთი, როგორიც ამ სურათზეა აღბეჭდილი.

### ეძღვნება მამუკა გვილავას...



*მიქრის, მიფრინავს ოცნება ჩემი,*
*თან მიჰყვებიან ბავშვობის წლები,*
*დაღად დამჩნდა წარსულის კვალი,*
*განსაკუთრებით რვა თებერვალი.*

1998 წლის 8 თებერვალი ალბათ მრავალი ადამიანის მეხსიერებიდან უკვე უკვალოდ წაიშალა... ჩემი გონებიდან კი არასოდეს ამოვა ის ტრაგიკული საღამო, რომელმაც მოუშუშებელი ჭრილობა მომაყენა და წამართვა საყვარელი ბიძა.

ვინ იცის, მამუ, რა იყავი შენ ჩემთვის, ვინ იცის, როგორ მიყვარდი. ის, რაც მაშინ ვერ გავაცნობიერე გულუბრყვილო ბავშვმა, ახლა გახდა ცხადი...

ძალიან მაკლიხარ და მენატრები.

*გიორგი*

### ნუგზარ კუჭუხიძის მონატრება



გაიარა ცრემლითა და ტკივილით აღსავსე ერთმა წელმა. ვერ აგვიხსნია, რატომ გაგწირა ასე ულმერთოდ განგებამ კაცი, რომელსაც სიკეთით და სიყვარულით გქონდა გული სავსე. შენით ვამაყობდით და ვაი, რომ ველარ შევძელით უდროოდ შენკენ მომავალი სიკვდილის შეჩერება. ყველას გვიძძიმს, განსაკუთრებით შენს ნოდარს და ზაზას, უშენოდ რომ დგება 14 თებერვალი, შენი დაბადების დღე. 41 წელი შეგისრულდებოდა... რომ იცოდე, როგორ გვაკლიხარ და გვენატრები, ჩემო ნუგო.

ღმერთმა ნათელში მიმყოფოს შენი ლამაზი სული. ვილოცებ შენთვის. უფალს შევთხოვ, სამოთხეში დაგიმკვიდროს სამუდამო სასუფეველი.

*შენი ოჯახი*

### ნოდარ კილასონიას ხსოვნას!

15 თებერვალს სრულდება გაუნელებელი ტკივილის ერთი წელი შენი გარდაცვალებიდან. დაცარიელდა ის შეუცვლელი ადგილი, რომელიც შენ გეკავა ჩვენს გულებში. ვერავინ შეგვიმსუბუქა დარდი, შენზე გულდათუთქულ დედას და ისიც გამოგვეცალა ხელიდან. რა ვიცოდით, რომ შვილის დაკარგვით გამოწვეულ ტკივილს გულში იკლავდი და არ გვიმხელდი. საბოლოოდ კი, უკურნებელი სენით წახვედი ჩვენგან და განუზომელი მწუხარება და სევდა დაგვიტოვე. რაც დრო გადის, მით უფრო ძლიერდება მონატრება, გვიჭირს უთქვენობა.

ჩვენ კი ისღა დაგვრჩენია, ვილოცოთ თქვენი სულებისთვის.

*დები*

### რომან გაგუას გახსენება



რა უცებ გავიდა 40 ტკივილიანი დღე. გიგონებთ და გვიჭირს იმ რეალობასთან შეგუება, რასაც უშენობა ჰქვია. დაბნეულებს ვერ აგვიხსნია, ასეთი შემზარავი და ტრაგიკული სიკვდილი რატომ გერგო? ახალი წლის პირველივე დღე უკანასკნელი აღმოჩნდა შენთვის. გონებადაბინდული ადამიანის მანქანით გიჟურ ქროლას შეეწირე. იმ საბედისწერო დღეს მთელი სამეზობლო და სანათესაო შემოიარე, ყველას მოეფერე, მოესიყვარულე. იქნებ გრძნობდი რამეს და ეთხოვებოდი ახლობელ ადამიანებს. გული გვტკივა. გამორჩეული იყავი, მორიდებული, თავმდაბალი, გულჩახვეული... რამდენი ფიქრი და ოცნება გაიყოლე თან. დატოვე გაუბედურებული მშობლები, და-ძმა. როგორღა ავიტანოთ გაუსაძლისი უშენობა?

ჩვენო რომან, 9 თებერვალს შენი თანაკლასელები შენს საფლავთან შევიკრიბებით. მწარე ტკივილით მოგიგონებთ და კვლავ შევევედრებით უფალს, რათა ნათელში ამყოფოს შენი სპეტაკი სული.

*თანაკლასელები*

### ნანა გულორდავას ხსოვნას!



გაუნელებელი ტკივილით გავიდა მტანჯველი 5 წელი, დედა! წახვედი და დაგვიტოვე დიდი სიცარიელე, ტკივილი, მოგონებებით სავსე ცხოვრება და დიდი სიყვარული. გვიჭირს უშენობა. შენ ხომ საოცრად ლამაზი, კეთილი, ღვთისნიერი და სათნო ბუნების ადამიანი იყავი, დედიკო. რაც დრო გადის, უფრო მეტად გვიყვარხარ და გვენატრები. გვიხსენოს უფალმა შენი სპეტაკი სული.

*შვილები: ნინო, დათო, მალხაზ გადელიები*

### არჩევან გიგინეიშვილის მონატრება



ჩემო სანატრელო არჩევან, მოახლოვდა შენი დაბადებისა და გარდაცვალების დღეები.

13 თებერვალი დაბადების დღეა – 69 წელი შეგისრულდებოდა, ხოლო 7 აპრილი, ხარება – შენი გარდაცვალების 2 წლისთავი. წახვედი მოულოდნელად, წყნარად და დამიტოვე მოურჩენელი გულისტკივილი. ჩემი სიცოცხლე სასჯელია ჩემთვის. ჩემო კეთილო, ოჯახის მოსიყვარულე მეუღლევ, მამავ და ბაბუავ, ცრემლიანი გზა დაგვიტოვე ყველას. შენი დატოვებული სახელი გაუნათებს გზას ჩვენს შვილებსა და შვილიშვილებს. ცივ სამარეში ვერაფერს გიძღვნი ცრემლების, ყვავილებისა და სანთლის გარდა.

ნათელში იყოს შენი სული და მსუბუქი ყოფილიყოს შენთვის მიწა.

*მეუღლე ლამარა მელქაძე, ოჯახი*

მეუღლე ლეილა ანდღულაძე; შვილები: დათო, მაია ღვინეფაძეები; რძალი ეკა გოგლიძე; შვილიშვილები: ავთანდილი, სალომე მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ავთანდილ გრიგოლის ძე ღვინეფაძე.**

*პანაშვიდი:* 10, 11 თებერვალს, 17 საათზე;
*დაკრძალვა:* ხუთშაბათს, 12 თებერვალს, 14 საათზე.
*მისამართი:* წყნეთის ქუჩა, VI$^{a}$ კორპუსი, ბინა №7.

ელგუჯა, ლეილა, გიორგი, მაია გოგლიძეები იზიარებენ *დავით ღვინეფაძის* მწუხარებას, მამის გარდაცვალების გამო.

„საქნეთორმკინი“ მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა

**მაკა თავზარაშვილი**

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.
ღმერთმა აცხონოს შენი სული, ჩვენო ძვირფასო მეგობარო...

გარდაიცვალა ღვაწლმოსილი პედაგოგი

**მარიამ (კუკური) მილტიადის ასული გაბუნია**



ბანძის საშუალო სკოლის პედკოლექტივი თანაუგრძნობს *ნაზი და ჟორა გაბუნიებს* და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

თანაუგრძნობთ *ჟორა გაბუნიას*, დის

**მარიამ (კუკური) გაბუნიას**

გარდაცვალების გამო და სამძიმარს ვუცხადებთ განსვენებულის ოჯახს.

*თენგიზ ხელაიას ოჯახი*

მეუღლე თამარი; შვილები: ლევანი, ბესო, ზაზა; რძლები: ლალი, ლია, ოქსანა; შვილიშვილები: ირაკლი, თამუნა, გიორგი, სერგი; ძმისშვილები, დისშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**სერგი გაბრუაშვილი.**

# დამაყარეთ თქვენი ფერის ყვავილები



**ალეკო შენგელიაზე** შეიძლება ითქვას, რომ უიღბლო კაცი იყო. ტრაგიკული პირადი ცხოვრება (5 წლის შვილი გარდაეცვალა და ოჯახიც დაენგრა) და მისი ნიჭის დაუნახაობა, ყოველთვის აფერკმრთალებდა იმ ბედნიერების შეგრძნებას, რასაც ადამიანად ყოფნა ჰქვია. არადა, ეს კარგად იცოდა ალეკო შენგელიამ.

*„მე გადავდივარ მომავლის წელში,*
*როგორც ნობათი დროის და სივრცის,*
*ადამიანი – ბუნების ლექსი,*
*უდიადესი ნაყოფი მიწის“,* – წერდა ერთ-ერთ ლექსში.

... ბოჰემურად ცხოვრობდა. როცა რესტორანში შევიდოდა, აუცილებლად თავისსავე სტრიქონებზე დაწერილი სიმღერით შეეგებებოდნენ:

*„რა სცოდნია ამ პატარა ნამის ლილებს,*
*თვალს ნაბავენ, თითქოს შენი თვალებია,*
*ერთხელ მაინც, ჩუმად მაინც გამიღიმე,*
*რა ულმერთო გაჯავრება გყვარებია!“*

„თანამედროვე პოეტებმა კარგად იცოდნენ, ვინ იყო ბიძაჩემი, ალეკო შენგელია, – გვიამბო მისმა ძმისშვილმა ბატონმა გიზო შენგელიამ, – თუმცა მის აღიარებას ყოველთვის ის უშლიდა ხელს, რომ ტრიბუნაზე გამოსვლა არ უყვარდა, არც შეეძლო და ყოველთვის ჩრდილში დგომას ამჯობინებდა. ფიზიკური ნაკლი ჰქონდა, ენა ებმოდა და ამას ძალიან განიცდიდა... მე და ჩემი ძმა ბევრს ვეცადეთ, რომ მისი სახელი დავიწყებას არ მისცემოდა. მერიის განკარგულებით მისი სახელობის ქუჩაც კი დაარსდა (გოგებაშვილის ქუჩის ერთ-ერთ ჩიხს დაარქვეს ალეკო შენგელიას სახელი), მაგრამ არც ამაში ჰქონია ბედი – მოსახლეობამ აბრები ჩამოგლიჯა, ვიღაც მხედრიონელის სახელობის ქუჩა არ გვინდა იყოსო. ის კი არ იციან, რომ ალეკო შენგელია პოეტი იყო და არა მხედრიონელი. მისი ლექსის სტრიქონები ყველა ქართველს ექნება ნამღერი, თუნდაც ერთხელ მაინც:

*„თუ დავეცი, – ნუ მიტირებთ დანანებით,*
*ნაღველს გულში არასოდეს გავივლებდი.*
*საქართველოს ლამაზებო, მანანებო,*
*დამაყარეთ თქვენი ფერის ყვავილები...“*

ჩვენი ოჯახის არქივში ინახება იური გაგარინის მოწერილი წერილი. როცა ის კოსმოსში გაფრინდა და სიმბოლურად დედამიწიდან მხატვრული ნაწარმოებების ნიმუშები წაიღო, მათ შორის ალეკოს ლექსებიც იყო. აი, ზემოთ ნათქვამ სტრიქონებს კი ტელევიზიაში მორის ფოცხიშვილის ლექსად აცხადებდნენ. დავრეკეთ, ვუთხარით, ეს შეცდომაა-თქო. მას შემდეგ აღარც მორის ფოცხიშვილს ახსენებენ, აღარც ალეკო შენგელიას ამ სტრიქონების ავტორად.

...ლადო ასათიანთან მეგობრობდა, ერთ ოთახში ცხოვრობდნენ სამრეცხაოს ქუჩაზე... ლექსიც აქვს დაწერილი ლადო ასათიანზე. სამწუხაროდ, იმ პერიოდზე ბევრს არაფერს გვიამბობდა.

...დიდი იუმორის გრძნობა ჰქონდა. დაგვირეკავდა ხოლმე, საქეიფოდ მოსვლა რომ უნდოდა, იკითხავდა ჩემზე: ყველაზე ჭკვიანი კაცი თუ არის შინო? ასე იმიტომ ამბობდა, რომ მამა ღვინოს აღარ სვამდა, ჩემი უმცროსი ძმა ჯერ კიდევ პატარა იყო და მისი თანამეინახეობა მხოლოდ მე შემეძლო. მახსოვს, ერთ ზამთრის საღამოს სტუმრად მოვიდა. მე და ჩემი მეგობარი გოგო-ბიჭები ვისხედით სუფრასთან. ბიძაჩემმა თქვა გოგონების მისამართით, აი, ვინ მომარჩენდა მეო... ენაბლუობის გამო ბევრს ეხუმრებოდნენ ხოლმე... ერთგან მეც დავცინე და მითხრა: ბ...ბიჭო, თ...თუ ატყობ, ა...ამ ბ...ბოლო დროს ე...ნას რომ ვუ...კიდებო... ასე დელიკატურად მანიშნა, გეყოფაო.“

დრო გადის. ბევრი რამ იცვლება, ბევრიც გვავიწყდება. ალეკო შენგელია ერთ პირად წერილში წერდა: „შემთხვევიდან შემთხვევამდე ვცხოვრობთ ამ დედამიწაზე. აი, ჩემს სარკმელს ტყვია მოხვდა და იქვე კედელს ჩაერჭო. სულ ცოტათი ამცდა. ტყვია ტყვიაა და ჩვენი ასაკის ადამიანებში სიკვდილისთვის ყოველ წუთს მზად უნდა ვიყოთ, მაგრამ ამ მზადებაში საშინლად ზარმაცები ვართ, სიკვდილი მოიცდისო, თავს ვინუგეშებთ“.

ბევრი რამ გვრჩება გასაკეთებელი ყოველ ჩვენგანს, მაგრამ ის მცირედი მაინც ხომ უნდა შევძლოთ, რისი გაკეთებაც ძალიან უბრალოა: თუნდაც ალეკო შენგელიას საფლავი ვასწავლოთ ჩვენს შვილებს, რომ მათ იცოდნენ, სად უნდა მიიტანონ პოეტის ნანატრი ყვავილები.

**ლელა ჯიყაშვილი**

ჩვენ გვწერენ

# გიორგობის ღამის სტუმრები

ბატონი ანზორი მიყვება:

— რა ვქნა, კაცო, როცა უნდა მესწავლა ღმერთის სიყვარული, სწორედ მაშინ მიგინებდნენ. მეც დავიჯერე, რომ არაფერი ზებუნებრივი არ არსებობს. ეკლესიაში კი შევდიოდი, მაგრამ სხვათა შორის, თხოვნითაც არასოდეს მითხოვია უფლისთვის რამე იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ არ მჯეროდა ასრულების შესაძლებლობის...

ნოემბერში, არეულობა რომ დაიწყო, მეც შევუერთდი მათ. ინჟინერი კაცი ვარ, მთელი სიცოცხლე პატიოსან შრომაში გავლიე და ისე წაიყვანეს საქმე, სხვათა ხელის შემყურე გამხადეს სიბერეში, აღარც პენსია, აღარც სხვა სამუშაოს შოვნის შანსი...

ორი ღამე გავათენე მომიტინგეებთან ერთად და გავცივდი, მაღალი სიცხე მომცა, შინ არავინ იყო, რადგან ჩემს რძალს, ნანას, ნაადრევი მშობიარობა დაეწყო და სამშობიაროში წაიყვანეს. ჩემმა ცოლმა წუთით შემოირბინა, — დავიღუპეთ, ქალი თუ გადაარჩინეს, ბავშვზე აღარც ვფიქრობთო!..

ავფორიაქდი, მაგრამ ადგომა არ შემეძლო... როგორრია, ხუთი წელიწადი ველოდით იმ ბავშვის დაბადებას...

გეფიცებით ყველაფერს, არ დამძინებია... ან რა დამაძინებდა! ბურანში გავიგონე, კედლის საათმა რომ თორმეტჯერ ჩამოჰკრა. შუაღამე იყო. გამახსენდა, გიორგობა თენდებოდა. ხატების წინ დაჩოქება მომინდა. თავს ძალა დავატანე და ავდექი, სანთელი ავანთე, დავიჩოქე: „ღმერთო, ყველა დაიფარე ავისაგან, გევედრები — ნურც ქართველების სისხლს დაღვრი და ნურც მე გამამწარებ-მეთქი.“

სანამ არ ჩაიწვა სანთელი, ხატების წინ ვიდექი. წამოვედი, მაგრამ რაღაც ძალამ მიმახედა უკან. რაც დავინახე, იმდენად გამაოგნებელი იყო, უნებურად ისევ მუხლებზე დავეშვი: ქართულ კაბასა და ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი ქალი და კაცი იდგნენ. კაცს ხელში შუბი ეჭირა და უნებურად წამომცდა, — წმინდა გიორგი, შენა ხარ-მეთქი? უხმოდ დამიქნია თავი. ქალი კი მომიახლოვდა და ხმადაბლა მითხრა: „ნინოს უთხარი, დაპირებული სანთელი საღამომდე მომიტანოს და შვილიშვილს გაჩუქებთ, წმინდა გიორგიც დამეხმარება, მისი მადლი ქვეყნის საქმესაც წაღმა შემოატრიალებსო!..

არ მახსოვს, როგორ მივედი საწოლამდე... თვალი რომ გავახილე, თავს კარგად ვგრძნობდი, არც სიცხე მქონდა... მაშინვე სამშობიაროში გავვარდი. ჩემი ოჯახის წევრები ოპერაციაზე აპირებდნენ დათანხმებას, რასაც ჩვენი პატარის დაღუპვა მოჰყვებოდა... ჩვენებს მივუბრუნდი, — წუხელ, სიზმარში, რომელიღაც წმინდანმა მითხრა: „ნინომ დაპირებული სანთელი საღამომდე მომიტანოს და შვილიშვილს გაჩუქებთო!“ არავინ გვყავს ახლობლობაში ნინო, თორემ შევეხვეწებოდი-მეთქი.

ჩემი რძლის დედამ, რომელსაც ყველანი თამილად ვიცნობდით, მითხრა: „ნინო მე მქვია და ნანას შვილი რომ არ ჰყავდა, წმინდა ნინოს ვევედრებოდი: „ოღონდ შვილი მიეცი და მის სიგრძე სანთელს მოგართმევ-მეთქი!..“

გავვარდით, ვიყიდეთ ცვილი და თავისი ხელით ჩამოქნა თამილა-ნინომ. მეც გავყევი ეკლესიაში და სანამ არ ჩაიწვა სანთელი, ფეხი არ მოგვიცვლია. სხვათა შორის, წმინდა ნინოს ხატს რომ ვუყურებდი, დარწმუნებული ვიყავი, რომ სწორედ ის გამომეცხადა...

სამშობიაროში მიბრუნებულებს მოგვახარეს: — გადავრჩით და ბიჭიც გვყავსო.

ვიღრიალე, გიორგის დაბადებას გაუმარჯოს-მეთქი! — არავინ შემკამათებია, აბა, გიორგობას დაბადებული ნანატრი ბიჭისთვის სხვა რა უნდა დაგვერქმია?!.

იმავე საღამოს კი უსისხლო რევოლუციაც მოხდა და საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ მართლაც ღვთიური გამოცხადება მქონდა...

**ინგა ჯაყელი**

## „საზალლო-სალაღო“ გვერდის პასუხეზი

**I. აბა, გამოიცანი:**

1) — ბ); 2) — გ); 3) — დ); 4) — გ); 5) — ა); 6) — დ); 7) — დ); 8) — ა); 9) — ბ).

**II.** 9,2 და 3; 7 და 8; 6 და 11; 4 და 12; 5 და 10; 1.

**III. გამოცანა**

სახელი

**IV.** ხახვი



# სახე სულის სარკეა

თუ გსურთ მეტი შეიტყოთ ნაკლებად ნაცნობი მოსაუბრის ხასიათის შესახებ, ყურადღებით დააკვირდით მის სახეს, შემდეგ ისარგებლეთ შემდეგი ტესტით.

ითვლება, რომ სახის ქვედა ნაწილი არის ჩვენი ჯანმრთელობის სიმბოლო, **ტუჩის** ფორმის მიხედვით შეიძლება განისაზღვროს ადამიანის პრაქტიკულობა და ნიჭი, მიაღწევს თუ არა მატერიალურ კეთილდღეობას.

**1.** *ზედა წერტილებში ოდნავ მომრგვალებული მასიური ტუჩები* — მეტყველებს პატივმოყვარეობაზე, გონიერებაზე, სერიოზულობაზე. ტუჩის ასეთი ფორმა ადამიანს უწინასწარმეტყველებს სიმდიდრეს, ცხოვრების ხანგრძლივ გზას, ჯანმრთელობას.



**2.** *კუთხეებში ოდნავ გაჭიმული სავსე ტუჩები, ამობურცული ზედა ბაგით* — მეტყველებს რბილ, დელიკატურ ხასიათსა და მაღალ ინტელექტზე. ხშირად ეს ადამიანები ძალიან მდიდრდებიან.

**3.** *მომსხო, საკმაოდ გაჭიმული ტუჩები, ზემოთ აწეული კუთხეებით* — ძალზე ნიჭიერ ადამიანს აქვს. მას შეუძლია ადვილად დაარწმუნოს საზოგადოება მისი იდეების მართებულობაში.

**4.** *ოდნავ კუთხეებდაწეული მსხვილი ტუჩები, დიდი, ვერტიკალური ნაოჭებით* — მეტყველებს მშვიდ, განმარტოებულ, არაკომუნიკაბელურ ხასიათზე. ასეთი ადამიანი იშვიათად აღწევს წარმატებას.

**5.** *ჩამოწეული ქვედა ტუჩი, ოდნავ დაქანებული კუთხეებით, მომრგვალებული ამობურცული ზედა ბაგე* — აქვს ისეთ ადამიანს, ვისაც შეუძლია საიდუმლოს შენახვა, თვითკრიტიკულია, მაგრამ ძალიან ხშირად უაზროდ ხარჯავს ფულს, ვერ აკონტროლებს საკუთარ ქონებას.

**6.** *თხელი, წვრილი, კუთხეებში გაჭიმული ტუჩები* — ენატანიობის, ჭორიკანობის ნიშანია.

ფიზიონომისტთა აზრით, **ცხვირის** ფორმა — არის გასაღები არა მარტო ხასიათის ამოსაცნობად, არამედ გონებრივი ნიჭის გამოსააშკარავებლად. აგრეთვე სულის ზოგიერთი საიდუმლოს გასაგებადაც.

**1.** *ვისაც სწორი, დიდი, ხორციანი ცხვირი აქვს,* ჩვეულებრივ ძალიან პატიოსანი, სამართლიანი და ლოიალურია. ასეთი ფორმის ცხვირი ითვლება სიმდიდრის სიმბოლოდ.

**2.** *ვისაც წვერმომრგვალებული, ხორციანი ცხვირი აქვს,* სამართლიანია, ჭკვიანი და ხშირად წარმოაჩენს თავის ნათელ გონებას საჭიროებისამებრ.

**3.** *პაწია, სწორი, ხორციანი, მომრგვალებულწვერიანი ცხვირის პატრონი (ცხვირი „კარტოფილი“)* ჰარმონიული, მაგრამ სპონტანური ხასიათისაა. ასეთი ცხვირი — წარმატების სიმბოლოა.

**4.** *სწორი და თხელი, წაწვეტებული ცხვირი* მეტყველებს ლოიალურ ხასიათზე, შრომისუნარიანობაზე. ასეთი ცხვირი აქვს მკაცრი ბუნების ადამიანს.

**5.** *ცხვირი, რომელიც ერთი შეხედვით მსხვილია და გრძელი, თუმცა სინამდვილეში არ არის ძალიან ხორციანი,* მეტყველებს პატრონის დიდსულოვნებაზე. ის მუდმივად მზადაა სხვის დასახმარებლად.

**6.** *არაპროპორციული მსხვილი ცხვირი, მაგრამ არა ხორციანი, შესამჩნევი კეხით,* აქვს იმ ადამიანს, ვინც ადვილად ნახულობს საერთო ენას გარშემომყოფებთან, ადვილად იტანს მარტოობას, ეგოისტია. ასეთი ცხვირი დაუმორჩილებლობის სიმბოლოა.

**7.** *არწივის ნისკარტისებური ცხვირის* პატრონი აგრესიულობას ხშირად ვერ მალავს, უყვარს რისკი და ყოველთვის სავსეა მოულოდნელი გეგმებით. ასეთი ცხვირი — ავანტიურიზმის სიმბოლოა.

**8.** *ცხვირი, რომელიც პროფილში წარმოადგენს ერთ სწორ ხაზს,* მეტყველებს პატრონის უნებისყოფობაზე, ის ხშირად ცდება და ჰყვება პროვოკაციას. ამ ფორმის ცხვირი არის დაბნეულობის სიმბოლო.

**ჟენსკიე სეკრეტი №1**












# ოთელი მაუგლისათვის

სწორედ ამას ჰქვია საბინაო პრობლემის მოგვარება! ეს კომუნალური სამოთხე ინდოეთშია, სადაც ოქტომბრიდან მარტის ჩათვლით თბილი ამინდები დგას. აქ ტრივიალური დასვენების მოყვარულთ ბამბუკის ვარჯებში განთავსებულ კეთილმოწყობილ ნომრებს შესთავაზებენ. დაწნული მოაჯირები სიბნელეში უსაფრთხოდ სიარულს გაუადვილებს ტურისტს, საწოლს ზემოთ ჩამოკიდებული ბალდახინი კი ტროპიკული მწერებისგან დაიფარავს. ვეებერთელა ფოთლები თეფშებს შეცვლის, რომლებიდანაც უდანაჩანგლოდ გემრიელად მიირთმევენ ადგილობრივი სამზარეულოს ნუგბარ კერძებს.

*ვოკრუგ სვეტა №3*

# „ბურატინოს" პროტოტიპი

ყველასათვის საყვარელ ხის გრძელცხვირა კაცუნას რეალური პროტოტიპი ჰყავდა და იგი ნახევრად ხისა იყო.

იტალიელმა არქეოლოგებმა, რომლებიც მეზღაპრე კოლოდის სასაფლაოს ახლოს მუშაობდნენ, ვინმე პინოქიო სანჩესის საფლავის ქვა აღმოაჩინეს. მეცნიერებმა ორივე გარდაცვლილის სიცოცხლის თარიღები შეამოწმეს — გაირკვა, რომ ისინი თანამედროვენი იყვნენ. საჩესის ნეშტის ექსპერტიზით სენსაციური შედეგი მიიღეს: სენიორ პინოქიო ნახევრად ხისა ყოფილა! უფრო სწორად, სხეულის ქვედა ნაწილი ოსტატურად გაკეთებული პროთეზი ყოფილა. გარდა ამისა, ცხვირიც ხისა ჰქონდა.

პინოქიო სანჩესი 1790 წელს დაბადებულა. 18 წლისა ჯარში გაუმწესებიათ და მოგვიანებით შინ ხეიბარი დაბრუნებულა. ბედმა გენიალურ ექიმთან, ბესტულიჯისთან შეახვედრა — სწორედ მან გაუკეთა პროთეზი და ცხვირი. — ეს იმ დროისთვის სენსაციური ოპერაცია იყო. მისი წყალობით პინოქიო სანჩესმა კიდევ 10 წელი იცოცხლა და ხის ცხვირით ირჩენდა თავს — მოხეტიალე თეატრში მსახიობობდა.

*კომსომოლსკაია პრავდა*

# ყველაზე ელეგანტური ქალები



მონარქის ტიტულს იორდანიის დედოფალმა რანიამ კიდევ ერთი — 2003 წლის ყველაზე ელეგანტური ქალის წოდება მიუმატა.

„2003 წლის ელეგანტური ქალის" ტიტული მას იმ ხალხმა მიანიჭა, რომლებიც პოპულარულ ბრიტანულ ჟურნალ „ჰელოუს" საინტერნეტო გამოკითხვაში მონაწილეობდნენ. საერთო-სახალხო აზრს წინ ვერავინ აღუდგება.

გამოკითხვა მთელ წელიწადს მიმდინარეობდა. გარდა გვირგვინოსნებისა და პრინცესებისა, წოდებაზე პრეტენზია ჰქონდათ მსახიობებს, შოუბიზნესის ვარსკვლავებსა და ტოპმოდელებს. რანიამ ხმათა 32%-ზე მეტი მიიღო. მეორე და მესამე ადგილები კინოვარსკვლავებმა — ნიკოლ კიდმანმა და კეტრინ ზეტა-ჯონსმა გაინაწილეს. მონაკოს პრინცესა კაროლინას მხოლოდ მეშვიდე ადგილი ერგო. ყველაზე ელეგანტური ქალების სიას ტოპმოდელები: ელ მაკფერსონი და იასმინ ლე ბონი აბოლოებენ.

*მირ ნოვოსტეი*

# ულამაზესი დამხმარე სახელმძღვანელო



აკვარიუმების სარგებლობა მხოლოდ ის როდია, რომ მათი ცქერა თვალს ახარებს. მაგალითად, სამუშაო კაბინეტში აკვარიუმი ხაზს უსვამს უფროსის ინდივიდუალობას, უჩვენებს, რომ ცოცხალ არსებებზე ზრუნვა მისთვის უცხო არ არის. ამასთან, დატვირთული სამუშაო დღის მანძილზე ხანდახან მშვიდად მცურავი თევზების თვალიერება ასვენებს ადამიანს. ექიმები ირწმუნებიან, რომ აკვარიუმის მობინადრეთა თვალიერება აწესრიგებს სისხლის წნევას. რა თქმა უნდა, წნევას მოკრივეთა მსხალზე ვარჯიშიც აწესრიგებს, მაგრამ, დაგვეთანხმებით, კაბინეტში მისი დამონტაჟება ერთობ ექსტრავაგანტური იქნებოდა. გარდა დეკორატიული ფუნქციისა, აკვარიუმს აღმზრდელობითი და საგანმანათლებლო ფუნქციებიც გააჩნია. ბავშვი, რომელიც მონაწილეობს აკვარიუმის თევზების მოვლაში, ეჩვევა დისციპლინას, გარდა ამისა, აკვარიუმი ბავშვებისათვის დამხმარე სახელმძღვანელოა ეკოლოგიის, ზოოლოგიისა და ბოტანიკის შესწავლისას.

*დენგი №3*

# დამხმარე დრაკონი

იაპონიაში შეიქმნა მსოფლიოში ყველაზე დიდი მაშველი-რობოტი, რომელიც გიგანტურ დრაკონს წააგავს. გიგანტის დანიშნულებაა, სტიქიურ უბედურებათა ზონაში დამხმარე სამუშაოების ჩატარება. იგი მსუბუქად ეზიდება ქვის ლოდებს და ნანგრევებისგან წმენდს ტერიტორიებს. კონსტრუქციის სიმაღლე 3,5 მ-ია, წონა — 5 ტონა. შემქმნელებმა აპარატს ამაყი სახელი დაარქვეს — „მაშველი დრაკონი T-52". დრაკონის მასიურობის და მოჩვენებითი მოუხერხებლობის მიუხედავად, მასში მოთავსებულ ოპერატორს ურთულესი მანიპულაციების ჩატარება შეუძლია შვიდი მარწუხით, ადამიანის ხელებს რომ წააგავს. სიახლის უპირატესობა ტექნოგენური კატასტროფის და ბუნებრივი კატაკლიზმების ადგილებზე მჟღავნდება, სადაც უძლურია სხვა მექანიზმები.

*ტეხნიკა ი ჟიზნ №1*

# მშვიდობის კალამი



იტალიურმა კომპანიამ MONTEGRAPPA-მ ლონდონის უნივერმაღ „ჰაროდსში" საზოგადოებას ბროლითა და 859 ალმასით მოოჭვილი კალამი წარუდგინა. ამ ძვირფას ხელსაწყოს რატომღაც „მშვიდობის კალამი" ჰქვია და 650 გირვანქა სტერლინგი ღირს. იქნებ იმიტომაც უწოდეს „მშვიდობის კალამი", რომ მისი გაყიდვით მიღებული ფულით ათასობით მშიერის დაპურება იქნება შესაძლებელი. ან იქნებ იმიტომაც, რომ ამ სილამაზეს ნაზიარები ადამიანები მხოლოდ და მხოლოდ სიკეთის ქმნის სურვილით იქნებიან ანთებულნი?!

*ობსერვატორი*

# შაქარი „ლენინი" და ყავა „ლენინური"



ერთმა შვეიცარიულმა კომპანიამ თავის სავაჭრო ნიშნად ლენინის სახელი შეიძინა. ფირმას გადაწყვეტილი აქვს წარმოებული სხვადასხვა საქონელი „ლენინის" სახელით დაამშვენოს.

ახლახან მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის სიკვდილიდან 80 წელი შესრულდა. როგორც ბრენდის მფლობელები ამბობენ, ილიჩი მსოფლიოში დღესაც პოპულარულია და აქედან გამომდინარე, მომგებიანიც იქნება. შვეიცარიელები მარკით „ლენინი" საქონლის რამდენიმე კატეგორიას გამოუშვებენ — ყავას, შაქარს, კაკაოს, კოსმეტიკას, ტანსაცმელს, ფეხსაცმელს, ალკოჰოლურ სასმელებს. ზოგიერთები სკეპტიკურად უყურებენ ამ წამოწყებას. მაგალითად, არაყზე „ლენინური", წყალგაუმტარ ლაბადაზე — „ლენინი ყურეში" და თბილ ქუდზე — „ლენინი შუშენსკოეში" დიდი მოთხოვნილება იქნება. მომხმარებელს ენერგიით დამუხტავს ლენინური ყავაც — ილიჩი ხომ ასეთი კეთილი იყო და ამასთან დღესაც ყველა ცოცხალზე უფრო ცოცხალია. მაგრამ როგორი სუნი ექნება ოდეკოლონ „ლენინს" და ხომ არ ემწარება ვინმეს შაქარი „ლენინი"?..

*ოკნა №3*

# არაყი მისი არსობისა

არ ვიცი, დაიჯერებთ თუ არა, მაგრამ ჩინეთში თურმე ერთი კაცი ცხოვრობს, რომელიც 36 წელია მხოლოდ არაყს სვამს. დიახ, არაფერს ჭამს, არც სვამს — მხოლოდ არაყს გეახლებათ. ყოველ შემთხვევაში, ასე ამბობენ მისი ახლობლები. ვერაფერს იტყვი, გაუმართლა მის შინაურებს, ყველაზე უფრო კი ცოლს. მივა კაცი შინ, არც დაგვიანებულ სადილ-ვახშამზე უსაყვედურებს და არც აუხირდება, კერძი უგემურია ან მარილ-წიწაკა მეტი მოგსვლიაო. როგორც თვითონ სუპერვეგეტარიანელი ბრძანებს, დიდი ხნის წინ მას კუჭი დაავადებია და ჭამა აღარ შეეძლო. მას შემდეგ დღეში ორჯერ, შუადღე-საღამოს თითო ჭიქა ბრინჯის არაყს ხუხავს. ირწმუნება, ეს არის ერთადერთი რამ, რაც ჩემს დაავადებულ კუჭს პირდაპირ მალამოდ ეცხებაო.

*ვოსტოკ №1*

# სასამართლო რულეტი

ერთმა კეიპტაუნელმა მოსამართლემ განაჩენის გამოტანის მეტად საინტერესო მეთოდი გამოიგონა. იგი აიძულებს მსჯავრდებულებს დაატრიალონ „ბებერი პიტი" — ხელსაწყო, რომელიც ფორტუნის ბორბალს წააგავს და სწორედ მას გამოაქვს განაჩენიც. ბორბლის დიაპაზონი განსაზღვრავს სასჯელს მცირე ჯარიმიდან სამუდამო პატიმრობამდე.

„სასამართლოები სავსეა უამრავი საქმით, ეს გამოგონება კი განაჩენის სწრაფი გამოტანის უებარი საშუალებაა, — ამბობს „ნოვატორი" მოსამართლე ბარკლაი მიდი — მართალია, ზოგჯერ „იაღლიშიც" ხდება, მაგრამ ძირითადად მსჯავრდებულები კმაყოფილებას გამოთქვამენ".

*კრიმინალნაია ხრონიკა №2*

# BASTA რეკლამა! VIVA არქიტექტურა!

FINITA LA COMEDIA! — თქვა რომის ადმინისტრაციამ და სარეკლამო ფირმებს ქალაქის სანახების დამახინჯება აუკრძალა. ახალი წესების შემოღებისთანავე ათეულობით სარეკლამო ფარი აიღეს, კომერციულ ფირმებს კი მკაცრად მიუთითეს, რომ ქალაქის ისტორიულ ნაწილში რეკლამების ზომა და რაოდენობა შეზღუდონ.

რომის ხელისუფლება აღშფოთებულია სარეკლამო კომპანიების ზღვარს გადასული აქტიურობით. მარადიულ ქალაქში ყოველ ნაბიჯზეა მრავალმეტრიანი სარეკლამო ფარები ნახევრად გაშიშვლებული ქალებითა და „მარტინის" ფერად-ფერადი ბოთლებით. იფარება ფასდაუდებელი ისტორიული ძეგლები. „ქალაქი თითქმის ჩამარხულია სარეკლამო ფარებში, — ამბობს ქალაქის ადმინისტრაციის წარმომადგენელი, — ჩვენ იმგვარად დავაწესეთ კონტროლი, რომ არც სარეკლამო კომპანიები დაზარალდებიან და არც ქალაქის არქიტექტურა".

ახალი წესის მიხედვით, რომის ისტორიულ მოედნებზე ერთ სარეკლამო ფარზე მეტის დადგმა აკრძალულია. აფიშა შენობის ფასადის მხოლოდ 25%-ს უნდა ფარავდეს და ერთი წლის შემდეგ უნდა ჩამოიხსნას. როგორც ამბობენ, სარეკლამო კომპანიები გაგებით მოეკიდნენ ჩინოვნიკების მოთხოვნებს და პირობა დადეს, რომ სარეკლამო აფიშებს შეამცირებენ.

*ოჯი*

# ლანძღვა-გინება ახსნა-განმარტებით

აშშ-ის შტატ ორეგონის ხელისუფლებამ ადგილობრივ პოლიციელებს მუშაობის დროს უცენზურო სიტყვების ხმარების, ე.ი. ლანძღვა-გინების უფლება მისცა. მაგრამ ერთი პირობით — უცენზურო სიტყვების არსენალის მოშველიება იმ შემთხვევაში შეიძლება, თუ ამ გზით ძალის გამოყენებას აიცილებენ თავიდან. თუ პოლიციელმა ძალის გამოყენების დროსაც გადმოაფრქვია არაპარლამენტური გამოთქმები, მან ხელმძღვანელობას წერილობითი ახსნა-განმარტება უნდა წარუდგინოს იმ გარემოებებზე, რომლებმაც აიძულა უცენზურო სიტყვები გამოეყენებინა.

*ნიუ ზუიქი*

# ჟურნალ „კარუსელის" საფირმო კროსვორდი „კვირის პალიტრისთვის"



შევსების წესი: უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის გრაფაში ჩაწერეთ. კროსვორდის სწორად ამოხსნის შემთხვევაში გამუქებულ უჯრებში ნიკოლოზ გოგოლის სიტყვებს ამოიკითხავთ.




**კ.** გვაროვნული თემი ირლანდიასა და შოტლანდიაში; **ვ.** ქალაქი, სადაც მიმდინარეობს „რომეო და ჯულიეტას" მოქმედება; **ი.** ფაშიზმის სამშობლო; **რ.** მონეტის ან მედლის უკანა ნაწილი; **ი.** ქართული ხალხური შეჯიბრი ცხენოსნობაში; **ს.** ოქროს ნივთი, რომელსაც ჩუქნიან წლის საუკეთესო კუტიურიეს; **პ.** ჩეხეთის დედაქალაქი; **ა.** ნაპირის ნგრევა-ჩარეცხვა ზღვის ტალღების ზემოქმედებით; **ლ.** ძველი ფრანგული ფული; **ი.** იტალიელი ფეხბურთელი; **ტ.** ხის ჯიში, რომელზეც გამოთქმის მიხედვით ის კაცი ზის, რომელიც არაფრის გაგებაში არ არის; **რ.** უკუსვლა, დაქვეითება; **ა.** ქვითკირის სამარე; **შ.** შექსპირის „ვენეციელი ვაჭრის" ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი; **ე.** რა ამოვიდა მურმანის საფლავზე; **ნ.** თამაში, რომლის ტერმინებია „მარსი" და „ოინი"; **ი.** მგალობელი ფრინველი; **გ.** ქალაქი შოტლანდიაში; **ა.** „ვეფხისტყაოსნის" ერთ-ერთი პერსონაჟი; **ზ.** მტაცებელი თევზი; **ე.** მცენარე, რომ ლის ფესვებითაც სააღდგომო კვერცხებს ღებავენ; **თ.** მღრღნელი ცხოველი; **ი.** იმამის ხელისუფლება; **ა.** პრივილეგირებული წოდება ფეოდალურ საზოგადოებაში.

**წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:**

**პ.** პენი; **ა.** ალიბი; **ლ.** ლაგამი; **ი.** იუნგა; **ტ.** ტოსტაო; **რ.** რეალი; **ა.** აორტა; **ს.** სმეტანა; **ა.** აუდი; **უ.** ულელი; **კ.** კაბარე; **ე.** ეტაპი; **თ.** თხა; **ე.** ებრაელი; **ს.** სვანეთი; **ო.** ოფსაიდი; **ა.** აიდა; **რ.** რურუა; **ჩ.** ჩიორა; **ე.** ეუსებიო; **ვ.** ვახუშტი; **ა.** ანანასი; **ნ.** ნევადა; **ი.** იქსი; **ა.** ათინათი.

**გამუქებულ უჯრებში იკითხება: წიგნს არ ედება არასდროს ხავსი.**

## კვირის «მინიკალენდარი»

გთავაზობთ 9-15 თებერვალს დაბადებულ ცნობილ ადამიანთა მოკლე სიას:



9 თებერვალი:
**ჯო პეში,** მსახიობი; **ვასილ ჩაპაევი,** ბოლშევიკთა სარდალი.
10 თებერვალი:
**ბორის პასტერნაკი,** პოეტი, ნობელის პრემიის ლაურეატი; **ჯერი გოლდსმიტი,** კომპოზიტორი.
11 თებერვალი:
**თომას ედისონი,** გამომგონებელი, მეწარმე, მსხვილი ელექტროტექნიკური კომპანიების დამფუძნებელი; **ალექსანდრა ჯაფარიძე,** პირველი ქართველი მთამსვლელი ქალი; **შერილ კროუ,** მომღერალი; **ლესლი ნილსონი,** მსახიობი („შიშველი პისტოლეტი").
12 თებერვალი:
**აბრაამ ლინკოლნი,** ამერიკის პრეზიდენტი; **ფრანკო ძეფირელი,** რეჟისორი, სცენარისტი; **ჩარლზ დარვინი,** მეცნიერი; **შიო მღვიმელი,** საბავშვო პოეტი; **ნანა იოსელიანი,** მოჭადრაკე; **ანა პავლოვა,** ბალერინა.
13 თებერვალი:
**ჟორჟ სიმენონი,** მწერალი; **ფიოდორ შალიაპინი,** მომღერალი; **პიტერ გებრიელი,** მუსიკოსი; **რობი უილიამსი,** მუსიკოსი, მომღერალი; **ნიკო ლომოური,** მწერალი.
14 თებერვალი:
**კლოდ მონე,** ფერმწერი; **ალენ პარკერი,** რეჟისორი; **კევინ კიგანი,** ფეხბურთელთა მწვრთნელი.
15 თებერვალი:
**გალილეო გალილეი,** მეცნიერი; **ლუდოვიკო XV,** საფრანგეთის მეფე; **არჩილ სულაკაური,** მწერალი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი.

## სიტყვათა კონა

**ზონდი** (ფრ.) — 1. საქმიმო ხელსაწყო, წვრილი მილის ან ღერის სახისა, ადამიანის შინაგანი ორგანოების გამოსაკვლევად თუ საქირურგიოდ. 2. საჰაერო ბურთი, რომელიც ავტომატურად იწერს მეტეოროლოგიურ მონაცემებს.
**ზორვა** (ძვ.) — კერპმსახურება, მსხვერპლის შეწირვა (კერპისთვის).
**ზორტი** — ქსოვილის ვიწრო ზოლი, ზონარი, რომლითაც იკრავენ ტანისამოსს ამა თუ იმ ნაწილს.
**ზრო** — ისრის წვერი.
**ზუმბა** (ხ.) — ლითონის წვრილი ჯოხი, რომლითაც წმენდენ თოფის ლულას.
**ზუმფარა** (ხ.) — მაგარი მინერალი, რომლის ფხვნილი (ან ამ ფხვნილით დაფარული ქაღალდი) ხმარობენ ხის და ლითონის ნაკეთობათა გასახეხად, გასაპრიალებლად.
**ზურგული** — 1. ქართული ჭიდაობის ერთ-ერთი ხერხი — მოწინააღმდეგის ზურგით გადმოგდება. 2. ცურვა ზურგზე წოლით.
**ზურნა** (ხ.) — აღმოსავლური ჩასაბერი საკრავი. ზურნა! — ეტყვიან ვინმე თავმომაბეზრებელი ტირილის, ყვირილის და მისთ. შემთხვევაში.
**ზუჩი** (ძვ.) — მეომრის რკინის ქუდი.
**ზღაპი** — ბოსლის იატაკი ერთმანეთზე მიწყობილი მრგვალი ხეებისა.
**ზღვაური** — ზღვის მხრიდან მონაბერი ძლიერი ქარი.
**ზღვევა** — დანაშაულის გადახდევინება.
**ზღვევინება** — საზღაურის მიცემა.

## «თუ მამაჩემი დამნაშავეა, პასუხი უნდა აგოს...»(?!)

— თუ არ ვცდები, „სახეს" ყოფილი წევრი გოგა ხაჩიძე ამჟამად ხაშურის რაიონის გამგებლის მოადგილეა. რატომ წავიდა პოლიტიკაში და ფიქრობს თუ არა, რომ მამამისის დაპატიმრება მის პოლიტიკურ კარიერასთან კავშირშია?

*თემურ ტაბატაძე*



კითხვაზე უპასუხებს **გოგა ხაჩიძე**, ხაშურის რაიონის გამგებლის მოადგილე.

— ჩემი პოლიტიკური საქმიანობა გუშინ არ დაწყებულა. წელიწად-ნახევარია, რაც „გაერთიანებული დემოკრატების" და მოგვიანებით, „ბურჯანაძე-დემოკრატების" რაიონული ბლოკის თავმჯდომარე ვიყავი ხაშურში. ასევე ვიყავი მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი. რაც შეეხება კითხვას, თუ რა მინდოდა პოლიტიკაში, ვიტყვი, რომ მე ამით გარდა მუსიკალური კარიერისა, ბევრ რამეზე ვთქვი უარი... არც ის არის დასამალი, რომ შოუბიზნესში, ბოლო პერიოდში კი ტელევიზიასა და რადიოში, გაცილებით უკეთ ვგრძნობდი თავს. გარდა იმისა, რომ დასაქმებული ვიყავი, ყოველთვის მაღალი ხელფასიც მქონდა, მყავდა საუკეთესო მეგობრები და ძალიან კარგადაც ვერთობოდი. მაგრამ რაღაც ეტაპზე მივხვდი, რომ ასე აღარ უნდა გაგრძელებულიყო. არ მომწონდა ქვეყანაში შექმნილი სიტუაცია. მიუხედავად იმისა, რომ თავდაპირველად ძალიან გამიჭირდა პოლიტიკურ ინტრიგებსა და ლაბირინთებში გარკვევა, მუსიკალურ კარიერას საბოლოოდ დავემშვიდობე. ამჟამად შევეჩვიე ყველაფერს და მათ შორის მამაჩემის დაპატიმრებასაც. მე არ ვერევი გამოძიების პროცესში, თუ მამაჩემი დამნაშავეა, უნდა პასუხი აგოს. მაგრამ ჩემი აზრი თუ გაინტერესებთ, ეს ანგარიშსწორებაა იმ ხალხის მხრიდან, რომელიც ხაშურში დღესაც ძველ ხელისუფლებას წარმოადგენს. ახალი კადრების დისკრედიტაცია და მათი თავიანთ ბინძურ საქმეებში გადაბირების მცდელობა ახალი მეთოდი არ გახლავთ.

## ვინ მალავს «თბილგაზის» საჩუქარს?

— მართალია თუ არა, რომ „თბილგაზმა" მოსახლეობას საახალწლოდ 5 კუბმ გაზი აჩუქა. არსებობს თუ არა ოფიციალური დადგენილება ამის თაობაზე. ჩემი უბნის ინკასატორმა უარი თქვა აღნიშნულ შეღავათზე იმ მოტივით, ასეთ დადგენილებას არ ვიცნობო. თქვენ რას გვეტყოდით?

*მკითხველი*

კითხვაზე უპასუხებს „თბილგაზის" პრესსამსახური.



— ასეთი შეღავათი ნამდვილად არსებობს. ამის თაობაზე თავად „თბილგაზმა" გააკეთა სარეკლამო განცხადება და ყველა ინკასატორი საქმის კურსშია. მათ უნდა მოახდინონ ქვითარში ამ შეღავათის გაფორმება. თქვენს მკითხველს რომ დაეკონკრეტებინა ინკასატორის ვინაობა, მაშინ ნამდვილად შეიძლებოდა კონკრეტული ზომების მიღება. არ დავმალავთ და ნამდვილად იყო რამდენიმე ზარი „თბილგაზში" მოქალაქეებისგან ამავე საკითხზე. თუ მსგავსი პრობლემა ისევ შეექმნება ჩვენს აბონენტს, შეუძლია მოგვმართოს უშუალოდ „თბილგაზში".

## სოსო პავლიაშვილი საქართველოსგან ზრუნვას ითხოვს...

— რატომ არ ჩამოვიდა პრეზიდენტის ინაუგურაციისთვის საქართველოში სოსო პავლიაშვილი. არ მოიწვიეს თუ ვინმემ გაანაწყენა. როგორ აფასებს საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს და მის სამომავლო გეგმებში ხომ არ შედის სამშობლოში კონცერტის გამართვა?

*ნინი ქირაქაძე*

კითხვაზე უპასუხებს **სოსო პავლიაშვილი**.



— წყენა აქ არაფერ შუაშია. საქართველოდან დათო ოქიტაშვილმა დამირეკა და მიმიწვია პრეზიდენტის ინაუგურაციაზე. მეც დიდი სიამოვნებით დავთანხმდი, მაგრამ ჯანმრთელობამ არ შემიწყო ხელი. ახალი წლის დღეებში ორი კვირის მანძილზე გავმართე 34 კონცერტი. ერთი მხრივ, მე მიყვარს დაღლამდე მუშაობა, მაგრამ მეორე მხრივ, ამის გამო ისე გადამეტვირთა ყელი, როგორც არასდროს და მომიწია სამკურნალოდ დაწოლა. ერთადერთი მიზეზი ეს იყო მხოლოდ. შარშან გაზაფხულზეც მინდოდა ჩამოსვლა კონცერტით, მაგრამ მაშინ ჩემი კონცერტისთვის არავის ეცალა. წინასაარჩევნო ციებ-ცხელება და მზადება იყო. უკვე მოგვიანებით (შემოდგომაზე) კი შემომთავაზეს, გამემართა კონცერტი ერთ-ერთი პოლიტიკური პარტიის სახელით, მაგრამ ამაზე უკვე მე განვაცხადე უარი. მეგობრები ერთ გუნდშიც მყავდა, მეორეშიც, მესამეშიც და ა.შ. რაც შეეხება ჩამოსვლას, ჩამოვალ აბა, რას ვიზამ. კონცერტსაც გავმართავ... მთავარია ჩვენთან სიმშვიდე იყოს... საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს, რა თქმა უნდა, დადებითად ვაფასებ, რადგანაც ხალხმა თავად გააკეთა არჩევანი ამდენი იმედგაცრუების შემდეგ და იმათ ამოუდგა გვერდში, ვისაც ნდობა გამოუცხადა. მე მხოლოდ მივესალმები ახალ არჩევანს და სხვების მსგავსად ვუდგავარ გვერდით ახალ ხელისუფლებას არა პოლიტიკური შეხედულებების გამო, არამედ ხალხის ნდობის გამო. ღმერთმა არ გაგვწირა და ნოემბერში მიმდინარე მოვლენები უსისხლოდ დასრულდა. ბევრი უცხოეთში მცხოვრები ქართველი და მათ შორის მეც, ძალიან განვიცდიდით ამ ყველაფერს და უდიდესი სიხარული შევიგრძენით, როდესაც ყველაფერი მშვიდობიანად დასრულდა. ამჟამად გრაფიკი ძალიან დატვირთული მაქვს. კონცერტებს ვმართავ რუსეთის სხვადასხვა ქალაქში.

P.S კითხვაზე, თუ როდის მოიცლის ბატონი სოსო საქართველოსთვის, მან მოკლედ გვიპასუხა, — როდესაც საქართველოში მომიწვევენ. საკუთარი ინიციატივით კონცერტის გამართვის წინადადებით მე ვერავის შევაწუხებ უბრალოდ იმიტომ, რომ საკუთარი თავის ფასი ვიცი. როცა კი გამიმართავს საქართველოში კონცერტი, ყოველთვის საქველმოქმედო იყო და არც ერთი ბილეთი არ გამიყიდია. ახლა იქნებ სახელმწიფომაც იზრუნოს სოსო პავლიაშვილზე... იმიტომ, რომ მე ვაკეთებ იმ საქმეს, რომელიც ქართველებს და საქართველოს სჭირდება (დასასრულს კი სოსო პავლიაშვილმა აღნიშნა, რომ მოკითხვას უთვლის, უყვარს და ენატრება ყველა ქართველი...).

## სახელმწიფო მინისტრი მოქალაქეებს ამჟამად ვერ მიიღებს...

— როგორ უნდა დავუკავშირდეთ სახელმწიფო მინისტრს ზურაბ ჟვანიას, აქვს თუ არა მიღების საათები?

*გიორგი ნაზარაშვილი*

კითხვაზე უპასუხებს **გიორგი ბოკუჩავა**, სახელმწიფო მინისტრის თანაშემწე.



— სამწუხაროდ, ამჟამად სახელმწიფო მინისტრი თავად ვერ ახერხებს მოქალაქეთა მიღებას. ამ საკითხის მოგვარებაში მას თანამშრომელთა ჯგუფი (თანაშემწეები) ეხმარება დარგების მიხედვით. თუმცა, ჩემი ინფორმაციით, სახელმწიფო მინისტრს დიდი სურვილი აქვს თავად შეხვდეს და გაესაუბროს მოქალაქეებს. ამჟამად დადგენილი წესის შესაბამისად, შეკითხვის ავტორს შეუძლია მიმართოს სახელმწიფო მინისტრს მხოლოდ წერილობით. წერილი ან განცხადება უნდა დატოვოს კანცელარიაში, საშვთა ბიუროში. აღნიშნული წერილი გადაეცემა სახელმწიფო მინისტრის სამდივნოს და შემდეგ შინაარსის მიხედვით განაწილდება ამა თუ იმ დარგის კურატორ-თანაშემწეზე.

## ძველი და ახალი გადასახადები

— მაინტერესებს, რა ბედი ეწია საქართველოს ფინანსთა მინისტრის, ზურაბ ნოღაიდელის პროექტს საგადასახადო კანონმდებლობაში ცვლილებების შესახებ, რომლის მიხედვითაც უნდა გაეუქმებინათ საგზაო გადასახადი, ეკონომიკური საქმიანობის გადასახადი და უნდა მიეღოთ სიმდიდრის გადასახადი.

*პატივისცემით, გიორგი გიორგობიანი*

კითხვაზე უპასუხებს **ნოდარ ხადური,** საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საპარლამენტო მდივანი.

— 2003 წლის 31 დეკემბერს, პარლამენტის ბოლო სხდომაზე მიღებული იყო ყველა ცვლილება, რომელიც ფინანსთა სამინისტრომ წარმოადგინა პროექტის სახით. ამრიგად, 2004 წლის 1-ელი იანვრიდან გაუქმდა ეკონომიკური საქმიანობის გადასახადი; 1-ელი ივლისიდან კი გაუქმდება საერთო სარგებლობის საავტომობილო გზების გადასახადი.

გარდა ამისა, 1-ელი იანვრიდან დაწესებულია საგადასახადო შეღავათები ჯანმრთელობის დაცვის ობიექტებისათვის. კერძოდ, ჯანდაცვის ობიექტები გათავისუფლდება მოგების და ქონების გადასახადისგან.

2004 წლის 1-ელი იანვრიდან:

გაუქმდა მიწის გადასახადი, როგორც საერთო სახელმწიფო გადასახადი;

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს მიეცათ რეკომენდაცია მიწის ფართობის მიხედვით განსაზღვრონ სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო მიწის გადასახადის დაწესების მიზანშეწონილობა და ოდენობა. შედეგად: მიწის გადასახადიდან გათავისუფლდება 1 მილიონი მიწის მესაკუთრე; მიწის ადგილობრივი გადასახადით დაიბეგრება მხოლოდ დიდი ფართობის მფლობელი 20 ათასი გადამხდელი 2004 წლის 1-ელი ივლისიდან.

2004 წლის 1-ელი ივლისიდან:

საბიუჯეტო შემოსავლების გაზრდის მიზნით მოიმატებს საავტომობილო ბენზინისა და დიზელის საწვავის აქციზი. რაც შეეხება სიმდიდრის გარეგნული ნიშნის გადასახადს, იგი მხოლოდ კანონპროექტია, რომლის დახვეწაზეც ამჟამადაც მიმდინარეობს მუშაობა.

*რუბრიკა მოამზადა რუსუდან ჟორჟოლიანმა*

ძვირფასო მკითხველო, „ანიდან ჰოემდე" ეცდება თქვენი შეკითხვები უპასუხოდ არ დატოვოს, და ყველა მათგანზე კომპეტენტური პასუხი გასცეს...

# „უთავო“ ნაკრები კვიპროსში მიემგზავრება

„საქართველოს ნაკრებს კვიპროსის ტურნირის დაწყებისას, მწვრთნელი აუცილებლად ეყოლება,“ — ამ ფრაზამ გაიჟღერა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალური მდივნის ვალერი ჩოლარიას პრესკონფერენციაზე, თუმცა, არ დაუკონკრეტებიათ, ვინ იქნება საქართველოს უპირველესი საფეხბურთო გუნდის თავკაცი.

ანრი მიშელზე უკვე იმდენი ითქვა და დაიწერა, ახალი რაღა უნდა ვთქვათ. ფაქტია, რომ იგი აფრიკის საფეხბურთო პირველობას ესწრება და ჩვენთვის ჯერჯერობით ვერ მოუცლია. გადაჭრით ვერაფერს ვიტყვით, მაგრამ კაცს, რომელსაც დღედღეზე ეროვნული ნაკრები უნდა ჩააბარონ, აფრიკელთა თამაშით გართობისათვის წესით არ უნდა ეცალოს. ისიც საეჭვოა, ბატონი მიშელი პირადი სიამოვნებისათვის უყურებდეს აფრიკელთა ბურთაობას.

ჩვენი ფეხბურთის ფედერაციის მესვეურები ახლა აცხადებენ, რომ თურმე, არ არის სასურველი ჩვენს ნაკრებს მწვრთნელი თურქმა აგენტმა დაუნიშნოს, რადგან თურქეთი ჩვენი მეტოქეა შესარჩევ ჯგუფში და რაში სჭირდებათ თურქებს ჩვენთვის ძლიერი სპეციალისტის დანიშვნაო(?!). ეს არგუმენტი მეტად არადამაჯერებლად ჟღერს, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ — ახლა გაიგეს, რომ თურქეთი ჩვენი მეტოქე იყო?

თავისი პოზიცია ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **ვალერი ჩოლარიამ** ღიად დააფიქსირა: „არ მიმაჩნია მიზანშეწონილად, რომ საქართველოს ნაკრებზე თურქმა იზრუნოს, თურქეთი ჩვენი მეტოქეა და ამით ყველაფერია ნათქვამი. ჩემი აზრით, ყველას გერმანელი სპეციალისტის მოწვევა სჯობს... თუ ვინ უხელმძღვანელებს ნაკრებს, ეს საკითხი კვიპროსის ტურნირზე გამგზავრებამდე გაირკვევა, ჩვენ გამოვიძახებთ ლეგიონერებს: კალაძეს, ხიზანიშვილს, შოთა არველაძეს, ლომაიას, კორღალიძეს, მენთეშაშვილს, იაშვილს, კობიაშვილს, ხიზანეიშვილს, ამისულაშვილს, სირაძეს. ფრიად კომპეტენტურია მათი აზრიც“.

ნიშნავს თუ არა ეს განცხადება, რომ მოიხსნა ანრი მიშელის კანდიდატურა, ძნელი სათქმელია. თუმცა, ის კი ცხადია, რომ მიშელის დანიშვნას ფედერაციაში ერთსახოვნად დადებით მოვლენად აღარ აღიქვამენ. მთავარი საწუხარი კი ისაა, რომ დრო გადის და ნაკრები ისევ უმწვრთნელოდაა.

რაც შეეხება ლეგიონერთა პოზიციას, ალექსანდრე იაშვილი, ლევან კობიაშვილი, კახი კალაძე და მათი თანაგუნდელების უმრავლესობა დაუფარავად აცხადებს — იმ ტურნირზე თამაშს, რომელზეც საქართველოს ნაკრები მთავარი მწვრთნელის გარეშე გამოვა, აზრი არა აქვს, რადგანაც საქართველოს ნაკრების თავკაცს სწორედ აქ უნდა მიეცეს ექსპერიმენტების, სათამაშო რგოლების სხვადასხვა ვარიანტად დამუშავების შესაძლებლობა, რისი საშუალებაც ოფიციალურ მატჩებში აღარ იქნება. ერთი სიტყვით, ლეგიონერთა პოზიციაა, რომ ნაკრების მწვრთნელი აქედანვე დაინიშნოს, მაგრამ ამ საკითხს ფედერაცია წყვეტს და ამიტომ როგორ განვითარდება მოვლენები, ძნელი სათქმელია.

ფაქტია, რომ აღარ არსებობს ის დამაბრკოლებელი ბარიერი, რომლის გამოც გარკვეულწილად გამართლებას უძებნიდნენ იმას, რომ ნაკრებში უცხოელი მწვრთნელის დანიშვნა ფერხდებოდა. მერაბ ჟორდანია თავისუფალია და თუთუმლუ-მიშელის პრეტენზიებიც ამ მიმართებით მოიხსნა.



კვიპროსის ტურნირი კარს მოგვადგა. კუნძულზე 8 გუნდი ითამაშებს. ტურნირი ოლიმპიური სისტემით ჩატარდება, თუმცა, იმ განსხვავებით, რომ ნებისმიერი გუნდი თამაშობს 3 შეხვედრას. თავდაპირველი შერჩევით 18 თებერვალს ერთმანეთს შეხვდებიან: რუმინეთი-საქართველო, კვიპროსი-ბელარუსი, ლატვია-ყაზახეთი, უნგრეთი-სომხეთი. მეორე დღეს კი გამარჯვებულები თასისთვის გააგრძელებენ ბრძოლას. გაიმართება დამარცხებულთა მატჩებიც. ასე რომ, ამ ტურნირზე ნებისმიერი ადგილი გათამაშდება.

მეორე დღეს საქართველოს ნაკრების სავარაუდო მეტოქე კვიპროსი-ბელარუსის წყვილიდან იქნება, იმის მიხედვით, თუ რა შედეგს მიაღწევს ჩვენი გუნდი.

დასკვნითი ტურის მატჩები გაიმართება 21 თებერვალს.

ერთი სიტყვით, საქართველოს ნაკრები სამ მატჩს გამართავს, თუმცა, თუკი ნაკრებს ის მწვრთნელი არ უხელმძღვანელებს, რომელსაც მომავალში მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში საქართველოს ნაკრების გამოსვლაზე პასუხისმგებლობა დაეკისრება, გინდ ყოფილა ეს სამი თამაში და გინდ — არა.

# რატომ მიდიან „დინამოდან“ ფეხბურთელები?



**დავით პეტრიაშვილი**

მას შემდეგ, რაც თბილისის „დინამოს“ საფეხბურთო გუნდში სერიოზული ინვესტიციები ჩაიდო, ქართველ გულშემატკივარს იმედი მიეცა, რომ საქართველოს უპირველესი გუნდი თავის დიდებას აღიდგენდა. ბუნებრივია, აქ სრულიადაც არ იყო ნაგულისხმები საქართველოს მასშტაბები. გულშემატკივარი „დინამოსგან“ უპირველესად სწორედ საერთაშორისო ასპარეზზე წარმატებას ითხოვს.

მოლოდინი არ გამართლდა და „დინამომ“ ევროთასებზე თავი შეირცხვინა. საკუთარ მოედანზე დიდი ანგარიშით — 3:0 მოგებული მატჩის შემდეგ, ალბანეთის „ტირანასთან“ ასევე დიდი ანგარიშით 0:3 დამარცხდა და პენალტებიც მეტოქეზე ცუდად შეასრულა.

ეს მატჩები იმიტომ გავიხსენეთ, რომ თბილისის „დინამოს“ შემდგომი ბედი ამ რეალობამ მნიშვნელოვნად გადაწყვიტა. ბუნებრივია, მეპატრონეს, რომელიც საკმაოდ სოლიდურ ხელფასებს უხდის ფეხბურთელებს, სრულიად ჩვეულებრივი პროტესტის გრძნობა გაუჩნდა, რასაც პრემიებისა და ხელფასების საგრძნობლად შემცირება მოჰყვა.

გადის რამდენიმე თვე და თბილისის „დინამო“ დსთ-ის თასს იგებს. მიუხედავად ამისა, გუნდს კვიპროსულ შეკრებაზე არ წაჰყვა ლადო ბურდული, რომელიც კიევის „დინამოშია“ და დღე დღეზე გააფორმებს კონტრაქტს, მანამდე გუნდიდან წასული გახლდათ ალეკო ამისულაშვილი, რომელმაც იმავე კიევის „დინამოს“ 24-ნომრიანი მაისური მოირგო, დსთ-ის თასის გათამაშების ყველაზე გამორჩეული ფეხბურთელები ვიტალი დარასელია და რატი ალექსიძე კი შესაბამისად „ალანიასა“ და „როსტოვში“ გადავიდნენ. გუნდი მანამდე დატოვა ოთარ ხიზანეიშვილმა, რომელიც კონტრაქტით მოსკოვის „დინამოში“ ირიცხებოდა.

ერთი სიტყვით, ფაქტია, რომ „დინამომ“ სტრატეგია შეიცვალა, რომ მისმა მთავარმა კონცეფციამ — შეიქმნას ეროპული დონის გუნდი, რომელიც წარმატებით გამოვა საერთაშორისო ასპარეზზე, ჩაილურის წყალი დალია, ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით მაინც.

სწორედ ამ თემით დავიწყეთ საუბარი თბილისის „დინამოს“ მმართველ დირექტორთან **დავით პეტრიაშვილთან.**

— მინდა დაგარწმუნოთ, „დინამოს“ გეგმებში არ შედის ფეხბურთელების გაყიდვით გამდიდრება. „დინამოდან“ ჩვენი მოთამაშის სტატუსით წავიდა მხოლოდ ამისულაშვილი. ბურდული მართალია კიევის „დინამოშია“, მაგრამ ოფიციალურად არაფერია გადაწყვეტილი. წლის ბოლოს კონტრაქტები დამთავრებული ჰქონდათ დარასელიას და ალექსიძეს, მათ გვთხოვეს, რომ დსთ-ის თასზე თამაშის საშუალება მიგვეცა და ამით დავხმარებოდით ახალი გუნდის მოძიებაში. ესე იგი, დსთ-ის თასის გათამაშებისას ალექსიძე და დარასელია დინამოელები აღარ იყვნენ. არც ხიზანეიშვილი იყო ჩვენი ფეხბურთელი, ის იჯარის წესით გვყავდა მოყვანილი მოსკოვის „დინამოდან“. ვიტყვი იმას, რომ შევიმუშავეთ სამწლიანი სტრატეგიული გეგმა, რომელიც თანდათანობით ევროპული დონის გუნდის შენებას ისახავს მიზნად. აქედანვე გეტყვით, რომ ნათხოვარი ფეხბურთელი ჩვენს სტრატეგიაში არ ჯდება. ასე რომ, ჯერჯერობით მხოლოდ ალეკო ამისულაშვილია წასული „დინამოელის“ სტატუსით. შეიძლებოდა ისიც არ გაგვეშვა, მაგრამ ჩვენ გვყავს ცვლა, რომელიც თავის სიტყვას ჩემპიონატის განახლებისთანავე იტყვის.

— **მიუხედავად იმისა, რომ ამისულაშვილის ტრანსფერს კიევის „დინამოში“ გულშემატკივარი მიესალმება, კითხვები მაინც ჩნდება დარასელიასა და ალექსიძესთან მიმართებაში, რომელთაც რატომღაც „ალანია“ და „როსტოვი“ არჩიეს თბილისის „დინამოს“. საეჭვოა, რომ „როსტოვსა“ და „ალანიას“ ევროთასებზე გასვლის უფრო მეტი პერსპექტივა ჰქონდეთ, ვიდრე თბილისის „დინამოს“... ნუთუ არ შეიძლებოდა ამ ფეხბურთელთათვის იმავე პირობების შეთავაზება, რაც რუსეთის გუნდებმა შესთავაზეს?**

— კონტრაქტის დასრულების შემდეგ ფეხბურთელი თავად აკეთებს არჩევანს, ბუნებრივია, თავად რატის და ვიტალის გადასაწყვეტი იყო, სად გააგრძელებდნენ თამაშს. რაც შეეხება ფინანსურ შესაძლებლობებს, დავადასტურებ, რომ რუსეთის პრემიერლიგის გუნდები ამ მხრივ მართლაც საარაკო მდგომარეობაში არიან.

— **ესე იგი, რუსეთის პრემიერლიგის გუნდებში დინამოელთა გადასვლა ერთგვარად კანონზომიერია?**

— ის რომ მოთამაშე უკეთეს ფინანსურ უზრუნველყოფას ეძებს, ლოგიკურია. თუმცა, ეს თავად მისი გადასაწყვეტია — რას ანიჭებს უპირატესობას — მომავალ პერსპექტივას, თუ ფინანსურ საკითხებს. „რეალი“ და „მანჩესტერიც“ კი ვერ უვლიან ამ რეალობას გვერდს. მოდის იმედისმომცემი თაობა. გვყავს სარეზერვო გუნდი, ფუნქციონირებს ფეხბურთის აკადემია, რომლის მიზანია ის, რომ პირველი გუნდისთვის ფეხბურთელები მოამზადოს. მოთამაშემ გარემო განსაზღვრული დროის შემდეგ უნდა გამოიცვალოს. ფეხბურთელი ზოგჯერ ისეა „გადამწიფებული“ საქართველოს ჩემპიონატისთვის, რომ მისი გუნდში გაჩერება დამღუპველია. მაგალითად მინდა მოვიყვანო ალეკო ამისულაშვილი, რომელიც ვფიქრობ, რომ დროულად წავიდა სხვა გუნდში. ბოლო ხანს ლადო ბურდულს ვატყობდით, რომ მოტივაცია აღარ ჰქონდა საქართველოს ჩემპიონატზე თამაშისა. არადა, ლადოს რომ დიდი ფეხბურთის თამაში უნდა, ერთი ფაქტიც ცხადყოფს — მას მიმზიდველი და მაცდუნებელი წინადადება ჰქონდა „როსტოვიდან“, რომელზეც უარი განაცხადა. მან არჩია გაცილებით უარესი ფინანსური ვარიანტით კიევის „დინამოში“ გადასვლა. ლადომ პერსპექტივა და პროფესიონალური ზრდა დააყენა წინ და ვფიქრობ, რომ არც შემცდარა.

— **ბუნებრივია, გუნდის გაძლიერებაც უნდა ხდებოდეს პარალელურად...**

— რა თქმა უნდა. ამჯერად გუნდს დაუბრუნდა გიორგი ნემსაძე, რომლის გამოცდილება უდავოდ წაადგება „დინამოს“, არის საუბარი ბრაზილიელ ლეგიონერებზე, რომელთაც ბატონი ივო შუშაკი ცდის კვიპროსის საწვრთნელ შეკრებაზე. არ გამოვრიცხავ კიდევ რამდენიმე ლეგიონერის გასინჯვას. ჩვენი სამწლიანი გეგმის განუყოფელი ნაწილია სრულყოფილი საკონტრაქტო პირობები. ფეხბურთელებთან სწორედ სამწლიანი კონტრაქტი უნდა გავაფორმოთ, რომელიც მოგვცემს ნაყოფიერი მუშაობის საშუალებას.

— **თქვენს გეგმაში რამდენად მოიაზრება ბატონი ივო შუშაკი გუნდის მთავარი მწვრთნელის პოსტზე?**

— ამ ეტაპისთვის ბატონი ივოს მუშაობით კმაყოფილი ვართ, ამიტომაც არ გამოვრიცხავთ, რომ მას სამწლიანი კონტრაქტი შევთავაზოთ.

— **თბილისის „დინამომ“ წარუმატებლობა განიცადა საქართველოს სატრანსფერო ბაზარზე — ბატონი ივოს მიერ მოწონებული სამი ფეხბურთელი — სირაძე, ასათიანი და ლომაია ვერ შეიძინა გუნდმა...**

— სამწუხაროდ, ამ ფეხბურთელების ადრინდელმა გუნდებმა არარეალური პირობები წამოგვიყენეს. ჩვენ მზად ვიყავით, რომ კონტრაქტში მათი მომავალი პერსპექტივა გაგვეთვალისწინებინა. ასათიანი და ლომაია მართლაც კარგ გუნდებში მოხვდნენ, მაგრამ არა მგონია, რომ გერმანიის მეორე ლიგის „უნიონი“, სადაც სირაძე გადავიდა, თბილისის „დინამოს“ სჯობდეს. იმასაც ვიტყვი, რომ იმ პირობების შესრულებაზე, რაც ასათიანს მოსკოვის „ლოკომოტივში“ შესთავაზეს, დინამოც თანახმა იყო, მაგრამ ქუთაისის „ტორპედომ“ პრიორიტეტი „ლოკომოტივს“ მიანიჭა...

— **დიდი გუნდის შექმნა გამორიცხულია ფინანსური უზრუნველყოფის გარეშე. ამიტომ საინტერესოა რამდენადაა გათვლილი ამ სამწლიანი მონაკვეთისას თანდათანობით გაიზარდოს გუნდის დაფინანსება, რაც ხელს შეუწყობს ძლიერი ლეგიონერების ჩამოყვანას და ევროპული დონის ბრძოლისუნარიანი გუნდის შექმნას?**

— ჩვენ გვინდა, რომ ერთგვარი ბალანსი იყოს ფინანსებსა და გუნდის მიერ მიღწეულ სპორტულ შედეგებს შორის. არც ერთმა უნდა გადაწონოს და არც მეორემ. ამ ბალანსით უნდა მივაღწიოთ წარმატებას. თუკი მოთამაშე სხვა გუნდში გადავა, ბუნებრივია, მისი შემცვლელიც უნდა მოინახოს, სასურველია ჩვენი სარეზერვო გუნდიდან, რომელიც ამ ეტაპზე მეტად საიმედოდ გამოიყურება. ამ გუნდიდან რამდენიმე ხანში სამი-ოთხი ფეხბურთელი გამოჩნდება „დინამოს“ ძირითად შემადგენლობაში. ბუნებრივია, დამფინანსებელმა უნდა იცოდეს, თუ რა შედეგი მოჰყვება მის მიერ გაღებულ თანხას. ფეხბურთში ყველაფერს ზუსტად ვერ გათვლი. შეიძლება ერთი ბურთი მოხვდეს ძელს და ამან სულ არიოს სიტუაცია. თუმცა, გარდა შედეგისა, ფეხბურთს მეორე მხარეც აქვს — ხარისხი. ხარისხიან თამაშს, რომელიც მთავარი საყრდენი უნდა იყოს ჩვენი გუნდის წარმატებისა, ყველა დაინახავს.

P.S. რამდენად რეალურია ამ სამწლიანი გეგმის განხორციელება, არავინ იცის. სამი წელიწადი ფეხბურთში დიდი დროა და ამ დროში რა როგორ შეიცვლება, ღმერთმა უწყის. ილუზია, თითქოსდა, „დინამოს“ ჩემპიონთა ლიგაში უნდა ეთამაშა, ილუზიადვე დარჩა. მიზეზები არ ილევა, გულშემატკივარი კი კვლავ უიმედოდ ელის „დინამოელთა“ წარმატებას ევროპაში.

# ზაზა ფაჩულია პირად რეკორდს უტევს

ზაზა ფაჩულიამ, რომელიც მიმდინარე სეზონიდან ნაციონალურ საკალათბურთო ასოციაციაში გამოდის და თანდათან მკვიდრდება „ორლანდო მეჯიქის“ შემადგენლობაში, გასულ კვირას პირადი რეკორდი გააუმჯობესა.



„ორლანდო მეჯიქს“ „ტორონტოსთან“ მატჩში მოგების მინიმალური შანსები გააჩნდა, რადგანაც ორლანდოელთა ვარსკვლავი ტრეისი მაკგრეიტი ტრავმირებულია. თამაშის პირველი ნახევრის შემდეგ ზაზა ფაჩულიას გუნდი დიდი ანგარიშით აგებდა, ამიტომაც გუნდის მწვრთნელმა მოედანზე შეუშვა ახალწვეულები. მათ შორის ზაზა ფაჩულია, რომელმაც 21 წუთი ითამაშა და 14 ქულა დააგროვა.

უნდა ითქვას, რომ მატჩის ის მონაკვეთი, როდესაც ზაზა გამოვიდა მოედანზე, „ორლანდომ“ თანაბრად ითამაშა და მეტოქესთან მცირე უპირატესობასაც მიაღწია, თუმცა, მატჩის საბოლოო გამარჯვებისთვის ეს არ აღმოჩნდა საკმარისი. „ტორონტომ“ ოცქულიანი სხვაობით გაიმარჯვა 110:90.

ამ მატჩში ზაზას მიერ მოპოვებული 14 ქულა NBA-ში ასპარეზობისას მისი პირადი რეკორდი გახლავთ. ადრინდელი საუკეთესო მაჩვენებელი ქართველი კალათბურთელისთვის 19 იანვარს „მილუოკის“ კალათში ჩაგდებული 11 ქულა იყო.

***გვერდი მოამზადა გიგა ხირსელმა***

## №5 (383) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შედეგები

საპრიზო-გამოკითხვა რეიტინგს 615 მკითხველი გამოეხმაურა. 5 ბარათი არასწორად იყო შევსებული. კონკურსში 610 ბარათი მონაწილეობდა. 225-მა ქალმა და 385-მა მამაკაცმა უპასუხა კითხვას: **„თქვენი აზრით, რა არის პრეზიდენტ სააკაშვილის ყველაზე საიმედო საყრდენი?“**

როგორც შედეგებმა გვიჩვენა, მკითხველთა 79% თვლის, რომ პრეზიდენტს ყველაზე მეტად ქართველი ხალხის იმედი უნდა ჰქონდეს. **7,44** საშუალო ქულით „ქართველი ხალხი“ პირველ ადგილზეა.

შემდეგ ადგილზე „ამერიკის შეერთებული შტატებია“, საშუალო ქულაა 5,75. რესპონდენტთა 13% მიიჩნევს აშშ-ს პრეზიდენტის ყველაზე საიმედო საყრდენად.

ჩვენი მკითხველების აზრით, მიხეილ სააკაშვილისთვის ასევე სერიოზულ საყრდენს წარმოადგენს ძალოვანი სტრუქტურები — მიუხედავად იმისა, რომ „ძალოვნებისათვის“ მიკუთვნებულ მაქსიმალურ ქულებს (2,2%) მინიმალური ქულები (6,6%) ჭარბობენ, რეიტინგში მას ერთ-ერთი საპატიო ადგილი უკავია.

შედარებით დაბალი მაჩვენებლებით გამოირჩევიან პარლამენტი, ინტელიგენცია და არასამთავრობოები.

საინტერესოა, 2002 წელს, როცა ანალოგიური კითხვა პრეზიდენტ შევარდნაძეს ეხებოდა, მაშინ საპრიზო სამეულს შინაგან საქმეთა სამინისტრო, უშიშროების საბჭო და მოქალაქეთა კავშირი იყოფდნენ.




საპრიზოს ზუსტად ორი ბარათი-რეიტინგი დაემთხვა. ჩვენი გამარჯვებულები არიან თბილისელები — 50 წლის **მანანა ურუშაძე** და 20 წლის **გოგა ფერაძე.**

საპრიზო ფონდი — 100 ლარი მათ შორის თანაბრად განაწილდება.

გამარჯვებულებს ვულოცავთ და პრიზის მისაღებად ველით რედაქციაში ოთხშაბათს, 11 თებერვალს, 17 საათზე.

## №6 (384) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

„კვირის პალიტრა“ თავისი მკითხველებისთვის აწყობს გამოკითხვებს სხვადასხვა საინტერესო საკითხზე, რაც საშუალებას მოგვცემს (ჩვენ და თქვენ), გავიგოთ საზოგადოების აზრი ამა თუ იმ მოვლენაზე, ფაქტზე და ა. შ.

გარდა ამისა, გამოკითხვა-რეიტინგები საპრიზოა, საპრიზო ფონდით —

**100 ლარი**

თქვენ მიერ შედგენილი რეიტინგებით დგება ერთი საერთო რეიტინგი, რომელიც გამოქვეყნდება „კვირის პალიტრის“ მომდევნო ნომერში გამარჯვებულის ვინაობასთან ერთად.

პრიზს მიიღებს გამოკითხვის ის მონაწილე, რომლის მიერ შედგენილი (და, რა თქმა უნდა, რედაქციაში გამოგზავნილი) რეიტინგიც დაემთხვევა საშუალოს.

საპრიზო გამოკითხვაში შემოთავაზებული თემების თითოეული გრაფისათვის მკითხველთა მიერ დაწერილი ქულები ჯამდება და შემდეგ იყოფა რეიტინგის მონაწილეთა რაოდენობაზე, რაც გვაძლევს ამ გრაფის საშუალო ქულას.

რამდენიმე გამარჯვებულის შემთხვევაში, საპრიზო ფონდი მათ შორის განაწილდება, ხოლო თუ არც ერთი მკითხველის რეიტინგი არ დაემთხვა საშუალოს, პრიზს მიიღებს მასთან ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი.

იმ შემთხვევაში, თუკი მიახლოებული ვარიანტიც არ იქნება, თანხა ემატება შემდეგი რეიტინგის საპრიზო ფონდს.

* **საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათის შევსებისას ნუ დაგავიწყდებათ, მონაწილეობა მიიღოთ** მკითხველის ლეიცინეში **და «მკითხველის პრემიაში».**

№6 (384) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათი რაიონებში განთავსებულ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთებში მოათავსეთ ოთხშაბათის, 11 თებერვლის 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათის, 12 თებერვლის 13 საათამდე.

© თბილისი

რეიტინგის ბარათები პარალელურად იბეჭდება ჟურნალ „რეიტინგშიც“. თქვენ შეგიძლიათ ამოჭრათ ისინი, შეავსოთ და მითითებულ ვადებში გამოგვიგზავნოთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. აღნიშნული ბარათებით ისევე მიიღებთ მონაწილეობას კონკურსში, როგორც „კვირის პალიტრიდან“ ამოჭრილი ბარათებით.

თემა №6(384) — პოლიტიკური პარტიები

**რომელი პოლიტიკური პარტია/ბლოკი იმსახურებს თქვენს კეთილგანწყობას ყველაზე მეტად?** (ჩამოთვლილთაგან)? დაუწერეთ მას 9 ქულა, მომდევნოს — 8 და ა.შ. 1-მდე.

№6 (384) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

| № | პარტია/ბლოკი | ქულა |
|---|---|---|
| 1 | აღორძინება | |
| 2 | მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს | |
| 3 | ნაციონალური მოძრაობა | |
| 4 | ახალი მემარჯვენეები | |
| 5 | ლეიბორისტები | |
| 6 | სოციალისტები | |
| 7 | ედპ-ტრადიციონალისტები | |
| 8 | გაერთიანებული დემოკრატები | |
| 9 | ერთობა | |

მკითხველის ლეიცინეე

ქართულის გარდა რომელ ენას ფლობთ სასაუბრო დონეზე?

____________________

____________________

### მკითხველის პრემია

დაასახელეთ ნომრის საუკეთესო ჟურნალისტური ნამუშევარი

✔ ____________________

თქვენი სახელი, გვარი

ქალაქი (რაიონი)

ასაკი ტელეფონი

თუ საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგში მონაწილეობის მისაღებად რამდენიმე ბარათს ავსებთ, გთხოვთ, „დამატებით კითხვასა“ და „მკითხველის პრემიაში“ მხოლოდ ერთხელ (ერთ ბარათში) დააფიქსიროთ თქვენი აზრი.

**ყურადღება! „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთებში მითითებულ დროზე გვიან მოთავსებული ბარათები კონკურსში არ მონაწილეობს!**

### დამატებითი კითხვის შედეგები

ხედავთ თუ არა 30-იანი წლების რეპრესიების განმეორების საფრთხეს საქართველოში?




1. დიახ 16.2%
2. არა 69.3%
3. მიჭირს პასუხის გაცემა 14.5%

*დამატებით კითხვას 530-მა რესპონდენტმა უპასუხა*

## ·ფოტოპალიტრა· © ფოტოანტიკვარი

*გთავაზობთ თქვენთვის ნაცნობი პიროვნებების ფოტოებს. გთხოვთ, პასუხები გამოგვიგზავნოთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ყველაზე ორიგინალური პასუხები გამოქვეყნდება გაზეთის შემდეგ ნომერში.*

რას დაარქმევდით?

____________________

____________________

____________________

____________________

____________________

თქვენი სახელი, გვარი __________

ქალაქი (რაიონი) __________



კობა დავითაშვილი, გივი თარგამაძე

„ცხვირი ჰგავს? — ჰგავს, თვალები ჰგავს? — ჰგავს...“ ასეთი იყო „ფოტოანტიკვარის“ მინიშნება და ჩვენმა მკითხველებმაც ეს პატარა ბიჭუნა თვალებითა და ცხვირით ზოგმა დღეს ასე პოპულარულ მიხეილ სააკაშვილს მიამსგავსა, ზოგმაც — ლევან გაჩეჩილაძეს...

ერთმა მკითხველმა მასში საველე „ამოიცნო“ „არაჩვეულებრივი გამოფენიდან“...

რესპონდენტთა 35%-მა კი ამ ფოტოში ყველასათვის საყვარელი ლორთქა — მსახიობი **გურამ ლორთქიფანიძე** შეიცნო...





ზურა ნიკოლაიშვილის მეგობრული შარჟი



გურამ ლორთქიფანიძე, ხუთი წლის

## ფოტო განწყობისთვის



— დამღალა ამდენმა ემოციამ!..



— გამოძიებამ დაადგინა, რომ...

მიხა: — გამოძიებამ კი არ დაადგინა, მიმბეგვეს მაგრა და მე თვითონ ჩავუკაკლე ყველაფერიცა...

13/II უკანასკნელი მეოთხედი

მაგნიტური დღეებია:
10/II 9-დან 11 საათამდე
15/II 8-დან 11 საათამდე

### წინა ნომრის კროსვორდის პასუხები

**თარაზულად:** 1. შინშილა; 4. ტაქტიკა; 6. კორტი; 7. პრასი; 8. ლიეპა; 9. „ომეგა"; 10. არმადა; 13. ნილაბი; 16. „ნაიკი"; 18. სპრინტი; 19. სტეფანე; 20. ურანი; 22. გლორია; 23. პიკასო; 25. კროსი; 27. ეგერი; 28. ცნება; 29. რიტმი; 30. აქცენტი; 31. ალმართი.

**შვეულად:** 1. შვეიცარია; 2. აკაპულკო; 3. არდადეგები; 4. ტიტიკაკა; 5. ავტოგრაფი; 11. მარსი; 12. დენდი; 14. „იმედი"; 15. ასანა; 16. ნიუ; 17. ისი; 21. აბონემენტი; 22. განმუხტვა; 24. ოპტიმისტი; 25. კრეიცერი; 26. ირიგაცია.






**თარაზულად:** 1. ძველად მეტად პოპულარული აზარტული თამაში, რომლის სახელწოდებაც წარმოიშვა ფრანგულ ბანქოზე ეგვიპტური სიმბოლიკის ზეგავლენით; 4. უმაღლესი სასწავლო დაწესებულების ხელმძღვანელი; 6. გეომეტრიული ფიგურა; 7. ძვ. ბერძნული ქალაქი პარნასის მთის ძირას აპოლონის სახელგანთქმული ტაძრითა და სამისნოთი; 8. „ასე ამბობდა ზარატუსტრა" — გერმანელი ფილოსოფოსი; 9. მომავლის რწმენა; 10. პირველი სამხედრო დანიშნულების მომწამლავი აირი, რომელიც გერმანელებმა I მსოფლიო ომში გამოიყენეს მდინარე იპრთან; 13. ნუგბართა ნუგბარი; 16. სასმელი რომისა და ცხელი წყლისაგან, რომელსაც უმატებენ შაქარს და სურვილისამებრ ლიმონს და სხვა სანელებლებს; 18. თხევადი საწვავი; 19. ადრემოყვავილე მრავალწლიანი ბოლქვიანი მცენარე; 20. სამშენებლო მასალა; 22. პერსონაჟი ჩაიკოვსკის ბალეტისა „გედის ტბა"; 23. ნარკომანის საყვარელი ყვავილი; 25. სტილი პოპმუსიკაში მიმართული 50-იან 60-იანი წლების ნაწარმოებებისადმი; 27. ამერიკული ფილმი-ბლოკბასტერი; 28. ნესტიანი, წყლით გაჟღენთილი; 29. იდუმალებით მოსილი საბედისწერო ქალის სახე კინოსა და ლიტერატურაში — „ქალი ..."; 30. „ლუქსის" კლასის ავტომობილების ინგლისური კომპანია, დაარსებული 1925 წელს ლაიონსის მიერ; 31. გზის საფარი.

**შვეულად:** 1. მხატვრის მშობლიური ქალაქი; 2. XVIIს. ფლამანდიელი ფერმწერი; 3. ნაგებობა ვან-გოგის ტილოზე; 4. სასწრაფოდ მოძრავი სხეულის ასხლეტა გარკვეული კუთხით რაიმე ზედაპირზე მოხვედრის შემდეგ; 5. ძნელად გასარჩევი, გაუგებარი ნიშანი, ასო, ნაწერი; 11. კრივის ასპარეზი; 12. გოგენის კუნძული; 14. მთავარი არტერია; 15. ნაყოფიერებისა და დედობის მფარველი ქალღმერთი ეგვიპტურ მითოლოგიაში; 16. ქართული კვარტეტი „4..."; 17. ძველჩინური ნატურფილოსოფიის ერთ-ერთი მთავარი ცნება — იანის ანტიპოდი; 21. მუქარანარევი მოთხოვნა; 22. ჩუქურთმა; 24. ვულკანური ქანი, მუქი ფერის მინა; 25. რუსეთის სამეფო დინასტია; 26. დრამატული სიუჟეტის მქონე მუსიკალური ნაწარმოები, დაწერილი გუნდის, სოლისტ-მომღერლებისა და ორკესტრისათვის და განკუთვნილი საკონცერტო შესრულებისთვის.

შეადგინა რამაზ ალანიამ




ყურადღება: „კვირის პალიტრის" (გაზეთის) საფოსტო (საკორესპონდენტო) ყუთებზე საავტორო უფლება დაცულია კანონით.©

### ⑥ უფასო განცხადების ქვითარი

განცხადების ტექსტი ________________________________

________________________________

________________________________

სიტყვა და საქმე

გთხოვთ, ტექსტი გარკვევით დაწეროთ: სიტყვათა მაქსიმალური რაოდენობა — 30 (მისამართის და ტელეფონის ნომრის ჩათვლით)

გაურკვევლად ნაწერი განცხადება არ გამოქვეყნდება

№6 თბილისში ქვითარი „კვირის პალიტრის" ყუთებში ჩააგდეთ 12 თებერვლის (ხუთშაბათი) 13.00 სთ-მდე.

„კვირის პალიტრის" და „სიტყვა და საქმის" საფოსტო ყუთები განლაგებულია: თბილისში – მეტროს სადგურებთან და ხალხმრავალ ადგილებში, აგრეთვე, ქალაქებსა და რაიონებში: მცხეთა, კასპი, გორი, ქარელი, ხაშური, სურამი, ზესტაფონი, ქუთაისი, სამტრედია, აბაშა, სენაკი, ხობი, ზუგდიდი, ფოთი, ქობულეთი, ბათუმი, ოზურგეთი, ლანჩხუთი, ვანი, წყალტუბო, ბაღდათი, ხონი, ბანძა, თერჯოლა, ტყიბული, ამბროლაური, ონი, ბორჯომი, ახალციხე, რუსთავი, საგარეჯო, გურჯაანი, წნორი, სიღნაღი, ყვარელი, ლაგოდეხი, თელავი, ახმეტა, დედოფლისწყარო.

„კვირის პალიტრისა" და „სიტყვა და საქმის" საფოსტო ყუთები იცლება თბილისში — სამშაბათს, ხუთშაბათს, კვირას 13 საათიდან; რაიონებში — ოთხშაბათობით, 10 საათიდან.

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს.

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან გადმოთარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე, სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

R ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

მთავარი რედაქტორი ლალი გუნთაიშვილი

მთ. რედაქტორის მოადგილეები
ნუცა დუმბაძე, გიორგი თევდორაშვილი
სარედაქციო კოლეგია

მის.: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან)
ტელ: რედაქცია: 33-39-54
რეკლამა, ფაქსი: 33-50-32; 98-74-44
palitra@access.sanet.ge
www.opentext.ge/kvirispalitra
სარეგისტრაციო ნომერი © 1518
„კვირის პალიტრა"
გამოდის ორშაბათობით
გაზეთი დაიბეჭდა
გამომცემლობა „კოლორში".